

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

11/2022

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



11/2022

შვედარეგონთი სამარტონს

ქარტონ-გერმონული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022

© ავტორები, 2022

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქაეშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები საჯარო სამართალი

- სასამართლო მონყობის შედარება საქართველოსა და გერმანიაში
ულრიხ ჰაგენლოხი 7
- სოციალური საბინაო ფონდის შექმნის მექანიზმები: ფიქრი საკანონმდებლო
მონესრიგების კონცეფციაზე
კობა ყალიჩავა 9
- გარემოს დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციაში და ამ უფლებასთან
დაკავშირებული სტანდარტების გამოყენების საკითხები საქართველოს
სასამართლო პრაქტიკაში
ია უჯმაჯურიძე 20

სტატიები სამთქალაქო სამართალი

- მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერის მიღება ქართული სამართლის
მიხედვით
ხატია პაპიძე / ლადო სირდაძე 37
- ინტერნეტ სამართალი, როგორც სამართლის ახალი დარგი
ზვიად გაბისონია 49
- მეტავერსის განმარტება და სამართლებრივი გამოწვევები
ლევან ნანობაშვილი 55
- ჩუქების ხელშეკრულების დადების იურიდიული შედეგები: შედარებითი ანალიზი
მიხეილ ბიჭია 70
- საერთაშორისო კერძო სამართალში სამართლის მჭიდრო და უმჭიდროესი
კავშირის როლი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას რომი I რეგულაციის
მიხედვით
ნიკოლოზ ნებულიშვილი 85

სტატიები სისხლის სამართალი

- დიდი ოდენობით თაღლითობაზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,
როგორც სამოსამართლო სამართალშემოქმედების აქტი?
თემურ ცქიტიშვილი 97

სამართლის საფუძვლები: პოლონური პერსპექტივა, რედ. ვ. დაიჩაკი, ტ. ნიბორაკი,
პ. ვილინსკი. ვარშავა, 2021.

104

გიორგი ყორყოლიანი / გიორგი რუსიაშვილი

სასამართლო მოწყობის შედარება საქართველოსა და გერმანიაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 14 სექტემბრის მოხსენების განვრცობილი და მცირედით მოდიფიცირებული ვერსია

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

ნება მომეცით, მსჯელობა დავიწყო სასამართლოს ორგანიზაციულ-სტრუქტურული მონახაზით საქართველოსა და გერმანიაში. მოცემულ შემთხვევაში საკითხი არ ეხება სასამართლო სტრუქტურისა და იურისდიქციის განსხვავებებს. გაცილებით მეტად მაინტერესებს სფერო, რომელსაც იურიდიულ სწავლებაში საკმაოდ მცირე ღირებულება ენიჭება, კერძოდ, შემდეგი კითხვა:

ვინ წყვეტს სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს ფარგლებში ორგანიზაციულ და ზოგად ადმინისტრაციულ საკითხებს, ანუ იმას, თუ ვინ დაინიშნება საერთოდ მოსამართლედ, რომელი მოსამართლეები რომელ სასამართლოში იმუშავენ და რომელ კოლეგიას მიეკუთვნებიან, რომელი მოსამართლეები დაინაწილებიან, რომელი სასამართლოები რა ბიუჯეტს მიიღებენ და როგორ იქნება სრულიად სასამართლო სისტემა მოწყობილი.

ეს შეიძლება ერთი შეხედვით საკმაოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მოსაწყენი ჩანდეს, თუმცა მის უკან იმალება ფუნდამენტური კონსტიტუციური საკითხები.

უპირველესად, საკითხი ეხება **მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ დაცვას**. ყველა ცნობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას იმდენად, რამდენადაც მოსამართლეზე თავისი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას დაუშვებელია, თუნდაც ირი-

ბად, რაიმე ზეგავლენის მოხდენა. ამჟამად, არ მინდა კიდევ უფრო დეტალურად განვაგრძო თითოეული მოსამართლის ინდივიდუალური დაცვის თემატიკა. სტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები კი ძირითადად ეხება შემდეგს:

სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს ეფექტიანი დაცვა მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა უფლებამოსილმა პირებმა შექმნან ჩარჩო პირობები, რომელთა ფარგლებშიც სასამართლოს დამოუკიდებლობა, რაც შეიძლება, დაუბრკოლებლად განვითარდეს. უპირველეს ყოვლისა, კანონმდებელს მოეთხოვება, სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს ფარგლებში უზრუნველყოს სტრუქტურების არსებობა, რომლებიც სასამართლო ადმინისტრაციისა და სასამართლო მოწყობის ყველა საკითხში ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას გააძლიერებენ. კანონის უზენაესობით მოთხოვნილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სრულად არ იქნებოდა განხორციელებული, როდესაც მოსამართლე, თუმცა მის უშუალო სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სფეროში დამოუკიდებელი იქნებოდა, მაგრამ ბევრ სხვა, მის სამოსამართლო საქმიანობასთან ირიბად დაკავშირებულ საკითხში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ეს ეხება, მაგალითად, კითხ-

ვას, თუ რა ფინანსური რესურსებით იქნებიან უზრუნველყოფილნი სასამართლოები, რა კვალიფიკაციისა და რაოდენობის მომსახურე პერსონალი მუშაობს ამ სისტემაში, როგორ ხდება მათი განაწილება სასამართლოებისა და შესაბამისი განყოფილებების მიხედვით.

აღნიშნული აქამდე მარტივად ჟღერს; მაგრამ ეს ასე არ არის. მოცემული კონსტიტუციური პრინციპი, ანუ სასამართლოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერება, წინააღმდეგობაში მოდის სხვაგვარ, კერძოდ, **დემოკრატიის პრინციპთან**. დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფო ძალაუფლება ხალხისგან მომდინარეობდეს.

შესაბამისად, ამ ორ ურთიერთინააღმდეგობაში არსებულ კონსტიტუციურ მიზანს შორის უნდა მიიღწეოდეს **ოპტიმალური ბალანსი**. ამისთვის საბაზისოდ ორი ძირითადი მოდელი არსებობს:

უპირველესად, არსებობს, ე.წ. **აღმასრულებელი მოდელი (Exekutivmodell)**, რომელ ძირითად სამართლებრივ პრინციპსაც გერმანიამ მიანიჭა უპირატესობა. მისთვის ამოსავალი წერტილია პარლამენტის **ლეგიტიმაციის დემოკრატიული ჯაჭვი**, რომელიც ინაცვლებს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით სასამართლოების თავმჯდომარეებზე და თითოეულ ცალკეულ მოსამართლეზე. ამ ლეგიტიმაციის ჯაჭვის ბირთვი არის ის, რომ მოსამართლეებს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, რომელიც პოლიტიკურად საბოლოოდ პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი. სამართლებრივი დოგმატური მიდგომიდან კი ერთი რამ ცხადია: მისი სტრუქტურულიდან გამომდინარე, აღნიშნული აღმასრულებელი მოდელი არ იძლევა სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიის ოპტიმალურ გზას. ამიტომ, ამ სისტემაში, მის კონკრეტულ მოწყობაში, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვის სხვა გრძელვადიანი გზები უნდა იქნეს გარანტირებული. ამასთან საჭიროა, იერარქიული სტრუქტურების ფარგლებში ძალაუფლების დეცენტრალიზებული კავშირისა და კონტროლისა და ბალანსის სისტემის შექმნა, იმისთვის, რომ ცალკეული ინდივიდების, მათ შორის იუსტიციის მინისტრის, დო-

მინანტური გავლენა თავიდან იქნეს აცილებული.

გერმანიაში როგორც მოსამართლეთა დანიშვნა, ასევე უპირველესად მათი დანიშნაობა, მიმდინარეობს გამოკვეთილად კონსტიტუციური პროცედურების გზით სასამართლო თვითმმართველობის ორგანოების, ნაწილობრივ ასევე მოსამართლეთა შესარჩევი საპარლამენტო კომიტეტების მეშვეობით. გარდა ამისა, აღმასრულებელი ქმედება ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების ინტენსიურ კონტროლს და საბოლოოდ, ასევე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. ამასთან, იქმნება ე.წ. მომსახურე სასამართლოები (**Dienstgerichte**) იმ მოსამართლეებისთვის, რომელთა წევრებსაც თავად მოსამართლეები ირჩევენ. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია მიმართოს მომსახურე სასამართლოებს, თუ ის ხედავს, რომ საზედამხედველო ღონისძიების მეშვეობით მისი დამოუკიდებლობა ილახება. მართალია, მომსახურე სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ფორმალურად თუ შევხედავთ, მხოლოდ ფაქტის განმსაზღვრელი ეფექტი აქვს, იმაზე მითითებით, რომ გაპროტესტებული ღონისძიება მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში იჭრება. თუმცა, ამგვარი სამართლებრივი დაცვის არსებობას აქვს მნიშვნელოვანი პროფილექტიკური ეფექტი. ამას ემატება ისიც, რომ მომსახურე სასამართლოს შესაბამისმა დასკვნამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხელმძღვანელების რეპუტაციაზე.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თითოეულ სასამართლოში ჩამოყალიბებული პრეზიდენტობები. მისი თავმჯდომარე თანამდებობრივად სასამართლოს ხელმძღვანელია. ყველა სხვა დანარჩენ წევრებს ირჩევენ მოსამართლეები. ეს პრეზიდენტობები წყვეტენ სასამართლო დამოუკიდებლობის კონტექსტში, რომელი მოსამართლე სასამართლოს რომელ სენატში, პალატაში ან დეპარტამენტში იქნება განაწილებული. გარდა ამისა ისინი წყვეტენ აბსტრაქტული კრიტერიუმების მიხედვით, თუ რა საკითხების განხილვაზე იქნებიან მოსამართლეები უფლებამოსილნი. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოში საქმის განაწილებასთან დაკავში-

რებული ყველა საკითხი, მოსამართლის ინდივიდუალური ტვირთის ჩათვლით, აღმასრულებელ სფეროს ჩამოაშორეს და მოსამართლეების საკუთარი პასუხისმგებლობით მისაღებ გადაწყვეტილებად მიიჩნის.

მართალია, გერმანიაში მართლმსაჯულების განხორციელების, მათ შორის მოსამართლეთა დანიშვნის, საკითხები დიდწილად ფედერალური მიწების უფლებამოსილებაა, თუმცა სასამართლო თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობისა და უფლებამოსილებათა ნაწილში აშკარა განსხვავებები შეინიშნება. ამასთან, მხოლოდ ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე არის შესაბამის მიწის პარლამენტებში მოსამართლეთა შესარჩევი კომიტეტები შექმნილი და მოსამართლეთა დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული.

ფედერალური სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს (მიწის) მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტი. მასში შედიან ფედერალური მიწების იუსტიციის 16 მინისტრი და გერმანიის ბუნდესტაგის 16 დეპუტატი.

შემომნებისა და ბალანსის კუთხით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში მოსამართლეთა დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისთვის მხოლოდ შერჩევის გადაწყვეტილებაა გადაცემული. გადაწყვეტილების მიღებისა და შეფასების საფუძვლების გამოკვლევა სხვის ხელშია, კერძოდ, ადმინისტრაციულ სასამართლოებს შეუძლიათ შერჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ცალკე, ანუ დამატებით შეამოწმონ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისა და შეფასების საფუძვლების განცალკევებული სასამართლო შემოწმება მნიშვნელოვან საპირწონეს ქმნის იმისას, რომ ე.წ. კონტროლის საზღვრები (იგულისხმება: სასამართლო კონტროლის ინტენსივობა) შერჩევის გადაწყვეტილების მიღებისას ბუნებრივად შეზღუდულია, რამდენადაც აღნიშნული მიიღება არა აღმასრულებელი ორგანოს მიერ, არამედ ხმათა უმრავლესობით (და დასაბუთების ვალდებულების გარეშე) სასამართლო თვითმმართველობის ორგანოს ან საპარლამენტო ორგანოს მიერ (იხ. დეტალურად: BVerfG [ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო], 20.09.2016 - 2 BvR 2453/15 - BVerfGE 143, 22).

კონკრეტულად, ეს ნიშნავს, რომ, ყველა განმცხადებლის მიმართ, რომელთაც სურთ დანიშნულება, სასამართლოს თავმჯდომარემ (იმ სასამართლოების შემთხვევაში, რომელთაც თავმჯდომარე არ ჰყავთ, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარემ) სამსახურებრივი შეფასება უნდა შეადგინოს. როგორც ყველა მოსამართლის მიმართ გარკვეული ინტერვალებით წარმოებული რეგულარული შეფასება (ე.წ. რეგულარული შეფასება) ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების შემოწმებას, ასევე თითოეული აპლიკანტის მიმართ შედგენილი შეფასებაც (ე.წ. მიზეზობრივი შეფასება) ექცევა მისი შემოწმების ფარგლებში. ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის გამოკვლევის და, მეორე მხრივ, შერჩევის გადაწყვეტილების უფლებამოსილებების ასეთი გამიჯვნა, ისევე, როგორც ყოველი ღონისძიების სასამართლო გზით შემოწმების არსებობა, გამორიცხავს ძალაუფლების კონცენტრაციას და ზრდის კანონის უზენაესობას. აღნიშნული ირიბად მოქმედებს იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიაში არჩეული აღმასრულებელი მოდელის არსებობასთან.

მეორე გზა არის ე.წ. **თვითმმართველობის მოდელი (Selbstverwaltungsmodell)**, რომელიც ამოსავალ წერტილად აირჩია საქართველომ და ასევე ევროპის სხვა არაერთმა ქვეყანამ. ძალიან მარტივად რომ ითქვას, თვითმმართველობის მოდელი, ასევე ორგანიზაციული და სტრუქტურული გადაწყვეტილებები, ანუ, საბოლოო ჯამში, მართლმსაჯულების მმართველობის საკითხები, მოსამართლეების ხელშია. ისინი ირჩევენ ორგანოს, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ე.წ. მოსამართლე წევრებს, რომლებიც მეტწილად ხელისუფლების მესამე შტოში არსებულ აღმასრულებელ საკითხებზე იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს აძლიერებს მოსამართლეთა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მის კონკრეტულ მოწყობაში საჭიროებს საპირწონეს დემოკრატიული პრინციპის სახით.

პირდაპირ რომ ვთქვათ: უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ხელისუფლების მესამე შტოში მთელი ძალაუფლება მომდინარეობდეს არა მოსამართლეებისგან, არამედ პარლამენტის მეშვეობით ხალხი ინარჩუნებდეს კონსტიტუ-

ციით მოთხოვნილ თანამონაწილეობის უფლებამოსილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიის პრინციპი დაირღვეოდა. ამიტომაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება არა მარტო მოსამართლე წევრებისგან, არამედ პარლამენტის მიერ არჩეული ან პრეზიდენტის მიერ დანიშნული ე.წ. არამოსამართლე წევრებისგან. დემოკრატიის თვალსაზრისით, გადანაცვლები ფაქტორია, თუ რაოდენობრივად რამდენად დიდია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრთა რაოდენობა და რა კვორუმებია საჭირო ხმის მისაცემად, იმისთვის, რომ არამოსამართლე წევრებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანაცვლებებზე ფაქტობრივად საკმაოდ ეფექტიანი გავლენა ჰქონდეთ.

საკითხი ეხება, მაგალითად, იმას, საჭიროა თუ არა თანაბარი შემადგენლობა თუ მოსამართლეთა წევრებს შეიძლება ჰქონდეთ უმრავლესობა. ანუ საკითხი მდგომარეობს შემდეგში, დემოკრატიის პრინციპის უზრუნველსაყოფად არამოსამართლე წევრებს, სულ მცირე, უმცირესობის ბლოკირების უფლებამოსილება უნდა ჰქონდეთ თუ ისეთი შესაძლებლობაც უნდა მიენიჭოთ, რომ მოსამართლე წევრების წინააღმდეგ პოზიტიური გადანაცვლებები და არა მხოლოდ „ბლოკადები“ გამოიყენონ.

საქართველოში, უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა თავად კონსტიტუციით არის დადგენილი და მის მიხედვით მოსამართლეთა არჩეული სასამართლო წევრების მიერ უმრავლესობის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ეს კონსტიტუციური მოთხოვნა უდავოდ აძლიერებს მოსამართლეთა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ელემენტის ასეთი ძლიერი წონადობის შედეგია დემოკრატიული კომპონენტების გარკვეული შესუსტება.

აღმასრულებელი მოდელის საპირწონედ, რომლის კონკრეტული მოწყობისას მოსამართლეთა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სხვა ღონისძიებებით არის გარანტირებული, თვითმმართველობის მოდელის კონკრეტული ფორმის არსებობისას დემოკრატიის პრინციპი უნდა იყოს გაძლიერებული. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, იმით, რომ კონ-

სტიტუციურად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კენჭისყრისას მინიჭებული კვორუმი ორგანულ კანონში ისე იყოს შემუშავებული, რომ არამოსამართლე წევრებს გარკვეულ ფარგლებში შეეძლოთ აგრეთვე გადანაცვლებების შინაარსობრივი თვალსაზრისით ფორმირება. თუმცა საქართველოსთან მიმართებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეცაა კონსტიტუციის ძალით. მისი არჩევა პარლამენტის მიერ განუყოფლად არის დაკავშირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობასთან, რომლითაც ის დემოკრატიული ლეგიტიმურობის თვალსაზრისით პარლამენტის მიერ არჩეული ან პრეზიდენტის მიერ დანიშნულ არამოსამართლე წევრებს უთანაბრდება.

ამასთან, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითმმართველობის მოდელის არსებობისას არასაჭირო ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად შემოწმებისა და ბალანსის სისტემა უნდა იყო დანერგული. რადგან შემოწმებისა და ბალანსის სისტემას თვითმმართველობის მოდელის ცენტრალიზებული სტრუქტურის გამო გაცილებით ვიწრო საზღვრები აქვს, ვიდრე იერარქიულ აღმასრულებელ მოდელში, საჭიროებს ეფექტიან სასამართლო კონტროლს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საკვალიფიკაციო პალატის ან ადმინისტრაციული სასამართლოების მეშვეობით.

ახლა მინდა წარმოგიდგინოთ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამი გადანაცვლები, რომლებიც ამ საკითხს მოიცავენ. ვინაიდან, საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში არ არსებობს სასამართლო თვითმმართველობის მოდელი, ეს გადანაცვლებები საქართველოსთვის შესაძლებელია იყოს მხოლოდ ზოგადი ორიენტირი. გარდა ამისა, საქართველოს სამართლებრივი სიტუაციის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფუნდამენტური გადანაცვლები საკმაოდ ძლიერი სასამართლო თვითმმართველობის მოდელის სასარგებლოდ კონსტიტუციით არის დადგენილი, ანუ დემოკრატიის პრინციპის წონადობას თავად კონსტიტუცია ამცირებს. აქედან გამომ-

დინარე, საქართველოში კონკრეტული შენონადობის გადაწყვეტილებები, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც განსხვავდება გერმანიისგან. თუმცა იურიდიულ-დოგმატური მიდგომა არსებითად მაინც იგივე რჩება.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ვიზუალურად ხაზგასმული ამონარიდები ქვემოთ მოცემულ გადაწყვეტილებებში ავტორის მიერ არის გაკეთებული.

**BVerfG, 22.03.2018 - BvR 780/16 -
BVerfGE 148, 69**

ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე სასამართლოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვას ეხება. სასამართლო თვითმმართველობის ასპექტები ამ გადაწყვეტილებაში არ არის გათვალისწინებული.

„ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (გერმანიის კონსტიტუციის მუხ. 20, მე-2 აბზაცი, მე-2 წინადადება) მოითხოვს, რომ სამართალწარმოება „სპეციალური“, ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისგან განსხვავებული სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდებოდეს. (BVerfGE 18, 241 <254>); ეს გამართლებულია გერმანიის კონსტიტუციის 92-ე მუხლის 1-ელი წინადადების 1-ელ ვარიანტში ჩამოყალიბებული მოსამართლეთა მხრიდან სამართალწარმოებაზე მონოპოლიით (მდრ. BVerfGE 22, 49 <76>; ...). ამასთან, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციურად აუცილებელი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოითხოვს სამართალწარმოების უფრო მკაცრ გამიჯვნას ხელისუფლების დანარჩენი შტოებისგან, როგორც გერმანიის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებაში არის ჩამოყალიბებული, რომ ძალაუფლების შეზღუდვის ზოგადი ორგანიზაციულ-ფუნქციონალური პრინციპი ხელისუფლების დანაწილებას საჭიროებს. აქედან რამდენიმე გამონაკლისი არსებობს მხოლოდ შეზღუდული სახით, როდესაც – მაგალითად, მოსამართლეებისთვის სასამართლო ადმინისტრაციის საქმეების მინდობისას - სასამართლოების, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების სპეციალურ

ორგანოების, სპეციფიკა არ უნდა დაირღვეს. (მდრ. BVerfGE 4, 331 <346 f.>).

ა) აქ წამოჭრილი საკითხებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების განხორციელებასა და ადმინისტრაციული საკითხების ორგანიზაციული გამიჯვნის პრინციპს (მდრ. BVerfGE 18, 241 <254>; 27, 312 <321> - გერმანიის კონსტიტუციის მუხ. 20, მე-2 აბზაცი, მე-2 წინადადება), ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაგებით (...). მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოები, როგორც სპეციალური, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განცალკევებულად შექმნილი ინსტიტუტები, ისე არიან წარმოდგენილნი, შესაძლებელია სახელმწიფოს ან მისი ორგანოების წინააღმდეგ სამართალწარმოება გერმანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის მნიშვნელობით, როგორც მესამე მხარის მიერ, ისე განხორციელდეს (BVerfGE 4, 331 <346>)...

ბ) მოთხოვნა, მართლმსაჯულება სახელმწიფოს „სპეციალური“ ორგანოების მეშვეობით განხორციელდეს, ასევე კრძალავს სასამართლოსა და სახელმწიფოს სხვა შტოებს შორის კავშირს (მდრ. BVerfGE 10, 200 <216>; 103, 111 <139>;...). მოქმედებს ძალაუფლებათა შორის პირადი გამიჯვნის პრინციპი (...). სასამართლო ნეიტრალიტეტს არ უნდა აყენებდეს კითხვის ნიშნის ქვეშ ამ პრინციპთან შეუთავსებელი პირადი კავშირი სასამართლო, აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლებს შორის. განსაკუთრებით, ძალიან ვიწრო პერსონალური გადაჯაჭვულობა სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის დაუშვებელია (მდრ. BVerfGE 14, 56 <68>; 18, 241 <254>; 26, 186 <197>; 54, 159 <166>)....

**BVerfG, 5.12.2002 - 2 BvL 5/98 -
BVerfGE 107, 59**

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წინასწარ უნდა აღინიშნოს, მართალია, იგი ეფუძნება თვითმმართველ ორგანოებს და მათ მონყობასთან დაკავშირებულ დემოკრატიის პრინციპის შეზღუდვებს, თუმცა, ეს შეეხება თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბების კონს-

ტიტუციურ მოთხოვნებს აღმასრულებელ სფეროში. სახელმწიფოს ძალაუფლების მესამე შტოში თვითმმართველი ორგანოების არსებობისას სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივად აუცილებელი ინსტიტუციური დაცვა მნიშვნელოვანწილად არის ჩართული შენონადობის პროცესში. თუმცა ეს მხოლოდ ადგილს უცვლის აქცენტებს; საქართველოში კონსტიტუციით გათვალისწინებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოზიცია, ალბათ, უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანიაში. თუმცა ლეგიტიმაციის დემოკრატიული ჯაჭვის პრობლემა და იურიდიული დოგმატური მიდგომა არსებითად იგივე რჩება.

„პირდაპირ სახელმწიფო მმართველობასა და ადგილობრივ თვითმმართველობებზე ვრცელდება შემდეგი: კონსტიტუციურად მოთხოვნილი დემოკრატიული ლეგიტიმაცია მოითხოვს ლეგიტიმაციის უწყვეტი ჯაჭვის არსებობას ხალხიდან სახელმწიფო ამოცანების მინდობილ ორგანოებსა და ოფიციალურ პირებამდე (შდრ. BVerfGE 47, 253 <275>; 52, 95 <130>; 77, 1 <40>; 83, 60 <72 ვ.>; 93, 37 <66>). შენარჩუნებულია თუ არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის სათანადო დონე, უნდა შეფასდეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და ლიტერატურაში არსებული ინსტიტუციური, ფუნქციური, ფაქტობრივ-შინაარსობრივი და პირადი ლეგიტიმაციის სხვადასხვა ფორმის არა ცალ-ცალკე მნიშვნელობით, არამედ მათი ურთიერთქმედებით. კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის სახელმწიფოს ქმედებების ფორმა, არამედ მათი ეფექტიანობა; საჭიროა ლეგიტიმაციის გარკვეული დონე (შდრ. BVerfGE 83, 60 <72>; 93, 37 <66 f.>).

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება მხოლოდ მაშინ არის დემოკრატიულად ლეგიტიმირებული, როდესაც მოხელის დანიშვნა - პერსონალური ლეგიტიმაციის გადაცემით - ხალხს უკავშირდება და თავად მოხელის ქმედებები საკმარის ფაქტობრივ-შინაარსობრივ ლეგიტიმაციას განიცდის, ანუ მოხელეები მთავრობის დავალებით და მისი მითითებების შესაბამისად მოქმედებენ და ამით მთავრობას მიეცემა საშუალება, აიღოს პასუხისმგებლობა ამ

საკითხზე ხალხისა და პარლამენტის წინაშე (შდრ. BVerfGE 93, 37 <67 f.>).

მოხელეს აქვს შეუზღუდავი პერსონალური ლეგიტიმაცია, როდესაც იგი თანამდებობას იღებს ხალხის მიერ არჩევნების გზით ან პარლამენტის, ან თავად პერსონალური ლეგიტიმაციის მქონე მოხელის მიერ ან მისი თანხმობით. თუ ისეთი ორგანოს მიერ ხდება პირადი ლეგიტიმაციის მქონე პირის თანამდებობაზე გამწესება, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ ჰყავს ლეგიტიმირებული თანამდებობის პირები, სრულად დემოკრატიული ლეგიტიმაცია მოითხოვს, რომ გადაწყვეტილების მიმღები უმრავლესობა იყოს მიმღები ორგანოს შეუზღუდავი დემოკრატიულად ლეგიტიმირებული წევრების უმრავლესობა (ორმაგი უმრავლესობის პრინციპი, შდრ. BVerfGE 93, 37 <67 შემდეგი.>).

დემოკრატიული პრინციპი ასევე ტოვებს სივრცეს თანამშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობისთვის, რამდენადაც ეს არ ეხება პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფო უფლებამოსილებას დაქვემდებარებული სუბიექტი ერთნაირ გავლენას უნდა ახდენდეს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე (BVerfGE 93, 37 <69>). პერსონალის წარმომადგენლობის კონსტიტუციური დასაშვებობა ფასდება იმ ღონისძიების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლებში მონაწილეობაც სავალდებულოა.“

ქვემოთ წარმოდგენილი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსაკუთრებულად საინტერესო უნდა იყოს საქართველოსთვის. ორი წინასწარი შენიშვნა მის შესახებ:

ერთი მხრივ, ეს გადაწყვეტილება ეფუძნება ამოსავალ წერტილს - კონსტიტუციურად უდავოდ სწორ - თეზისს, რომ ყველა მოხელე თანამდებობაზე დანიშვნის გზით იღებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას მხოლოდ მისთვის მინიჭებული თანამდებობის ფარგლებში და არა რაიმე სუვერენული საქმიანობისთვის. კონკრეტულად ეს ნიშნავს: პირი, რომელიც დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე დემოკრატიული ლეგიტიმაციის საკმარისი ჯაჭვით, „მხოლოდ“ მართლმსაჯულების განსახორციელებლად არის დემოკრატიულად ლეგიტიმირებული

ლი, მაგრამ არა სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს აღმასრულებელი ამოცანების შესასრულებლად.

მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება არა სახელმწიფო ხელისუფლების მესამე შტოს ფარგლებში არსებულ თვითმმართველობის ორგანოს, არამედ თანამშრომელთა წარმომადგენლობის ორგანოს უფლებამოსილებებს აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში. სასამართლოს თვითმმართველი ორგანოს შემთხვევაში მოსამართლეთა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვისთვის გერმანიაში მოსამართლე წევრების გადანაცვების მიღების უფლებამოსილების გაძლიერება ასევე კონსტიტუციურად დასაშვები იქნებოდა.

მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა: როდესაც საქმე ეხება ადმინისტრაციულ საკითხებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, როგორცაა სასამართლო პერსონალის გადანაცვებები, ურთიერთნააღმდეგობრივი კონსტიტუციური მიზნების შეპირისპირებისას არ არის გამორიცხული, მოსამართლეთა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვამ დემოკრატიის პრინციპი გადანონოს. თუმცა, ეს არ ეხება ადმინისტრაციულ საკითხებზე გადანაცვების მიღებას, რომლებიც არ არის მჭიდროდ დაკავშირებული მოსამართლეთა (ინსტიტუციური ან პირადი) დამოუკიდებლობის დაცვასთან. მაგ., საერთო სასამართლოების ე.წ. აპარატის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადანაცვების მიღებისას (მდრ. ორგანული კანონის 49-ე მუხლის N 1 დ ქვეპუნქტი). აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული ე.წ. დაცვის მიზნის ფარგლები (*Schutzzweckgrenze*), ანუ საკითხი, თუ რა ფარგლებშია დასაშვები დემოკრატიის პრინციპის შეზღუდვები ასევე ადმინისტრაციული საკითხებთან მიმართებით, რომლებიც მხოლოდ ირიბად ეხება სასამართლო საქმიანობას, სავარაუდოდ, საქართველოშიც გარკვეულწილად მაინც იგივე იქნება, რაც გერმანიაში. ეს მით უფრო სწორია, რადგან საქართველოს კონსტიტუცია არეგულირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას, მაგრამ მისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება

ორგანულ კანონში „უბრალო“ სამართლის ნორმის სახით არის რეგულირებული და ამდენად მისი შესაბამისობა დემოკრატიის პრინციპის მოთხოვნების მიხედვით უნდა გაიზომოს.

რაც შეეხება თავად გადანაცვებებს:

BVerfG, 24.05.1995 - BvF 1/92 - BVerfGE 93, 37

„თავისუფალ დემოკრატიაში მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ხალხისგან მოდის. ის ხალხის მიერ არჩევნების, ხმის მიცემის გზითა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სპეციალური ორგანოების მეშვეობით ხორციელდება (გერმანიის კონსტიტუციის მუხ. 20, 1-ლი და მე-2 აბზაცები). გერმანიის კონსტიტუციის 28-ე მუხლის 1-ელი აბზაცის 1-ელი წინადადების მიხედვით, გერმანიის კონსტიტუციის მუხ. 20, მე-2 აბზაცის ძირითადი გადანაცვებები სახალხო სუვერენიტეტის, შედეგად მიღებული დემოკრატიული ორგანიზაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრინციპების შესახებ, სავალდებულოა ასევე მინებზე არსებული კონსტიტუციური წესრიგისთვის (მდრ. BVerfGE 9, 268 <281>; 83, 60 <71>).

1. გერმანიის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება განსაზღვრავს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს. ის მიუთითებს, რომ ხალხი იმ სახელმწიფო ძალაუფლებას, რომელსაც ის ატარებს, ახორციელებს არჩევნებისა და ხმის მიცემის გზით და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სპეციალური ორგანოების მეშვეობით. აღნიშნული მოითხოვს წინაპირობად, რომ ხალხს ჰქონდეს ეფექტიანი გავლენა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე ამ ორგანოების მეშვეობით, რომლის ქმედებები უნდა ეხებოდეს ხალხის ნებას და ანგარიშვალდებული იყვნენ მათ წინაშე. ...შენარჩუნებულია თუ არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის სათანადო დონე, უნდა შეფასდეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და ლიტერატურაში არსებული ინსტიტუციური, ფუნქციური, ფაქტობრივ-მინაარსობრივი და პირადი ლეგიტიმაციის სხვადასხვა ფორმის

არა ცალ-ცალკე მნიშვნელობით, არამედ მათი ურთიერთქმედებით. კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის სახელმწიფოს ქმედებების ფორმა, არამედ მათი ეფექტიანობა; **საჭიროა ლეგიტიმაციის გარკვეული დონე...**

2. ა) ამიტომ ორგანოები და მოხელეები სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას საჭიროებენ ლეგიტიმაციას, რომელიც - როგორც დემოკრატიული - მოქალაქეთა ერთობას, ხალხს უკავშირდება, მაგრამ ჩვეულებრივ არ მოიპოვება პირდაპირი სახალხო არჩევნების გზით. ამ სფეროში, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება დემოკრატიულად ლეგიტიმირებულია, თუ მოხელის დანიშვნა - პერსონალური ლეგიტიმაციის მინიჭება - საბოლოოდ ხალხამდე მიდის და თავად მოხელის ქმედებებს აქვს საკმარისი ფაქტობრივ-შინაარსობრივი ლეგიტიმაცია.

ბ) მოხელეს აქვს შეუზღუდავი პერსონალური ლეგიტიმაცია, თუ იგი კონსტიტუციის შესაბამისად თანამდებობას იკავებს ხალხის მეშვეობით არჩევნების გზით ან პარლამენტის საშუალებით, ან თანამდებობა მიიღო, თავის მხრივ, პერსონალურად ლეგიტიმირებული, პარლამენტის მიმართ პასუხისმგებელი მოხელის მიერ ან მისი თანხმობით (ლეგიტიმაციის უწყვეტი ჯაჭვი, შდრ. *BverfGE 83, 60 <73>*). თუ კანონი განსაზღვრავს ორგანოს, როგორც დამაკომპლექტებელ ორგანოს მოხელეთა საბოლოო დანიშვნისათვის, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ შედგება პერსონალურად ლეგიტიმირებული მოხელეებისგან, შესაბამისად, დანიშნული პირი სრულ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას თავისი პოზიციისთვის მხოლოდ იმ გზით იღებს, რომ დამაკომპლექტებელი ორგანოს გადაწყვეტილების მიმღები უმრავლესობა, თავის მხრივ, შედგება შეუზღუდავი დემოკრატიულად ლეგიტიმირებული წევრების უმრავლესობისგან. პერსონალური დემოკრატიული ლეგიტიმაციის მინიჭება დამატებით გულისხმობს იმას, რომ დამაკომპლექტებელი ორგანოს პერსონალურად დემოკრატიულად ლეგიტიმირებული წევრები თანამდებობის პირის დანიშვნაში მონაწი-

ლეობისას ასევე საპარლამენტო პასუხისმგებლობით მოქმედებენ.

გ) სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ფორმით განხორციელება თავისი ფუნქციით მოითხოვს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. **დემოკრატიული ლეგიტიმაციის კავშირი**, რომელსაც მოხელეთა უწყვეტი ლეგიტიმაციის ჯაჭვი აფუძნებს და **თითოეულ შემთხვევაში ეფუძნება ასეთი ლეგიტიმაციით აღჭურვილ თანამდებობას**, არ უნდა გასცდეს თავის ფარგლებს. საქმიანობა, რომელიც გადაცემული თანამდებობის ამოცანებს არ შეიცავს, არ არის თანალეგიტიმირებული. მოხელე მოქმედებს ამ სფეროში პირადად და არა დემოკრატიული ლეგიტიმაციის ძალით.

3. ...

4. თუმცა კანონმდებელი უფლებამოსილია დაანესოს საზღვრები საკმარისი დემოკრატიული ლეგიტიმურობის აუცილებლობის მეშვეობით იმ ღონისძიებებში მონაწილეობისას, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება. დაუშვებელია ასეთი ღონისძიებები განხორციელდეს სულ მცირე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების თანამონაწილეობის გარეშე; შიდა სამსახურებრივ საქმიანობაშიც კი არ არის ადგილი საჯარო სამსახურის "ავტონომიისთვის", აღნიშნულიც ასევე უნდა იყოს შემოფარგლული.

....

თანამონაწილეობა, ერთი მხრივ, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ შიდა სამსახურებრივ ღონისძიებებზე და მხოლოდ იმ დოზით გაფართოვდეს, როდესაც სპეციფიურ შრომით ურთიერთობაში არსებული საჯარო სამსახურს მიკუთვნებული ინტერესები მას ამართლებენ (**დაცვის მიზნის ზღვარი**). მეორე მხრივ, დემოკრატიის პრინციპი ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს, რომ პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა პირებმა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას საჯარო სამსახურს მიკუთვნებული ვალდებულების შესრულებისთვის (**პასუხისმგებლობის ფარგლები**).

სოციალური საბინაო ფონდის შექმნის მექანიზმები: ფიქრი საკანონმდებლო მოწესრიგების კონცეფციაზე

ასოც. პროფ. დოქ. კობა ყალიჩავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

I. შესავალი

სოციალური საბინაო ფონდის თემა განსხვავებული შინაარსითა და აქცენტებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ექცევა საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების სფეროში. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ის ევროპის სახელმწიფოების ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეცვლილია მდგომარეობა, კვლავ არ ჰკარგავს აქტუალობას საკითხი იმასთან დაკავშირებით, ადამიანთა რომელ წრეს უნდა შეეხოს აღნიშნული, რა ინსტრუმენტები შეიძლება იქნას გამოყენებული და რა როლი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს თუ თავისუფალ ბაზარს არსებული პრობლემის გადაჭრაში. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც არც ერთ ზემოთ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ გააჩნია რაიმე სახის სისტემური მიდგომა. ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტში გაჩნდა საკანონმდებლო წინადადებაც,¹ რომელიც საკომიტეტო განხილვებისას უარყოფილ იქნა და ამ საკითხს გაგრძელება არ ჰქონია. სამოქალაქო საზოგადოება კი აქტიურად მოითხოვს საკითხის დარეგულირებას და სათანადო სტრატეგიის შექმნას. წინამდებარე სტა-

ტიაში წარმოდგენილია სოციალური საბინაო ფონდის სამართლებრივი მოწესრიგების კონცეფციის შემუშავების მცდელობა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს შესაბამის კანონმდებლობას.

II. საწყისი მოცემულობები

1. სიტუაცია გარდამავალი პერიოდის საქართველოში

საქართველოში საბჭოთა ეკონომიკური სისტემის ნგრევამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა რადიკალურად შეცვალა მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფის სრულად მემარცხენისტული მოდელი. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელმაც სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფაზე² და ამ საჯარო ამოცანის გადაჭრის პასუხისმგებლობა ძირითადად გადასცა კერძო სექტორს. შედეგად, განხორციელდა არა მარტო ქონების, არამედ ასევე საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე საჯარო ამოცანის პრივატიზირება.³

¹ იგულისხმება 2022 წლის 22 მაისის საკანონმდებლო წინადადება № 1-5829/22.

² დანვრილებით იხ.: *Hegedüs/Lux/Teller, Social Housing in Transition Countries, 2012, 1st Edition, Section II.*

³ ცხადია, ეს არ გულისხმობს სოციალური საცხოვრებელი ფონდის შესაქმნელად საზოგადოებრივი ორგანი-

ზაციებისა და კერძო დახმარების საშუალებათა შეზღუდვას. თუმცა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს, თავადაც შექმნას საჯარო სუბსიდირების სტაბილური და გარანტირებული მექანიზმები (შეად.: *Sachs, in: Sachs (Hrsg.), Grungesetz (Komm.), 5. Aufl., 2009, Art. 20, Rn. 48 ff.*).

ამ პერიოდს დაემთხვა უსახლკარობის გამომწვევი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ცენტრისკენ, კატასტროფული ბუნებრივი მოვლენების გამო ეკომიგრანტების ტალღის წარმოშობა, ავარიული საბინაო ფონდი, საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტები, რამაც დაახლოებით 300000 მოქალაქე აქცია იძულებით გადაადგილებულ პირად, ბინების მასობრივი დაკარგვა იპოთეკური სესხების, ლუდომანიისა და სხვა მიზეზების გამო.⁴

2. უიმედო რეფორმის მოლოდინში

ზემოთ დასახელებულ პრობლემებს თავად სახელმწიფოც აღიარებს. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით,⁵ საქართველოს მთავრობამ აღიარა პრობლემა. დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ „დღეს ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარობის პრობლემის დაძლევის ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რომელიც საფუძვლად დაედება ადგილობრივად პრობლემის ეტაპობრივ მოგვარებას“.⁶ შესაბამისად, საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ვადად 2020 წლის დეკემბერი განსაზღვრა. ამ მიზნით, 2019 წლის 12 აპრილს, შეიქმნა შესაბამისი სამთავრობო კომისია, თუმცა მას დღემდე რაიმე ქმედითი ნაბიჯი არ გადაუდგამს კონკრეტული დოკუმენტის შესამუშავებლად,⁷ რომელ-

საც ეტაპობრივად უნდა აღმოეფხვრა ამ სფეროში არსებული ინსტიტუციური და ნორმატიული დეფიციტები.

3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში სოციალური საბინაო ფონდის რეგულირება უკიდურესად მინიმალურია.⁸ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტების საკუთარ (ე.წ. ექსკლუზიურ) უფლებამოსილებებს, რომელთა შორის არის „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია“.⁹ ამ უფლებამოსილების აღსრულების კონკრეტული რეგლამენტაცია ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა, რომელმაც საკითხი უნდა მოაწესრიგოს სპეციალური კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (2006 წ.) უზოგადესად შეეხება უსახლკარო პირისთვის სოციალური დახმარების განევის საკითხს. კანონით სოციალური დახმარება განმარტებულია როგორც ნებისმიერი ფულადი ან არაფულადი დახმარება სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის, რომელთა შორისაა უსახლკაროებიც.¹⁰ კანონში განმარტებულია უსახლკარო პირისა¹¹ და თავშესაფრის¹² ცნებები. კანონი უსახლკარო პირის სოციალური დახმარების სხვა სახეებზე არაფერს ამბობს (იხ.: II

⁴ იხ.: სართანია, ცხოვრება სოციალურ საცხოვრისში. მიზეზები, საჭიროებები, გარემო, 2020, მე-12 და მომდევნო გვერდები.

⁵ ამ დოკუმენტს წინ უსწრებდა საქართველოს პარლამენტის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება (2014-2020 წლებისთვის), რომლის 21-ე მიზანი შეეხებოდა სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას.

⁶ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის №537 დადგენილება „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (ვალდებულება #14).

⁷ სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელობის თაობაზე დაწვრი. იხ.: ცინცაბაძე/ნაცვლიშვილი, უსახლკარობის სერვისები სახელმწიფო სტრატეგიის გარეშე, 2021, იხ.: https://osgf.ge/wp-content/uploads/2021/07/Homeless-ness-services-without-strategy_article_doc.pdf.

⁸ ყალიჩავა, სოციალური საბინაო ფონდის შექმნის მექანიზმები - საკანონმდებლო მონესრიგების კონცეფცია (პოლიტიკის დოკუმენტი), 2021 იხ.: <https://osgf.ge>.

⁹ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი: „სოციალური დახმარება – ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ლატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.“

¹¹ მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი: „უსახლკარო პირი - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო“.

¹² მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი: „თავშესაფარი – სოციალური მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც უზრუნველყოფს უსახლკარო პირებს ღამის სათევითა და საკვებით.“

თავი). ამ მიმართულებით კანონი ადგენს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს უსახლკარო პირებთან მიმართებაში (მუხლი 18): 1. უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით; 2. აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას; 3. უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.

„ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“¹³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №131 დადგენილება განსაზღვრავს მიუსაფარი პირისა და დროებითი თავშესაფრის განმარტებებს და ადგენს მოთხოვნებს/სტანდარტებს დროებითი თავშესაფრისთვის განკუთვნილი შენობის მიმართ (დანართი #1), ასევე თავშესაფარში კვების ორგანიზებისა (დანართი #2) და პერსონალის (დანართი #3) მიმართ. დადგენილება ვერ ჩაითვლება სოციალური საბინაო ფონდის მარეგულირებლად, რამეთუ ის ადგენს დროებით ღონისძიებას და არ გვთავაზობს პრობლემის საბოლოოდ მოგვარების გზას.

აღსანიშნავია საქართველოს სამშენებლო კოდექსი (2018 წ.), რომელიც სოციალური საცხოვრისის დარეგულირების საკითხს ამისამართებს სპეციალურ კანონზე.¹⁴ სამშენებლო კოდექსის შემუშავების ეტაპზე¹⁵ ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა ამ საკითხის ცალკე თავად შეტანა კოდექსში, რომელიც საბოლოოდ უარყოფილ იქნა. ეს მიდგომა, კოდიფიკაციის მიზნე-

ბიდან გამომდინარე, შეიძლება სწორ გადაწყვეტილებადაც ჩაითვალოს, რამეთუ თემატურად სოციალური ბინათმშენებლობის საკითხი სპეციფიკურია და სამშენებლო კანონმდებლობის საერთო პრინციპებში არ თავსდება. თუმცა პრობლემა არის ის, რომ ამ სფეროს სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობა დღემდე არ არის შემუშავებული.¹⁶

4. რეფორმის ჩატარების ვალდებულების სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში სოციალურ საბინაო ფონდთან დაკავშირებით ქმედითი პოლიტიკისა და ნორმატიული ბაზის შექმნის ვალდებულება, უპირველესად, გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმებიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო“ (1), „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“ (2). ეს დათქმა ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას - დაიცვას სუსტი და შესაბამისი საჭიროების მქონე პირები. ამისთვის სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშავოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, შექმნას მყარი სამართლებრივი და ფინანსური საფუძვლები პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისთვის.¹⁷

ღირსეულ საცხოვრისზე ადამიანის უფლება¹⁸ აღიარებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით, რომლებიც წარმოადგენს საქართ-

¹³ „ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №131 დადგენილება (2014 წ.).

¹⁴ კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სოციალური საცხოვრისის“ საკითხი განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

¹⁵ ეს სურვილი მოკლედ აისახა კიდევ კოდექსის კონცეფციაში, იხ. *ყალიჩავა/ტურავა/ვინტერ*, თვალსაზრისი და წინადადებები საქართველოს სივრცითი დაგეგმვისა და სამშენებლო კოდექსის პროექტის თაობაზე, 2012 (GIZ-ში დაცულია ხელნაწერის სახით).

¹⁶ თუმცა კოდექსი აწესრიგებს ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელების საკითხს (VII თავი), რომელიც, მათ შორის, შეეხება ავარიულ შენობებს. აღ-

ნიშნული თავი ავარიული სახლების ჩანაცვლება/სანირების შემთხვევაში ითვალისწინებს ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების დაგეგმვის ვალდებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ასპექტებს. ამავე დროს, დამატებით კოდექსში შეიძლება ჩადებულიყო რიგი წამახალი-სებელი ღონისძიება, რომლებიც სოციალური ბინათმშენებლობის მიმართულებით შექმნიდა ქმედით მექანიზმებს (მაგ., მაკომპენსირებელ ღონისძიებებში საბინაო ფონდის პირდაპირი გათვალისწინება, სარეზერვო ტერიტორიების მიზნობრიობის განსაზღვრა და სხვა).

¹⁷ დანვრ. იხ. *Sachs*, in: *Sachs* (Hrsg.), *Grundgesetz* (Komm.), 5. Aufl., 2009, Art. 20, Rn. 47 ff.

¹⁸ საცხოვრისზე უფლება საერთაშორისო-სამართლებრივ ჭრილში ვრცლად იხ.: 1) „საქართველოში ადამიანე-

ველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილს. მათ შორის უპირველესია ისეთი ფუნდამენტური დოკუმენტები, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR, 25-ე მუხლი¹⁹) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR, მე-11 მუხლი²⁰).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე (საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად...“. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის თანახმად, „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი, კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტელი იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.“

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ შემუშავებულია სპეციალური კრიტერიუმები, რომლებიც ცხადად წარმოაჩენს აღნიშნული უფლებით დაცულ სფეროს. მათ შორის, აღსანიშნავია:²¹ 1. საცხოვრებელი ფართის ფლობის სამართლებრივი უზრუნველყოფა და უფლებრივი გარანტიები

(მაგ., სამართლებრივი დაცვა გამოსახლებისგან, იძულებისა და სხვა); 2. მომსახურებით, მასალებით, მონყობილობებით და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და ადამიანის რაციონალური კვების ორგანიზებისთვის²²; 3. საცხოვრებლად ვარგისობა, რომლის მიხედვით, მცხოვრები უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო ფართით, ის დაცული უნდა იყოს სიცივის, ნესტის, სიციხის, წვიმის, ქარისა თუ სხვა საფრთხეებისგან.

III. რა მიმართულებით უნდა წავიდეთ?

1. რატომ სოციალური საბინაო ფონდები?

საქართველოში სოციალური საბინაო ფონდების შექმნის სამართლებრივი მონესრიგების აუცილებლობა გამოწვეულია რამდენიმე გარემოებით. მათ შორის აღსანიშნავია:

პირველი, სხვადასხვა კვლევა აჩვენებს,²³ რომ საქართველოში ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე საჯარო ფინანსების დაგეგმვა და ხარჯვა არ იძლევა იმ შედეგებს, რომლებსაც მდგრადი საბინაო ფონდის პოლიტიკა უნდა აღწევდეს. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მოსახლეობის საცხოვრებელი უზრუნველყოფის ინსტრუმენტების იერარქია. ხშირად უპირატესობა ენიჭება დროებით და მოკლევადიან დახმარებებს (ქირის კომპენსაცია, ავარიული სახლების დროებითი გამაგრება და სხვა-

ბის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა, იხ.

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/257689>; 2) *ქაშაკაშვილი/გვიშიანი/ჯანიაშვილი*, უფლება სათანადო საცხოვრებელზე - ძირითადი გამოწვევების ანალიზი, 2018, იხ.: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Housing_GEO_WEB_1542875321.pdf.

¹⁹ Universal Declaration of Human Rights (UDHR), UN General Assembly, 217 A (III), Art. 25(1) (1948).

²⁰ International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (ICESCR), UN General Assembly, Art. 11 (1966). კონვენცია საქართველოს მიერ 1994 წლის 3 მაისს სავალდებულოდ იქნა აღიარებული, იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0>.

²¹ ვრცლად იხ.: „საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნა, იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/257689>.

²² სათანადო საცხოვრებლის უფლების ყველა ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს სტაბილური წვდომა ბუნებრივ რესურსებზე, უსაფრთხო სასმელ წყალზე, საჭმლის მოსამზადებლად საჭირო ენერჯიაზე, გათბობასა და განათებაზე, სანიტარულ და სარეცხ მონყობილობებზე, საკვების შენახვის პირობებზე, ნარჩენების მართვაზე, წყლით უზრუნველყოფილ სივრცესა და გადაუდებელ სერვისებზე.

²³ მაგ., იხ.: *ასაბაშვილი/ზაზანაშვილი/ნიკოლაიშვილი*, საბინაო პოლიტიკა საქართველოში თბილისის მაგალითზე, 2018.

24). შედეგები აჩვენებს ასეთი მოკლევადიანი დახმარებების არაეფექტიანობას.

მეორე, უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების უფრო ქმედითი მექანიზმი არ არსებობს. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მისი გამოყენების საჭიროება არის როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, ევროპისა და სხვა ქვეყნების სოციალური საცხოვრისის განვითარებას ერთნაირი მიზნები ჰქონდა (უსახლკარობის მოგვარება), თუმცა მიზნის მიღწევის გზები მეტნაკლებად განსხვავებული იყო.²⁵ ყოველ შემთხვევაში, სწორი სოციალური საბინაო პოლიტიკის განხორციელებით შესაძლებელი უნდა გახდეს: საცხოვრისთან საყოველთაო წვდომა; ფინანსური ხელმისაწვდომობა; ხარისხიანი საცხოვრებლის შექმნა; სერვისების რაციონალური დივერსიფიცირება და ამით სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მაქსიმალური დაფარვა; სოციალური ერთობა, გარიყულობის თავიდან აცილება და საჯარო სერვისებზე მარტივი წვდომა; სოციალური საცხოვრისის დამქირავებლის დაცულობა (განსაკუთრებით გამოსახლების თვალაზრისით).²⁶

2. რატომ ცალკე კანონი?

ბევრ ქვეყანაში საცხოვრისთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით.²⁷ ყველაზე მნიშვნელოვანია კანონები, რომლებიც არეგულირებენ სოციალური საცხოვრისის დაფინანსებას და მასზე ხელმისაწვდომობას. თითქმის ყველა ქვეყანა აქვს საცხოვრისის შესახებ კანონი. გერმანიაში ეს არის 2001 წლის კანონი სოციალური საცხოვრისის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. სხვა საკითხებთან ერთად იგი ეხება გარანტიებს მინი-

მალური საცხოვრისით უზრუნველყოფის უფლებაზე. ნიდერლანდებს აქვს ორი კანონი, რომლებიც არეგულირებს როგორც სამშენებლო სტანდარტებს, ასევე, სუბსიდიებს საცხოვრისის მშენებლობისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის. კონსტიტუციურ დებულებებზე დაყრდნობით პოლონეთის პარლამენტმა მიიღო მრავალი კანონი მობინადრეთა უფლებებისა და საცხოვრისის დაფინანსების შესახებ. ბრიტანეთის საბინაო აქტი ავალდებულებს ადგილობრივ ხელისუფლებას, დააბინაოს უსახლკაროები. ეს მაგალითები მიუთითებენ სხვადასხვა ქვეყანაში საცხოვრისთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების არსებობის აუცილებლობაზე.

IV. საბინაო ფონდის შექმნის საკანონმდებლო რეგულირების კონცეფცია

1. კანონის მონესრიგების მიზანი

სოციალური საბინაო ფონდის შექმნის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიზანია მდგრადი სოციალური საბინაო ფონდის შექმნის ხელშეწყობა. ამისთვის კანონმა უნდა განსაზღვროს ასეთი ფონდების კლასიფიკაცია, მათი შექმნის ინსტრუმენტები, პრობლემის მოგვარებაში საბიუჯეტო და კერძო ფულის მონაწილეობის ფორმები, საჭიროების მქონე პირთათვის ფართების გადაცემის გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცედურები. ამ მიზნით: 1) კანონმა უნდა დაარეგულიროს იმ სოციალური საბინაო ფონდის (გასაქირავებელი, კოოპერატიული ან კერძო საცხოვრებლების სახით) შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც ხორციელდება საჯარო თუ კერძო ფინანსური მხარდაჭერით; 2) კანონმა უნდა შექმნას იმგვარი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს

²⁴ აღსანიშნავია, რომ საბინაო ფონდის გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველსაყოფად დედაქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2007-2015 წლებში დაახლოებით 758 მილიონი ლარი დაიხარჯა, რაც ბმე-ების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებს, ავარიული საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთა კომპენსაციის პროგრამას, ავარიული შენობების შეკეთებას და მსგავს ღონისძიებებს მოხმარდა.

²⁵ ნამიჭიშვილი, უსახლკარობა, სოციალური საცხოვრებელი და სოციალური მუშაობა, 2014, 1-ელი და მომდევნო გვერდები.

²⁶ ნამიჭიშვილი, უსახლკარობა, სოციალური საცხოვრებელი და სოციალური მუშაობა, 2014, მე-10 და მომდევნო გვერდები.

²⁷ ნამიჭიშვილი, უსახლკარობა, სოციალური საცხოვრებელი და სოციალური მუშაობა, 2014, მე-18 და მომდევნო გვერდები.

როგორც უსახლკარობის დაძლევა, ისე იმასაც, რომ მოქალაქეები არ მივიდნენ ამ მდგომარეობამდე.

2. სამიზნე ჯგუფები (ბენეფიციარები)

საბინაო ფონდის ერთ-ერთი პრინციპული საკითხია იმის გარკვევა, თუ ვის აქვს საცხოვრებელი უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება. ვინ არის პირთა წრე, რომელსაც სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. აღიარებული განსაზღვრების მიხედვით, სოციალური სუბსიდიის სამიზნე ჯგუფები (ნივთიერი ან ფინანსური დახმარების მიმღები პირები) შეიძლება იყვნენ ისეთი ოჯახები, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩვეულებრივ საბაზრო პირობებში უზრუნველყონ მოთხოვნილება ღირსეულ საცხოვრებელ სივრცეზე. ამ თვალსაზრისით, მხარდაჭერილი შეიძლება იყოს:²⁸

- უსახლკაროები,
- ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ მალალი შემოსავალი,
- ხანდაზმულები, შშმ პირები, სტუდენტები,
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები, მარტოხელა დედები და სხვა,
- პირები, რომლებიც სახელმწიფოსგან საჭიროებენ ამგვარ მხარდაჭერას და ამ მხარდაჭერის გარეშე ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ მოთხოვნილებებს საცხოვრებელ სივრცეზე.²⁹

თავად უსახლკარო პირი განმარტებული უნდა იქნას ევროპის უსახლკარობისა და საცხოვრისის უქონლობის ტიპოლოგიის (ETHOS)³⁰ შესაბამისად, რომელიც გთავაზობს 4 კონცეპტუალურ და 13 ოპერაციულ კატეგორიას: 1) ქერის არმქონე პირები - ეს ჯგუფი მოიცავს იმ პირებს,

რომლებიც ცხოვრობენ ღია ცის ქვეშ; 2) სახლის არმქონე პირები - კატეგორია ძირითადად მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ მათთვის დროებით განკუთვნილ დაწესებულებაში - მაგ., უსახლკართა საცხოვრისში, ქალთა თავშესაფარი, ემიგრანტთათვის განკუთვნილ თავშესაფარში, სხვადასხვა ინსტიტუციაში (პენიტენციურ დაწესებულებაში, სამედიცინო ინსტიტუციებში, ბავშვთა ინსტიტუციებში), რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებში; 3) საფრთხის შემცველ/არასაიმედო გარემოში მცხოვრები პირები - კატეგორია, მათ შორის, მოიცავს იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ გამოუსახლების საფრთხის ქვეშ, ასევე, დროებით ცხოვრობენ მეგობრებთან ან ნათესავებთან; 4) არასათანადო გარემოში მცხოვრები პირები - კატეგორია მოიცავს იმ პირებს, რომლებიც, მაგალითად, ცხოვრობენ საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებში ან არაკონვენციურ ნაგებობებში, ასევე, ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ ან/და გადატვირთულ სახლებში.

3. მხარდაჭერისა და დაფინანსების სახეები

კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს მხარდაჭერისა და დაფინანსების სახეები. სოციალური საბინაო ფონდის შექმნა შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სახის მხარდამჭერი ინსტრუმენტის გამოყენებით.³¹ კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს: ა) ახალი საცხოვრებელი სივრცეების მშენებლობა, ბ) არსებული საცხოვრებელი სივრცეების მოდერნიზაცია და მორგება ბენეფიციარის ჯგუფების საჭიროებებზე, გ) არსებულ საცხოვრებელ ფართებზე უპირატესი შესყიდვის უფლების რეგისტრაცია (გამოსყიდული ფართების ბენეფიციარებისთვის გადაცემის

²⁸ შეად. „სოციალური საბინაო ფონდის ხელშეწყობის შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონის 1-ელი პარაგრაფი (Wohnraumförderungsgesetz - WoFG), იხ.: <https://www.gesetze-im-internet.de/wofg/WoFG.pdf>.

²⁹ არაერთი კვლევისა და ანგარიშის თანახმად, საქართველოში საცხოვრისის პრობლემა აქვს განსაკუთრებით ისეთ კატეგორიას, როგორებიცაა ქუჩაში მცხოვრები მიუსაფარი პირები, არასათანადო საცხოვრისებში მცხოვრები პირები, დროებით თავშესაფრებში მცხოვრე-

ბი პირები, საცხოვრისის მუნიციპალურ სერვისებში მცხოვრები პირები, ინსტიტუციებში მცხოვრები და ინსტიტუციების დატოვების შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილი პირები, ეკომიგრანტები და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული ტიპოლოგიის გამოყენება მისადაგებული იქნება საქართველოს პრობლემატიკასთან.

³⁰ <https://www.feantsa.org/public/user/Resources/resources/ethospaper2006.pdf.pdf>.

³¹ გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §2.

დათქმით) ან დ) არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირ შექმნა. დაფინანსების თვალსაზრისით, მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს:³² ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სპეციალური ფონდიდან გაცემული სახსრების სახით, გრანტების, შეღავათიანი სესხების ან გარანტიების სახით ან ბ) იაფი სამშენებლო მიწის უზრუნველყოფის/შეთავაზების სახით.

იაფ სამშენებლო მიწასთან დაკავშირებით როგორც ცენტრალური, ისე მუნიციპალური ორგანოები უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ შექმნან იაფი სამშენებლო მიწის ნაკვეთების რეზერვი და საჭიროების შემთხვევაში მხარი დაუჭირონ და შესთავაზონ იმ დეველოპერებს, რომელთაც სურთ განახორციელონ ასეთი პროექტები. სახელმწიფო და მუნიციპალური უფლებამოსილების გამიჯვნა უნდა დაეფუძნოს იმ კომპეტენციას, რომელიც მათ აქვთ სივრცითი დაგეგმვისა და ქალაქთგეგმარების სფეროში (გათვალისწინებული უნდა იყოს პრინციპები, რომ ქალაქგეგმარება მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური საქმეა, თუმცა გამონაკლისის სახით სახელმწიფოს აქვს ცენტრალიზებული დაგეგმვის უფლებამოსილება³³) ან ეს უნდა გამომდინარეობდეს საბინაო ფონდის დანიშნულებიდან (მაგ., ე.წ. სამსახურებრივი საბინაო ფონდების უფლებამოსილება უმეტესად სახელმწიფოს საქმეა³⁴).

4. მდგრადი საბინაო ფონდი

საკანონმდებლო მონესრიგება, რომელიც განსაზღვრავს მხარდაჭერის კრიტერიუმებს, უნდა ითვალისწინებდეს იქიდან, თუ ზოგადად რას უნდა ემსახურობდეს სოციალური საბინაო ფონდის შექმნის პოლიტიკა და ასევე კონკრეტული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები. უპირველესად, სოციალური საბინაო ფონდის მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს მდგრადობის პრინციპს.³⁵ ამ თვალსაზრი-

სით, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

- როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პოლიტიკა უნდა იყოს განჭვრეტადი და აღქმადი დეველოპერებისთვის სხვადასხვა საინვესტიციო შეთავაზებას;
- სოციალურად სტაბილური საცხოვრებელი სტრუქტურების შექმნა და შენარჩუნება;
- დაბალანსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების უზრუნველყოფა: საცხოვრებელი ფართების შექმნისა და განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ განათლებაზე, ჯანდაცვასა და ტრანსპორტზე მისანვდომობა;
- ბარიერის გარეშე მშენებლობის მოთხოვნების (ე.წ. შეგუებული დაგეგმარების) უზრუნველყოფა როგორც საცხოვრებელ შენობებში, ისე მის შემოგარენში იმ პირობათვის, რომლებიც მუდმივად ან დროებით შეზღუდულნი არიან თავიანთი ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ავადმყოფობის გამო;
- მიწის ხელმომჭირნედ გამოყენება; როგორც საცხოვრებელი შენობების მშენებლობის, ისე მათი მოდერნიზაციისას, ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვა, რესურსების დამზოგავი სამშენებლო მეთოდებისა და მასალის გამოყენება;
- მოდერნიზაციის შემთხვევაში ბიუჯეტური/ხელმისაწვდომი პირობების შენარჩუნება.

5. ცალკეული მხარდაჭერის სახეები და იერარქია

5.1. სოციალური საცხოვრებლის მშენებლობა, მოდერნიზაცია

სოციალური საცხოვრებლის მშენებლობა არის საჭიროების მქონე პირებისთვის საჯარო

³² გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §§2-3.

³³ იხ.: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (სდასსკ-ის) 35-ე და 36-ე მუხლები.

³⁴ მაგ., იხ.: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის №445 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრება-

ში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

³⁵ გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §§5-6.

დაფინანსებით საცხოვრებელი ფართის/პირობების შექმნა, რითაც მიიღწევა:³⁶

- ძველის ახლით ჩანაცვლება,
- არსებული დაზიანებული შენობების გამაგრება ისეთი სამშენებლო ღონისძიებებით, რომელთა შემდეგაც შენობები შეიძლება კვლავ იქნას გამოყენებული საცხოვრებლად გრძელვადიან პერსპექტივაში (მოკლევადიანი სოციალურ ღონისძიებად არ ჩაითვლება),
- არსებული შენობების რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ხდება შენობის არსებითი ცვლილება ან გაფართოება და იქმნება ახალი საცხოვრებელი ფართი, ან
- ახალი მშენებლობა.

ძველის ჩანაცვლება შესაძლებელია საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში, როცა არსებული საცხოვრებელი ფართის გამოყენება დაუშვებელია მუდმივად ან თუ შენობა ან შენობის ნაწილი არის ისეთ მდგომარეობაში, რომ სამშენებლო ნორმების გამო, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება დაუშვებელია. არსებული შენობის მოდერნიზაცია კი ტარდება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს სტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც გაზრდის საცხოვრებელი ფართის ან საცხოვრებელი კორპუსის სასარგებლო ღირებულებას (მის მდგრადობას და სიმტკიცეს), გააუმჯობესებს ცხოვრების ზოგად პირობებს გრძელვადიან პერსპექტივაში ან რომელიც მიმართული იქნება სხვა მსგავსი მიზნებისკენ.

5.2. გასაქირავებელი საცხოვრებელი ფართები

სოციალური საცხოვრებელი მიზნისთვის განკუთვნილი გასაქირავებელი ფართების მიმართ კანონმა უნდა განსაზღვროს სპეციალური მოთხოვნები.³⁷ პირველ რიგში, უფლებამოსილმა უწყებებმა ხელი უნდა შეუწყონ გასაქირავებელი ფართების მშენებლობას, რომლებიც განკუთვნილი იქნება სოციალურად დაუცველი თუ შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის (მაგ., სტუდენტებისთვის). ამიტომ, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ასეთი ფართების მიმართ არის ის, რომ ქირის ფასი უნდა იყოს საბა-

ზრო ღირებულებაზე ნაკლები. კანონქვემდებარე აქტით შესაძლებელია ფასის განსაზღვრის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავება. კანონმა უნდა შექმნას გაქირავების მექანიზმები და პროცედურები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული ფართების არამიზნობრივად გაქირავება. ფართის გადაცემის წინაპირობები გაწერილი უნდა იყოს კანონში. ამავე დროს, უფლებამოსილ ორგანოს უნდა ჰქონდეს დამატებითი გამოკვლევის უფლებამოსილება/ვალდებულება.

5.3. სოციალური საცხოვრებელი

სოციალური საცხოვრებელი შეიძლება იყოს დახურული სივრცე, რომელიც ფაქტობრივად (საცხოვრებელი პირობების შესაბამისად) და იურიდიულად (უფლებრივად) შესაფერისია მუდმივი ცხოვრებისთვის. თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დროებითი მიზნებისთვის უფასოდ (მაგ., ავარიულ სახლში მცხოვრები პირებისთვის) ან ფასიანი ფორმით, გარკვეული საფუძვლების აღმოფხვრამდე, ან სანამ ბენეფიციარები არ მიიღებენ სტაბილურ საცხოვრებელ ფართებს. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მიზნით არის გამოყენებული სოციალური საცხოვრებელი.

5.4. მხარდაჭერის ღონისძიებათა იერარქია

კანონში უნდა განისაზღვროს მხარდაჭერის სახეობათა იერარქია. უნდა დადგინდეს ცალკეული სახისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპები. ამ მოდელში ქირავნობის ან დროებითი საცხოვრებლის მხარდაჭერა არ შეიძლება იყოს უპირატესი, რამეთუ ის არ ხასიათდება სტაბილურობით და ბენეფიციარს არ უქმნის სიმშვიდის განცდას.

6. სახელმწიფო საბინაო პროგრამები

კანონმა უნდა დაადგინოს ვალდებულება, რომლის მიხედვით, უმაღლესმა სახელმწიფო უწყებებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან

³⁶ გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §8.

³⁷ გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §7.

საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე და განსახლებაზე, უნდა შექმნან სოციალური საცხოვრებლების მრავალწლიანი პროგრამა, კერძოდ, საჯარო ფინანსებიდან სუბსიდირებული საცხოვრებლების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა, როგორც წესი, უნდა განახლდეს ყოველწლიურად არსებული გამოცდილებისა და კვლევების საფუძველზე. საბინაო მშენებლობის პროგრამები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაფინანსების ფოკუსირების, დასაფინანსებელი საცხოვრებლის რაოდენობისა და ტიპის და დაგეგმილი დაფინანსების თაობაზე.

7. ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები

საბიუჯეტო სახსრები უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ იმ სამშენებლო პროექტების მხარდასაჭერად, რაც თავსებადი იქნება მუნიციპალიტეტის მონესრიგებულ სტრუქტურულ განვითარებასთან და რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე ურბანული განვითარების მიზნებსა და ამოცანებს.

8. თანამშრომლობა კერძო სექტორთან (PPP)

სოციალური საცხოვრებლით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისფლება პოლიტიკის ერთადერთი გამტარებელია. მთავრობას შეუძლია საცხოვრებლის პოლიტიკის შემუშავების საფუძველზე გარკვეული საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობები გადაანაწილოს როგორც ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებებს, ასევე კომერციულ და არაკომერციულ კერძო სექტორს შორის. ამ მიზნით კანონში უნდა განისაზღვროს საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელი (ე.წ. PPP),³⁸ რომელიც ძლიერი ინსტრუმენტი გახდება სტაბილური სოციალური საბინაო ფონდის შესაქმნელად. თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს საბაზრო მოდელს და ითვალისწინებდეს როგორც დეველოპერის, ისე საჯარო ინტერესებს.³⁹

სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სოციალური საბინაო ფონდის შექმნაში ბოლო წლებში ევროპაში ერთ-ერთი წამყვან მექანიზმად ჩამოყალიბდა. საჯარო სუბსიდიები ძალიან ლიმიტირებულია და მხოლოდ ვიწრო მიზნებს ემსახურება. ევროკავშირის მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ შეამცირა თავისუფალი თანხები. ამიტომ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაძლიერდა საცხოვრებლის მშენებლობის მიზნით სახელმწიფო/ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება მაშინ, როცა ადგილობრივი ხელისუფლება მშენებლობისათვის უსასყიდლოდ ან ძალიან დაბალ ფასად თმობს საკუთარი მიწის ნაკვეთს. კონტრაქტორი სამშენებლო კომპანიები აკეთებენ ყველაფერს დაგეგმვიდან დაწყებული, მშენებლობით, საბინაო ფონდის გაქირავებით და ბინების გაყიდვით დამთავრებული.

საჯარო და კერძო პარტნიორობა მყარდება საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის სახელმწიფო სექტორში შეთანხმებების საფუძველზე. ეს შეთანხმებები შეიძლება შეეხოს ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა კერძო კომპანიის მიერ საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა შეზღუდული ოჯახებისათვის; ბინათმშენებლობა და საბინაო ფონდის მართვა; მოიჯარეების და გაქირავების ადმინისტრირება; მოიჯარეებისათვის ისეთი ფინანსური, სოციალური, ჯანმრთელობის ან სხვა პრობლემების მოგვარება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბინის ქირავნობის ხელმწიფო სექტორზე.

9. დეველოპერების მხრიდან ფართების დათმობის პოლიტიკა

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ზოგიერთ ქალაქში მოქმედებს ადგილობრივი წესები, რომელთა მიხედვით, კერძო სამშენებლო კომპანიამ უნდა დათმოს ახლად აშენებული ბინების გარკვეული ნაწილი სოციალური საცხოვრებლისათვის. ასეთი პრაქტიკა არის ირლანდიაში, გერმანიაში,

³⁸ PPP-ის მოდელების თაობაზე დანვრ. იხ.: *კალიჩავა*, ნიგნში: *სუბუა/კალიჩავა* (რედ.), ადმინისტრაციულ მეც-

ნიერებათა სახელმძღვანელო, 2018, 161-ე და მომდევნო გვერდები.

³⁹ გერმანული მიდგომა იხ.: WoFG, §§ 14-15.

ნიაში, ნიდერლანდებში, ბრიტანეთში. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში უნდა გაჩნდეს ფინანსური და სხვა წამახალისებელი ინსტრუმენტები.

10. საბინაო ფონდის ფინანსური უზრუნველყოფის მოდელები

სოციალური საბინაო ფონდის დაფინანსება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს როგორც კერძო, ისე საჯარო ფინანსური ორგანიზაციების მიერ. უმეტესწილად, დაფინანსებელია მიმწოდებელი, რაც არ გამოორიცხავს მოსარგებლის თანამონაწილეობას (მაგ., ქირის ან იაფი შესყიდვის შემთხვევაში).

განვითარებად ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა საბინაო მშენებლობის დაფინანსების მიზნით სპეციალური სახელმწიფო ფონდების დაფუძნება და რეზერვების შევსება გადასახადებიდან, მათ შორის, ქონების გადასახადიდან მობილიზირებული თანხებით.⁴⁰

საცხოვრებლის დაფინანსების მოდელი შეიძლება დაეფუძნოს საბინაო ფონდზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის პრინციპს. ამ უკანასკნელის მიზანია, შეამციროს საცხოვრებლის ღირებულებასა და ბენეფიციარის შემოსავლებს შორის სხვაობა, რომელიც საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის პრობლემას წარმოშობს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად განახორციელოს აქტიური ჩარევები და გაზარდოს საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა შემდეგი გზებით: ა) მოახდინოს საცხოვრებლის მშენებლობისთვის საჭირო რესურსების (მიწა, კაპიტალი) სუბსიდირება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საცხოვრებლის ფასის ცვლილებას (*ანუ მოახდინოს ე.წ. მიწოდების მხრიდან სუბსიდირება*); ბ) გაზარდოს მოსახლეობის გადამხდელუნარიანობა (*ანუ განახორციელოს ე.წ. მოთხოვნის მხრიდან სუბსიდირება*⁴¹). სხვადასხვა ქვეყანაში გვხვდება მიმწოდებლისა და მიმღების მხრიდან სუბსიდირების პროგრამების პარალელური გამოყენების პრაქტიკა. ამის მაგალითია აშშ, სა-

დაც მიმწოდებლის მხრიდან სუბსიდირებას დაბალშემოსავლიანთა საცხოვრებლის საგადასახადო კრედიტი, ხოლო მიმღების მხრიდან სუბსიდირებას – საცხოვრებლის არჩევის შესაძლებლობა წარმოადგენს. პირველი ითვალისწინებს ინვესტირების და დეველოპერების წახალისებას ხელმისაწვდომი საქირავნო საცხოვრებლის მშენებლობისთვის, ხოლო მეორე დაბალშემოსავლიან მოსახლეობას პირდაპირ უზრუნველყოფს ბინის ქირის დასაფარავი ვაუჩერით.

V. შეჯამება

საბინაო ფონდის შექმნის საკითხის სამართლებრივი მოუწესრიგებლობა მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობას აქვს ორი ძირითადი კომპონენტი: კანონის უპირატესობა და კანონისმიერი დათქმა. ამ უკანასკნელის თანახმად, მმართველობითი ღონისძიება (საცხოვრებლით უზრუნველყოფა) მოითხოვს პირდაპირ საკანონმდებლო საფუძველს, რამეთუ ის დაკავშირებულია ძირითადი უფლებების დაცვის საკითხთან, შეიცავს თანასწორობის პრინციპის დარღვევის რისკებს და სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი და არაეფექტიანი ხარჯვის საფრთხეებს. ამიტომ, უნდა შემუშავდეს სოციალური საბინაო ფონდის შექმნის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა, რომლითაც უნდა განისაზღვროს ძირითადი ცნებები, მხარდაჭერის სახეები, დაფინანსების წყაროები/მოდელები, მხარდაჭერის იერარქია, საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის მექანიზმები და სხვა.

ახალი კანონის მომზადება, ცხადია, თანმდევ ცვლილებებს გამოიწვევს მომიჯნავე კანონმდებლობაში, რაც უნდა გახდეს საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელი ნაწილი. პირველ რიგში, აქტუალობას დაკარგავს „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმები. მასში მხოლოდ რეფერენსირება უნდა გაკეთ-

⁴⁰ საბინაო ფონდის დაფინანსების მექანიზმები დანვრ. იხ.: ასაბაშვილი/ზაზანაშვილი/ნიკოლაიშვილი, საბინაო პოლიტიკა საქართველოში თბილისის მაგალითზე, 2018, 90-ე და მომდევნო გვერდები.

⁴¹ ასეთია, მაგალითად, იპოთეკური სესხების დაფინანსება (იხ.: მთავრობამ სამშენებლო სექტორის სტიმულირების გეგმა წარადგინა – ურბან რეაქტორი / Urban Reactor).

დეს ძირითად კანონზე. ამავე დროს, სამშენებლო კანონმდებლობაში უნდა გაჩნდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დეველოპერისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას ფართების გადაცემის თვალსაზრისით, მაგ., იმ შემთხვევაში, როცა მას აქვს ვალდებულება, პარამეტრების გადამეტებისას შეასრულოს მაკომპენსირებელი ღონისძიებები.⁴² შესაძლებელია საქართველოს საბიუჯეტო კანონმ-

დებლობაში⁴³ შევიდეს ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდება სპეციალური სახელმწიფო ფონდის შექმნის საჭიროება. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც აუცილებელი იქნება კანონის სრულყოფილი ამოქმედებისათვის (მაგ., სოციალური საცხოვრებლის სტანდარტების, ქირის მინიმალური ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და სხვა საკითხების თაობაზე).

⁴² სდასსკ-ის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁴³ იგულისხმება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 27-ე მუხლი.

გარემოს დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციაში და ამ უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტების გამოყენების საკითხები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

ია უჯმაჯურიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში გარემოს დაცვა მეტად მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში მტკივნეული გამოწვევაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებას ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფაზე.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული უფლების აღიარებისას მნიშვნელოვანია გარემოს დეფინიციის საკითხი საერთაშორისო კანონმდებლობაში.

ევროპის საბჭოს ფარგლებში დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდა მისწრაფება, განსაზღვრულიყო გარემოს ცნება, იყო „გარემოზე მავნე ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ ლუგანოს 1993 წლის 21 ივნისის კონვენცია. მართალია, საქართველოს კონვენციაზე ხელი არ მოუწერია და, არც მისი რატიფიცირება მოუხდენია, მაგრამ ტერმინის შინაარსის დადგენისთვის ეს დოკუმენტი უთუოდ ყურადსაღებია. კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, „გარემო მოიცავს: ბუნებრივ რესურსებს, არაცოცხალს და ცოცხალს, როგორცაა ჰაერი, წყალი, გრუნტი, ფაუნა და ფლორა, ასევე, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას; ქონებას, რომელიც ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ნა-

წილს და ლანდშაფტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.“

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) თავის 1996 წლის 8 ივლისის საკონსულტაციო მოსაზრებაში ატომური იარაღის საფრთხის ან მისი გამოყენების კანონიერების შესახებ განმარტა, რომ „გარემო არის არა აბსტრაქცია, არამედ წარმოადგენს ცოცხალ სამყაროს, ცხოვრების ხარისხს და თვით ადამიანების, მათ შორის, დაუბადებელი თაობის ჯანმრთელობას“¹.

სხვადასხვა განმარტების გათვალისწინებით, შეიძლება, ჩამოყალიბდეს ცნება, რომ გარემო მოიცავს ელემენტების ვრცელ ჩამონათვალს, კერძოდ: ჰაერს, წყალს, მიწას, ფლორასა და ფაუნას, ისევე, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და ის დაცულ უნდა იქნეს, როგორც უფრო გლობალური მიზნის, მდგრადი განვითარების, ნაწილი.²

გარემოს დაცვაზე უფლება, როგორც ადამიანის უფლება, არ ყოფილა აღიარებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, არც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში: „კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“), მართალია, ცა-

¹ <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/95/095-19960708-ADV-01-00-EN.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022), 241 (19), §29.

² Manual on human rights and the environment, Council of Europe Publishing, 2012, first edition 2006, 15.

ლკე არ გამოჰყოფს ჯანსაღ გარემოზე უფლებას, თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი უფლება კონვენციით დაცული არ არის. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შემდეგში - „ევროპული სასამართლო“ ან „ევროსასამართლო“), რომელიც კონვენციის განმარტების მთავარი ინსტრუმენტია, არაერთი საქმე განუხილავს, რომლებშიც გადასაწყვეტი იყო ადამიანის გარემომცველი სივრცის სიჯანსაღის ხარისხი. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ შეაფასა, რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის კეთილდღეობაზე დაუცველ ან მავნე გარემო პირობებს (იხ. მრავალ სხვას შორის, მაგალითად: *ჰატონი და სხვები*,³ *ფადეევა*,⁴ *ჯუღელი და სხვები*⁵). რაც შეეხება ევროპის სოციალურ ქარტიას, რომელიც ევროპული კონვენციის მხარდასაჭერად იქნა მიღებული, როგორც სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ განიმარტა, ქარტიის მე-11 მუხლი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ეხება, მოიცავს ჯანსაღ გარემოზე უფლებას.⁶

II. გარემოსდაცვითი უფლების ადგილი საქართველოს კონსტიტუციაში და ამ უფლების ბუნება

1. გარემოსდაცვითი უფლება ზოგადად

ადამიანის უფლება გარემოს დაცვაზე საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე შევიდა ძალაში, კანონმდებელმა ძირითადად 29-ე მუხლში ჩამოაყალიბა.

უფრო ადრე კი გარემოსდაცვითი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებში იყო დეკლარირებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ძველი და ახალი ჩანაწერები გარემოსდაცვით უფლებებთან მიმართებით პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ახალ ტექსტში ამ უფლებასთან დაკავშირებულ დებულებებს მეტი ადგილი აქვს დათმობილი.

ახალი რედაქციის ამოქმედებამდე კონსტიტუციის კომენტარის ავტორები გარემოს დაცვაზე უფლების ორმხრივ ბუნებას უსვამდნენ ხაზს: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტი განამტკიცებს, ერთი მხრივ, ინდივიდის უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და, მეორე მხრივ, მის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.“⁷

ერთმნიშვნელოვნად რთულია შეფასდეს, გარემოსდაცვითი უფლება ადამიანის თავისუფლებაა თუ უფლება. გარკვეულწილად, ის პოზიტიურიც არის და ნეგატიურიც. ერთი მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს გარკვეული პირობები ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად, ანუ, ის თავისუფლებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა რიგ შემთხვევაში, ის იმგვარი უფლების ფორმითაც გამოიხატება, რომლით სარგებლობაზეც შესაბამისი შეზღუდვებია დაწესებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეს უკვე ფართოდ განიხილება უფლებათა სამგვარი ბუნება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით⁸ და, შესაძლოა, გარემოსდაცვითი უფლება სწორედ „შესასრულებელ“ უფლებათა რიგს მივაკუთვნოთ.

საქართველოს კონსტიტუციაში ამ უფლების უკვე ისტორიული დეფინიციის მიხედვით, იმასთან ერთად, რომ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება სახელმწიფოს აკისრებდა გარკვეული ვალდებულებების თავის თავზე აღებას, საზოგადოების თითოეული წევრისგანაც მოითხოვდა, გაფრთხილებოდა ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადსაღებია, თუ როგორ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარემოს დაცვაზე უფლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადსაღებია, თუ როგორ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარემოს დაცვაზე უფლება.

³ *ჰატონი და სხვები* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*) [დიდი პალატა] N36022/97, ECHR 2003.

⁴ *ფადეევა* რუსეთის წინააღმდეგ (*Fadeyeva v. Russia*), N55723/00, ECHR 2005.

⁵ *ჯუღელი და სხვები* საქართველოს წინააღმდეგ (*Jugheli and Others v. Georgia*), N38342/05, ECHR 2017.

⁶ *Manual on human rights and the environment*, Council of Europe Publishing, 2012, first edition 2006, 9.

⁷ ავტორთა კოლექტივი, რედ. პ. ტურავა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, 461.

⁸ *Koch I. E., Dichotomies, Trichotomies or Waves of Duties? Human Rights Law Review*, Volume 5, Issue 1, 2005, 81-103.

მაგალითად, ზემოთ დასახელებულ საქმეში *ჰატონი და სხვები* სწორედ გარემოსდაცვით უფლებასთან დაკავშირებით განმარტა ევროპულმა სასამართლომ, რომ: „მე-8 მუხლი გარემოსდაცვით საქმეებზე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როდესაც [გარემოს] დაბინძურება პირდაპირ სახელმწიფოსგან მომდინარეობს ან როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათანადოდ ვერ არეგულირებს კერძო მრეწველობას. გამოსაყენებელი პრინციპები მნიშვნელოვნად ერთგვაროვანია, როდესაც საქმე უნდა გაანალიზდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, მიიღოს გონივრული და შესაბამისი ზომები მომჩივნის უფლებების დასაცავად კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ან ხელისუფლების მხრიდან ჩარევის გასამართლებლად, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე. ორივე შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიანი ბალანსის დადგენას პიროვნების და მთელი საზოგადოების კონკურენტულ ინტერესებს შორის და ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შეფასების გარკვეული თავისუფლება იმის განსაზღვრისას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.“⁹

რაც შეეხება ამ უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს, მათი არსებობა ევროპულმა სასამართლომ თვით უფლების პოზიტიური ბუნების განხილვისასაც აღიარა. სასამართლომ იგივე საქმეში იქვე აღინიშნა, რომ „სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არსებობასთან დაკავშირებით, თუნდაც კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, მე-2 პუნქტში მითითებულ მიზნებს შესაძლოა ჰქონდეთ გარკვეული მნიშვნელობა.“ მეტი სიცხადისთვის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნები, რომელთა მიმართებიც გამართლებულია უფლების შე-

ზღუდვა, შემდეგია: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ევროპული სასამართლოს სულისკვეთებას თუ გავიზიარებთ, ალბათ, არც ღირს ვეძიოთ ერთგვაროვანი პასუხი შეკითხვაზე: ჯანსაღი გარემოს მოთხოვნის კონვენციით გარანტირებული შესაძლებლობა ადამიანის თავისუფლებაა, თუ უფლება, თუმცა, აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ „პოზიტიური ვალდებულებები ზოგადად დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან და, როგორც წესი, აქვთ ფინანსური ეფექტები, მაგალითად, როგორცაა მკურნალობით უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით“.¹⁰

2. გარემოსდაცვითი უფლება, როგორც „მესამე თაობის“ უფლება

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გარემოსდაცვითი უფლება ადამიანის უფლებების კლასიფიკაციაში ჩამოყალიბდა როგორც ე.წ. *მესამე თაობის უფლება*. ამგვარი დასახელება ფრანგი იურისტის, იუნესკოს ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის განყოფილების დირექტორის კარელ ვასაკის გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნებულ სტატიაში გაჩნდა.¹¹

ვასაკი მიუთითებდა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული უფლებები მანამდე ორ კატეგორიაში თავსდებოდა: ერთი მხრივ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და, მეორე მხრივ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. საზოგადოებაში ბოლოდროინდელი ტენდენციის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ახალი ფორმულირების შემოღება. სტატიის ავტორი ახალი ფორმულირების - „მესამე თაობის

⁹ *ჰატონი და სხვები* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*) [დიდიპალატა] N 36022/97, §98, ECHR 2003.

¹⁰ *Harris, O'boyle & Warbrick, Law of the European Convention on Human Rights*, Third edition, 2014, first edition 1994, 22.

¹¹ *Vasak K., "A 30-year struggle. The sustained efforts to give force of law to the Universal Declaration of Human Rights", 1977, <http://unesdoc.unesco.org/images/0007/000748/074816eo.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022),*

ადამიანის უფლებების“ - ავტორად იუნესკოს გენერალურ მდივანს ასახელებს.

სტატიის მიხედვით, „პირველი თაობა ე.წ. „ნე-გატიურ უფლებებს“ მოიცავს, იმ გაგებით, რომ მათი პატივისცემა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ ის არაფერს აკეთებდეს ინდივიდუალურ თავისუფლებებში ჩასარეგად და დაახლოებით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებში გამოიხატება.

მეორე თაობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოსგან მოითხოვს პოზიტიური ნაბიჯების განხორციელებას, როგორც უმეტესად, სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შემთხვევაში ხდება. საერთაშორისო საზოგადოება ახლა ადამიანის მესამე თაობის უფლებებზე მსჯელობს, რომელთაც შეიძლება „სოლიდარობის უფლებები“ ეწოდოს.

ეს უფლებები მოიცავს: განვითარების უფლებას, ჯანმრთელობასა და ეკოლოგიურად დაბალანსებულ გარემოზე უფლებას, მშვიდობის უფლებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე უფლებას. რამდენადაც ეს უფლებები საზოგადოების ცხოვრების მკაცრად განსაზღვრულ კონცეფციებს ასახავს, ისინი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველას = ფიზიკური პირების, სახელმწიფოების და სხვა ორგანოების, ისევე, როგორც საჯარო და კერძო ინსტიტუტების -ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.“¹²

3. გარემოსდაცვითი უფლება საქართველოს „ახალ“ კონსტიტუციაში

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედ რედაქციაში (29-ე მუხლი) გარემოს დაცვაზე უფლება უფრო ფართოდ განიმარტა, ვიდრე ეს მის წინამორბედ ტექსტში იყო:

„1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გა-

რემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.“

ასევე, აღიარებულ იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება, რაც „ორჰუსის კონვენციის“ პირდაპირი მოქმედების ძალაზე ხაზგასმა უნდა იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, 1998 წლის 25 ივნისის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც „ორჰუსის კონვენციის“ სახელითაც არის ცნობილი, საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 11 თებერვლის დადგენილებით მოახდინა.

გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის საკითხებს ასევე დეტალურად განსაზღვრავს 2017 წლის 1 ივნისის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურული მემკვიდრეობა „გარემოს“ ნაწილად არის მიჩნეული. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციაში წინათ, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტში, ამ ფორმით იყო ასახული: „ყველას აქვს უფლება [...] სარგებლობდეს [...] კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს [...] კულტურულ გარემოს“, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კი, კანონმდებელმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება მე-20 მუხლში, შემოქმედებით თავისუფლების აღიარებასთან ერთად გაითვალისწინა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კუ-

¹² Vasak K., A 30-year struggle. The sustained efforts to give force of law to the Universal Declaration of Human Rights, 1977,

<http://unesdoc.unesco.org/images/0007/000748/074816eo.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022), 29-32.

ლტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.“

ინტერესს ინვესს ამ დებულების გადმოცემის ფორმა: „ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს [...]“. გამოყენებული სიტყვათა ნყობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კანონმდებელი ახალისებს პირის არჩევანს, „ზრუნავდეს“ ან, სულ მცირე, არავის უკრძალავს ამგვარ ზრუნვას. სახელმწიფოს არ აუღია სრული პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და თუ ვინმე გამოიჩინს ინიციატივას, მაგალითად, მოუაროს კულტურულ ძეგლს ან დაიცვას იგი დაზიანებისგან, ეს მისი იმგვარი უფლება კი არ არის, რომლის მიმართ სახელმწიფო სრულიად ინდიფერენტულია, არამედ, უფლება, რომელიც კანონმდებელმა კონსტიტუციითაც აღიარა, ამით კი, ის მიგვანიშნა, რომ გარემოზე ზრუნვა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება კი არ არის, არამედ, სასურველია, საზოგადოების თითოეული წევრი ზრუნავდეს გარემოზე, საკუთარი სამოქალაქო თვითშეგნების ფარგლებში.

გარემოზე მავნე ზემოქმედების ფორმები შეიძლება იყოს: ხმაური, ვიბრაცია, სხვადასხვა სახის ემისიები, როგორებიცაა: გამონაბოლქვი, ჭვარტლი, სუნი, ელექტრომაგნიტური გამოსხივება თუ სხვა, ასევე, საკითხი, რომელსაც შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა წარსულში, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში უკვე აღიარებულ იქნა, როგორც ჯანსაღ გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმა - ესაა თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი გარემო.

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე უფლების აღიარებასთან დაკავშირებით 2017 წლის 17 მაისის საქართველოს კანონით „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომელთა შედეგად მრავალი ახალი ნორმა იქნა შემოღებული საქართველოში თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში იყო აღნიშნული, „კანონპროექტის

შემუშავება განაპირობა საქართველოში თამბაქოს აქტიური და პასიური მოხმარების მაღალი მაჩვენებლების შედეგად სიკვდილობის, დაავადებიათობის და ეკონომიკური ტვირთის მასშტაბებმა, აგრეთვე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი აღსრულების აუცილებლობამ და საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივებისა და რეკომენდაციების განხორციელების საჭიროებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამ, კერძოდ, ... თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე და თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედებისგან დაცულობაზე თითოეული მოქალაქის უფლების ცნობა.“¹³

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით ჩამოყალიბებული რეგულაციებით დადგენილი ფარგლების გათვალისწინებით, ამ მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე შეიძლება ასევე გასაჩივრდეს საქართველოს რაიმე ნორმატიული აქტი, თუ, მოსარჩელის მოსაზრებით, ადგილი აქვს თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე და თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედებისგან დაცულობაზე უფლების დარღვევას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარემოსდაცვითი უფლება ხშირ შემთხვევაში შეიძლება გასცდეს მხოლოდ ქვეყნის შიგნით დაცვის მოთხოვნის ფარგლებს და მისი გლობალურ დონეზე დაცვის საკითხი დადგეს. ეს მოსაზრება შეიძლება განვითარდეს გაეროს 1992 წლის 3-14 ივნისის კონფერენციაზე მიღებული „გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციიდან“¹⁴. ამ დეკლარაციის ფარგლებში სახელმწიფოები შეთანხმდნენ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული ქმედებების განხორციელების აუცილებლობაზე, რითაც შე-

¹³ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123032?> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022).

¹⁴ https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CON

იძლება დაუპირისპირდნენ გარემოს გლობალურ დეგრადაციას.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საკითხების მიმოხილვა გარემოსდაცვით უფლებასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლება ჯანსაღ გარემოზე კონვენციის რამდენიმე მუხლის ფარგლებში იქნა „ამოკითხული“ ევროპული სასამართლოს მიერ. ძირითადად ეს ხდებოდა ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევის გამართლების პროცესში.

როგორც ცნობილია, კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად, ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს. ამასთან ის ზომები, რომლებიც ამგვარ შეზღუდვებს ემსახურება, უნდა პასუხობდნენ მთელ რიგ მოთხოვნას. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც ნიშნავს, რომ ის უნდა პასუხობდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და ატარებდეს ლეგიტიმურ მიზანს. მართალია, გარემოს დაცვის მიზანი პირდაპირ არ არის დასახელებული კონვენციის რომელიმე მუხლში, მაგრამ გარემოს დაცვის მიზანს ამ ლეგიტიმურ მიზნებს შორის ერთ-ერთი ადგილი უჭირავს.

ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლების შეზღუდვა გამართლებულად იქნა მიჩნეული საერთო ინტერესების დაცვის მიზნისთვის. ამ „საერთო ინტერესების“ ნაწილად იქნა მოაზრებული გარემოს დაცვა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ ფრედინის¹⁵ საქმეში.

„პირველი მუხლი (ოქმი 1-1) არსებითად აღიარებს საკუთრების უფლებას. ის შეიცავს სამ დამოუკიდებელ წესს. პირველი, რომელიც პირველი პუნქტის პირველ წინადადებაშია გადმოცემული და ზოგადი ხასიათისაა, აწესებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას.

იმავე პუნქტის მეორე წინადადებაში გადმოცემული მეორე წესი მოიცავს საკუთრების ჩამორთმევას და ამისთვის აწესებს გარკვეულ პირობებს. მესამე, რომელიც მეორე პუნქტშია გადმოცემული, აღიარებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, უფლებამოსილნი არიან, აკონტროლონ საკუთრებით სარგებლობა საერთო ინტერესების შესაბამისად, იმგვარი კანონების შემოღებით, რომლებიც აუცილებელია მიზნის განსახორციელებლად.“¹⁶

ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ: „მომჩივნებს არ გაუსაჩივრებიათ 1964 წლის აქტის მიზანი, - ბუნების დაცვა. სასამართლო, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ დღევანდელ საზოგადოებაში გარემოს დაცვას ენიჭება უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა“¹⁷. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა ისეთი „საერთო ინტერესის“ საგნის ხარჯზე, როგორც გარემოს დაცვა, ევროპული სასამართლოს მიერ გამართლებულად იქნა მიჩნეული.

კონვენციის პირველი ოქმის პირველ მუხლთან ერთად გარემოს დაცვაზე უფლება არაერთხელ განიმარტა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ საცხოვრებელზე უფლებასთან მიმართებით.

ევროპულ სასამართლოს ხშირად აღუნიშნავს, რომ კონვენციაში გამოკვეთილად არ არის დაცული უფლება სუფთა და მშვიდ გარემოზე ან ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მოთხოვნის უფლებები, თუმცა განმარტა, რომ მე-8 მუხლის მოქმედების არეალი აშკარად გაფართოვდა იმის გამო, რომ ამ მუხლმა მოიცვა გარემოსდაცვითი უფლებები.¹⁸

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა არა მხოლოდ საცხოვრებლის ფარგლებზე გაავრცელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (იხ. მაგალითად, მრავალ სხვას შორის, ზემოთ დასახელებული საქმეები: *ჯუღელი და სხვები*¹⁹, *ჰატო-*

¹⁵ ფრედინი შევედეთის წინააღმდეგ (*Fredin v. Sweden*), (N 1), N 12033/86, 1991 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება.

¹⁶ *Ibid*, § 41.

¹⁷ *Ibid*, § 48.

¹⁸ *Harris, O'boyle & Warbrick, Law of the European Convention on Human Rights*, Third edition, 2014, first edition 1994, 582.

¹⁹ *ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Jugheli and Others v. Georgia)*, N 38342/05, ECHR 2017.

ნი და სხვები²⁰, ასევე, საქმეები: *ჯიაკომელი*,²¹ *კირტატოსი*,²² *გერა და სხვები*,²³ *ლოპეზ ოსტრა*,²⁴ *პაუელი და რაინერი*²⁵), არამედ მავნე ზემოქმედებისგან დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გავრცელების არეალად მიჩნეულ იქნა სასჯელალსრულების დაწესებულებებიც. მაგალითად, პატიმრობისას პასიური მწველის მდგომარეობაში ჩაყენებით, იმის გათვალისწინებით, რომ იმ მონაცვლადი პირების მიმართ, რომლებიც საპატიმრო დაწესებულებაში არიან მოთავსებული, სახელმწიფოს მათი გაძლიერებული დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება, პასიური მწველობა, ანუ, მაგალითად, ქრონიკული ჰეპატიტი და არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებული პირის გადატვირთულ საკანში მოთავსება, სადაც უმრავლესობა მწველ პირს წარმოადგენდა, მიჩნეულ იქნა არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად და, შესაბამისად, ფლორეას²⁶ საქმეზე დადგინდა იქნა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში აღნიშნა, რომ არ არსებობდა კონსენსუსი ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასჯელალსრულების დაწესებულების საკნებში პასიური მწველობის საკითხზე. შესაბამისად, ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დადგინდა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ახალი სტანდარტი. მოგვიანებით, იგივე გაიმეორა ევროპულმა სასამართლომ *ელეფტერიადისის*²⁷ საქმეში პირის მიმართ, რომელიც სასჯელალსრულების დაწესებულებაში შეყვანისას ექიმის მიერ კლინიკურად ჯანმრთელად იქნა მიჩნეული. საკანში მწველ პატიმრებთან ერთად მოთავსების გამო მას დაუსვეს ფილტვის ფიბროზის, შემდეგში კი, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქოპნევმოპათი-

ის დიაგნოზები. აღნიშნულთან ერთად ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა ასევე იმის გამო, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან ქვეყნის სასამართლოებში ტრანსპორტირების დროს იგი მოთავსებული იყო ფურგონებში, რომლებითაც დიდი რაოდენობით პატიმრები გადაჰყავდათ და, სადაც არ არსებობდა ვენტილაციის სისტემა.²⁸

ამრიგად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლიც აღმოჩნდა იმ დებულებების შემცველი, რომელთა ფარგლებშიც ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის უფლება დაცვის ღირს ინტერესად იქცა. შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, ევროსასამართლომ გარემოს დაცვაზე უფლების საქმეები განიხილა კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების დარღვევას *იონერილდიზის*²⁹ საქმეზე. ევროსასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა როგორც კონვენციის არსებითი ნაწილის დარღვევა, რადგან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ზომების განხორციელება მეთანის აფეთქების შედეგად მომჩივნის ცხრა ახლო ნათესავის შემთხვევითი დაღუპვის თავიდან ასაცილებლად, ასევე მე-2 მუხლის დარღვევა, მის პროცედურულ ნაწილში, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა სიცოცხლის უფლების ადეკვატურად დასაცავად. საქმე შეეხებოდა აფეთქებას, რომელიც მოხდა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რის შედეგადაც გარდაიცვალა ოცდაცხრამეტი პირი, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე

²⁰ ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*) [დიდი პალატა] N36022/97, §98, ECHR 2003
²¹ ჯიაკომელი იტალიის წინააღმდეგ (*Giacomelli v. Italy*), N 59909/00, ECHR 2006.
²² კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kyrtatos v. Greece*) N 41666/98, ECHR 2003.
²³ გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Guerra and Others v. Italy*), 19 თებერვალი 1998, გადაწყვეტილებების და განჩინებების ანგარიშები 1998-I.
²⁴ ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*Lopez Ostra v. Spain*), 9 დეკემბერი 1994, სერია A N 303-C.

²⁵ პაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Powell and Rayner v. the United Kingdom*), 21 თებერვალი 1990, სერია A N 172.
²⁶ ფლორეა რუმინეთის წინააღმდეგ, (*Florea v. Romania*), N 37186/03, ECHR 2010.
²⁷ ელეფტერიადისი რუმინეთის წინააღმდეგ (*Elefteriadis v. Romania*), N 38427/05, ECHR 2011.
²⁸ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22003-3410938-3828553%22%7D> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022).
²⁹ იონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (*Önerildiz v. Turkey*) [დიდი პალატა], N48939/99, ECHR 2004.

უნებართვოდ აშენებულ სახლებში. აფეთქებას შეეწირა მომჩინის ოჯახის ცხრა წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ორი წლით ადრე წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა ნაგავსაყრელზე მეთანის აფეთქების საფრთხის შესახებ, ხელისუფლების მუნიციპალურ ორგანოს რაიმე მოქმედება არ განუხორციელებია. სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ნაგავსაყრელის მიმდებარედ მცხოვრები პირების სიცოცხლეს ემუქრებოდა რეალური და იმწუთიერი საფრთხე, მათ ეკისრებოდათ ვალდებულება, განეხორციელებინათ პრევენციული ღონისძიებები ამ პირთა დასაცავად. სასამართლომ ასევე გააკრიტიკა ხელისუფლება იმის გამო, რომ მან არ გააფრთხილა ნაგავსაყრელის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა იმ საფრთხის შესახებ, რომლის ქვეშაც ის იმყოფებოდა იქ ცხოვრების გამო. ასევე, ხარვეზიანი აღმოჩნდა ადგილზე არსებული შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა.³⁰

ევროსასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა ღვარცოფისგან გამონეული კატასტროფის გამო, რომელსაც შედეგად მოჰყვა რვა ადამიანის, მათ შორის, მომჩინის ქმრის გარდაცვალება. ბუდაიევა³¹ საქმეში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა გამართლება იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან ვერ იქნა განხორციელებული მინის გამოყენების დაგეგმვა და საგანგებო დახმარების პოლიტიკა ტირნაუზის მონყვლად მხარეში, განჭვრეტადი საფრთხისგან იქ მცხოვრებლების დასაცავად. ევროსასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 პუნქტის პროცედურული ასპექტის დარღვევასაც კატასტროფის სათანადო სამართლებრივი გამოძიების ჩაუტარებლობის გამო³².

საინტერესოა, რომ ევროსასამართლომ გარემოზე მავნე ზემოქმედების ფაქტთან მიმართებით ადამიანის უფლებების დარღვევის საკი-

თხი კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებშიც განიხილა. მანგურასის³³ საქმეში ევროსასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გირაოს დაკისრება არ მიიჩნია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან შეუსაბამოდ. ამ საქმით გადასინჯულ იქნა ევროპული სასამართლოს პრეცედენტიული პრაქტიკა იმ საკითხთან მიმართებით, რომ გირაოს ოდენობა ყოველთვის არ უნდა იყოს დეტერმინირებული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლებით, არამედ, ასევე, იმ ზიანით, რომელიც მისმა ქმედებამ მიაყენა გარემოსა და ეკონომიკას.

როგორც დიდმა პალატამ მოცემულ საქმეზე აღნიშნა, „[...] საქმის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით და გარემოსა და ეკონომიკაზე ნავთობის დაღვრისგან მიყენებული არნახული ზემოქმედების გამო, სადავო დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, იმ დანაკლისის ოდენობა, რომელიც მომჩინის დაეკისრა სასამართლოების მხრიდან, გამართლებულად იქნა მიჩნეული“³⁴.

„თუმცა, უპირველესად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანა მაინც არ არის იმის განსაზღვრა, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული გარემოს დასაცავად, ეს უფრო მეტად ეროვნული ხელისუფლებების ტვირთია. [...] ეროვნული ხელისუფლებები უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან გადაწყვეტილებების მისაღებად გარემოს საკითხებზე, რომლებსაც ხშირად ახასიათებთ რთული ეკონომიკური და სოციალური ასპექტები. შესაბამისად, თავიანთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებებს, პრინციპში, ფართო დისკრეციას ანიჭებს, სასამართლოს ენაზე – ფართო „შეფასების თავისუფლებას“ მათ მიერ ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს არის სუბსიდიურობის პრაქტიკული ელემენტი, რასაც ხაზი გაესვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მომავლის შესახებ მაღალი რანგის კონფერენციაზე მიღებულ ინტერლაკენის დეკლარაციაში. ამ

³⁰ Manual on human rights and the environment, Council of Europe Publishing, 2012, first edition 2006, 36-37.

³¹ ბუდაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia), NN 15339/02, 11673/02, 15343/02 და სხვ., § 156, ECHR 2008.

³² Ibid, §§ 147-160.

³³ მანგურასი ესპანეთის წინააღმდეგ (Mangouras v. Spain) [დიდი პალატა], N 12050/04, ECHR 2010.

³⁴ Ibid, § 92.

პრინციპის მიხედვით, კონვენციის დარღვევა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ან გამოსწორებული. ეროვნულ დონეზე სასამართლოს ჩარევა უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ უკიდურეს ზომას. პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვით საკითხებზე, მათი ბუნების გათვალისწინებით.³⁵

IV. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკის პრინციპული დებულებები გარემოსდაცვით უფლებასთან მიმართებით

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად, ცალკე მუხლებად (29-ე მუხლი და მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი) ჩამოყალიბდა გარემოსდაცვით უფლებასთან დაკავშირებული დებულებები, ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა, განიხილოს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა ამ უფლებასთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, შეიძლება ითქვას, რომ დაადგინა, ჯანსაღ გარემოზე უფლების რა მოცულობით დაცვა შეიძლება განხორციელდეს კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფარგლებში. „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსი უნდა განმარ-

ტოს ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის შინაარსის გათვალისწინებით. ამავდროულად, კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე ხელმისაწვდომობის სტანდარტით. კონსტიტუციის აღნიშნული დებულებებით დაცული ვერ იქნება პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების მიზანია, ყველამ იზრუნოს არსებულ ბუნებრივ გარემოზე და სახელმწიფოსგან მოითხოვოს მისი დაცვა“³⁶.

გარემოსდაცვით საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, როგორ განისაზღვრება პოტენციურ მოსარჩელეთა წრე.

„ახალი კონსტიტუციის“ თანახმად, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, თუმცა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის ე) ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმავენაირად არ არის დავინროებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების მქონე სხვა სუბიექტებიც იმავე უფლებით არიან აღჭურვილი.

მოცემულ შემთხვევაში, საინტერესოა საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმარ-

³⁵ Manual on human rights and the environment, Council of Europe Publishing, 2012, first edition 2006, 31.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N 2/1/524, „საქართველოს

მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2013 წლის 10 აპრილი, პარაგრაფი 2 (II).

თვის უფლება პირს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც კონკრეტული ნორმატიული აქტის მოქმედების შედეგად მას მიაღდება ზიანი, თუ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს გარემოს დაბინძურების ყველა პოტენციურ მსხვერპლს?

„ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, პირს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე დარღვეულია მისი უფლებები და, ამდენად, ისინი „უფლებების დარღვევის მსხვერპლს“ წარმოადგენენ, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესაძლებელია, უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებები და თავისუფლებები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სადავო ნორმატიული აქტი (ან ნორმა) პირს ჯერ არ შეხება, ანუ ჯერჯერობით მას არ განუცდია სადავო ნორმით გათვალისწინებული წესების ზემოქმედება, მაგრამ არსებობს მომეტებული რისკი იმისა, რომ პირი უსათუოდ გახდება უფლებათა დარღვევის უშუალო ობიექტი. იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ პირებს „პოტენციურ მსხვერპლსაც“ უწოდებენ.

„პოტენციური მსხვერპლი“ უნდა განვასხვაოთ იმ პირებისაგან, რომლებიც ცდილობენ ე.წ. *actio popularis* განხორციელებას, ე.ი. სადავოდ ხდიან ნორმატიულ აქტს (ან მის ნაწილს) მხოლოდ იმიტომ, რომ იგი *in abstracto* არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს. *actio popularis* ჩვენი კანონმდებლობით, ისევე, როგორც ევროპული კონვენციით, დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტი – ამ შემთხვევაში პირი, უნდა იყოს უფლებების დარღვევის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი. თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ მსხვერპლად, ამის თაობაზე ორიენტირებს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.“³⁷

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ განვითარდა საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი გარემოსდაცვით უფლებასთან მიმართებით, როგორ შეიძინა უფლებამ საზოგადო ინტერესით ნასაზრდოები ფართო ხასიათი. თუკი თავდაპირველად საქართველოს კონსტიტუცია პირებს ანიჭებდა უფლებას, ინფორმაცია მოეთხოვათ მხოლოდ საკუთარი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ, მოგვიანებით კონსტიტუციითვე დადგინდა მათი უფლება, მიეღოთ ზოგადი ინფორმაცია გარემო პირობების შესახებ, რა გზითაც ჯანსაღ გარემოზე ზრუნვის თავისუფლების განხორციელებას შეძლებდნენ. „აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური რეფორმით ამ უფლების დაცვის სფერო გაფართოვდა. ახალი ჩანაწერით „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“. ამ ნორმიდან სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს ამოღებით გარემოს დაცვის დიმენსიას ჩამოშორდა ანთროპოცენტრული ელფერი და მან წმინდა ეკოცენტრული შინაარსი შეიძინა. ეს უკანასკნელი კი, ბუნებრივია, ამ ძირითადი უფლების დაცვის სფეროსა და, შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შინაარსსაც საგრძნობლად აფართოებს. ამგვარად, სწორი იქნება, თუ ჩვენ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად უფლებაში მოვიაზრებთ არა მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას – შექმნას გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ან ხელმისაწვდომი გახადოს ეს ინფორმაცია საზოგადოებისათვის, არამედ ასევე იმ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებასაც, რომელში მონაწილეობითაც გარანტირებული იქნება გარემოსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის დინამიურ რეჟიმში მიღება.“³⁸

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე ცალკე განისაზღვრება, საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული

³⁷ ჯ. ხეცურიანი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში“, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, IV, 62.

³⁸ კ. ყალიჩავა, „გარემოსდაცვითი საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე. ქართული, გერმანული და ევროპული სამართლის შედარება“, 2016, 148-149.

განმარტებები მაინც საინტერესო უნდა იყოს საკონსტიტუციო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადწყვეტისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის გადწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: „გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება განმარტებულია ორჰუსის 1998 წლის კონვენციით - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“. აღნიშნული კონვენციის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება მიეცათ ამ საკითხებზე სარჩელით მიმართონ სასამართლოს. კონვენციის თანახმად, განისაზღვრება ადამიანის სამი ძირითადი ეკოლოგიური უფლება, რომლებიც ყველა სხვა ეკოლოგიური უფლების რეალიზაციის საწინდარია: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ამ სფეროებში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა.“³⁹

თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვით „ორჰუსის კონვენცია“ ნებისმიერ პირს არ აძლევს შესაძლებლობას, წარადგინოს სარჩელი გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის სარჩელის დასაშვებობისთვის „ორჰუსის კონვენციით“ გარკვეული პირობებია გათვალისწინებული, კერძოდ: „საზოგადოებრივი უწყებების წევრები უნდა იყვნენ „საკმაოდ დაინტერესებულნი“ ან უნდა დაადასტურონ, რომ „უფლებები აქვთ შეზღუდული იქ, სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული პროცესუალური კანონი მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას“ (კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან უნდა დაასაბუთოს, რომ იგი თავისი საქმიანობით სათანადო დონეზეა ჩართული

გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროში და, შესაბამისად, არის „საკმაოდ დაინტერესებული“, ან სასამართლოს დაუსაბუთოს, რომ „უფლებები აქვს შეზღუდული“. ჩვენ შემთხვევაში მოსარჩელემ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, უნდა დაასაბუთოს, რომ გასაჩივრებული აქტი ან უარი ქმედების განხორციელებაზე „პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.“

თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ გადწყვეტილებაში ყურადსაღები განმარტებაა ჩამოყალიბებული იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება გარემოსდაცვით საკითხებზე აღძრული სარჩელი დასაშვებად. თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ ან თეორიულ ინტერესს. საგულისხმოა, რომ პირის უფლება ან ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნას დაცული. ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე. გამონაკლისი ამ წესიდან დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან) დაკავშირებული საჩივრის (სარ-

³⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადწყვეტილება საქმეზე N 3/2303-15, 2016 წლის 17 მარტი, გვ. 15.

ჩელის) მატერიალური დასაშვებობის საკითხი. [...].

[...] მოსარჩელის მიერ როგორც საქართველოს მთავრობაში, ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეტანილი ადმინისტრაციული საჩივრები, შეეხებოდა გარემოსდაცვით საკითხს, ხოლო [გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ] კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „საზოგადოება“ ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობისა და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს, „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადანყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ააიპ მ. ა.-ს 2015 წლის 9 და 10 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივრები შეეხებოდა გარემოსდაცვით საკითხებს, რაც განმარტებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი გადანყვეტილება და იგი მოიაზრება ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტად.⁴⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს ეს განმარტება გარკვეულწილად ბუნდოვანია, რადგან, თუკი სასამართლო თვლის, რომ „კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი გადანყვეტილება“, მაშინ შემდეგი წინადადება

„და“ კავშირით არ უნდა იწყებოდეს, რადგან სასამართლოს მიერ მოხმობილი ნორმა - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ „დაინტერესებული პირი“ ნებისმიერი პირი კი არ არის, არამედ, ის, ვისთან „დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება“. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნულ საქმეზე წარადგინა სარჩელი, უდავოდ, წარმოადგენდა იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული გარემოსდაცვითი საკითხების განხილვაში და არაერთხელ მიუმართავს სასამართლოსთვის დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ განიხილა ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი სუბიექტების საკითხიც და დაასკვნა, რომ ამგვარ საქმეზე არასამთავრობო ორგანიზაცია სათანადო მოსარჩელედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეზე N3/8151-16, 2017 წლის 5 ოქტომბრის გადანყვეტილებაში დაინტერესებულ მხარედ მიიჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე მოსარჩელეა არა მხოლოდ უშუალო მსხვერპლი, რომელმაც უკვე განიცადა პირდაპირი ზიანი, არამედ ყველა პოტენციური მსხვერპლი, რომლის გარემოსდაცვითი უფლება საფრთხის ქვეშაა. რაც შეეხება ასოციაციებს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთი ან ერთადერთი მიზანი გარემოს დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობაა, სარგებლობენ „დაინტერესებული პირის“ სტატუსით და უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს გარემოსდაცვით საკითხებზე.

⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადანყვეტილება საქმეზე N 3/1873-15, 2016 წლის 28 აპრილი, გვ. 10-12.

მოსარჩელეთა წრის საკითხი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება, თუ ამ საკითხთან მიმართებით ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას მივადევნებთ თვალს.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ) მიდგომით, გარემოს საკითხებზე ყველა პირის სარჩელი არ დაიშვება. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არ მიიჩნია დასაშვებად არა მხოლოდ ნებისმიერი ფიზიკური პირის სარჩელი, მაგალითად, *Plauman*-ის საქმეზე,⁴¹ არამედ ასევე, ასოციაციის სარჩელიც *Greenpeace*-ის საქმეზე.⁴²

როგორც პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად წარმოჩინდა, საქართველოს საერთო სასამართლოები ფართოდ ხსნიან კარს გარემოს დაცვის საკითხებზე უფლებათა დასაცავად. მათ შორის, არა უშუალოდ ამ უფლების მატარებლებისა თუ პოტენციურ მსხვერპლთათვის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც, რომელთა ზოგად მიზანს წარმოადგენს გარემოზე ზრუნვა. ამ ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, იმის გათვალისწინებით, რომ ის „ახალი კონსტიტუციის“ მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით იხილავს ნებისმიერი „ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის“ სარჩელს, გარემოსდაცვითი უფლების საკითხზე სარჩელის აღძვრისას, არასამთავრობო ორგანიზაციას სასამართლოს წინაშე არ უნდა მოუწიოს იმის დასაბუთება, რომ „საკმაოდ დაინტერესებული“ პირია.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მწირია. თითზე ჩამოსათვლელია იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა და სასამართლოს ყველა მათგანში არც ჩამოუყალიბებია უშუალოდ გარემოს დაცვაზე უფლებასთან დაკავშირებული განმარტებები.

ამ საქმეთაგან მაინც უნდა გამახვილდეს ყურადღება რამდენიმე მათგანზე, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე⁴³ სასამართლომ განსაზღვრა სახელმწიფოს როლი თევზის მოპოვების ლიცენზირებასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა მოსაზრებები, რომ:

„(II) 7. ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს შემადგენელ ელემენტებს, რომელთაც აქვთ დროთა განმავლობაში საზოგადოებაში ჩამოყალიბებული გარკვეული ღირებულება და რომელსაც ადამიანი იყენებს საკუთარ განსხვავებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამგვარი რესურსები შესაძლებელია პირობითად დაიყოს ცოცხალ და არაცოცხალ ჯგუფებად. თუკი არაცოცხალ რესურსს მიეკუთვნება, მაგალითისათვის, სასარგებლო ნიაღისეული, ნავთობისა და გაზის რესურსი, ტყის ფონდი თუ წყალი, ცოცხალ რესურსად განიხილავენ ცხოველთა სამყაროს და, მათ შორის, თევზის რესურსს, როგორც ხერხემლიან ცხოველთა სახეობას.

14. სახელმწიფო, ლიცენზირების გზით, აქტიური რეგულირების ფუნქციას ასრულებს იმ კონკრეტული საქმიანობისა თუ ქმედების მიმართ, რომელთა განხორციელება გავლენას ახდენს მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სიკეთეებზე და რომელთა დაცვა სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებად განიხილება.

50. შავ ზღვაში თევზის რესურსის ყოველწლიური კვოტის დამტკიცების არსებული ფაქტობრივი რეჟიმი, როგორც საჭირო კვლევების

⁴¹ *Plaumann & Co v. Commission*, საქმე №25/62, 15 ივლისი 1963, <https://www.unecce.org/fileadmin/DAM/env/pp/compliance/C2008-32/communication/Appendixes.doc.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 05.10.2022).

⁴² *Stichting Greenpeace Council and others v. Commission*, T-585/93, 9 აგვისტო 1995. *Ibid.*

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N 1/3/611, „მპს „მადი“ და მპს „პალიასტომი 2004“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ“, 2016 წლის 30 სექტემბერი, პარაგრაფები: 7, 14, 50 (II).

ჩატარების, ასევე თევზის მოსაპოვებელი ოდენობის განსაზღვრის ტვირთს მთლიანად აკისრებს ლიცენზიატებს, სახელმწიფოს როლი მხოლოდ ამ უკანასკნელთა მიერ წარდგენილი კვლევების ფორმალური შემოწმებითა და თევზის მოთხოვნილი ოდენობის თითქმის ავტომატურ რეჟიმში დამტკიცებით შემოიფარგლება. თევზის რესურსის ყოველწლიური კვოტა წარმოადგენს ბიოლოგიურ განზომილებას, იმ დასაშვებ ოდენობას, რომლის ამოღებაც შესაძლებელია თევზის მთლიანი მარაგის სტრუქტურის რღვევის გარეშე. შესაბამისად, სახელმწიფოს ქმედითი და რეალური ჩართულობა მისი განსაზღვრის პროცესში სასიცოცხლოდ აუცილებელია რაციონალური ბუნებათსარგებლობის იმ ვალდებულებიდან გამომდინარე, რომელსაც მას კონსტიტუცია აკისრებს.“

ზემოთ უკვე ხსენებულ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე N 2/1/524,⁴⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა პრინციპული დებულებები ადამიანის გარემოსდაცვით უფლებასთან მიმართებით.

„(II) 6. [...] საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები სახელმწიფოს მიმართ ადგენენ ორი სახის ვალდებულებას: 1) სახელმწიფო ვალდებულია, მისი აქტიური ქმედების ფარგლებში, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტებისა თუ სხვა ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას, გაითვალისწინოს და მაქსიმალურად შეამციროს საქმიანობის შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება (ნეგატიური ვალდებულება); 2) სახელმწიფომ გარემო უნდა დაიცვას კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან (პოზიტიური ვალდებულება). [...]

7. [...] კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დაცვის მიზანს არ წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულების ან უფლებამოსილების დადგენა, თავისი შეხედულებისამებრ, საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად ან სხვა ფორმით განსაზღვროს, რა არის

ადამიანის ცხოვრებისათვის საუკეთესო გარემო და შემდგომში შეეცადოს, შექმნას იგი აქტიური ჩარევის გზით. ამის საპირისპიროდ, კონსტიტუციის ხსენებული დებულებები, კონსტიტუციურ ფასეულობად აცხადებენ იმ საცხოვრებელ გარემოს, რომელიც არსებობს ადამიანის ჩარევის გარეშე. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზანია ადამიანის ზემოქმედებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, არ მისცეს მესამე პირებს გარემოზე განუზომელი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა. ეს უნდა გამოიხატოს გარემოს დაცვის სფეროში ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედებების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში. [...]

10. [...] მართალია, ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის შესაბამისი სანქციის შერჩევისას, სახელმწიფოს ფართო მიხედულება აქვს, მაგრამ სანქცია ისე არ უნდა იყოს გამოყენებული, რომ დაკარგოს თავისი მიზანი და დანიშნულება. [...]

11. [...] შეთანხმების დადების შედეგად, დაინტერესებული პირების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები კარგავენ “შემაკავებელ ეფექტს”. პირისთვის გარემოზე ზემოქმედების ფართო თავისუფლების მინიჭება კონფლიქტში მოდის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან, უზრუნველყოს გარემოს დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს შესანარჩუნებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იზღუდება მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დაცული უფლება. [...]

გარემოს საკითხებზე ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ უფლებასთან მიმართებით ფრიად საინტერესო განმარტებები ჩამოაყალიბა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა⁴⁵.

ამ საქმეზე არასამენარმეო იურიდიულმა პირმა „მწვანე ალტერნატივა“ სადავოდ გახადა

⁴⁴ ხსენებული გადაწყვეტილება, პარაგრაფები: 6, 7, 10, 11 (II)

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N 3/1/752, „ა(ა)იპ „მწვანე

ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 14 დეკემბერი, პარაგრაფები: 21, 22, 24, 25, 32, 38, 40, 42.

„წიალის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის კონსტიტუციურობა, რომლის თანახმად, „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „21. [...] სადავო ნორმა ზღუდავს წიალის გეოლოგიური აგებულების, წიალისეულის მარაგებისა და რესურსების, [...] შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ამავდროულად, „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი ამგვარ ინფორმაციას იმ სუბიექტების საკუთრებად აცხადებს, რომლის სახსრებითაც არის იგი მოპოვებული. [...] 22. [...] ამკარაა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც გამორიცხავს ასეთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, იცავს ინფორმაციის მესაკუთრეების ქონებრივ ინტერესებს [...]“.

გადაწყვეტილების მიღებისას საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა საკითხს, „24 [...] რამდენად უზრუნველყოფს უფლების სათანადოდ დაცვას სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხსენებული ინფორმაცია იქნება ღია, თუმცა დაწესდება შეზღუდვები მისი მესაკუთრის თანხმობის გარეშე გამოყენებასთან დაკავშირებით.“

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კითხვას უარყოფითად უპასუხა, განმარტა რა, რომ: „25. [...] ამგვარი რეგულაცია ვერ იქნებოდა სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ისეთივე ეფექტიანი საშუალება, ვინაიდან წიალის აგებულებისა და სხვა პარამეტრების შესახებ არსებული ინფორმაციის ეკონომიკური ღირებულება ვლინდება არა მხოლოდ უშუალოდ მისი სასარგებლო წიალისეულის მოპოვებისას გამოყენებით, არამედ - დასახელებული ინფორმაცია ასევე ეხმარება შესაბამის სუბიექტებს მნიშვნელოვანი კომერციული გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგალითად, რომელი ზონიდან და რა მოცულობით მოიპოვონ წიალისეული, რომელ ზონაშია გამართლებული წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება და რომელში - არა და ა.შ. [...]“

„32. წიალის გარკვეული პარამეტრების შესახებ ინფორმირებულობაზე საზოგადოების ინტერესს უპირისპირდება სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაციის მესაკუთრის ეკონომიკური ინტერესები, [...], სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაციის გავრცელებით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგებათ აღნიშნული ინფორმაციის მესაკუთრეებს. [...] განსახილველ შემთხვევაში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი დაცვის ინტერესი გადაწონის საზოგადოების ინტერესს, რომ მიიღოს ტექნიკური ინფორმაცია წიალის გეოლოგიური პარამეტრების შესახებ.“

38. სახელმწიფო არ ასრულებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას. ვინაიდან სახელმწიფო არ არის ვალდებული, გარემოს შესახებ საზოგადოებისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია მიიღოს კონკრეტული დოკუმენტიდან, [...] ხსენებული უფლების რეალიზებისათვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა გარემოს შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო მის ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან მოიპოვებს თუ ამისათვის სხვა ფორმას გამოიყენებს. [...]

40. [...] სადავო [...] ნორმა არ ამცირებს გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მოსახლეობისათვის მიწოდების სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების ფარგლებს. უფრო მეტიც, სადავო ნორმა საერთოდ არ არეგულირებს გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის მიწოდების სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების განხორციელების წესსა და პირობებს. [...] 42. [...] არ განაპირობებს გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის მიწოდების სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლების შემცირებას ან/და სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის შეგროვების რაიმე ფორმით შეფერხებას. შესაბამისად, სახეზე არ არის ჩარევა გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებით დაცულ სფეროში.“

ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ჩამოყალიბებული პრინციპული დებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს დასკვნები, თუ ვინ შეიძლება წარმოადგენდეს სათანადო მოსარჩელეს გარემოსდაცვითი უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, როგორია ამ უფლების ფარგლები, რა სახისაა ის ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებაც სახელმწიფომ თავის თავზე აიღო გარემოსდაცვით უფლებასთან მიმართებით, კერძოდ, სათანადო მოსარჩელეს არა მხოლოდ უშუალოდ დაინტერესებული პირი, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციაც შეიძლება წარმოადგენდეს; გარემოსდაცვითი უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარ გარემოზე ზრუნვის თავისუფლებით და მას ფართო არეალი გააჩნია; სახელმწიფო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ უფლებებს შორის, თავს იკავებს გარემოს შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულებისგან, რამაც შეიძლება, ხელყოს სხვათა ეკონომიკური ინტერესები.

V. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრინციპული განმარტებების მიმოხილვის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, საზოგადოებაში ხშირად განიხილება საქართველოში გარემოს დაბინძურების მაღალი დონის საკითხი, მაგრამ, რადგან საქართველო არ არის დიდი ინდუსტრიების ქვეყანა, თუ არ ჩავთვლით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვს, სამრეწველო საწარმოების გამონაბოლქვის გამო ქვეყანა გარემოს დაბინძურების მაღალი საფრთხის წინაშე არ უნდა აღმოჩნდეს. ასევე, არ შეიძლება მისი არსებითი როლი იქნეს განხილული გარემოს დაბინძურების გლობალურ პროცესში, რადგან საქართველოს წვლილი, მსოფლიო გიგანტებთან შედარებით, მხოლოდ ნომინალური შეიძლება იყოს. შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებით უნდა იმოქმედოს „საერთო, მაგრამ

დიფერენცირებული პასუხისმგებლობის პრინციპმა“.

„ეს პრინციპი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ სახელმწიფოები, იმის გამო, რომ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებიან, გარემოს დაბინძურებაში მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ განსხვავებული ხარისხით და, შესაბამისად, აქვთ გამოკვეთილი ტექნოლოგიური და ფინანსური პასუხისმგებლობები. ამავე დროს, ის აღიარებს, რომ სათანადოდ მხოლოდ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული ქმედებები შეიძლება დაუპირისპირდეს გარემოს გლობალურ დეგრადაციას. ეს პრინციპი პირველად ხაზგასმული იყო რიოს დეკლარაციაში⁴⁶ (მე-7 პრინციპი) 1992 წელს.“⁴⁷

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტების შემოღება ჯერ ისევ მომავლის საქმეა, ამ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უთუოდ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო იქნება ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპული დებულებები. შესაძლოა, ამ სტატიამაც ითამაშოს გარკვეული როლი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, განვითარების საქმეში გარემოს დაცვაზე ადამიანის უფლებასთან მიმართებით აღძრული სარჩელების გადანყვეტისას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა მკაფიო დასკვნა, პრინციპული დებულებების შემცველი მსჯელობა, თუ რა მოცულობით გასცემს სახელმწიფო ინფორმაციას გარემოსთან დაკავშირებით, იმ მიხედულების ფარგლების გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით, თანაბრად უზრუნველყოს ყველა სუბიექტის უფლების დაცვა. მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის საკითხი განიხილა ზემოხსენებულ გადანყვეტილებაში მწვანე ალტერნატივას საქმეზე, მაგრამ იმ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სადავო ნორმა საერთოდ არ არეგულირებს გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის

⁴⁶ გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია.

⁴⁷ Manual on human rights and the environment, Council of Europe Publishing, 2012, first edition 2006, 132.

მინოდების სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების განხორციელების წესსა და პირობებს.“ ამიტომ აღნიშნული საკითხი კვლავაც განწყვეტას მოელის.

მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერის მიღება ქართული სამართლის მიხედვით

ხატია პაპიძე

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

ლადო სირდაძე

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

I. შესავალი

ქართულ სამართალში მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის მიღების მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად მოცემულია სამოქალაქო სამართალში, 1275-ე და მომდევნო მუხლებში. თავად 1275-ე მუხლის მიზანი, ერთი შეხედვით, არის ამ სამი სამართლებრივი ინსტიტუტის ცნების განსაზღვრა. სწორედ ამაზე მიახლოებას, ერთი შეხედვით, მუხლის სათაური, თუმცა იგი რეალურად არასწორადაა ფორმულირებული¹. სინამდვილეში ამ ნორმით არ ხდება აღიშნული ცნებების განსაზღვრა. ამის საპირისპიროდ, 1275-ე მუხლი გვთავაზობს თითოეული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობების არასრულ ჩამონათვალს. ეს წინაპირობები გადანაწილებულია 1275-ე-1281-ე მუხლებში, რაც კრიტიკას იმსახურებს. უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ სამი ინსტიტუტიდან თითოეულის წინაპირობათა მოწესრიგებას თითო მუხლი

დაეთმოდა ცალ-ცალკე, ისე, რომ ეს ისინი ერთმანეთში არ არეულიყო. მაგალითად, საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით, უმჯობესი იქნება, თუ მეურვეობის დადგენის ყველა წინაპირობა მოწესრიგდება 1276-ე მუხლით, მზრუნველობის 1277-ეთი, ხოლო მხარდაჭერის - 1277¹ მუხლით.

არასრულწლოვანი პირისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებით სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, დაიცვას ოჯახის კეთილდღეობა (კონსტიტუციის 5 IV 1 მუხლი) და ბავშვის უფლებები (კონსტიტუციის 30 II მუხლი).² პირი, რომელიც მოიპოვებს მეურვის ან მზრუნველის სტატუსს, ამ გარემოების გამო არ ხდება ოჯახის წევრი, არამედ სახელმწიფო ორგანოს მიერ აღიჭურვება სპეციალური უფლებამოსილებით და ეხმარება სახელმწიფოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულებაში.³ ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვანნი-

¹ ფრაი, კ.სირდაძე, ლ., კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 4/2019, 12.

² BVerfGE 10, 312 = NJW 1960, 811; Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

³ BVerfGE 10, 328 = NJW 1960, 811; Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

ლად საჯაროსამართლებრივი⁴ ელემენტების მატარებელია. მაგრამ არ შეიძლება ამ ინსტიტუტების კერძოსამართლებრივი ბუნების სრულად უგულებელყოფა.⁵ მეურვეობა და მზრუნველობა, როგორც მშობლის ზრუნვის ალტერნატივა, სწორედ საოჯახო სამართლის ნაწილია. სწორედ ამიტომაც ის მონესრიგებული კოდექსის ამ წიგნში. მეურვისა და მზრუნველის შერჩევას უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ბავშვის ნათესავს, რადგანაც ამ ინსტიტუტთა თვითმიზანი არის არა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, არამედ მშობლისეული მზრუნველობის უზრუნველყოფა. ამიტომ, საბოლოო ჯამში, საჯაროსამართლებრივ ელემენტს მაინც გადასწონის საოჯახოსამართლებრივი.

II. უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველი

განსხვავებით გერმანული სამართლისგან, სადაც მეურვეობა შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ მისი *დანესების* გზით, არამედ ასევე ავტომატურად, კანონის საფუძველზე (გსკ-ის 1791c და 1751 II 1 მუხლებით),⁶ საქართველოში, როგორც წესი, მეურვეობა და მზრუნველობა წარმოიშობა მხოლოდ 1281-ე მუხლის მიხედვით, *დანესების* საფუძველზე. აღნიშნულისგან უნდა გაიმიჯნოს შემთხვევები, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიძლება კანონის საფუძველზე მოიპოვოს ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება, მაგრამ ასეთ დროს ის არ ხდება არც მეურვე და არც მზ-

რუნველი, არამედ ასრულებს მათ ვალდებულებებს, სანამ ბავშვს არ ეყოლება პირი, რომელიც განახორციელებს მშობლის ზრუნვას ან სანამ მას დაენიშნება მეურვე ან მზრუნველი.

როდესაც სახეზეა მეურვეობისა და მზრუნველობის უფლებამოსილების კანონის საფუძველზე წარმოშობის შემთხვევა, იგი წარმოშობილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ფაქტობრივად შესრულდება მუხლის წინაპირობები.⁷ სწორედ ეს განასხვავებს მას *დანესების* გზით წარმოშობისგან, სადაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამის გადანყვეტილებას აქვს კონსტიტუტიური⁸ მოქმედება.

გსკ-ის 1791c მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ დაიბადება ბავშვი, რომლის მშობლებიც დაქორწინებულები არ არიან და საჭიროებს მეურვეობას, მაშინ მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო (Jugendamt) ხდება მეურვე. რაც შეეხება გსკ-ის 1751-ე მუხლს, იგი ეხება შემთხვევას, როდესაც მშობლები გადანყვეტენ ბავშვის გაშვილებას. ასეთ დროს გაშვილებაზე შესაბამისი თანხმობის გაცხადებით ჩერდება⁹ მშობლის მზრუნველობა. თუ ორივე მშობელი განაცხადებს ასეთ თანხმობას ან განაცხადებს მხოლოდ ერთი, მაგრამ ისე, რომ მეორე მშობელი არ ახორციელებს ბავშვზე მზრუნველობას, მეურვეობას ავტომატურად იძენს მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო. გერმანიაში ამ საგამონაკლისო ნორმების მიზანია, ერთი მხრივ, ქორწინების მი-

⁴ BVerfGE 10, 302 = NJW 1960, 811.

⁵ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 1.

⁶ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773, Rn. 2.

⁷ OLG Hamm 22.5.1995 – 15 W 185/95, FamRZ 1996, 57; Kemper, R., in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1791c Rn. 5.

⁸ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1774 Rn. 1.

⁹ მაგრამ მთლიანად არ წყდება. იხ. Budzikiewicz, in Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch, 18. Auflage 2021, § 1751 Rn. 1; Dahm, K., in Kaiser/Schnitzler/Friederici/Schilling, BGB - Familienrecht, 4. Auflage 2021 § 1751 Rn. 2.

ლმა დაბადებული ბავშვის დაცვა,¹⁰ რომელსაც ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენელი და, მეორე მხრივ, ბავშვისთვის ზრუნვის უზრუნველყოფა გარდამავალ პერიოდში¹¹ - სანამ ბავშვის გაშვილების საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

აღნიშნულისგან განსხვავებით, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 14 VIII მუხლი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებას, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე განახორციელოს ბავშვზე ზრუნვა ისე, რომ არ შეიძინოს მეურვის ან მზრუნველის სტატუსი. მისი მიზანია იმ ბავშვის დაცვა, რომლის მშობლებსაც შეჩერებული აქვთ მშობლის უფლებები. ასეთ დროს ეს უფლებები გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 14 IX მუხლში ჩამოთვლილი უფლებები, რომელთაც იძენს ორგანო, არის სწორედ ის, რომლებიც გააჩნია მეურვესა თუ მზრუნველს, მაინც არასწორი იქნებოდა ორგანოს ამ ტერმინით მოხსენიება. ამიტომ, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის 14 VIII არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ურთიერთობის კანონის საფუძველზე წარმოშობის შემთხვევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონის საფუძველზე წარმოემობა ზრუნვის განხორციელების ვალდებულება, მაგრამ არა მეურვის ან მზრუნველის სტატუსი, არის 1282 III მუხლი. კანონმდებელი აქაც მიზანმიმართულად იკავებს თავს

მითითებისგან, რომ ორგანო ხდება მეურვე ან მზრუნველი. ასეთი კანონისმიერი ურთიერთობის წარმოშობა არის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესების პროცედურის ნაწილი.¹² ორგანო კანონის საფუძველზე ხდება ვალდებული, განახორციელოს შესაბამისი უფლებამოსილება, მაგრამ ეს არ არის კანონის საფუძველზე მეურვეობის ან მზრუნველობის წარმოშობის შემთხვევა.¹³

კანონის საფუძველზე მზრუნველობის წარმოშობის შემთხვევაა, როდესაც სამეურვეო პირი მიაღწევს 7 წლის ასაკს. თუმცა აქ წინაპირობაა, რომ დანესებული იყოს მეურვეობა. თუ ის დანესებული არ არის, მაშინ მზრუნველობა ვერ წარმოშობა კანონის საფუძველზე.¹⁴

კანონის საფუძველზე მეურვეობის ავტომატურად წარმოშობას ითვალისწინებდა 1285-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მეურვის ან მზრუნველის მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა იმ დანესებულებას, რომელშიც იზრდებოდა ბავშვი ან იმყოფებოდა მეურვეობის ან მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი. აქ ეს ორგანო არა მხოლოდ დროებით ახორციელებდა გარკვეულ ვალდებულებებს, სანამ პირს დაენიშნებოდა მეურვე ან მზრუნველი, არამედ ის თავად ხდებოდა მეურვე ან მზრუნველი.

III. მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენა

1275 I მუხლი ადგენს არასრულწლოვნისთვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის უმთავრეს წინაპირობას - არ უნდა იყოს სახეზე მშობლის მზრუნველობა. მუხლში პირ-

¹⁰ Kemper, R., in Schulz/Hauß, Familienrecht, 3. Auflage 2018, § 1791c Rn. 1; Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1791c, Rn. 2.

¹¹ Pöcker, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1751, Rn. 1.

¹² გერმანიაში მსგავსი ვალდებულებისთვის შდრ. Kroll-Ludwigs, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1846 Rn. 1.

¹³ სირდაძე/ვაპიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, ჭანტურია/რუსიაშვილი (რედ.), 2021, მუხლი 1282, პირველი და მომდევნო ველები.

¹⁴ სირდაძე/ვაპიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, ჭანტურია/რუსიაშვილი (რედ.), 2021, მუხლი 1303, პირველი და მომდევნო ველები.

დაპირაა განერილი, რა დროსაა ასეთი შემთხვევა სახეზე. შემთხვევები, თუ როდის შეიძლება არ ხორციელდებოდეს მშობლის მზრუნველობა, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მშობლების გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ბავშვის მიტოვებულად აღიარება. ასეთ დროს (ნესით) მშობლებს აღარ აქვთ ფაქტობრივი შესაძლებლობა, იზრუნონ მასზე, რადგანაც ფიზიკურად აღარ არიან მასთან. მეორე ჯგუფში ერთიანდება ის შემთხვევები, როდესაც მშობლებს აღარ აქვთ სამართლებრივი უფლება, იზრუნონ ბავშვზე. ეს ასეა მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის შემთხვევებში. მშობლის უფლების შეზღუდვისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა ნაწილშია შეზღუდული ეს უფლება.¹⁵ თუ შეზღუდულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი,¹⁶ რომელიც არ გამოორიცხავს ამ მშობლის მიერ ბავშვზე ზრუნვის ან კანონისმიერი წარმომადგენლობის განხორციელებას, მაშინ 1275-ე მუხლის წინაპირობა სახეზე არაა და არ არსებობს მეურვის დანიშვნის საჭიროება მაშინაც კი, როდესაც მეორე მშობელი, რაიმე საფუძვლის გამო, საერთოდ არ ახორციელებს ზრუნვას.

1275 I მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ზრუნვის საჭიროება. თუ არ არსებობს მშობელი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მას გააჩნია ზრუნვის საჭიროება. დაუშვებელია აღნიშნულის ინდივიდუალურ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ფაქტობრივად შემონიშნება, სჭირდება თუ არა ბავშვს მშობლისეული ზრუნვა. პრობლემური შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც 18 წლამდე პირს მოპოვებული აქვს სრული ქმედუნარიანობა,

რა, რაც, 12 III მუხლით, შესაძლებელია ქორწინების შემთხვევაში. მართალია, 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეუძლებელია 18 წლამდე მიუღწეველი პირის ქორწინება ქართული სამართლის შესაბამისად. მაგრამ ეს არ გამოორიცხავს, რომ არასრულწლოვნის ქორწინება მოხდეს სხვა ქვეყნის სამართლის შესაბამისად. ასეთ დროს გადამწყვეტია საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები. თუ აღნიშნული ქორწინება ნამდვილია საქართველოშიც, მაშინ პირი ჩაითვლება სრული ქმედუნარიანობის მქონედ და მას აღარ სჭირდება კანონიერი წარმომადგენელი.

1275-ე მუხლის ძველი რედაქცია, რომელიც 2015 წლამდე მოქმედებდა, ითვალისწინებდა მეურვეობის ან მზრუნველობის დანესებას მშობლების ქმედუნაროდ გამოცხადების შემთხვევაშიც. რადგანაც დღეს მოქმედი კოდექსით სრულწლოვანი პირი არ შეიძლება გამოცხადდეს ქმედუნაროდ, ამიტომ, 2015 წელს ეს მითითება 1275-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა. თუმცა ის არ ჩანაცვლდა მხარდაჭერის მიღების შემთხვევით. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, შემდეგია: რადგანაც მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია თავად გამოავლინოს ნება, რომელიც ნამდვილია (ან შესაბამის შემთხვევებში მხარდამჭერის მიერ მონონებით ხდება ნამდვილი), მხარდაჭერის მიმღებ მშობელს შეუძლია, განახორციელოს არასრულწლოვანი პირის წარმომადგენლობა. მაგრამ დასაფიქრებელია, მიუხედავად ამისა, მაინც ხომ არ უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი იმ არასრულწლოვანს, რომლის მშობელიც მხარდამჭერის მიმღებად იქნა ცნობილი. მშობელი არ არის მხოლოდ კანონიერი წარმომადგენელი, მას აკისრია ასევე ბავშვის აღზრდისა და მასზე ზრუნვის

¹⁵ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 12.

¹⁶ შდრ. BayObLG FamRZ 1997, 1553; 1999, 179; 1999, 316.

ვალდებულება. შესაძლოა არსებობდეს შემთხვევა, როდესაც მხარდაჭერის მიმღებ მშობელს მხარდამჭერის დახმარებით შეუძლია ნამდვილი ნების გამოვლენა, მაგრამ ფაქტობრივად არ შეუძლია პიროვნულად იზრუნოს ბავშვზე. ასეთ დროს შესაძლოა, ფაქტობრივად დადგეს მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნის საჭიროება. იგივე ითქმის 1293 IV მუხლის შემთხვევაშიც, როდესაც მხარდაჭერის მიმღები მშობლის ნაცვლად ნებას ავლენს მხარდამჭერი და ამით ახორციელებს ბავშვის კანონიერ წარმომადგენლობას. ნებისმიერ შემთხვევაში მხარდამჭერი მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში შეიძლება დაეხმაროს მშობელს. მშობელმა კი, წარმომადგენლობის გარდა, ასევე უნდა იზრუნოს ბავშვზე, აღზარდოს იგი.

საბოლოო ჯამში, როდესაც მშობელი არის მხარდაჭერის მიღებად ცნობილი, 1275-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება მაინც არ უნდა იქნეს გამართლებულად მიჩნეული. თუ მშობელი მხარდაჭერის მიღების შემდეგ სრულყოფილად ახორციელებს თავის (ზრუნვის, აღზრდის) უფლება-მოვალეობებს, მაშინ არ არსებობს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საჭიროება. ხოლო თუ მას ამ ფუნქციების შესრულება არ შეუძლია, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ან შეეზღუდოს მშობლის უფლებამოსილება და მეურვისა თუ მზრუნველის დანიშვნა უნდა დაეფუძნოს ამ სამართლებრივ (და არა ფაქტობრივ) საფუძველს. მშობლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა არ არის თვითკმარი საფუძველი მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებისთვის.

როდესაც მშობელს რაიმე ისეთი საფუძველით არ შეუძლია ბავშვზე ზრუნვა, რომელიც არ არის ხანგრძლივი,¹⁷ არამედ მხოლოდ დროებითია, ასეთ დროს არ არსებობს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საჭიროება.¹⁸ ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება დანესდეს, მაგალითად, ქონების მეურვე.

თუ ბავშვზე მშობლის უფლებები აქვს ორივე მშობელს, მაშინ საჭიროა, რომ ორივე¹⁹ მათგანის შემთხვევაში იყოს შეწყვეტილი ბავშვზე ზრუნვა ამა თუ იმ საფუძველით.²⁰ რომელმა მშობელმა რა საფუძველით შეწყვიტა ზრუნვა ბავშვზე, არ აქვს მნიშვნელობა და ეს საფუძველი შეიძლება თითოეული მათგანის შემთხვევაში სხვადასხვა იყოს. ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ერთი მშობლის მიერ ზრუნვის შეწყვეტა არ არის საკმარისი. მაგალითად, თუ გარდაცვლილად გამოცხადდება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ან მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუწყდება მშობლის უფლებები, ბავშვი ჯერ კიდევ არ ითვლება მშობლის ზრუნვის გარეშე დარჩენილად. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს მეურვის დანიშვნას.²¹

როდესაც ბავშვზე სამართლებრივ ზრუნვას ახორციელებს მხოლოდ ერთი მშობელი და ის ნყვეტს ამას 1275-ე მუხლში დასახელებული რაიმე მიზეზით, მაშინ მეურვეობისა თუ მზრუნველობის დაწესებამდე უნდა შემოწმდეს, ხომ არ შეიძლება ეს უფლებამოსილება გადავიდეს მეორე მშობელზე.²² ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა სწორედ ბავშვის მშობელს უნდა მიენიჭოს. შედეგად არ არსებობს მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების საჭიროება. სანამ გადაწყდება მეორე მშობლისთვის ბავშვზე ზრუნვის უფლებამოსილების გა-

¹⁷ იხ. მაგ., LG Brandenburg ZKJ 2009, 293.

¹⁸ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 12.

¹⁹ Bettin, in BeckOK BGB, 57. Ed. 1.2.2021, § 1773 Rn. 2.

²⁰ Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 8.

²¹ Kemper, R., in Schulze, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, § 1773 Rn. 3.

²² OLG Karlsruhe FamRZ 2003, 1768; Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 10, 11.

დაცემის საკითხი, ბავშვზე მეურვეობა და მზრუნველობა უნდა განახორციელოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, რისთვისაც 1282 III მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს ანალოგიით.

არასრულწლოვნისთვის მეურვეობისა და მზრუნველობის დანესების მიზანი მისი ინტერესების დაცვაა. ეს ემსახურება არა მხოლოდ მისი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას, არამედ ასევე მის აღზრდას. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მშობლის ზრუნვის სრულად ჩანაცვლება.

1275 I მუხლში არსებული ჩანაწერი, რომ არასრულწლოვანს უნესდება მეურვე და მზრუნველი, ერთი შეხედვით, ისე იკითხება, თითქოს შესაძლებელია პირს ორივე მათგანი ერთდროულად ჰყავდეს, რაც არასწორია. 1276-ე და 1277-ე მუხლებით, გადამწყვეტია პირის ასაკი. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა ფორმულირება „არასრულწლოვანს ენიშნება მეურვე ან მზრუნველი“. დღეს არსებული ჩანაწერიც ამ შინაარსით უნდა იქნეს გაგებული. აქ, რეალურად, საქმე ეხება *ექსკლუზიას* და არა *კონიუნქციას*.²³ „და“ კავშირი სინამდვილეში აკავშირებს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივას: საჭიროებისას არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მეურვე და არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მზრუნველი. მაგრამ ორივე მათგანი ერთდროულად ვერ მოხდება. ანუ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი შემთხვევის წინაპირობებია სახეზე, ან ერთი უნდა დაენიშნოს, ან მეორე.

აღსანიშნავია, რომ მუხლში ტერმინი „გარდაცვლილად აღიარება“ არასწორადაა გამოყენებული, რადგანაც, 22-ე მუხლის თანახმად, ხდება პირის გარდაცვლილად გამოცხადება და არა აღიარება.

IV. მეურვეობა

1276-ე მუხლი ადგენს მეურვეობის დანესების კიდევ ერთ წინაპირობას. კერძოდ, ის განსაზღვრავს პირთა წრეს, თუ ვის შეიძლება დაენიშნოს მეურვე. სწორედ პირთა წრეა ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება მეურვეობის და რა შემთხვევაში - მზრუნველის ინსტიტუტი.

ქართველმა კანონმდებელმა აირჩია მიდგომა, რომლის მიხედვითაც მეურვეობასა და მზრუნველს შორის გამიჯვნა პირის ქმედუნარიანობას უკავშირდება. სწორედ ამიტომ ენიშნებოდათ ქმედუნარო სრულწლოვან პირებსაც 2015 წლამდე მეურვე. დღეს ამ ინსტიტუტის გამოყენება მხოლოდ 7 წლამდე პირების მიმართ შეიძლება, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ სრულწლოვანი პირის ცნობა ქმედუნაროდ არ შეიძლება, საბოლოო ჯამში, მეურვეობის გამოყენება დღესაც სწორედ ქმედუნარობაზეა მიბმული. ამის საპირისპიროდ, გერმანიაში მეურვესა და მზრუნველს შორის გამიჯვნა პირთა წრის მიხედვით ეფუძნება ამ პირთა სრულწლოვანებას. არასრულწლოვანს ენიშნება მეურვე, სრულწლოვანს - მზრუნველი. შედეგად საქართველოსა და გერმანიაში არც მეურვის და არც მზრუნველის ფუნქციები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამგვარი გადანწყვეტით ქართველმა კანონმდებელმა წინ წამოწია მეურვისა და მზრუნველის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები და გრადაცია მოახდინა იმისდა მიხედვით, თუ რა დონის დახმარება ესაჭიროება პირს გარიგებების დადებაში - პირი ვერ ავლენს ნამდვილ ნებას და მის მაგივრად ეს უნდა გააკეთოს სხვამ (მეურვემ) თუ პირი ავლენს მერყევად ბათილ ნებას და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სხვა პირის (მზრუნვე-

²³ Joerden, J. C., Logik im Recht, 3. Auflage 2018, 8.

ლის) მონონებაზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის ინიცირებისას²⁴ (გარდა სრულწლოვანი ქმედუუნარო პირებისა) იგეგმებოდა მეურვეობის დაწესების შესაძლებლობა ასევე 15 წლამდე პირებისთვის, ხოლო მზრუნველობის დაწესება - 15 წლიდან. თუმცა ეს შემოთავაზება უარყოფილ იქნა და კანონპროექტის მესამე მოსმენით²⁵ განხილვისთვის წარდგენილ ვერსიაში უკვე ვხვდებით მითითებას 7 წელზე. ასეთ ასაკად 15 წლის შერჩევის რაიმე ლოგიკური არგუმენტით გამყარება²⁶ რთული იქნებოდა.

V. მზრუნველობა

1. ზოგადი

1277-ე მუხლი, 1276-ე მუხლის დარად, ადგენს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მზრუნველობა. განსხვავებით მეურვეობისგან, ის შეიძლება დაწესდეს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირის მიმართ.

2. არასრულწლოვანის მზრუნველობა

1277 | 1 მუხლი განაგრძობს 1275 | მუხლით მზრუნველობისთვის დაწესებულ წინაპირობებს. არასრულწლოვანს მზრუნველობა უწესდება, თუ ამ წინაპირობებთან ერთად იგი არის 7-დან 18 წლამდე ასაკის. ძალაში რჩება მოთხოვნა, რომ მშობელი მასზე არ უნდა ზრუნავდეს რაიმე შესაბამისი საფუძვლის გამო. განსხვავებით სრულწლოვანისგან, არასრულწლოვანისთვის მზრუნველობის დაწესებისთვის არ არის საჭირო მისი თანხმობა. მზრუნველობა არის სახელმ-

ნიფოს საშუალება, დაიცვას არასრულწლოვანის პიროვნული და ქონებრივი ინტერესები და ამას ის ახორციელებს არა მხოლოდ ქმედუუნარო პირისთვის²⁷ განკუთვნილი მეურვეობით, არამედ ასევე სწორედ მზრუნველობის ინსტიტუტის დახმარებით. განსხვავებით მეურვეისგან, მზრუნველს შეუძლია არა მხოლოდ გამოავლინოს ნება, როგორც კანონიერმა წარმომადგენელმა, არამედ ასევე მისცეს თანხმობა სამზრუნველო პირს, რომ მან დადოს გარიგება.

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა რთული აღმოჩნდეს პირის სრულწლოვანების დადგენა. მაგრამ ეს მზრუნველობის დაწესებისთვის გადამწყვეტია, რადგანაც, თუ სახეზე არ არის 1277 | 2 ან 16 | 1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, მაშინ სრულწლოვანისათვის მზრუნველობის დაწესება დაუშვებელია.

3. სრულწლოვანი პირის მზრუნველობა

სამოქალაქო კოდექსი იცნობს სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დაწესების ორ შემთხვევას: 1277 | 2 მუხლის ან 16 | 1 მუხლის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველობის დაწესება სცილდება საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს, ეს შემთხვევა მაინც კოდექსის ამ წიგნშია მოწესრიგებული.

3.1. მზრუნველობის დაწესება სრულწლოვანი პირის მიმართ, 1275 II

მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ ასევე

²⁴ იხ. სამოქალაქო კოდექსის ინიცირებული ვერსია, მუხლი 1248.

²⁵ იხ. სამოქალაქო კოდექსის კანონპროექტის მესამე მოსმენით განსახილველი ვერსია, მუხლი 1276.

²⁶ გარდა იმისა, რომ საბჭოთა საქორწინო და საოჯახო კოდექსში იყო მითითება 15 წელზე. იხ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსი, მუხლი 129.

²⁷ შდრ. მუხ. 1276-ის კომენტარი.

სრულწლოვანი პირის მიმართაც, თუკი მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები. აქაც შენარჩუნებულია პირველი ნაწილის პრინციპი: პირს უნდა ჰქონდეს ზრუნვის საჭიროება და ზრუნვის დაწესების მიზანი მისივე უფლებების დაცვაა. მაგრამ, განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევისგან, სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დაწესება არ ემსახურება მის აღზრდასა და მშობლისეული ზრუნვის უზრუნველყოფას, არამედ მხოლოდ პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას.

1275 II მუხლი ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი თავისი ნებით აცხადებს თანხმობას ან სურვილს, დაენიშნოს მზრუნველი. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა მზრუნველობის დაწესება 16 I 1 მუხლის შესაბამისად ან მხოლოდ მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტის გამოყენება.

1275 II მუხლში კიდევ უფრო მძიმე საკანონმდებლო ხარვეზია, ვიდრე მუხლის პირველ ნაწილში. ნორმა მიუთითებს, რომ სრულწლოვან პირს შეიძლება დაენიშნოს მეურვე და მზრუნველი. განსხვავებით მუხლის პირველი ნაწილისგან, აქ „და“ კავშირის „გამომრიცხავი ალტერნატივის“ მნიშვნელობაზე ვერ იქნება საუბარი, რადგანაც საერთოდ შეუძლებელია სრულწლოვან პირს რაიმე შემთხვევაში დაენიშნოს მეურვე. აღნიშნული ჩანაწერი დარჩენილია კოდექსის ძველი რედაქციიდან, სანამ გაუქმდებოდა სრულწლოვანი პირისთვის მეურვის დანიშვნის შესაძლებლობა. 2015 წლის 1 აპრილიდან დაკარგა ძალა ნორმამ, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ

აღიარებულ სრულწლოვან პირსაც მეურვე ენიშნებოდა.²⁸ ამიტომ ცვლილება უნდა შესულიყო 1275 II მუხლშიც და აქედან მეურვეობაზე მითითება უნდა ამოშლილიყო. მიუხედავად ამ მუხლის ამგვარი ჩანაწერისა, ისტორიული (და სისტემური) განმარტება გამორიცხავს ნორმის ისეთ ინტერპრეტაციას, რომ რაიმე შემთხვევაში სრულწლოვან პირსაც დაენიშნოს მეურვე.

3.2. მზრუნველობის დაწესების წინაპირობები

1277 I 2 მუხლი განსაზღვრავს სრულწლოვანი პირისთვის მზრუნველის დაწესების (დამატებით) წინაპირობებს. მუხლი, ერთი მხრივ, სიტყვასიტყვით იმეორებს 1275 II მუხლის ჩანაწერს, მეორე მხრივ, უთითებს მზრუნველობის დაწესებისთვის სამზრუნველო პირის „თხოვნის“ აუცილებლობაზე. 1275 II მუხლის ჩანაწერის გამეორება სრულიად ზედმეტია და ყოველგვარ აზრს მოკლებულია. აღნიშნული წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს, რადგანაც კანონში ნორმები არ უნდა მეორდებოდეს. მართებული იქნებოდა, 1275 II მუხლი საერთოდ თუ არ იარსებებდა²⁹ და ამით საკანონმდებლო ტავტოლოგია თავიდან იქნებოდა არიდებული.

რაც შეეხება, სამზრუნველო პირის „თხოვნას“, სწორედ ეს არის სრულწლოვანი პირის შემთხვევაში მზრუნველობის ინსტიტუტის გამოყენების ფუნდამენტური წინაპირობა, რომლის საფუძველზეც შეიძლება მისი გამიჯვნა მხარდაჭერის ინსტიტუტისგან. განსხვავებით გერმანული სამართლისგან, საქართველოში შეუძლებელია 1277 I 2 მუხლის გამოყენება, თუ სახეზე არ არის თავად

²⁸ გერმანიაში აღნიშნული გაუქმდა 1992 წელს, Spickhoff, in Münchener Kommentar BGB, 8. Auflage 2020, § 1773 Rn. 5.

²⁹ იგივე ითქმის მთლიანად 1275 მუხლზეც, რადგანაც ყველაფერი, რაც ამ მუხლში წერია, მეორდება მომდევნო მუხლებში. იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

სამზრუნველო პირის მოთხოვნა. მზრუნველობის მიღება არის იმ პირის უფლება, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროება დახმარება საკუთარი უფლებების განსახორციელებლად. მისი იძულება, გამოიყენოს ეს უფლება, შეენიანააღმდეგებოდა ამ პრინციპს. 14 II მუხლით, პირი, რომელსაც სასმართლომ დაუწესა მზრუნველობა, ხდება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. ეს კი მხოლოდ მისი მოთხოვნით შეიძლება მოხდეს. ერთადერთი გამონაკლისია 16 I მუხლი, რომელზეც უთითებს 1277 II მუხლი.

3.3. მზრუნველის დანესება პირის სურვილის საწინააღმდეგოდ

1277-ე მუხლი უთითებს მზრუნველობის დანესების შესაძლებლობაზე 16 I 1 მუხლის შესაბამისად. 16 I 1 მუხლით შესაძლებელია პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა და მისთვის მზრუნველის დანესება მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც, თუ სახეზეა შესაბამისი წინაპირობები. ამ ნორმის მიზანია პირის ოჯახის დაცვა და არა თავად ამ პირის დახმარება, უკეთ განახორციელოს უფლებები.

1277 II მუხლი უთითებს მთლიანად მე-16 მუხლზე. შესაბამისად, ძალაშია ასევე 16 I 2 მუხლი და სრულწლოვან პირს, რომელსაც მზრუნველი დაენიშნა 1277 I 2 მუხლის მიხედვით, მაინც შეუძლია დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი ყოფითი გარიგება.

VI. მხარდაჭერა

1. მხარდაჭერის არსი

მხარდაჭერა გულისხმობს მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების სათანადო რჩევის მიცემასა და დახმარებას, მიიღოს ინფორმირებული და გააზრებული გადაწყ-

ვეტილება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში (მე-12, 1289-ე მუხლები). ამ თვალსაზრისით, მხარდაჭერა მნიშვნელოვნად განსხვავდება მზრუნველობისა და მეურვეობისაგან, რა დროსაც მეურვე/მზრუნველი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და მისი ფუნქცია არა სამზრუნველო/სამეურვეო პირის სათანადო რჩევაში, არამედ მის ნაცვლად ნების გამოვლენაში ან გარიგების დადებისას თანხმობის მიცემაშია (1290-ე მუხლი). თუმცა, არსებობს გამონაკლისიც. იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის მიმღების მიერ პირადად ნების გამოვლენა ობიექტურად შეუძლებელია ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ეს საზიანოა მხარდაჭერის მიმღების ინტერესებისთვის, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით დადოს აუცილებელი გარიგებები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარდამჭერი ავლენს ნებას მხარდაჭერის მიმღების ნაცვლად, რითაც იგი წარმომადგენლობითი ფუნქციით მეურვესა და მზრუნველს უტოლდება.

2. საკანონმდებლო მოწესრიგება

1275 III მუხლი წარმოადგენს კანონმდებლის წარუმატებელ მცდელობას, განმარტოს მხარდაჭერის ცნება ან თუნდაც განსაზღვროს მისი წინაპირობები. მუხლის ტექსტი აქაც, ფაქტობრივად იმეორებს, 1277¹ მუხლის შინაარსს. განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ის, რომ კანონმდებელმა სპეციალურად ჩაამატა ახალი მუხლი 1277-ე და 1278-ე მუხლებს შორის, რათა გაემეორებინა 1275 III მუხლის ჩანაწერი. სავარაუდოდ, ეს იყო მცდელობა, შენარჩუნებულიყო ვიზუალური სიმეტრია და ცნებების განსაზღვრის (1275 მუხლის) შემდეგ თითო მუხლი დათმობოდა ამ სამი სამართლებრივი ინსტიტუტიდან თითოეულს. მაგრამ, რე-

ალურად, არც 1275-ე მუხლშია ცნებები განმარტებული და არც ეს სამი ინსტიტუტი არაა თანაბრად გადანაწილებული სამ მუხლში. ნებისმიერ შემთხვევაში კანონმდებელს ან 1275 III მუხლზე უნდა ეთქვა უარი, ან 1277¹-ზე.

1277¹ მუხლი თითქმის დაცლილია შინაარსისგან და, 1275-ე მუხლის გათვალისწინებით, არაფერს განსხვავებულს არ არეგულირებს. 1277¹ მუხლი, ერთი შეხედვით, თითქოს მხარდაჭერის არსსა და ცნებას განსაზღვრავს, თუმცა ეს მცდელობა ისევე წარუმატებელია, როგორც 1275-ე მუხლის შემთხვევაში.³⁰ ნორმა არ განსაზღვრავს არც მხარდაჭერის დადგენის წინაპირობებსა და არც - სამართლებრივ შედეგებს.

მუხლის სათაური ზედმეტად აბსტრაქტულია³¹ და არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელსაც იგი ეხება.

3. ისტორიული კონტექსტი

მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღება უკავშირდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებას,³² რომლის შედეგადაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო³³ პირის ქმედუნაროდ მიჩნევას ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. უფრო ზუსტად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავად ქმედუნარიანობის ჩამორთმევა არ ეწინააღმდეგება კონს-

ტიტუციას და არ არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, თუმცა არაპროპორციულია ფსიქიკური დარღვევის ტიპის გათვალისწინების გარეშე განურჩევლად ყველა პირის ქმედუნაროდ ცნობა.³⁴ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს დარღვევის სიმძიმე, მისი შესაძლო შედეგები და თუ რა სახის ქმედებების გაცნობიერების უნარი გააჩნია პირს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა 2015 წლის 20 მარტის საკანონმდებლო ცვლილებას. შედეგად სამოქალაქო კოდექსში შემოტანილ იქნა მხარდაჭერის ინსტიტუტი, რომელმაც სრულად ჩაანაცვლა სრულწლოვანი პირის ქმედუნარობის მომწესრიგებელი ნორმები. ახალი რედაქციით დამკვიდრდა მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის ცნებები, თუმცა სამოქალაქო კოდექსში თავად მხარდაჭერა პირდაპირ არსად არაა განმარტებული. ამის მიუხედავად, მხარდაჭერის ცნებისა და არსის დადგენა შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში განერილი მხარდამჭერის უფლებამოვალეობების გათვალისწინებით.

4. სამართლებრივი ურთიერთობის მხარეები

მხარდაჭერისათვის საჭიროა, სულ მცირე, ორი სუბიექტი - მხარდაჭერის მიმღები და მხარდამჭერი.

³⁰ იხ. ამასთან დაკავშირებით 1275-ე მუხლის კომენტარი.

³¹ ფრაი, *კ.სირდაძე*, ლ., კანონის ნორმების დასათაურება, *შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი*, 4/2019, 13.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³³ იხ. მე-12 და 1276-ე მუხლის 2015 წლის 1 აპრილამდე მოქმედი რედაქცია.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42.

4.1. მხარდაჭერის მიმღების საკანონმდებლო დეფინიცია

მხარდაჭერის მიმღები განმარტებულია სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლში, რომლის მიხედვითაც, იგი არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ეს დაბრკოლებები, სათანადო დახმარების გარეშე, მნიშვნელოვნად უნდა ართულებდეს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

ცნების ამგვარად ჩამოყალიბებით კანონმდებლის მიზანი იყო, შეექმნა მოქნილი სამართლებრივი რეგულაცია, რომლის ფარგლებშიც, შენარჩუნებული იქნებოდა პირის ქმედუნარიანობა, ხოლო მხარდაჭერის მიმღების დაცვითი ღონისძიებები იქნებოდა ფაქტობრივი რეალობის თანაზომიერი.³⁵ თუმცა, დასაფიქრებელია, კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპები რამდენად ქმედითია და რამდენად აღწევს დასახულ მიზანს.

4.2. „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი გაიგეგვებულია მხარდაჭერის მიმღებთან. თავად ტერმინი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ არც

სამოქალაქო და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სხვაგან აღარ გვხვდება. სამოქალაქო კოდექსის ხსენებული ნორმის გარდა, ეს ტერმინი განსაზღვრულია მხოლოდ „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი არის პირი, რომლის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის საკითხი განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამ ნორმაში ლოგიკური შეცდომაა, ვინაიდან თუკი პირი უკვე არის აღიარებული ფსიქოსოციალური საჭიროების მქონედ, მაშინ მისი ასეთად ცნობის საკითხის განხილვა, ბუნებრივია, აღარ არის საჭირო, ხოლო თუ იგი ასეთად სამომავლოდ უნდა იქნეს ცნობილი, მაშინ მანამდე მას ეს სტატუსი ვერ ექნება. საჭიროების მქონე პირი განმარტებული უნდა იყოს, როგორც პირი, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ეს ასევე გამართლებულია იმითაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ მოიძებნება ნორმა, რომელიც პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის საკითხს განსაზღვრავს. საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას და სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც ასე მიეთითება. ზოგადად, გაუმართლებელია კანონმდებლობაში სამართლებრივი ტერმინების სინონიმების ხელოვნურად გაჩენა, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ორი იდენტური შინაარსის ტერმინის განსაზღვრა ხშირად უფრო მეტ გაურკვევ-

³⁵ იხ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველო კანონის პროექტის (№ 07-3/415/8) განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/64346>
? (უკანასკნელად ნანახია 01.06.2021).

ლობას იწვევს და უშინაარსო და უსარგებლო ნორმების საფუძველი ხდება.

4.3. კრიტიკრიუმები მხარდაჭერის მიმღებად მისაჩნევად

12 IV მუხლში ზუსტად არის განწერილი, თუ ვინ შეიძლება იყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ასეთად ჩაითვალოს პირი, რომელიც ერთდროულად არის ბრმა და ყრუ-მუნჯი ან პირი, რომელიც წლებია, კომაში იმყოფება. არც ერთი მათგანის მდგომარეობა თავის თავში არ გულისხმობს არც ფსიქიკურ და არც ინტელექტუალურ დარღვევას, თუმცა, ფაქტია, რომ ხსენებული პირები, როგორც წესი, ფიზიკური მიზეზის გამო ვერ ავლენენ

ნებას. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია მათი მხარდაჭერის მიმღებად ცნობა ანალოგიის გზით. მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს ესაჭიროებათ დამხმარე, რომელიც მათ დაეხმარება ნების გამოვლენაში ან (შესაბამის შემთხვევებში) გამოავლენს ნებას მათ ნაცვლად.

აღსანიშნავია, რომ ანალოგია არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირს შეზღუდული აქვს გარიგების თავისუფლად დადების შესაძლებლობა, მაგრამ ნების ფორმირება და მისი გამოვლენა უპრობლემოდ შეუძლია. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მხოლოდ ბრმა ან მხოლოდ ყრუ-მუნჯი, ან სმენადაქვეითებული პირის მიერ ნების გამოვლენა. ამ შემთხვევაში მათ სჭირდებათ ტექნიკური დახმარება და არა მხარდაჭერა.

ინტერნეტ სამართალი, როგორც სამართლის ახალი დარგი

პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე სამართალი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ტექნოლოგიურმა რევოლუციურმა პროგრესმა დღის წესრიგში დააყენა არაერთი ისეთი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, რომელიც მანამდე ან საერთოდ არ არსებობდა, ან/და მისი არსით წარმოუდგენლადაც კი მიიჩნეოდა.

სამართლის თეორია სამართლის დარგად მიიჩნევს იურიდიული ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს არეგულირებს.

სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს შორის განმასხვავებელ კრიტერიუმად სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი მიიჩნევა. სამართალი თავისი საგნის კვლევისას მეტწილად ეყრდნობა სხვა მეცნიერებათა დასკვნებს. სამართალი რეალობას შეეხება. სამართლის შესახებ მოსაზრების გამოთქმის წინაპირობა რეალობის შესახებ ცოდნაა¹.

სამართალმცოდნეობა ამ ცოდნას თავის თავში არ მოიცავს. ამ დანაკლისის შესავსებად მან უნდა უზრუნველყოს სხვა დისციპლინათა ცოდნაზე წვდომა ამ დისციპლინების ექსპერტებთან კონსულტაციის გზით². ინტერდისციპლინური

შრომის დანაწილება თანამედროვე მეცნიერების ხარისხის ნიშანია. განსხვავებით სამართლის საფუძვლების დარგებისაგან, რომლებიც სამართლის გასააზრებლად თავად იღწვიან, ეს მეცნიერებები თავისთავად სამართლის შესახებ ცოდნას კი არ იძლევიან, არამედ ცოდნას, რომელსაც სამართალმცოდნეობა შეიძლება დაეყრდნოს³. ამიტომ სამართალმცოდნეობის გადმოსახედიდან ისინი დამხმარე მეცნიერებებს წარმოადგენენ. მაგალითად შეიძლება ვახსენოთ, ეკონომიკური მეცნიერებები⁴ (საბანკო და სადაზღვევო საქმე). ეს მეცნიერებები სამართალმცოდნეობას აწვდიან ცოდნას, რომელსაც თავისი ბუნებით სამართლებრივი შინაარსი არ გააჩნია, მაგრამ სამართალმცოდნეობისათვის ამ ცოდნის მიღება დახმარებაა⁵.

ინტერნეტ სამართალი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად აუცილებელია თანამედროვე სამართალში ინტერდისციპლინური დარგების და სამეცნიერო კვლევების განვითარება. თანამედროვე მეცნიერებაში უდავოაა მიჩნეული ინტერდისციპლინური კვლევების განვითარების აუცილებლობა⁶.

ჯერ თანამედროვე კომპიუტერების, ხოლო შემდგომ ინტერნეტ ქსელის გაჩენამ მსოფლიო-

¹ მუტჰორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი-ცნება-სისტემა, 2019, 29.

² Johnson D.R./Post D.G., And How Shall the Net Be Governed? A Meditation on the Relative Virtues of Decentralized, Emergent Law // Coordinating the Internet, 1997, 62-91 (<http://www.cli.org/emdraft.html>) (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

³ იქვე, 29.

⁴ Tschentscher A., Grundprinzipien des Rechts, 2003, 61, 65 f.

⁵ იქვე, 62.

⁶ Bertrand A., Piette-Coudol Th. Internet et le droit. P., 1999, 4-27.

<https://halldulivre.com/livre/9782130511281-internet-et-le-droit-andre-bertrand-thierry-piette-coudol/> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

სთვის სხვა რეალობა წარმოშვა. *Encyclopaedia Britannica*-ს მიხედვით, „ინტერნეტი არის ქსელი, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს სხვა კომპიუტერულ ქსელებს ერთიან სისტემაში და დაფუძნებულია მისამართების ერთიან სისტემასა და განაწესების სისტემაზე, რომლებიც იძლევა ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას“⁷.

ინტერნეტ ქსელის დაბადების თარიღად 1991 წლის იანვარი შეიძლება ჩაითვალოს. ინტერნეტ ქსელის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის CERN-ის (ჟენევა, შვეიცარია) შვეიცარიელმა მეცნიერებმა, რომელთაც თავმჯდომარეობდა ტიმოთი ბერნერს-ლი. 1991 წლის იანვარში მათ შექმნეს ინფორმაციის გადაცემის განაწესი, ანუ HTML. დოკუმენტების აღწერის ენა HTML (Hypertext Markup Language), რის შემდეგაც დაიბადა სერვისი World Wide Web (www), ანუ შემოკლებით Web. კლიენტებსა და სერვერებს შორის HTML-დოკუმენტების გაცვლისათვის გამოიყენებოდა ინტერნეტ-განაწესი HTTP (Hypertext Transfer Protocol)⁸.

World Wide Web, ან უბრალოდ Web, წარმოადგენდა ინფორმაციის წარმოდგენის და გაცვლის სისტემას. ინტერნეტ ქსელში სწორედ www იძლეოდა და დღემდე იძლევა ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენის საშუალებას. ტიმ ბერნერს-ლი-მ მთელ კაცობრიობას უფასოდ, საჩუქრად გადასცა თავისი გამოგონება. ამან აქცია ინტერნეტი საყოველთაო სარგებლობის სისტემად⁹.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იმდენად ინტენსიურად განვითარდა ინტერნეტის ქსელი, რომ პრაქტიკულად დედამიწის მოსახლეობის

უდიდესი ნაწილის ყოველდღიურ ცხოვრებაში შეაღწია. „ენციკლოპედია ბრიტანიკას“ მონაცემებით, 2020 წლისთვის ინტერნეტზე წვდომა დაახლოებით 4,5 მილიარდ ადამიანს ჰქონდა დედამიწაზე¹⁰. გაჩნდა მანამდე უცნობი, სრულიად ახალი ტექნოლოგიები, რომელთა მუშაობის პრინციპსაც სწორედ ინტერნეტის გამოყენება წარმოადგენს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ძველი და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები – ვიდეო და მულტიმედიური ტექნოლოგიები, ობიექტურ-ორიენტირებული, ჰიპერტექსტების და მეტყველების დამუშავების ტექნოლოგია, ელექტრონული ფოსტის და ელექტრონული ოფისის ტექნოლოგია, ცოდნის მართვის ტექნოლოგია, ინტერნეტ-ტექნოლოგია, CASE-ტექნოლოგია, ინტეგრირებული ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომუნიკაციის ფუნქციების ავტომატიზაციის ტექნოლოგია და სხვ.¹¹.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გაჩენამ ხელი შეუწყო სრულიად ახალი ონლაინ-ინდუსტრიის განვითარებას. განვითარდა უდიდესი პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვისის მიმწოდებელი კომპანიები. საუკეთესო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომპანია „მაიკროსოფტი“¹².

ინტერნეტის ქსელის განვითარებამ წარმოშვა და განავითარა ელექტრონული კომერცია (ე.წ. e-Commerce), რომელმაც ახალი ხედვა და ელფერი შესძინა მსოფლიო ვაჭრობას¹³. ამის საუკეთესო მაგალითია მსოფლიოში ცნობილი კომპანია „ამაზონი“¹⁴, რომელიც მსოფლიოში ვაჭრობის უპირობო ლიდერია და პრაქტიკულად არც ერთი მაღაზია არ გააჩნია¹⁵. მისი მი-

⁷ იხ. <https://www.britannica.com/technology/Internet>.

⁸ კვიციანი თ., ინფორმაციის ისტორია, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018, 40-41 იხ. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/265735/1/Informatikis_Istoria.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

⁹ იქვე, 41.

¹⁰ იქვე, <https://www.britannica.com/technology/Internet>.

¹¹ ჯაფარიშვილი ც./ტიკიშვილი მ., ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში. ლექციების კურსი, 19. იხ. <http://ekobizit.economics.tsu.ge/biznesiARCEVITS.pdf> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

¹² www.microsoft.com.

¹³ *Baillet F.*, Internet: le droit du cybercommerce.

Issy- les-Moulineau. Strategies. 2000, 135-154.

¹⁴ www.amazon.com.

¹⁵ 2021 წლის ზაფხულში ამაზონის დამფუძნებელმა ჯეფ ბეზოსმა წარმოადგინა ახალი ინოვაციური პროექტი „Amazon Go“, სადაც შესაძლებელია როგორც პლატფორმის გამოყენებით ნებისმიერი საკვები პროდუქტის გამოწერა, ასევე რეალურად მაღაზიებში მისვლა და შეძენა ერთი გამონაკლისით – მაღაზიებში გამყიდველები არ დაგზავდებოთ. არჩევთ სასურველ პროდუქტებს, სპეციალური აპარატურა აპლიკაციას აწვდის შერჩეული პროდუქტების ჩამონათვალსა და ფასებს და ამოსვლისას ელექტრონულად გეჭრებათ ავტომატურად ბართიდან თანხა. იხ.

ლიარდობით აშშ დოლარის ბრუნვა მთლიანად ონლაინ ვაჭრობაზეა აგებული.

განსხვავებული მიწოდების ფორმა და არსი შეიძინა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. განსაკუთრებით განვითარდა სოციალური მედიის სამართალი. მის განვითარებას განსაკუთრებულად ხელი შეუწყო სოციალური ქსელების გაჩენამ. დღეს პრაქტიკულად მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციას – როგორც ოფიციალურს ან/და ზუსტ, ასევე ყალბ (ე.წ. „ფეიკ ნიუსები“¹⁶) სწორედ სოციალური ქსელებიდან იღებს.

ინტერნეტის განვითარებამ წარმოშვა სრულიად ახალი ტექნოლოგიები, რის საუკეთესო მაგალითსაც ბლოკჩეინ ტექნოლოგია წარმოადგენს. აღნიშნულმა ტექნოლოგიამ, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ფულადი ვალუტების ალტერნატიული – ციფრული, კრიპტოვალუტების განვითარებას. ცნებები „ბიტკოინი“ და „ეთერიუმი“ საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული გახდა. აღნიშნულმა კრიპტოვალუტებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კრიპტობირჟებისა და ახალი ბიზნეს სფეროების გაჩენას.

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ როგორ შეცვალა ადამიანთა ხედვა ინტერნეტის განვითარებამ კომუნიკაციების საშუალებებზე. ტელევიზიები სრულად გადადიან ციფრულ მაუნყებლობაზე, სახლის ტელეფონები ჯერ ჩაანაცვლა მობილურმა ტელეფონებმა, ხოლო შემდეგ ისინი – სმარტფონებმა. გაჩნდა ახალი მსოფლიო გიგანტი „ეპლი“ („Apple“), რომლის სმარტფონების ინდუსტრიამ და ახალი თაობის ლეპტოპებმა, აიფონებმა და აიპადებმა, პრაქტიკულად მე-20 საუკუნის 70–იან–80–იან წლებში არსებული საშუალო ზომის ტექნოლოგიური კომპანია მსოფლიო ლიდერად აქცია.

დაბოლოს, ინტერნეტის და ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა სრულიად ახალი ფენომენი – ხელოვნური ინტელექტი. ხელოვნურმა

ინტელექტმა ადამიანთა ფანტაზია დღეისათვის რეალობად აქცია. თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის პროგრამები წარმატებითაა დანერგილი ტრანსპორტის, კომუნიკაციის, სამხედრო, ბიზნეს და სხვა სექტორებში. თანამედროვე ინტერნეტ სამართლის სპეციალისტებში გაჩნდა არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა მომავალში შესაძლებელია, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ტრადიციული ხედვის გადახედვაც კი გამოიწვიოს. ზოგიერთი მეცნიერი უკვე საუბრობს სამართალში „ელექტრონული პირის“ გაჩენის შესახებ¹⁷. აღნიშნულ ტერმინს იყენებს ევროპარლამენტი თავის ოფიციალურ დოკუმენტაციაში¹⁸.

ინტერნეტის ასეთი ტემპით განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება¹⁹. ნათელი გახდა, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებას როგორც პროგრესი, ასევე ბევრი პრობლემა მოუტანა. დღის წესრიგში დადგა ისეთი პრობლემების რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც მანამდე არსებულ ცხოვრებისეულ გარემოში არც ისე მტკივნეულად აღიქმებოდა. ყველაზე მეტად ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრობლემებს შეეხო.

ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით (პ.1); ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია (პ. 2). ამასთან, კონსტიტუციის მე-17 მუხლი (აზრის,

<https://www.amazon.com/b?ie=UTF8&node=16008589011> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

¹⁶ იხ. <http://ghn.ge/news/215205> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

¹⁷ Brant, T., "EU: Robot Workers Are 'Electronic Persons'." PCMag. PCMAG.COM, 22 June 2016. Web. 12 Jan. 2017. <https://www.pcmag.com/news/345515/eu-robot-w>

orkers-are-electronic-persons (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

¹⁸ იხ. <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/news/ethics-guidelines-trustworthy-ai> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

¹⁹ იხ. EU Internet Law in the Digital Era, Regulation and Enforcement. Sinodinou T., Jougleux P., Markou C., Prastitou T. (Eds.), 2020, 5.

ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები) ითვალისწინებს, რომ „ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება“ (პ.4). მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად (პ.5). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, „ბავშვს აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება“.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით 2011 წლიდან მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სხვა სახის პერსონალურ მონაცემებთან ერთად ინტერნეტიდან მოპოვებულ მონაცემებსაც იცავს²⁰.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ინტერნეტით ან სოციალური ქსელით გამოყენებისათვის სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობის მკაცრ სანქციებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხ-

ლის (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი და 157¹ მუხლის (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი. სანქციები საკმაოდ მკაცრია და სიმძიმის მიხედვით ჯარიმიდან იწყება და 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც კი ითვალისწინებს.

გარდა პერსონალური მონაცემებისა, ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირების პრობლემა პრაქტიკულად ყველა იმ საკითხს შეეხება, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი (ინტერნეტი და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული კომერცია, სოციალური ქსელები და სოციალური მედია, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი).

თანამედროვე სამართალში ინტერნეტ სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის ჩამოყალიბება დღეს არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კი გახდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტერნეტ სამართალი, როგორც სამართლის დარგი და ცალკე სასწავლო დისციპლინა, უკვე რამდენიმე წელია, ისწავლება აშშ-ის, იაპონიის, ისრაელის, გერმანიის, საფრანგეთისა²¹ და ევროკავშირის სხვა წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტებში, საქართველოს აქვს შანსი, ამ მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი ქვეყანა გახდეს. მით უმეტეს, რომ ინტერნეტ სამართლის სფეროში უკვე გაჩნდა ქართულ ენაზე როგორც წიგნები²², ასევე სამეცნიერო სტატიებიც²³.

²⁰ იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 28.12.2011. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=22> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

²¹ Bertrand A., Piette-Coudol Th. Internet et le droit. P., 1999, 4-27; <https://halldulivre.com/livre/9782130511281-internet-et-le-droit-andre-bertrand-thierry-piette-coudol/> (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

²² იხ. მაგალითად, ჯორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, 2019; ზოძაშვილი ლ./კობრეიძე ნ., კიბერსივრცის სამართალი, 2012.

²³ იხ. გაბისონია ზ., ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. N2/2019; გაბისონია ზ., ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების

არსი და პრობლემები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N3/2019; გაბისონია ზ., „გონიერი კონტრაქტის“ (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N3/2020; გაბისონია ზ., დომენის ცნება და სამართლებრივი რეგულირება. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N4/2020; გაბისონია ზ., ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N6/2020; გაბისონია ზ., „ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N7/2020; გაბისონია ზ., „დომენის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები ელექტრონულ კომერციაში“, მე-5 საერთაშორისო კონ-

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ინტერნეტ სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის ცნების განსაზღვრა. ინტერნეტ სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც სწავლობს ინტერნეტის, როგორც გლობალური კომპიუტერული საინფორმაციო ქსელის სამართლებრივი რეგულირების ცალკეულ ასპექტებს, რომელიც მოიცავს როგორც თავად ინტერნეტის, როგორც გლობალური ქსელის სამართლებრივ რეგულირებას, ასევე ინტერნეტის ქსელის გამომყენებელ სფეროთა – ელექტრონული კომერციის, სოციალური ქსელების, სოციალური მედიის, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს.

აღნიშნული დეფინიცია პირობითია, რადგან ინტერნეტის, როგორც გლობალური კომპიუტერული და საინფორმაციო ქსელის, შესაძლებლობები პრაქტიკულად განუსაზღვრელია და მას შეიძლება დაემატოს ისეთი სფეროები, რომლებიც დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარებისთვის ჯერ კიდევ უცნობია. ამის საუკეთესო მაგალითია ბლოკჩეინ ტექნოლოგიები და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართალი, რომელიც 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულის ბოლომდე პრაქტიკულად არ არსებობდა. დღეს კი ერთ-ერთ წამყვან პოზიციებს იკავებს თანამედროვე ინტერნეტ სამართალში.

ინტერნეტ სამართლის ცნების პარალელურად, აშშ-სა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის სამართალში იყენებენ ცნებას „კიბერსამართალი“ (Cyber Law, Cyberdroit)²⁴. კიბერსამართალი უკავშირდება ტერმინის „კიბერ“ (Cyber) შემოსვლას საჯარო სამართალში. განსაკუთრებით ეს სისხლის სამართალს შეეხება, სადაც დანაშაულის ერთ-ერთ სახედ სწორედ კიბერდანაშაული მიიჩნევა. კიბერდანაშაულს ეთმობა სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავის (კიბერდანაშაული) 284-ე-286-ე მუხლები და მოიცავს კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის (მუხ. 284), კომპიუტერული მონაცემების ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენების (მუხ. 285) და კომპიუტერულ მონაცემების ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის (მუხ. 286) მუხლებს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა აღნიშნული, დღეისათვის კიბერდანაშაულის საკმაოდ გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს ინტერნეტ თაღლითობა/ქურდობა, კომპიუტერულ სისტემასთან უნებართვო წვდომა, კომპიუტერული სისტემისა და მონაცემის უნებართვოდ გამოყენება და ა.შ. გარდა ამისა, ინტერნეტ სივრცეშიც ხდება ისეთი დანაშაულები, როგორცაა ქურდობა; ელექტრონული შესყიდვებისა და ელექტრონული ბანკინგის მეშვეობით, კიბერდამნაშავეებს წვდომა მისცეს სხვა პირთა ქონებისა და ფინანსებისად-

ფერენციის მასალები „სამართლის აქტუალური პრობლემები“, „თემიდა“ N12(14), 2020; გაბისონია ზ., „ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება“, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, N7/2021; გაბისონია ზ., „ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N8/2021; „ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N8/2021; ჯორბენაძე ს. სოციალური მედიის სამართალი, 2019; Jorbenadze S./Turashvili M., Registrierung von Immobilien mittels Blockchain-Technologie auf Grundlage von Trust Contracts. Zeitschrift für Internationales Wirtschaftsrecht (IWZR), Verlag C.H. Beck, München, Heft 3, Juni 2019, S. 119-122; ჯორბენაძე ს./მესხი გ., აუდიოვიზუალური ნაწარმოების გავრცელება სოციალურ ქსელში და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“ №2/2018, 119-132; ჯორბენაძე ს., სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები. ლადო ჭანტურია 55, საიუბილეო გამოცე-

მა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, გვ. 53-66; Jorbenadze S./Meskhi G., Competition between Copyright and Freedom of Expression while Using the Work Published in the Internet. Polish-Georgian Law Review, N3/2017, Wydawnictwo UWM, Olsztyn, 2017, 105-118; ჟორჯოლიანი გ., ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N3/2019; ჟორჯოლიანი გ., ინტერნეტდელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N2/2019; აბაშიძე გ., ბლოკჩეინის სისტემის მიმართება პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N3/2020.

²⁴ Feral-Schuhl Ch., Cyberdroit. Le droit a l'epreuve de l'internet. P., 2000, 257-271; <https://www.librairiealoz.fr/livre/9782247119752-cyberdroit-le-droit-a-l-epreuve-de-l-internet-edition-2018-2018-christiane-feral-schuhl/> (ბონაზის თარიღი 01.10.2022).

მი. მათ შეუძლიათ მოიპარონ პირის საბანკო მონაცემები, დააზიანონ სხვა პირის ინფორმაცია ან პროგრამა²⁵.

კიბერდანაშაულის გარდა, სამართლის თეორიაში გამოიყენება აგრეთვე „კიბერსივრცის სამართლის“ ცნებაც, რომელიც მოიცავს კიბერსივრცეში გამოყენებულ ტერმინთა განმარტების, წვდომის უფლების, მონაცემთა დაცვის, კიბერხულიგნობისა და კიბერშეტევის, კიბერტერორიზმისა და სისხლის სამართლებრივი პასუ-

ხისმგებლობის საკითხებს²⁶.

შესაბამისად, ტერმინი „კიბერ სამართალი“ უკავშირდება ცნება „კიბერდანაშაულს“ და მისი გამოყენება „ინტერნეტ სამართლის“ სინონიმად არ არის მართებული. გარდა ამისა, „კიბერ სამართალი“ უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს მთელ კიბერ სივრცის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და, შესაბამისად, სცილდება ინტერნეტ სამართლის რეგულირების სფეროს.

²⁵ იხ. https://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/kiberdanashauli-informacia-moqalaeqebistvis.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 01.10.2022).

²⁶ იხ. *ბოძაშვილი ლ./კობრეიძე ნ.*, კიბერსივრცის სამართალი, 2012.

მეტავერსის განმარტება და სამართლებრივი გამოწვევები*

ლევან ნანობაშვილი

ადვოკატი, იურიდიული კომპანია „ენ-ბი ლიგალის“ მმართველი პარტნიორი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი.

1. შესავალი

2021 წლის ოქტომბერში კომპანია „ფეისბუქ-მა“ შეიცვალა სახელწოდება და გახდა „მეტა.“¹ ამ ცვლილებასთან ერთად კომპანიამ განაცხადა, რომ იგი მუშაობს ინტერნეტის ახალ ვერსიაზე - მეტავერსზე, სადაც ადამიანები შეძლებენ ურთიერთობას, მუშაობას, სწავლას, თამაშსა და სხვა საქმიანობის განხორციელებას.² ამ განცხადების შემდეგ მეტავერსმა მიიპყრო საზოგადოების, მედიისა და ბიზნესის დიდი ყურადღება.³

ინტერნეტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასთან დაკავშირებული სიახლეები ყოველთვის იპყრობს საზოგადოების დიდ ყურადღებას. ალბათ, ამ გარემოებამაც განაპირობა განსაკუთრებული ინტერესი მეტავერსის მიმართ. თუმცა, ამავდროულად წარმოიშვა უამრავი შეკითხვა. პირველ რიგში, რა არის მეტავერსი?

დღეს არ არსებობს ერთიანი მიდგომა მეტავერსის მიმართ.⁴ როგორც განხილულია ამ სტატიაში, ერთი მიდგომით, მეტავერსი ინტერნეტის განვითარების სამომავლო ეტაპია, რომელიც იქცევა რეალობად მხოლოდ ხუთი, ათი ან მეტი წლის შემდეგ.⁵ მეორე მიდგომით, მეტავერსი უკვე არსებობს, ვირტუალურ რეალობაზე დაფუძნებული ინტერნეტ თამაშებისა და მსგავსი ვებგვერდების სახით.⁶ მეორე მიდგომა წარმოშობს ახალ შეკითხვებს: თუ მეტავერსი უკვე არსებობს, მაშინ რის შექმნას აპირებს კომპანია მეტა (ყოფილი ფეისბუქი)? და რატომ ვერ შევამჩნიეთ ჩვენ, მომხმარებლებმა, რომ უკვე ვიყენებთ მეტავერსს?

ახალ ტექნოლოგიას ხშირად თან ახლავს ახალი სამართლებრივი გამოწვევები. თუმცა, პრობლემებზე საუბრის დაწყებამდე აუცილებელია თავად ტექნოლოგიის არსის გააზრება: რამდენად ახალია ტექნოლოგია და რამდენად განსხვავდება იგი უკვე არსებულისგან? ასევე, რამდენად შეიძლება ახალ ტექნოლოგიაზე უკვე არ-

* წინამდებარე კვლევა განხორციელდა ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში, სირაკუზის უნივერსიტეტში (აშშ)

¹ Denise Lee Yohn, Facebook's Rebrand Has a Fundamental Problem, Harvard Business Review, <https://hbr.org/2021/11/facebooks-rebrand-has-a-fundamental-problem> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

² იხ. "The Metaverse and How We'll Build It Together", <https://www.youtube.com/watch?v=Uvufun6xer8> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

³ იხ. <https://forbes.ge/mckinsey-2030-tslisthvis-metaversis-bazris-motsuloba-5-trilionamde-gaizrdeba/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁴ იხ. Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 39, 2022.

⁵ John Mac Ghlionn & Brad Hamilton, Metaverse clothing, travel, plastic surgery: Experts predict life in 2030, New York Post, <https://nypost.com/2022/01/08/experts-predict-living-in-the-metaverse-by-2030/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე <https://www.cnbc.com/2021/12/09/bill-gates-metaverse-will-host-most-virtual-meetings-in-a-few-years.html> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁶ Scott, Facebook is late: the Metaverse already exists, Global Happenings, <https://globalhappenings.com/technology/30425.html> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

სებული სამართლებრივი ნორმების გავრცელება? შეიძლება ახალი ტექნოლოგია იმდენად განსხვავებულია, რომ მისი რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად შემუშავებული ნორმებით.

სტატიის მიზანია მეტავერსის არსში გარკვევა, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღეს არსებულ წყაროებზე დაყრდნობით. თუმცა, მეტავერსზე საუბარი 2022 წელს ალბათ დაახლოებით იგივეა, რაც ინტერნეტზე საუბარი 1980-იან წლებში. ამ სირთულეების მიუხედავად, ვეცდები განვმარტო მეტავერსი და ვისაუბრო მის სამართლებრივ გამონწვევებზე.

სტატიაში მეტავერსი განმარტებულია, როგორც სამგანზომილებიანი (3D) ინტერნეტი, რომლის გამოყენებისთვის აუცილებელია სპეციალური აღჭურვილობა. მეტავერსის მომხმარებელს დასჭირდება ე.წ. „ავატარი“,⁷ ანუ საკუთარი თავის ციფრული ვერსია. მეტავერსის ასეთი განმარტება არ არის ერთადერთი ან ყველაზე სწორი. მეტავერსის განვითარებასთან ერთად აღნიშნული განმარტება, ალბათ, შეიცვლება და დაზუსტდება.

მეტავერსი წარმოშობს ახალ სამართლებრივ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისთვის აუცილებელი იქნება სწორი დროის შერჩევა. ნაჩქარევად მიღებულმა ნორმამ შეიძლება შეაფერხოს ტექნოლოგიის განვითარება.⁸ თუმცა, თუ მეტავერსი განვითარდა ქაოტურად, ამას შეიძლება მოჰყვეს ზიანი, რომლის გამოსწორება იქნება ძალიან რთული ან საერთოდ შეუძლებელი.

სტატია შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ეთმობა მეტავერსის განმარტებას და მის ტექნოლოგიას. სტატიის მეორე ნაწილში კი განხილულია მეტავერსის ზოგიერთი სამართლებრივი გამონწვევა.

2. მეტავერსის განმარტება

სიტყვა „მეტავერსი“ შედგება ორი ნაწილისგან: „მეტა“ („meta“) და „უნივერსი“ („universe“). „მეტა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შემდეგ“ ან „მიღმა“. ⁹ „უნივერსი“ კი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს სამყაროს. ¹⁰ „მეტავერსი“ ასევე შეიძლება განიმარტოს, როგორც „მეტას სამყარო“, ანუ სამყარო, რომელიც ეკუთვნის კომპანია მეტას (ყოფილი ფეისბუქი). ¹¹ „მეტა“ ჟღერადობით ძალიან ჰგავს სიტყვას „მკვდარი“ ივრითზე, ¹² რის გამოც ფეისბუქის მიერ მეტას დარქმევამ გამოიწვია დიდი მხიარულება ივრითის მცოდნეებს შორის. ¹³

ტერმინი „მეტავერსი“ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროში მოღვაწე ამერიკელმა მწერალმა ნილ სტეფენსონმა, 1992 წლის დისტოპიურ რომანში „Snow Crash“ („თოვლის ავარია“). ¹⁴ მეტავერსის ტექნოლოგია 2016 წელს აღწერა ამერიკელმა მწერალმა ერნესტ კლაინმა რომანში „Ready Player One“ („პირველი მოთამაშე, მოემზადე!“). ¹⁵ ეს რომანი გამოიცა ქართულ ენაზე 2016 წელს. ¹⁶

მეტავერსთან დაკავშირებით დღეს არსებული შეხედულებები შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ნაწილად. პირველის მიხედვით, მეტავე-

⁷ „ავატარი“ სანსკრიტის ტერმინია, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც ღვთაების ზეციდან ჩამოსვლა. იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 23, 2022.

⁸ იხ. *Louis B. Rosenberg, Regulation of the Metaverse: A Roadmap The risks and regulatory solutions for largescale consumer platforms*, 6th International Conference on Virtual and Augmented Reality Simulations (ICVARS 2022), <https://dl.acm.org/doi/abs/10.1145/3546607.3546611> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹ <https://www.merriam-webster.com/words-at-play/meta-adjective-self-referential> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე <https://www.etymonline.com/word/meta-> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰ <https://www.merriam-webster.com/dictionary/universe> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹¹ იხ. <https://www.theatlantic.com/technology/archive/2021/10/facebook-metaverse-was-always-terrible/620546/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹² <https://www.bbc.com/news/world-59090067> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹³ იქვე.

¹⁴ იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 17, 2022. თუმცა, ნილ სტეფენსონამდეც სხვა ავტორები აღწერდნენ მეტავერსის მსგავს ტექნოლოგიას. იქვე, 19-21.

¹⁵ იხ. *Ernest Cline, Ready Player One*. Random House Publishing, 2011.

¹⁶ იხ. *ერნესტ კლაინი*, პირველი მოთამაშე, მოემზადე! გამომცემლობა პალიტრა L. 2016.

რის შეიქმნება მომავალში, ხუთი, ათი ან მეტი წლის შემდეგ.¹⁷ ამ მოსაზრებას იზიარებს მარკ ცუკერბერგი, მეტას აღმასრულებელი დირექტორი.¹⁸ მეორე შეხედულებით, მეტავერსი უკვე არსებობს, ვირტუალურ რეალობაზე დაფუძნებული თამაშების სახით, მაგალითად, **Minecraft**¹⁹, **Roblox**²⁰, **Fortnite**²¹ და **Second Life**.²²

სტატიაში მეტავერსი განხილულია, როგორც სამგანზომილებიანი (3D) სამყარო. მეტავერსი-სგან განსხვავებით, დღეს არსებული ინტერნეტი ორგანზომილებიანია (2D). მომხმარებელი უყურებს დღევანდელ ინტერნეტს კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის ორგანზომილებიან ეკრანზე. მეტავერსის შემთხვევაში მომხმარებელი ეკრანს კი აღარ შეხედავს, არამედ იქნება სამგანზომილებიანი (3D) სამყაროს შიგნით.²³ ამისთვის მომხმარებელს დასჭირდება ე.წ. „ავატარი“, როგორც წარმომადგენელი მეტავერსში. მეტავერსის გამოყენებისთვის მომხმარებელს დასჭირდება სპეციალური სათვალე, ჩაფხუტი, „ჭკვიანი“ ხელთათმანი, სენსორები და სხვა მონაცემილობები.²⁴

დავუბრუნდები მოსაზრებას, რომ მეტავერსი უკვე არსებობს. მართალია, ინტერნეტში

არის ბევრი თამაში და ფუნქციონირებს ვირტუალურ რეალობაზე დაფუძნებული ვებგვერდები,²⁵ მაგრამ შეიძლება საკამათო იყოს, რამდენად წარმოადგენენ ისინი მეტავერსს.²⁶ ამჟამად არსებული ინტერნეტ თამაშების უმრავლესობა არ არის ბოლომდე დახვეწილი.²⁷ მაგალითად, ასეთ თამაშებში მომხმარებლის ავატარს ხშირად ფეხებიც კი არ აქვს, რადგანაც „ვირტუალური“ ფეხების დამატებას სჭირდება რთული ტექნოლოგია.²⁸

საერთოდ რა საჭიროა ტერმინი „მეტავერსი“? რატომ არ შეიძლება „ინტერნეტის“ ტერმინის გამოყენება? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება. პირველ რიგში, მეტავერსის ტერმინის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო კომპანია მეტამ (ყოფილი ფეისბუქი), როდესაც მან შეიცვალა სახელწოდება.²⁹ სახელის შეცვლის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო იმ ძალიან ნეგატიური რეპუტაციის ჩამოცილების მცდელობა, რომელიც დაკავშირებულია ფეისბუქთან.³⁰ გარდა ამისა, ახალი ტერმინი ყოველთვის იზიდავს საზოგადოების, მედიისა და ინვესტორების უფრო დიდ ყურადღებას (რაც რე-

¹⁷ John Mac Ghlionn & Brad Hamilton, Metaverse clothing, travel, plastic surgery: Experts predict life in 2030, N.Y. POST, <https://nypost.com/2022/01/08/experts-predict-living-in-the-metaverse-by-2030/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁸ <https://www.youtube.com/watch?v=Uvufun6xer8>, იხ. 3.18-3.23 წუთები (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁹ Minecraft, Welcome to Minecraft, MINECRAFT, <https://www.minecraft.net/en-us> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²⁰ Sign Up and Start Having Fun!, ROBLOX, <https://www.roblox.com/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²¹ FTC, What Are Fortnite, Roblox, Minecraft and Among Us? A Parent's Guide to the Most Popular Online Games Kids Are Playing, FTC: RESIDENTIAL, <https://www.ftc.net/blog/what-are-fortnite-roblox-minecraft-and-among-us-a-parents-guide-to-the-most-popular-online-games-kids-are-playing/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²² Joe Tidy, Zuckerberg's metaverse: Lessons from Second Life, BBC, <https://www.bbc.com/news/technology-59180273> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²³ არსებული შეხედულებით, მეტავერსში იარსებებს როგორც 3D სივრცეები, ისე ორგანზომილებიანი - 2D. იხ. Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 63, 2022.

²⁴ <https://metaverseinsider.tech/2022/08/09/top-8-metaverse-devices-must-have-equipment-for-the-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²⁵ Geri Mileva, Top 10 Metaverse Games to Immerse Yourself Into (2022), Influences Marketing Hub, <https://influencemarketinghub.com/top-metaverse-games/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²⁶ Shirin Ghaffary, Why you should care about Facebook's big push into the metaverse, <https://www.vox.com/recode/22799665/facebook-metaverse-meta-zuckerberg-oculus-vr-ar> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე. იხ. აგრეთვე Wall St. J., Trapped in the Metaverse: Here's What 24 Hours in VR Feels Like, YouTube, [https://www.youtube.com/watch?v=rtLTZUaMSDQ&t=5:36-დან 5:49-მდე](https://www.youtube.com/watch?v=rtLTZUaMSDQ&t=5:36-დან%205:49-მდე) (წუთები) (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

²⁹ "The Metaverse and How We'll Build It Together", <https://www.youtube.com/watch?v=Uvufun6xer8> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

³⁰ <https://www.theverge.com/22701104/metaverse-explained-fortnite-roblox-facebook-horizon> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე კინოკომპანია ნეტფლიქსის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი „სოციალური დილემა“, <https://www.imdb.com/title/tt11464826/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

ალურად მოხდა კიდევაც).³¹ კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს სამართლებრივ რეგულირებას: თუ ტექნოლოგია წარმოჩენილია, როგორც სრულიად ახალი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება სამართლებრივი რეგულირების თავიდან აცილება (სანამ სახელმწიფო გაიაზრებს, რომ ტექნოლოგია შეიძლება სულაც არ არის ახალი).³² ზოგიერთი ავტორის აზრით, ტერმინი „მეტავერსი“ ასოცირდება დისტოპიურ სამეცნიერო ფანტასტიკასთან და ზოგჯერ გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტში.³³ ამიტომ, მომავალში შეიძლება შეიქმნას მეტავერსის აღმნიშვნელი ახალი ტერმინი.³⁴

მეტავერსს ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც ინტერნეტის მომავალს ან **Web 3.0** ტექნოლოგიას.³⁵ ამ მოსაზრების განხილვისთვის ინტერნეტის ისტორია უნდა დავყოთ სამ ეტაპად. ასეთი დაყოფა პირობითია და ეტაპებს არ აქვს გამოკვეთილი საზღვრები.

თავდაპირველი ინტერნეტი (**Web 1.0**) ეფუძნებოდა ე.წ. კლიენტი-სერვერის მოდელს, სადაც მომხმარებელი ეცნობოდა სერვერზე არსებულ ინფორმაციას.³⁶ თუმცა, მომხმარებელს არ ჰქონდა ინფორმაციის შეცვლის ან დამატების შესაძლებლობა.³⁷ ინტერნეტის მომხმარებელი იყო ინფორმაციის მიმღები, მაგრამ არა შემქმნელი.

დღეს ჩვენ ვსარგებლობთ **Web 2.0** ტექნოლოგიით. ინტერნეტის მომხმარებლებს შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა.³⁸ გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ

ინფორმაცია.³⁹ დღევანდელი მოდელის ერთ-ერთი პრობლემაა, რომ მომხმარებლები ვერ იღებენ ფინანსურ სარგებელს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან.⁴⁰ როგორც წესი, მომხმარებლების ნაცვლად ასეთ სარგებელს იღებენ შუამავალი კომპანიები, მაგალითად, მეტა (ყოფილი ფეისბუქი), გუგლი, ევლი, ამაზონი და სხვები.⁴¹

მესამე თაობის ინტერნეტი (**Web 3.0**) განიხილება, როგორც მომავლის ტექნოლოგია, სადაც მომხმარებლები თავად გაავრცელებენ ინფორმაციას ინტერნეტში და იქნებიან ბენეფიციარები.⁴² ახალი თაობის ინტერნეტში აღარ იარსებებენ შუამავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას მეორე თაობის ინტერნეტში.⁴³ შედეგად, მომხმარებლები თავად გააკონტროლებენ მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და მიიღებენ ფინანსურ სარგებელს.⁴⁴

რამდენად ჩაითვლება მეტავერსი მესამე თაობის ინტერნეტად? თუ არ ჩაითვლება, რა განსხვავებაა მათ შორის? დღეს არსებული მიდგომით, ეს ორი ტექნოლოგია განსხვავდება, სულ ცოტა, ორი ძირითადი ნიშნით. პირველ რიგში, მეტავერსისთვის მთავარია, როგორ იყენებს მომხმარებელი ინტერნეტს.⁴⁵ მეტავერსი განიხილება, როგორც სამგანზომილებიანი (**3D**) ინტერნეტი, რომელსაც მომხმარებელი იყენებს ე.წ. „ავატარის“ დახმარებით. მესამე თაობის ინტერნეტისთვის (**Web 3.0**) კი მთავარია, ვინ აკონტროლებს ინფორმაციას: შუამავალი კომპანია თუ მომხმარებელი, რომელმაც შექმნა ეს ინფო-

³¹ <https://www.theverge.com/22701104/metaverse-explained-fortnite-roblox-facebook-horizon> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
³² https://www.washingtonpost.com/technology/2021/09/24/facebook-washington-strategy-metaverse/?utm_medium=social&utm_campaign=wp_main&utm_source=twitter (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
³³ *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 447, 2022.
³⁴ იქვე.
³⁵ <https://ojoyoshidareport.com/the-unknowable-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
³⁶ *Tonya M. Evans*, *Cryptokitties, Cryptography, and Copyright*, 47 AIPLA Q. J. 219, 231 (2019).
³⁷ იქვე.
³⁸ იქვე.
³⁹ *Lisa Veasman*, *Piggy Backing on the Web 2.0 Internet: Copyright Liability and Web 2.0 Mashups*, 30 Hastings

COMM. & ENT. L.J. 311, 314-315 (2008). იხ. აგრეთვე *Jeffrey Zeldman*, *Web 3.0*, <https://alistapart.com/article/web3point0/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁴⁰ *Jake Harfield*, *Who Owns the Internet?* <https://www.makeuseof.com/who-owns-the-internet/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁴¹ იქვე.
⁴² *Tonya M. Evans*, *Cryptokitties, Cryptography, and Copyright*, 47 AIPLA Q. J. 219, 231 (2019). იხ. აგრეთვე *George Bouchagiar*, *Privacy and Web 3.0: Implementing Trust and Learning from Social Networks*, 10 REV. EUR. Stud. 16, 19 (2018).
⁴³ *Tonya M. Evans*, *Cryptokitties, Cryptography, and Copyright*, 47 AIPLA Q. J. 219, 231 (2019).
⁴⁴ იქვე. იხ. აგრეთვე *George Bouchagiar*, *Privacy and Web 3.0: Implementing Trust and Learning from Social Networks*, 10 REV. EUR. Stud. 16, 19 (2018).
⁴⁵ იხ. <https://pixelplex.io/blog/importance-of-blockchain-in-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

რმაცია.⁴⁶ მეორე ძირითადი განსხვავებაა, რომ მეტავერსს შეიძლება ჰყავდეს ერთი ცენტრალური მაკონტროლებელი (მაგალითად, კომპანია მეტა) ან იყოს დეცენტრალიზებული (მაგალითად, როგორც ბლოკჩეინი).⁴⁷ თუმცა, მესამე თაობის ინტერნეტი მოიაზრება დეცენტრალიზებული სახით, რომელიც დაეფუძნება ბლოკჩეინის ტექნოლოგიას და მიანიჭებს მომხმარებელს სრულ კონტროლს მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე.⁴⁸

მეტავერსი ჰპირდება მომხმარებელს ზღვრის ნაშლას რეალურ სამყაროსა და ვირტუალურ სივრცეს შორის.⁴⁹ ეს იქნება მეტავერსის კიდევ ერთი თავისებურება. თუმცა, რამდენად რეალურია ამ მიზნის მიღწევა? რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანს აერიოს რეალობა და ვირტუალური სამყარო? ამის გასარკვევად უნდა გადავინაცვლოთ დაახლოებით ოცდახუთი წლით უკან, როდესაც მეცნიერებმა ჩაატარეს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი სახელწოდებით „რეზინის ხელის ილუზია.“⁵⁰ ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო ადამიანისთვის განცდის გაჩენა, თითქოს რეზინის ხელი იყო მისი სხეულის ნაწილი.⁵¹ ამისთვის მეცნიერებმა დასვეს ადამიანი მაგიდასთან, ხოლო მარჯვენა ხელის ადგილას მაგიდაზე განათავსეს რეზინის ხელი (რომელიც გამოიყურებოდა, როგორც ადამიანის ხელი).⁵²

ნამდვილი მარჯვენა ხელი კი იყო მაგიდის ქვეშ, რეზინის ხელის ქვემოთ.⁵³ ამის შემდეგ მკვლევარი ერთდროულად შეეხო რეზინის ხელს და ნამდვილ მარჯვენა ხელს.⁵⁴ ადამიანის ტვინმა მიიღო სიგნალი და ჩათვალა, რომ იგი მოდიოდა რეზინის ხელიდან (რომელიც განთავსებული იყო იქ, სადაც ჩვეულებრივ არის ადამიანის ნამდვილი ხელი).⁵⁵ შემდეგი ნაბიჯი იყო ბასრი საგნის მიტანა რეზინის ხელთან, რამაც გამოიწვია ძლიერი სტრესი მაგიდასთან მჯდომ ადამიანში.⁵⁶

„რეზინის ხელის ილუზია“ ადასტურებს, რომ ადამიანის ტვინი ზოგჯერ უშვებს შეცდომას და სიმულაციას აღიქვამს რეალობად. შესაძლებელია, მეტავერსის ვირტუალური გარემო ადამიანის ტვინმა აგრეთვე მიიჩნიოს რეალობად.⁵⁷ შედეგად, მუქარამ ან სხვა საფრთხემ, რომელიც მეტავერსში მიმართული იქნება ადამიანის ავტარის მიმართ, შეიძლება გამოიწვიოს ისეთივე ძლიერი სტრესი, როგორც გამოიწვევდა რეალურ სამყაროში მომხდარი მოვლენა.⁵⁸

როგორც უკვე ვახსენე, მეტავერსის გამოყენებისთვის მომხმარებელს დასჭირდება სხვადასხვა აპარატურა: სათვალე, სპეციალური „ჭკვიანი“ ხელთათმანი, ჩაფხუტი, სენსორები და სხვა.⁵⁹ ასევე, აუცილებელი იქნება სწრაფი ინტერნეტი და დიდი მოცულობის ინფორმაციის გა-

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ *Brooks Canavesi*, The Foundation of The Metaverse: Centralization Versus Decentralization, THE AI BLOG, <https://blog.alleninteractions.com/the-foundation-of-the-metaverse-centralization-versus-decentralization> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ბლოკჩეინის ტექნოლოგიას აქვს ბევრი ნაკლი. ამიტომ, შეუძლებელი იქნება დეცენტრალიზებული მეტავერსის შექმნა, იხ. *Matthew Ball*, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 337-338, 2022.

⁴⁸ <https://pixelplex.io/blog/importance-of-blockchain-in-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). ბლოკჩეინის ტექნოლოგიას კრიტიკის თაობაზე იხ. *Matthew Ball*, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 443, 2022.

⁴⁹ *Mark A. Lemley & Eugene Volokh*, Law, Virtual Reality, and Augmented Reality, 166 U. PA. L. REV. 1051, 1136 (2018). ზოგიერთი კვლევით, ვირტუალური რეალობის მომხმარებლები ხშირად მოქმედებენ ისევე, როგორც რეალურ სამყაროში, იხ. *Gilad Yadin*, Virtual Reality Exceptionalism, 20 VAND. J. ENT. & TECH. L. 839, 842 (2018).

⁵⁰ *Brittan Heller*, Watching Androids Dream of Electric Sheep: Immersive Technology, Biometric Psychography, and the Law, 23 Vanderbilt Law Review 1, 21-22 (2021).

⁵¹ იხ. *Ijsselstein, Wijnand & De Kort, Yvonne & Haans, Antal*, Is This My Hand I See Before Me? The Rubber Hand Illusion in Reality, Virtual Reality, and Mixed Reality. Presence Teleoperators and Virtual Environments, volume 15, issue 14, 455-464, (2006).

⁵² *Joanna Aldhous*, et al., The Digital Rubber Hand Illusion, BCS Learning and Development Ltd. Proceedings of British HCI, 2 (2017), <https://www.napier.ac.uk/~media/worktribe/output-847674/digital-rubber-hand-illusion-revised-version.pdf> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ *Brittan Heller*, Watching Androids Dream of Electric Sheep: Immersive Technology, Biometric Psychography, and the Law, 23 Vanderbilt Law Review 1, 22-23 (2021).

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ *Reed Smith Guide to the Metaverse*, გვ. 5, <https://www.reedsmith.com/en/perspectives/metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე

დაცემა და შენახვა.⁶⁰ აპარატურის ნაწილი უკვე არსებობს, მაგრამ ნაწილი შექმნის პროცესშია.⁶¹ სპეციალურ აპარატურაზე მუშაობის პროცესი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მეტავერსი დღეს სრულად არ არსებობს და შეიქმნება მხოლოდ მომავალში.

ავატარი ალბათ იქნება მომხმარებლის მეტავერსში იდენტიფიცირების ერთ-ერთი საშუალება.⁶² ავატარი შეიძლება ჰგავდეს მომხმარებელს ან იყოს ფანტაზიის შედეგი: მაგალითად, კაქტუსი, პანდა ან ჩექმებიანი კატა. ავატართან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას საავტორო უფლებების საკითხი: ვის ეკუთვნის უფლებები მომხმარებლის მიერ შექმნილ ავატარზე? ამჟამად ზოგიერთ ინტერნეტ ვებგვერდზე მომხმარებელს შეუძლია შექმნას ავატარი, წინასწარ მომზადებული ალტერნატივების არჩევით (მაგალითად, ავატარის გარეგნობა, თმის ფერი, სიმაღლე, ჩაცმულობა და ა.შ.).⁶³ ასეთი ვებგვერდების მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულებით საავტორო უფლებები ავატარზე ეკუთვნის ვებგვერდის შექმნელს და არა მომხმარებელს.⁶⁴ ამგვარმა მიდგომამ შეიძლება წარმოშვას პრობლემა, რადგანაც მეტავერსის მომხმარებელს შესაძლოა სურდეს ერთი ავატარის

გამოყენება მეტავერსის სხვადასხვა პლატფორმაზე.

ინტერნეტში უკვე არსებობს ვებგვერდები, სადაც შეიძლება ერთი ავატარის შექმნა სხვადასხვა ინტერნეტ თამაშისთვის.⁶⁵ თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ერთი ავატარის გამოყენება მეტავერსში შეუძლებელი იქნება, რადგანაც ყველა ვებგვერდი მოითხოვს ახალი ავატარის შექმნას სპეციალურად ამ ვებგვერდებისთვის (დაახლოებით ისევე, როგორც დღეს ინტერნეტ ვებგვერდების უმეტესობა ითხოვს დამოუკიდებელ რეგისტრაციას).⁶⁶ დრო გვიჩვენებს, როგორ განვითარდება ავატარის საკითხი მეტავერსში.

მეტავერსმა შეიძლება გააქროს მანძილისა და სივრცის საზღვრები. მეტავერსში შესაძლოა ჩატარდეს კონცერტები მილიონობით ადამიანისთვის და მათ არ დასჭირდებათ კონცერტის ადგილას გამგზავრება.⁶⁷ მაგალითად, ამერიკელმა რეპერმა ტრევის სკოტმა და მომღერალმა არიანა გრანდემ უკვე ჩაატარეს კონცერტები ინტერნეტ თამაშებში, რომლებსაც უყურა მილიონობით ადამიანი უამრავი სახელმწიფოდან.⁶⁸ ამჟამად ბევრი კომპანია მუშაობს ქორწილების,

⁶⁰ <https://www.businessinsider.com/why-facebook-bought-oculus-2014-11> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
 იხ. *Doug Dawson*, *Network Requirements for the Metaverse*, CircleID, <https://circleid.com/posts/20220312-network-requirements-for-the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
 იხ. *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 143, 2022.
⁶¹ *David Chen*, *The Metaverse is Here...But is the Hardware Ready?*, Spice Works, <https://www.spiceworks.com/tech/hardware/guest-article/the-metaverse-is-here-but-is-the-hardware-ready/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
 იხ. აგრეთვე *Adam Clark*, *Facebook's freaky new glove: Reality Labs is working on clothing that helps you feel things in the metaverse*, Vox, <https://www.vox.com/recode/2021/11/17/22787191/facebook-meta-haptic-glove-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶² *Rachel Wolfson*, *Digital identity in the Metaverse will be represented by avatars with utility*, COINTELEGRAPH, <https://cointelegraph.com/news/digital-identity-in-the-metaverse-will-be-represented-by-avatars-with-utility> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶³ *Tyler T. Ochoa*, *Who Owns an Avatar - Copyright, Creativity, and Virtual Worlds*, 14 Vand. J. Ent. & Tech. L. 959, 964 (2012).

⁶⁴ იქვე. არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტ თამაშის ავატარი შეიძლება მივიჩნიოდ თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებად, რომელსაც ერთობლივად ქმნიან მოთამაშე და თამაშის ავტორი, იხ. *Tyler T. Ochoa*, *Who Owns an Avatar - Copyright, Creativity, and Virtual Worlds*, 14 VAND. J. ENT. & TECH. L. 959, 961 (2012).
 იხ. აგრეთვე "Oculus Terms of Service" <https://www.oculus.com/legal/terms-for-oculus-account-users/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶⁵ იხ. <https://readyplayer.me/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶⁶ <https://www.matthewball.vc/all/themetaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶⁷ *Opportunities in the Metaverse. How businesses can explore the metaverse and navigate the hype vs. reality*. J.P. Morgan, 9. <https://www.jpmorgan.com/content/dam/jpm/treasury-services/documents/opportunities-in-the-metaverse.pdf> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
⁶⁸ https://www.espn.co.uk/esports/story/_/id/29532117/billboard-travis-scott-astronomical-drew-more-45-million-viewers (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).
 იხ. აგრეთვე <https://www.dlapiper.com/en/us/insights/publications/2022/02/exploring-the-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს) და *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 28, 2022.

დღესასწაულებისა და სხვა ღონისძიებების ვირტუალურად ჩატარების ტექნოლოგიაზე.⁶⁹

მეტავერსი დაფუძნებული იქნება ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიაზე.⁷⁰ ასეთი ტექნოლოგია დიდი ხანია არსებობს,⁷¹ თუმცა 90-იან და 2000-იან წლებში თითქმის შეწყდა მისი გამოყენება.⁷² 2012 წელს აშშ-ში დაფუძნებულმა კომპანია „ოკულუსმა“ გააცოცხლა ვირტუალური რეალობა, როდესაც დაიწყო სპეციალური ჩაფხუტის წარმოება ვიდეო თამაშებისთვის.⁷³ 2014 წელს მეტამ (ყოფილი ფეისბუქი) შეიძინა „ოკულუსი“ ორ მილიარდ დოლარად.⁷⁴ ამჟამად ვირტუალური რეალობა ძირითადად გამოიყენება თამაშებისთვის.⁷⁵ თუმცა, ამ ტექნოლოგიას ხშირად იყენებენ მფრინავების, ქირურგების, ასტრონავტებისა და სამხედროების მომზადებისთვის.⁷⁶

რა განსხვავებაა მეტავერსსა და ვირტუალურ რეალობას შორის? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. საკითხი რთულდება იმის გამოც, რომ ვირტუალური რეალობა არსებობს დიდი ხნის განმავლობაში, მეტავერსის განმარტება კი ჩამოყალიბების პროცესშია. დიდი მსგავსების მიუხედავად, ეს ორი ტექნოლოგია განსხვავდება. პირველ რიგში, ვირტუალური რეალობა მხოლოდ

ერთ-ერთი ტექნოლოგიაა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მეტავერსში.⁷⁷ გარდა ამისა, ამ ტექნოლოგიებს აქვთ განსხვავებული მიზანი. ვირტუალური რეალობის გამოყენებისას საერთოდ არ არის აუცილებელი სხვა მომხმარებელთან ურთიერთობა.⁷⁸ მისგან განსხვავებით, მეტავერსის ერთ-ერთი მიზანია ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება.⁷⁹ კიდევ ერთი განსხვავება შეიძლება იყოს ინფორმაციაზე უფლებების ფლობაშიც: როგორც წესი, ვირტუალურ რეალობაში უფლებებს ფლობს დეველოპერი კომპანია, ხოლო მეტავერსში უფლებები სავარაუდოდ მიენიჭება მომხმარებელს, რომელმაც შექმნა და გაავრცელა მასალა.⁸⁰

დღეს რთულია იმის თქმა, მეტავერსი იქნება დეცენტრალიზებული თუ ცენტრალიზებული (რომელსაც გააკონტროლებს ერთი კომპანია, მაგალითად, მეტა).⁸¹ თუ მეტამ შეძლო მეტავერსზე სრული კონტროლის მოპოვება, მას ექნება უსაზღვრო ძალაუფლება.⁸² თუმცა, დიდი ალბათობით, მეტავერსს შექმნის სხვადასხვა კომპანია და იგი იქნება დეცენტრალიზებული, ერთი მაკონტროლებლის გარეშე.

მეტავერსს ხშირად აკრიტიკებენ. ბევრს მიაჩნია, რომ ამ ტექნოლოგიამ შეიძლება გააუარესოს ადამიანების ცხოვრება.⁸³ სკეპტიკოსებს

⁶⁹ <https://www.cliffordchance.com/insights/resources/hubs-and-toolkits/talking-tech/en/articles/2022/02/the-metaverse--what-are-the-legal-implications-.html> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁰ Saurabh Singh, Metaverse: The future of (Virtual) reality, Financial Express, <https://www.financialexpress.com/industry/metaverse-the-future-of-virtual-reality/2483228/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷¹ Roy Bagheri, Virtual Reality: The Real-Life Consequences, 17 U.C. Davis Bus. L.J. 101, 104-106 (2016).

⁷² იქვე, 106.

⁷³ <https://www.bbc.com/news/technology-19085967> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁴ <https://medium.com/chip-monks/why-facebook-bought-oculus-vr-for-2-billion-1e34bc882362> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁵ <https://www.theverge.com/a/virtual-reality/intro> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე <https://www.mageplaza.com/blog/how-ar-vr-transform-gaming-industry.html#how-ar-and-vr-are-determined-to-bring-revolutionary-changes-in-the-gaming-world> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁶ Gilad Yadin, Virtual Reality Intrusion, 53 WILLAMETTE L. REV. 63, 66 (2016). იხ. აგრეთვე

<https://futurism.com/army-soldiers-vr-combat-training> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁷ იხ. Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 64, 2022.

⁷⁸ <https://www.digitaltrends.com/computing/what-is-the-metaverse-the-future-of-the-internet-explained/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁷⁹ იქვე. იხ. აგრეთვე on.ge/story/91598-რა-არის-მეტავერსი-მოკლე-მიმოხილვა (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁸⁰ <https://101blockchains.com/metaverse-vs-virtual-reality/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁸¹ <https://cordis.europa.eu/article/id/435347-what-is-the-metaverse-and-why-is-facebook-planning-to-hire-10-000-in-the-eu-to-build-it> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁸² იხ. <https://knowyoumeme.com/memes/cultures/the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 32, 2022.

⁸³ https://markets.businessinsider.com/news/stocks/metaverse-investing-wall-street-jefferies-land-sales-sandbox-crypto-nfts-2021-12?utm_medium=ingest&utm_source=markets (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

ასევე მიაჩნიათ, რომ მეტავერსის ნიშნების მქონე ვირტუალური სამყაროები უკვე არსებობენ, თუმცა, მათი უმეტესობა წარუმატებელია.⁸⁴ აკრიტიკებენ კომპანია მეტასაც (ყოფილი ფეისბუკი), რომელიც შესაძლოა ცდილობდეს ყურადღების გადატანას ფეისბუკის პრობლემებიდან მეტავერსზე.⁸⁵ საინტერესოა, რომ ნიგნებისა და ფილმების უმრავლესობაში მეტავერსი აღწერილია, როგორც დისტოპიური სამყარო.⁸⁶

როგორც განხილულია სტატიის ამ ნაწილში, ამჟამად არ არსებობს მეტავერსის ერთიანი განმარტება. გარდა ამისა, მეტავერსის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. არ არსებობს არც სრულად ფუნქციონირებადი მეტავერსი.⁸⁷ თუმცა, მეტავერსის შექმნა ძალიან რეალურად გამოიყურება. მისი შექმნა კი წარმოშობს ახალ სამართლებრივ გამოწვევებს, რომელთა ნაწილი განხილულია ამ სტატიის შემდეგ ნაწილში.

3. მეტავერსის სამართლებრივი გამომწვევები

როგორც წესი, ახალი ტექნოლოგია ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. ხშირად სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიას. ალბათ, მეტავერსიც არ იქნება გამონაკლისი და იგი განვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე შეიქმნება ამ ტექნოლოგიის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

მეტავერსი აუცილებლად წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს. ზოგიერთი მათგანის განსაზღვრა შესაძლებელია დღესვე. თუმცა, ზოგიერთი პრობლემა ისეთი იქნება, რომელიც არ წარმოშობილა წარსულში. მსგავსი რამ მოხდა ინტერნეტის შემთხვევაში, რომელმაც წარმოშვა უამრავი ახალი პრობლემა, მათ შორის მნიშვნელოვნად გაართულა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა.⁸⁸

სტატიის ამ ნაწილში განხილულია რამდენიმე სამართლებრივი პრობლემა, რომლებიც შესაძლოა წარმოშვას მეტავერსმა. სავარაუდო პრობლემების ჩამონათვალი არ არის (და ვერც იქნება) ამომწურავი და ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს.

3.1. მეტავერსის სხვადასხვა ნაწილის ურთიერთთავსებადობა

მეტა (ყოფილი ფეისბუკი) არ არის ერთადერთი კომპანია, რომელიც მუშაობს მეტავერსის შექმნაზე.⁸⁹ თუ სხვადასხვა კომპანია შექმნის მეტავერსის დამოუკიდებელ ნაწილებს, რამდენად ურთიერთთავსებადი იქნება ასეთი ნაწილები? შეძლებს თუ არა მომხმარებელი, გადავიდეს მეტავერსის ერთი ვირტუალური სამყაროდან მეორეში და გამოიყენოს მხოლოდ ერთი (და არა რამდენიმე) ავატარი?⁹⁰ შეძლებს თუ არა მომხმარებელი, გადაიტანოს ვირტუალური ნივთები მეტავერსის სამყაროებს შორის?⁹¹

მეტავერსის სხვადასხვა ნაწილის ურთიერთთავსებადობა სავარაუდოდ გახდება მნიშვნელოვანი საკითხი. მომხმარებელი დაინტერესე-

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იხ. <https://www.theatlantic.com/technology/archive/2021/10/facebook-metaverse-was-always-terrible/620546/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. <https://futurism.com/facebook-gloves-feel-vr-objects> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს) და <https://futurism.com/facebook-hardware-skeptical-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁸⁶ იხ. *Neil Stephenson*, *Snow Crash*, p. 20 (Random House Publishing Group (2000)). აგრეთვე, *Ernest Cline*, *Ready Player One*. Crown Publishers, 2011 და იმავე სათაურის მქონე მხატვრული ფილმი, რომლის რეჟისორია სტივენ სპილბერგი, <https://www.imdb.com/title/tt1677720/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will*

Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 21, 2022.

⁸⁷ უფრო დეტალურად მეტავერსის განმარტების თაობაზე იხ. *Levan Nanobashvili*, *If the Metaverse is Built, Will Copyright Challenges Come?*, 21 *UIC Rev. Intell. Prop. L.* 215 (2022).

⁸⁸ *Péter Mezei and István Harkai*, *Enforcement of Copyrights Over the Internet: A Review of the Recent ECJ Case Law (September 1, 2017)*. *Journal of Internet Law*, Vol. 21., No. 4, October 2017, 1, 13-28.

⁸⁹ <https://www.alcimed.com/en/alcim-articles/metaverse-challenges-new-virtual-world/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹⁰ *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 66, 2022.

⁹¹ იქვე.

ბული იქნება შექმნას მხოლოდ ერთი ავატარი და მისი გამოყენებით ესტუმროს მეტავერსის სხვადასხვა ნაწილს.⁹² ასევე, მომხმარებლის ინტერესებშია მეტავერსით სარგებლობისთვის მხოლოდ ერთი ჩაფხუტის, სათვალის ან სხვა მონყობილობის გამოყენება.

არ არის გამორიცხული, რომ მეტავერსის სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იყოს. მომხმარებელს კი შეიძლება დასჭირდეს ცალ-ცალკე ავატარის შექმნა მეტავერსის თითოეული ნაწილისთვის, ან განსხვავებული აპარატურის შექმნა და გამოყენება. პარალელი რომ გავავლოთ დღეს არსებულ ინტერნეტთან, მომხმარებელს ხშირად უნევს დამოუკიდებელი რეგისტრაცია თითოეულ ვებგვერდზე. თუმცა, ინტერნეტში არსებულ ვებგვერდებზე შესვლა შესაძლებელია ნებისმიერი კომპიუტერით ან მობილური ტელეფონით.

მეტავერსის სხვადასხვა ნაწილის ურთიერთავსებადობის მიღწევისთვის აუცილებელი იქნება ერთიანი ტექნიკური სტანდარტის შემუშავება.⁹³ რამდენად შესაძლებელია ასეთი სტანდარტის შექმნა? დიდი ალბათობით, ამის მიღწევა იქნება საკმაოდ რთული. დღეს ინტერნეტში გამოიყენება ერთიანი ტექნიკური სტანდარტები, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ ნებისმიერ ვებგვერდზე, რომელიც განლაგებულია საქართველოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, თუ სხვა სახელმწიფოში. ინტერნეტის ტექნიკური სტანდარტი ყველგან ერთნაირია. თუმცა, ინტერნეტი განვითარდა კომერციული კომპანიების ჩართულობის გარეშე.⁹⁴ უფრო მეტიც, ბიზნესმა საკმაოდ გვიან მიაქცია ყურადღება ინტერნეტს და მის კომერციულ შესაძლებლობებს.⁹⁵ შედეგად, ინტე-

რნეტი განვითარდა როგორც ღია და ყველასთვის ხელმისაწვდომი სივრცე. დღევანდელი გამოსახედით მეტავერსი ვითარდება სრულიად განსხვავებული გზით. მის შექმნაზე მუშაობენ კერძო კომპანიები (პირველ რიგში, მეტა).⁹⁶ დიდი ალბათობით, მოგებაზე ორიენტირებული კომპანიები ეცდებიან მონოპოლიის შექმნას და კონკურენტების განდევნას. არ არის შემთხვევითი, რომ მეტავერსს ზოგჯერ უწოდებენ „კორპორატიულ ინტერნეტს“.⁹⁷

მეტავერსის სხვადასხვა ნაწილის ურთიერთავსებადობა ნარმოშობს უსაფრთხოების პრობლემას.⁹⁸ ვინ იქნება პასუხისმგებელი, რომ მეტავერსის სხვადასხვა ნაწილს არ ექნება ხარვეზი, რომლითაც შეიძლება ბოროტად ისარგებლონ ჰაკერებმა?

3.2. მეტავერსის მომხმარებლის იდენტობის მოპარვა

მეტავერსის გამოყენებისთვის მომხმარებელს დასჭირდება ე.წ. „ავატარი,“ ანუ საკუთარი თავის ციფრული ვერსია. თუმცა, ავატარის გამოყენება დაკავშირებული იქნება გარკვეულ რისკებთან. პირველ რიგში, სხვა პირმა შეიძლება ნებართვის გარეშე მოიპოვოს წვდომა ავატართან და გამოიყენოს იგი სხვადასხვა მიზნით. გარდა ამისა, მომხმარებლის ავატარზე დაკვირვების შედეგად შეიძლება შეიქმნას ე.წ. „ბოტი.“ ანუ, კომპიუტერული პროგრამა, რომელმაც შეიძლება მოიპაროს ავატარის იდენტობა: გაიმეოროს ავატარის მოძრაობები, ჟესტები, საუბარი და სხვა დამახასიათებელი ნიშნები.⁹⁹

სხვისი ავატარის გამოყენების შესაძლებლობები ძალიან ფართოა. მაგალითად, მეტავერსი

⁹² *Adi Robertson & Jay Peters, What is the Metaverse, and do I have to care? The Verge*, <https://www.theverge.com/22701104/metaverse-explained-fortnite-roblox-facebook-horizon> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹³ *Megan Gordon, The Metaverse: what are the legal implications? Clifford Chance* (2022), <https://www.cliffordchance.com/content/dam/cliffordchance/briefings/2022/02/the-metaverse-what-are-the-legal-implications.pdf> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹⁴ იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation*, 32-33, 2022.

⁹⁵ იქვე, 105.

⁹⁶ *RToday, Who is Building the Metaverse? A Group of 160+ Companies, and You, XRToday*, <https://www.xrtoday.com/virtual-reality/who-is-building-the-metaverse-a-group-of-160-companies-and-you/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹⁷ იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation*, 34, 2022.

⁹⁸ <https://www.alcimed.com/en/alcim-articles/metaverse-challenges-new-virtual-world/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

⁹⁹ <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

ალბათ გამოყენებული იქნება საქმიანი შეხვედრების ჩატარებისთვის.¹⁰⁰ შესაბამისად, სხვისი ავტარის გამოყენებით არაუფლებამოსილი პირი შეიძლება დაესწროს მნიშვნელოვან შეხვედრას.¹⁰¹ ასეთმა დაუპატიჟებელმა სტუმარმა კი შესაძლოა მოიპაროს კომპანიის კომერციული საიდუმლოება ან გამოიწვიოს სხვა ზიანი.

ავტარის მოპარვის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება მეტავერსის მომხმარებლის იდენტიფიცირების ძლიერი მექანიზმის შექმნა. ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მომხმარებლის იდენტიფიკაცია თვალის გუგის, ხმის, ან სხვა ბიომეტრიული მონაცემის დახმარებით.¹⁰² თუმცა, იდენტიფიკაციის ასეთი მეთოდები წარმოშობს ბიომეტრიული ინფორმაციის დამუშავების პრობლემას. არ არის გამორიცხული, რომ მეტავერსში ადამიანის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი გახდეს სრულიად ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც დღეს არ არსებობს.¹⁰³

3.3. მეტავერსზე დამოკიდებულება

კოვიდ-19-ის პანდემიამ გაზარდა ადამიანების დამოკიდებულება ციფრულ ტექნოლოგიებზე.¹⁰⁴ პანდემიამდეც ინტერნეტს ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, პანდემიამ და იზოლაციამ კიდევ უფრო

გაზარდა ინტერნეტის მნიშვნელობა. დისტანციური მუშაობა და სწავლა ინტერნეტის გამოყენებით გახდა ჩვეულებრივი მოვლენა.¹⁰⁵ უფრო მეტიც, პანდემიის შესუსტების შემდეგაც დისტანციური მუშაობა და სწავლა ბევრისთვის კვლავ მისაღებია.¹⁰⁶

მომხმარებელს ზოგჯერ უყალიბდება დამოკიდებულება ინტერნეტზე (ინგლისურად **Internet Addiction Disorder**).¹⁰⁷ არ არის გამორიცხული, ასეთივე დამოკიდებულება წარმოიშვას მეტავერსთან მიმართებაშიც.¹⁰⁸ მართალია, ეს არ არის სამართლებრივი პრობლემა. თუმცა, მეტავერსის შემქმნელებმა შეიძლება არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ ტექნოლოგიის ეს თვისება და წააქეზონ მომხმარებლები, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ მეტავერსში. მსგავს მეთოდებს დიდი ხანია მიმართავს კომპანია მეტა, ფეისბუქთან მიმართებაში.¹⁰⁹ მეტავერსი ალბათ იქნება იმდენად მრავალფეროვანი, განსაკუთრებული და განსხვავებული სამყარო, რომ მომხმარებელს შეიძლება გაუჭირდეს რეალურ სამყაროში დაბრუნება.¹¹⁰

3.4. პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალური მონაცემების დაცვა ძალიან

¹⁰⁰ <https://arpost.co/2022/04/05/data-security-top-challenge-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰³ <https://lucidrealitylabs.com/blog/7-challenges-of-the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰⁴ *Min-Pei Lin*, Prevalence of Internet Addiction during the COVID-19 Outbreak and Its Risk Factors among Junior High School Students in Taiwan. *Int J Environ Res Public Health*. 2020 Nov; 17(22), <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7698622/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰⁵ *Hank Prybylski*, Two Years Into The Pandemic, Digital Transformation Is Moving Forward: Here's How, *Forbes*, <https://www.forbes.com/sites/hankprybylski/2022/05/04/two-years-into-the-pandemic-digital-transformation-is-moving-forward-heres-how/?sh=8acd93147739> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე *Rebecca Ruiz*, How a year of living online has changed us: Feeling different after spending the last year staring at a screen? Here's why., *Mashable*, [https://mashable.com/article/covid-19-pandemic-internet-](https://mashable.com/article/covid-19-pandemic-internet-use)

[use](https://mashable.com/article/covid-19-pandemic-internet-use) (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე *Michael Legg & Anthony Song*, The Courts, the Remote Hearing and the Pandemic: From Action to Reflection, 44 *U.N.S.W.L.J.* 126, 134 (2021) (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰⁶ *James R. Bailey & Scheherazade Rehman*, How to Overcome Return-to-Office Resistance, *Harv. Bus. Rev.*, <https://hbr.org/2022/02/how-to-overcome-return-to-office-resistance> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰⁷ *Cash H, Rae CD, Steel AH, Winkler A*, Internet Addiction: A Brief Summary of Research and Practice. *Curr Psychiatry Rev.* 2012 Nov, 8(4):2 92-298.

¹⁰⁸ <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁰⁹ იხ. კომპანია ნეტფლიქსის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „სოციალური დილემა“, <https://www.imdb.com/title/tt11464826/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹¹⁰ <https://bernardmarr.com/7-important-problems-disadvantages-of-the-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

აქტუალურია ინტერნეტთან მიმართებაში.¹¹¹ გუგლი, ფეისბუკი, ამაზონი, ეფლი და სხვა კომპანიები აგროვებენ უამრავ ინფორმაციას მომხმარებლების შესახებ.¹¹² ამ ინფორმაციის გამოყენებით ისინი იღებენ ძალიან დიდ მოგებას.¹¹³ მაგალითად, ფეისბუკის მომსახურება ძირითადად უფასოა. თუმცა, ფეისბუკი იღებს დიდ მოგებას მომხმარებლებისთვის რეკლამის ჩვენებით.¹¹⁴ რეკლამის მიწოდება ხდება კონკრეტული მომხმარებლისთვის, მის შესახებ წინასწარ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.¹¹⁵

მეტავერსში შესაძლებელი იქნება მომხმარებლის ნებისმიერი ქმედებისა და საუბრის ჩანერა.¹¹⁶ მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება ინტერნეტშიც.¹¹⁷ თუმცა, ინფორმაციის შეგროვების ნაწილში მეტავერსის შესაძლებლობები იქნება გაცილებით დიდი.¹¹⁸ უფრო მეტიც, თუ მეტავერსმა მართლაც ნაშალა ზღვარი რეალობასა და ციფრულ სამყაროს შორის (რაზეც უკვე იყო საუბარი ამ სტატიის წინა ნაწილში), ადამიანებს შეიძლება უბრალოდ დაავიწყდეთ, რომ ისინი არიან ციფრულ სამყაროში.¹¹⁹ შედეგად, ადამიანები მოიქცევიან ისევე, როგორც რეალურ სამყაროში, გაუზიარებენ ერთმანეთს პირად ინფორმაციას და დაავიწყდებათ, რომ მათი თითოეული სიტყვა ან/და ქმედება ინერება და მუშავდება.¹²⁰

სოციალური ქსელების ზოგიერთმა პრობლემამ შეიძლება გადაინაცვლოს მეტავერსში.¹²¹ ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ადამიანის სახის ამოცნობის ტექნოლოგია.¹²² კომპანია მეტა (ყოფილი ფეისბუკი) ფლობს მომხმარებლების ძალიან ბევრ ფოტოს, რომლებიც მათ თავად ატვირთეს ფეისბუკზე.¹²³ შედეგად, დღესდღეობით კერძო კომპანიებს შორის მეტას შემუშავებული აქვს მომხმარებელთა სახის ამოცნობის საუკეთესო ტექნოლოგია.¹²⁴ მეტა დაჰპირდა მომხმარებლებს, რომ იგი აღარ გამოიყენებდა სახის ამოცნობის ტექნოლოგიას ფეისბუკზე, თუმცა ეს დაპირება არ ვრცელდება მეტავერსზე.¹²⁵

მეტავერსის გამოყენებისთვის მომხმარებელს დასჭირდება სპეციალური აპარატურა: სათვალე, ჩაფხუტი და სხვა. ასეთ აპარატურას ექნება უამრავი სენსორი, კამერა და მიკროფონი, რომელიც განლაგებული იქნება მომხმარებლის სახლში ან ოფისში. აღნიშნული აპარატურის გამოყენებით კომპანიები შეძლებენ ისეთი ინფორმაციის მოპოვებას ადამიანების შესახებ, რომლის შეგროვება დღეს შეუძლებელია.¹²⁶

მეტავერსში შესაძლებელი იქნება მომხმარებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის შეგროვება, როგორცაა სახის გამომეტყველება, ემოციები, თვალების მოძრაობა და სხეულის ენა.¹²⁷

¹¹¹ იხ. *April Falcon Doss*, *Cyber Privacy: Who Has Your Data and Why You Should Care*, BenBella Books, 35, 2000.

¹¹² იქვე, 65.

¹¹³ იქვე, 82.

¹¹⁴ *What Is Facebook's Revenue Breakdown?* <https://www.nasdaq.com/articles/what-facebooks-revenue-breakdown-2019-03-28-0> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹¹⁵ იხ. <https://www.facebook.com/business/news/How-Facebook-Ads-Work> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹¹⁶ მსგავსი არგუმენტები არსებობს ვირტუალურ რეალობასთან მიმართებაშიც, იხ. *Mark A. Lemley & Eugene Volokh*, *Law, Virtual Reality, and Augmented Reality*, 166 U. PA. L. REV. 1051, 1070 (2018).

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე. იხ. აგრეთვე *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 436, 2022.

¹¹⁹ *Mark A. Lemley & Eugene Volokh*, *Law, Virtual Reality, and Augmented Reality*, 166 U. Pa. L. Rev. 1051, 1070 (2018).

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იხ. <https://www.domestika.org/en/blog/9435-what-is-the-metaverse-and-what-will-the-future-of-the-internet-hold> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹²² *Rebecca Heilweil*, *Facebook Is Backing Away From Facial Recognition. Meta Isn't*, *Vox*, <https://www.vox.com/recode/22761598/facebook-facial-recognition-meta> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹²³ იქვე.

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ იხ. <https://www.vox.com/recode/22761598/facebook-facial-recognition-meta> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹²⁶ <https://www.cmswire.com/digital-experience/facebook-metaverse-the-future-of-digital-experience-marketing> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹²⁷ *Daniela Marinelli*, *The Metaverse needs to keep an eye on privacy to avoid Meta's mistakes*, *CoinTelegraph*, <https://cointelegraph.com/news/the-metaverse-needs-to-keep-an-eye-on-privacy-to-avoid-meta-s-mistakes> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

იხ. აგრეთვე *Shelly Kramer*, *Metaverse Privacy Concerns: Are We Thinking About Our Data?*, *Forbes*, <https://www.forbes.com/sites/forbestechcouncil/2022/06/01/metaverse-privacy-concerns-are-we-thinking-about-our-data/?sh=678a46caffb8> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

ამჟამად დიდი ინტერნეტ კომპანიები ვერ აგროვებენ ასეთ ინფორმაციას.¹²⁸ თუმცა, მეტავერსში ეს შესაძლებელი გახდება.¹²⁹ როგორ გამოიყენებენ კომპანიები ამ ინფორმაციას და როგორ გაანალიზებენ მომხმარებელთა ქცევას?

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს მომხმარებლის ემოციებისა და სხეულის ენის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას.¹³⁰ კანონმდებლობა ძირითადად არეგულირებს მომხმარებლის იდენტიფიკაციის საკითხს.¹³¹ თუმცა, ინფორმაცია მომხმარებლის ქცევის შესახებ შეიძლება შეგროვდეს მომხმარებლის ფსიქოლოგიური პროტრეტის შექმნისთვის, იმის დასადგენად, რა მოსწონს ან არ მოსწონს მომხმარებელს და სხვა მიზნით, რომელიც დღეს ბოლომდე არ არის გარკვეული.¹³²

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას, არ მოიცავს ფსიქოლოგიური ხასიათის ინფორმაციის შეგროვებას მეტავერსის მსგავს ციფრულ სამყაროში.¹³³ იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც კანონი ვრცელდება ასეთი სახის ინფორმაციაზე, მიზანი შეზღუდულია მხოლოდ პირის იდენტიფიკაციით.¹³⁴ კანონმდებლებმა უნდა დაინყონ ფიქრი ამ პრობლემის შესახებ, სანამ დიდი მოცულობის ინფორმაცია მომხმარებლების ქცევის შესახებ ხელმისაწვდომი გახდება კომპანიებისთვის და მომხმარებლები დაკარგავენ მასზე კონტროლს.

3.5. გარიგებები მეტავერსში

მეტავერსი წარმოშობს ფართო შესაძლებლობებს ბიზნესისთვის. მისი მეშვეობით ადამიანები შეძლებენ საქმიანი ურთიერთობების წარმოებას. მეტავერსში გარიგებების დადებისას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს გარიგების მხარეთა იდენტიფიცირებას, რაც გაზრდის ნდობის ხარისხს. თუმცა, მეტავერსის მომხმარებელთა ნაწილს შეიძლება სურდეს ანონიმური გარიგების დადება, რასაც შეუწყობს ხელს კრიპტოვალუტის გამოყენება.¹³⁵

მეტავერსი ალბათ ხელს შეუწყობს ე.წ. **NFT**-ის (ინგლისურად: **non-fungible token**) კიდევ უფრო გავრცელებას. **NFT** წარმოადგენს უნიკალურ ციფრულ ფაილს (მაგალითად, ფოტო ან ვიდეოფაილი), რომელიც რეგისტრირებულია ბლოკჩეინზე.¹³⁶ რეგისტრაციის ფაქტი იძლევა ციფრული ფაილის უნიკალურობის გარანტიას და ადასტურებს ფაილის საკუთრებას.¹³⁷ **NFT**-ის ყოველი გასხვისება ან სხვა პირისთვის გადაცემა შეიძლება დარეგისტრირდეს იმავე ბლოკჩეინზე.¹³⁸ საინტერესოა, რომ **NFT** შეიძლება გადაცემულ იქნას დროებით სარგებლობაშიც, მესაკუთრემ კი მიიღოს იჯარის თანხა.¹³⁹ **2021** წლის მონაცემებით, სხვადასხვა სახის **NFT**-ზე მსოფლიოში ჯამში დაიხარჯა **45** მილიარდი დოლარი.¹⁴⁰ მომავალში ეს ციფრი სავარაუდოდ უფრო გაიზრდება. თუმცა, მეტავერსში **NFT**-ის გავრცელებისთვის მნიშვნელოვანი იქნება **NFT**-

¹²⁸ იხ. *Tatum Hunter*, Surveillance will follow us into 'the metaverse,' and our bodies could be its new data source, Washington Post, <https://www.washingtonpost.com/technology/2022/01/13/privacy-vr-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹²⁹ *Daniela Marinelli*, The Metaverse needs to keep an eye on privacy to avoid Meta's mistakes, CoinTelegraph, <https://cointelegraph.com/news/the-metaverse-needs-to-keep-an-eye-on-privacy-to-avoid-meta-s-mistakes> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს). იხ. აგრეთვე *Shelly Kramer*, Metaverse Privacy Concerns: Are We Thinking About Our Data?, Forbes, <https://www.forbes.com/sites/forbestechcouncil/2022/06/01/metaverse-privacy-concerns-are-we-thinking-about-our-data/?sh=678a46caffb8> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹³⁰ *Brittan Heller*, Watching Androids Dream of Electric Sheep: Immersive Technology, Biometric Psychography, and the Law, 23 Vand. L. Rev. 1, 34-6 (2021).

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე, 27.

¹³³ იქვე, 35.

¹³⁴ იქვე, 36. იხ. აგრეთვე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 2(ბ) და 2(გ) მუხლები.

¹³⁵ <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹³⁶ *Matthew Ball*, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything. Liveright Publishing Corporation, 219, 2022.

¹³⁷ იქვე, 320.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ იქვე, 322.

¹⁴⁰ იქვე, 321.

ის ურთიერთავსებადობა მეტავერსის სხვადასხვა პლატფორმასთან.

მეტავერსში მომხმარებლებს ექნებათ ვირტუალური (ციფრული) ქონება.¹⁴¹ მომხმარებლები მონდომებენ ამ ქონების გადატანას მეტავერსის ერთი ვირტუალური სამყაროდან მეორეში.¹⁴² მაგრამ, ვინ აღრიცხავს ასეთ ვირტუალურ ქონებას? როგორ მოხდება ამ ინფორმაციის განახლება? დიდი ალბათობით, მეტავერსში აუცილებელი იქნება ვირტუალური ქონების რეგისტრაციის სისტემის შექმნა.¹⁴³ ამისთვის კი შეიძლება ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენება.

3.6. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მეტავერსში

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა შესაძლოა გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მეტავერსისთვის. ბევრმა კომპანიამ უკვე დაიწყო ფიქრი მეტავერსში სასაქონლო ნიშნების დაცვაზე. მაგალითად, კომპანია McDonald's-მა შეიტანა განაცხადი რამდენიმე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მეტავერსის რესტორნისთვის, სადაც მომხმარებელს შეუძლია საკვების შეკვეთა რეალურ სამყაროში მინოდებისთვის.¹⁴⁴ McDonald's-ის სხვა სასაქონლო ნიშანი გავრცელდება ციფრულ კონცერტებზე, რომლებიც ჩატარდება McCafé-ში.¹⁴⁵ ფეხსაცმლის მწარმოებელმა კომპანია Skechers-მა შეიტანა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადი მეტავერსში ვირტუალური ნივთების გაყიდვის მომსახურებასთან დაკავშირებით.¹⁴⁶ დიდი ალბათობით, მეტავერსთან დაკავშირებული სასაქონლო ნიშნების განაცხადების რაოდენობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

მომხმარებლებს ალბათ ექნებათ შესაძლებლობა შექმნან ნაწარმოები უშუალოდ მეტავერსში, იმ ფარგლებში, რომლებიც წინასწარ იქნება განსაზღვრული მეტავერსის შემქმნელების მიერ. მაგალითად, მომხმარებელმა შეიძლება შექმნას თავისი ავატარი, იმ სხვადასხვა არჩევანის მიხედვით, რომლებიც წინასწარ იქნება განსაზღვრული შემქმნელების მიერ: სახის გამომეტყველება, ვარცხნილობა, თვალის ფერი, სხეულის ნაწილები და სხვა დეტალები. მაგრამ, ჩნდება შეკითხვა: ვის წარმოეშვება საავტორო უფლება საბოლოო შედეგზე - შემქმნელს თუ მომხმარებელს? თუ ორივეს ერთად, როგორც თანაავტორებს? თუ ვებგვერდის შემქმნელის წვლილი იქნება იმდენად უმნიშვნელო, რომ მას არ წარმოეშვება საავტორო უფლებები?¹⁴⁷ როგორც წესი, მომხმარებელს და ვებგვერდის შემქმნელს ძალიან იშვიათად აქვთ განზრახვა იყენონ თანაავტორები, მომხმარებლის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან მიმართებაში (თუმცა, მეტავერსის პლატფორმის სტანდარტული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა პირობას).¹⁴⁸ პასუხის მოძებნა შეიძლება გართულდეს, თუ მეტავერსის მომხმარებელი (ავტორი) იყენებს ფსევდონიმს (და, შესაბამისად, უცნობია მისი ნამდვილი ვინაობა). პრობლემა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, თუ ნაწარმოები შექმნილია მეტავერსის რამდენიმე მომხმარებლის მიერ, რაც წარმოშობს თანაავტორობის საკითხს.¹⁴⁹

3.7. სამართალდარღვევა მეტავერსში

მეტავერსის მომხმარებლის ციფრულმა ავატარმა რომ დაარტყას სხვა მომხმარებლის ავატარს, ასეთი ქმედება თუ ჩაითვლება სამართალდარღვევად?

¹⁴¹ <https://lucidrealitylabs.com/blog/7-challenges-of-the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁴² *Matthew Ball*, *The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 71, 2022.

¹⁴³ <https://lucidrealitylabs.com/blog/7-challenges-of-the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁴⁴ <https://www.businessinsider.com/mcdonalds-metaverse-virtual-online-restaurant-trademark-delivers-food-web3-nft-2022-2?r=US&IR=T> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁴⁵ <https://www.forbes.com/sites/masonbissada/2022/02/09/mcdonalds-files-trademark-for-metaverse-based-virtual-restaurant/?sh=208f09dc6678> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁴⁶ <https://boardroom.tv/skechers-metaverse-trademarks/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁴⁷ *Matthew R. Farley*, *Making Virtual Copyright Work*, 41 *GOLDEN GATE U. L. REV.* 1, 12 (2010).

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ იქვე.

ლდარღვევად? ან ავატარმა მეორე ავატარს ციფრული ქვა რომ ესროლოს?

მეტავერსი ჰპირდება მომხმარებლებს ზღვრის წაშლას რეალობასა და ციფრულ სამყაროს შორის.¹⁵⁰ რეალურ სამყაროში არსებობს პოლიცია, რომელსაც ადამიანებმა შეიძლება მიმართონ სამართალდარღვევის შემთხვევაში. რამდენად საჭირო იქნება მეტავერსის პოლიციის შექმნა?¹⁵¹

ინტერნეტის მსგავსად, მეტავერსი არ იქნება დაკავშირებული კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილთან - მეტავერსი იქნება ციფრული სამყარო, რაც გაართულებს მისი მდებარეობის დადგენას.¹⁵² ეს კი გაართულებს მეტავერსთან დაკავშირებული დავების ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრას.¹⁵³ განსჯადობასთან ერთად, რთული იქნება იმ სამართლის დადგენა, რომელიც უნდა გავრცელდეს გარიგებაზე თუ დელიქტზე.¹⁵⁴

მეტავერსის შემქმნელებმა უნდა მოიფიქრონ, როგორც აღკვეთონ მუქარა, ბულინგი და სხვა მსგავსი ქმედება.¹⁵⁵ მაგალითად, **Altspace VR**, მაიკროფოსტის სოციალური პლატფორმა, იყენებს სპეციალურ მოდერატორებს (ადამიანებს), რომელთა ავატარები ესწრებიან შეხვედრებს და აკონტროლებენ მომხმარებელთა ქცევას.¹⁵⁶ **Altspace**-ის მომხმარებელს შეუძლია დამრღვევის ბლოკირება ან სპეციალური “ვირტუალური სარტყელის” შექმნა, რომელიც დაიცავს მის ავატარს არასასურველი პირის მიახლოებისგან.¹⁵⁷ **Horizon Worlds**-ში, რომელსაც ქმნის კო-

მპანია მეტა, მომხმარებელს შეუძლია დამრღვევის ბლოკირება.¹⁵⁸ ასევე, მომხმარებელს შეუძლია ჩანეროს მიუღებელი ქცევის ვიდეო და გაუგზავნოს პროგრამის ადმინისტრატორს, შესაბამისი რეაგირებისთვის.¹⁵⁹

ინტერნეტის მსგავსად, მეტავერსი ხელმისაწვდომი იქნება მთელს მსოფლიოში.¹⁶⁰ ამიტომ, მეტავერსის დეველოპერებმა უნდა იფიქრონ უამრავი სახელმწიფოს კანონმდებლობის დაცვაზე.¹⁶¹ ზოგიერთმა სახელმწიფომ კი შეიძლება გადაწყვიტოს საკუთარი მეტავერსის შექმნა, მაგალითად, ჩინეთმა.¹⁶²

მეტავერსის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება მეტავერსთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა. მეტავერსის დეველოპერებმა შეიძლება შექმნან სპეციალური მეტა-სამართლოები, მეტა-განსჯადობით.¹⁶³ მეტავერსის გამოყენების სტანდარტული ხელშეკრულებით კი შეიძლება სავალდებულო გახდეს დავების გადაწყვეტა ასეთ მეტა-სამართლოებში.¹⁶⁴

მეტავერსი წარმოშობს უამრავ სხვა პრობლემას. აუცილებელი იქნება ბევრ შეკითხვაზე პასუხის გაცემა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.¹⁶⁵ ამიტომ, მომავალში იურისტები, მოსამართლეები და კანონმდებლები საკმაოდ დაკავებულნი იქნებიან, რადგან მათ მოუწევთ ახალი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა.¹⁶⁶

¹⁵⁰ *Gregor Pryor & Stephen E. Sessa, Reed Smith Guide to the Metaverse*, ReedSmith, <https://www.reedsmith.com/en/perspectives/metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵¹ <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵² <https://medium.datadriveninvestor.com/challenges-faced-by-the-metaverse-in-becoming-a-reality-d02219d29370> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵³ იქვე.
¹⁵⁴ <https://lucidrealitylabs.com/blog/7-challenges-of-the-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵⁵ იხ. <https://www.bloomberg.com/opinion/articles/2021-12-15/the-metaverse-via-oculus-is-awkward-if-you-re-a-woman-and-beware-of-griefers?sref=YfHlo0rL> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ <https://www.theverge.com/2021/12/9/22825139/meta-horizon-worlds-access-open-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ <https://www.dlapiper.com/en/us/insights/publications/2022/02/exploring-the-metaverse/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 439, 2022.

¹⁶³ <https://www.iotforall.com/metalaw-law-of-metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ *Reed Smith Guide to the Metaverse*, გვ. 7, <https://www.reedsmith.com/en/perspectives/metaverse> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁶⁶ იქვე.

4. დასკვნა

ამერიკელ მეცნიერ როი ამარას ეკუთვნის გამონათქვამი (რომელიც ცნობილია „ამარას კანონის“ სახელით) - “ჩვენ გადაჭარბებულად ვაფასებთ ტექნოლოგიის ეფექტს მოკლევადიან პერსპექტივაში და სათანადოდ ვერ ვაფასებთ ეფექტს გრძელვადიან პერსპექტივაში.”¹⁶⁷ ამარას კანონიდან გამომდინარე, დღეს მეტავერსის მნიშვნელობა გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანები ზედმეტი ენთუზიაზმით უყურებენ მეტავერსის ტექნოლოგიას და ხშირად ყურადღების მიღმა რჩებათ მეტავერსის სამომავლო პრობლემები.

სულ რამდენიმე წლის წინ მეტავერსი არსებობდა მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროში. დღეს კი ძალიან ბევრს საუბრობენ მის შექმნაზე და უამრავი კომპანია დებს ინვესტიციას მეტავერსთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებში. ამიტომ, დიდი ალბათობით, მეტავერსი იქცევა რეალობად. მეტავერსი ალბათ განვითარდება ეტაპობრივად, ისევე, როგორც ინტერნეტი. დრო გვიჩვენებს, როგორი იქნება მეტავერსი, რა სარგებელს მოიტანს და რა პრობლემებს წარმოშობს.

ამ სტატიაში მეტავერსი განხილულია, როგორც სამგანზომილებიანი (3D) სამყარო. მეტავერსის მომხმარებელი იქნება ამ სამგანზომილებიანი სამყაროს შიგნით,¹⁶⁸ რისთვისაც მას დასჭირდება ე.წ. „ავატარი“, საკუთარი თავის ციფრული ვერსია (წარმომადგენელი მეტავერსში). მეტავერსის გამოყენებისთვის მომხმარებელს დასჭირდება სპეციალური სათვალე, ჩაფ-

ხუტი, „ჭკვიანი“ ხელთათმანი, სენსორები და სხვა მონაცემები.

რა შესაძლებლობები ექნება მეტავერსს? იგი იქნება რეალური სამყაროს ნაწილი თუ თავშესაფარი რეალობის პრობლემებისგან? დღეს შეუძლებელია ამ შეკითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა.

მეტავერსი აუცილებლად წარმოშობს უამრავ პრობლემას, როგორცაა მეტავერსის სხვადასხვა ნაწილის ურთიერთთავსებადობა, პერსონალური მონაცემების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მომხმარებელთა იდენტობის მოპარვა და ბევრი სხვა. დიდი ალბათობით, წარმოიშვება სრულიად ახალი პრობლემებიც, რომელთა წინასწარმეტყველება დღეს შეუძლებელია.

მეტავერსი წარმოშობს ბევრ თავსატეხს, რომელთა გადაწყვეტა მოუწევთ კანონმდებლებს, მეცნიერებსა და იურისტებს. მეტავერსი ალბათ განვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. სამართლებრივმა რეგულირებამ კი ხელი არ უნდა შეუშალოს ტექნოლოგიის განვითარებას. ამავდროულად, თუ ტექნოლოგია განვითარდა ქაოტურად და უკონტროლოდ, რთული იქნება წარმოშობილი ზიანის გამოსწორება.

იმედია მეტავერსში ადამიანები არ დაემალეებიან რეალური სამყაროს პრობლემებს. ახალი ტექნოლოგია კი იქნება გამოყენებული სასარგებლო მიზნით და არ გადაიქცევა დისტოპიურ სამყაროდ, როგორც მას აღწერენ სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწარმოებებში.

¹⁶⁷ <https://thevirtulab.com/what-is-amaras-law/> (გახსნილია 2022 წლის 07 ოქტომბერს).

¹⁶⁸ იხ. *Matthew Ball, The Metaverse and How it Will Revolutionize Everything*. Liveright Publishing Corporation, 63, 2022.

ჩუქების ხელშეკრულების დადების იურიდიული შედეგები: შედარებითი ანალიზი

მიხეილ ბიჭია

სამართლის დოქტორი, თსუ-ის მონვეული ლექტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

I. შესავალი

როგორია ჩუქების სამართლებრივი ბუნება და რა იურიდიულ შედეგებს წარმოშობს ის? კონკრეტულად რომელი გარემოებები ქმნის დიდი უმადურობის ან მძიმე შეურაცხყოფის შემადგენლობას ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისთვის? ვინაა ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილი პირი? როგორია მტკიცების ტვირთი ჩუქების გაუქმებისას? ესაა რამდენიმე საკვანძო კითხვა, რომელზეც ცალსახა და პირდაპირი პასუხი კანონში შეიძლება ვერ მოიძებნოს. სასამართლო პრაქტიკაც, ცხადია, ეჯახება ამ პრობლემებს და ცდილობს, გადანყვეტის გზები მოიძიოს.

რა მიზანს ემსახურება ამ საკითხებისა და ზოგადად, ჩუქების ხელშეკრულების შესწავლა? საერთოდ, ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენა აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საკითხი საინტერესოა, ერთი მხრივ, ჩუქების ხელშეკრულების არქიტექტონიკის განსაზღვრის კონტექსტში, მეორე მხრივ კი, ჩუქებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემების შესწავლის კუთხით, რომლებზეც ჩუქების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები პირდაპირ არ შეიცავს პასუხებს. შესაბამისად, პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასეთი საკითხების გადანყვეტის გზების ძიება. არანაკლებ საყურადღებოა ჩუქების შესახებ სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა. სწორედ ეროვნული და სხვა ქვეყნების კანონმდებლობების შედარების გზით შესაძლებელია მათ შორის არსებული განსხვავება-მსგავსების დადგენა, ხოლო საჭიროებისამებრ მონესრიგების უკეთესი წესის გა-

დმოლება საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის ან პრაქტიკის დახვეწის მიზნით. ამ კონტექსტში შესწავლილია ჩუქების შესახებ გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, კვებეკის, ესპანეთის, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დებულებები.

კვლევის მიზანია ჩუქების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, ერთი მხრივ, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მეორე მხრივ, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით. ამავე ჭრილში საინტერესოა, დადგინდეს, რა იურიდიული შედეგები მოჰყვება ჩუქების ხელშეკრულების დადებას, როგორია ჩუქების გაუქმების წინაპირობები. პროცესუალური თვალსაზრისით გასარკვევია, ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი, ვინ განიხილება სათანადო მოსარჩელედ ჩუქების გაუქმებისას, რადგან სწორედ ამ საკითხებზეა დამოკიდებული დავის ბედი.

ამდენად, ჩუქების ხელშეკრულების ირგვლივ არსებულ ამ პრობლემებს, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული დატვირთვაც აქვს.

II. ჩუქების ცნება და ნიშნები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში - სსკ-ის) 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულების დროს მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ანალოგიური დებულება გვხვდება კვებეკის სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, 1806-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ჩუქებისას მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს საკუთრების უფლებას ქონებაზე.¹ ესპანეთში ჩუქება სუფთა სა-

¹ Civil Code of Quebec, § 1806.

ხით განკარგვით გარიგებად განიხილება.² ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლში³ აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ჩუქება არის ნებაყოფლობითი აქტი, რომლის დროსაც ადამიანი უსასყიდლოდ განკარგავს ნივთს სხვის სასარგებლოდ, რომელიც გამოსატავს თანხმობას მის მიღებაზე.

საერთოდ, გერმანული სამართლებრივი სისტემები ჩუქებაში მოიაზრებენ არა უბრალოდ ჩუქების დაპირების მიღებას, არამედ უშუალოდ საჩუქრის გადაცემას, როგორც ხელშეკრულებას, რომლის მომწესრიგებელი ნორმები ჩამოყალიბებულია სახელშეკრულებო სამართლის სპეციალურ ნაწილში.⁴

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 516-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ჩუქება არის ქონების გადაცემა, რომლითაც ერთი პირი საკუთარი ქონების ხარჯზე სხვას ამდიდრებს, თუ ორივე მხარე თანახმაა, ქონების გადაცემა იყოს უსასყიდლო.⁵

პირველ რიგში, ჩუქება მოიაზრებს **მჩუქებლის მიერ სიცოცხლეში დასაჩუქრებულისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემას**. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ის ანდერძისაგან.⁶ ანალოგიურადაა საფრანგეთში მოწესრიგებული ჩუქება (La Donation). ის განიხილება სიცოცხლეში დადებულ გარიგებად, რომლითაც მჩუქებელი უკუგების გარეშე უარს ამბობს საგანზე დასაჩუქრებულის სასარგებლოდ მისივე თანხმობით.⁷ შესაბამისად, საფრანგეთში ჩუქება წარმოადგენს ხელშეკრულებას, თუმცა ინგლისში ის არ განიხილება ხელშეკრულებად,⁸ ვინაიდან იქ ჩუქების უსასყიდლო ხასიათი გამოირიცხავს მის ხელშეკრულებად კვალიფიცირებას.⁹

იტალიაში აქცენტი გადატანილია, ერთი მხრივ, მჩუქებლის კეთილშობილურ ნებასა და, მეორე მხრივ, დასაჩუქრებულის გამდიდრებაზე. ამიტომ იტალიაში ჩუქებად განიხილება ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კეთილშობი-

ლური და გულუხვი სულისკვეთებით ამდიდრებს მეორეს, მის სასარგებლოდ უფლების გადაცემის ან მოვალეობის საკუთარ თავზე აღების გზით.¹⁰

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის მიხედვით, ჩუქება არის მჩუქებლის მიერ სიცოცხლეში ნებისმიერი ქონებრივი სიკეთის გადაცემა, რომლითაც პირი საკუთარ აქტივს იყენებს სხვისი ქონების გასაზრდელად საპასუხო შესრულების გარეშე. ამასთან, ჩუქების შემადგენლობას არ ქმნის ამ უფლებაზე უარი მანამ, ვიდრე დასაჩუქრებული მას მიიღებს, ან მემკვიდრეობის მიღებაზე უარს იტყვის. ზნეობრივი მოვალეობის შესრულებაც არ განიხილება ჩუქებად.¹¹ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზნეობის ნორმების შესაბამისი შესრულება არ შეიძლება იყოს ჩუქების საგანი, არამედ მხოლოდ იმას, რომ ერთხელ შესრულებული ასეთი ჩუქება უვალოა და, შესაბამისად, გამოირიცხება მისი ბათილობა.¹²

ჩუქების ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და უფლება-მოვალეობების წარმოშობისთვის საკმარისი არაა მხარეთა მხოლოდ შეთანხმება, არამედ აუცილებელია საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისთვის, რადგან **ჩუქება რეალური ხელშეკრულებაა**. სწორედ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქება დადებულიად.¹³ ამდენად, საქართველოში აქცენტი გაკეთებულია ჩუქების რეალურ ხასიათზე, მაგრამ როცა უძრავი ნივთის ჩუქებას ეხება საქმე, აქ ხაზგასასმელია მისი კონსენსუალური ხასიათი.

ამასთან, საქართველოში ცალკე გამოყოფენ ჩუქების დაპირებას, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით დადების შემთხვევაში. ჩუქების დაპირება განიხილება წინარე ხელშეკრულების ნაირსახეობად და იგი მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების საფუძველია. შესაბამისად, ის წი-

² რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, №1, 2019, 33.

³ Civil Code of Spain, § 618.

⁴ Hyland, Gifts: A study in comparative Law, New York, 2009, 11-12.

⁵ BGB § 516, I.

⁶ Hyland, Gifts: A study in comparative Law, New York, 2009, 135 ff.

⁷ Civil Code of France, § 894.

⁸ Saco, Formation of Contracts, in: Hartkamp, Hesselink, Hondius, Joustra, Du Perron, Veldman (eds), Towards a European Civil Code, 3rd ed., Nijmegen, 2004, pp. 353-354; Tikniūtė, Dambrauskaitė, Understanding contract under the law of Lithuania and other European countries. Jurisprudencija, 18(4), 2011, 1391.

⁹ დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 52.

¹⁰ Civil Code of Italian, § 769.

¹¹ Federal Act on the Amendment of the Swiss Civil Code, 30.03.1911 (Status as of 1 January 2022), Title Seven, § 239.

¹² Koller, Anfang und Ende der Schenkung. In Honsell, (ed.): Liber amicorum Nedim Peter Vogt: Privatrecht als kulturelles Erbe. Basel, 2012, S. 207.

¹³ შენგელია, სსკ-ის 524-ე მუხლი, ნიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), ნიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, 68.

ნასწარი შეთანხმებაა. ჩუქების დაპირება ატარებს კონსენსუალურ ხასიათს.¹⁴

ასევე, ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გარკვეული პირობით, მიზნის მისაღწევად. როცა ხელშეკრულების მიზანი არის საერთო-სასარგებლო, ასეთი ჩუქება განიხილება შენირულობად.¹⁵

როგორც ხელშეკრულება, ჩუქება მოითხოვს მიმღების თანხმობას, რომელმაც არ უნდა მიიღოს არაფერი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ამდენად, ჩუქება ეფუძნება მჩუქებლის გულუხვ და კეთილშობილურ სურვილს (ჩუქების განზრახვას), ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ გადასცეს საკუთარი აქტივი მიმღებს.¹⁶

ასევე, ჩუქება ცალმხრივი გარიგებაა. მჩუქებელი გამოხატავს ცალმხრივ ნებას, რომლის ნამდვილობისთვისაც აუცილებელია მეორე მხარის (დასაჩუქრებულის) მიერ მისი მიღება (სსკ-ის 51-ე მუხლის I ნაწილი).¹⁷ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით ახსნილია, რომ ჩუქების შეთავაზება მიღებულად ჩაითვლება, თუ ადრესატი ამ შეთავაზების შემდეგ დაუყოვნებლივ არ იტყვის უარს.¹⁸

ჩუქების სამართლებრივი შინაარსი, ძირითადად, გამოიხატება მჩუქებლის მიერ ნების გამოვლენაში, რომელიც უნდა გულისხმობდეს საკუთარი დანაკარგის ხარჯზე მეორე პირის გამდიდრებას.¹⁹ შესაბამისად, ჩუქება არის ნებაყოფლობითი, რადგან არავის აქვს ჩუქების სამართლებრივი ვალდებულება. ასევე, ჩუქება არის უსასყიდლო, ვინაიდან მჩუქებელი გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას ნაცვალგების მოლოდინის გარეშე.²⁰ ეს გამოიხატება იმაში, რომ მჩუქებელს არ შეუძლია დასაჩუქრებულისგან მოითხოვოს შემხვედრი დაკმაყოფილება მის მიერ გადაცემული საჩუქრის გამო.²¹ იურიდიული

თვალსაზრისით, უსასყიდლო იმას ადასტურებს, რომ საჩუქარი არაა განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი და იგი ჩუქების ძირითად მაკვალიფიცირებელ წინაპირობად მიიჩნევა.²²

რაც შეეხება ჩუქებიდან გამომდინარე ურთიერთობის სუბიექტებს, ჩუქების ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მათ, ყველა შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ ქმედუნარიანობა. მაგალითად, არასრულწლოვანი (7-დან 18 წლამდე) ვერ გააჩუქებს ქონებას მზრუნველის ნებართვის გარეშე, ვინაიდან ჩუქება შესაძლებელია სამზრუნველო პირის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.²³

ამდენად, ჩუქება, ძირითადად, ყველგან აღიარებულია უსასყიდლო ხელშეკრულებად, რომელიც ასოცირდება ზოგიერთ ქვეყანაში კეთილშობილ განზრახვასთან, ზოგიერთგან საკუთარი ქონების ხარჯზე სხვის გამდიდრებასთან, რაზეც თანხმობას აცხადებს მიმღები. თუმცა არსებითია ის, რომ ჩუქებას უდევს საფუძვლად სხვისი ქონების გაზრდის კეთილშობილური განზრახვა.

III. ჩუქების ხელშეკრულების ფორმა

ჩუქების ფარგლებში უფლება-მოვალეობების წარმოშობისთვის დასადგენია, რამდენად დაცულია გარიგების ფორმალური წინაპირობა.

თუ უნდა გაჩუქდეს მოძრავი ნივთი, ნივთის გადაცემისას არაა აუცილებელი დამატებით რაიმე ფორმის დაცვა.²⁴ მოძრავი ნივთების ჩუქება ზეპირადაც შეიძლება.

ამდენად, საქართველოში ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. თუ ჩუქება მარტივი წერილო-

¹⁴ ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 227.

¹⁵ შენგელია, სსკ-ის 524-ე მუხლი, წიგნი: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, 74-75.

¹⁶ Apathy, Riedler A., Bürgerliches Recht, Band III Schuldrecht Besonderer Teil, Wien, Springer, 2010, S. 25.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის №ას-755-723-2016 გადაწყვეტილება.

¹⁸ Civil Code of Netherlands, Article 7:175 (II).

¹⁹ Dernburg, die Schuldverhältnisse nach dem Rechte des Deutschen Reichs und Preussens, 4. Aufl., Band 2, Einzelne Obligationen, 1915, S. 156.

²⁰ Codrea, The legal Frame of the Gift in Ideal Contexts of Authority, Procedia – Social and Behavioral Sciences, Vol. 149, 2014, 207, <https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.08.218>.

²¹ იხ. ძლიერიშვილი, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2004, 23; Hyland, Gifts: A study in comparative Law, New York, 2009, 11.

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის №ას-127-119-2015 გადაწყვეტილება; Martin A. Hogg, Promise and Donation in Louisiana and Comparative Law, Tulane European And Civil Law Forum, Vol. 26, 2011, p. 190.

²³ შენგელია, სსკ-ის 524-ე მუხლი, წიგნი: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, 68.

²⁴ Apathy, Riedler A., Bürgerliches Recht, Band III Schuldrecht Besonderer Teil, Wien, 2010, S. 26.

ბითი ფორმით დაიდება, მხარეთა ხელმოწერა ხელშეკრულებაზე უნდა დაამონმოს იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა.²⁵

დაახლოებით მსგავსადაა მონესრიგებული ჩუქებასთან დაკავშირებული საკითხები ესპანეთში. საქმე ისაა, რომ ესპანეთში მოძრავი ნივთის ჩუქება შეიძლება დაიდოს ან ზეპირად ან წერილობით. თუ ჩუქება ზეპირად დაიდო, აუცილებელია მოცემული ნივთის მაშინვე გადაცემა. სიტყვიერი ჩუქებისას როცა სიკეთე მაშინვე არ გადაცემულა, ასეთ ჩუქებას არ აქვს ძალა, თუ ის არ დადებულია წერილობითი ფორმით.²⁶

გერმანულ სამართალში განასხვავებენ ჩუქების ხელშეკრულების შეპირებასა და ე.წ. „ხელიდან ხელში“ ჩუქებას (*Handschenkung*). ნაჩუქარი ქონების მაშინათვე გადაცემა გსკ-ის 516-ე მუხლითაა დარეგულირებული და ის არ მოითხოვს რაიმე ფორმის დაცვას. რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების შეპირებას, ის მონესრიგებულია გსკ-ის 518-ე მუხლით. გსკ-ის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,²⁷ ჩუქების ხელშეკრულების შეპირება მოითხოვს მჩუქებლის მიერ გამოვლენილი ნების ნოტარიულ დამონმებას (დასაჩუქებულის განცხადება არაა აუცილებელი) იმისათვის, რომ ძალაში შევიდეს. თუ ფორმა დარღვეულია, შეპირებული მოვალეობის შესრულებით შეიძლება გასწორდეს ნაკლი. ამ ფორმალური მოთხოვნის მიზანია მჩუქებლის დაცვა ნაჩუქარევი და გაუაზრებელი დაპირებებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ არ იწვევს აქტივების შემცირებას.²⁸

საფრანგეთში განასხვავებენ შეთანხმებით გაფორმებულ ჩუქებასა და ნაჩუქარი ნივთის ხელიდან ხელში გადაცემით დადებულ ჩუქებას. პირველ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული სავალდებულო ფორმა, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა დამონმდეს სანოტარო ფორმით, მეორე შემთხვევაში კი საქმე ეხება რეალურ ხელშეკრულებას, როდესაც დასაჩუქებულს ფაქტობრივად ხელიდან ხელში გადაეცემა მოძრავი ნივთი და მოცემულ შემთხვევაში არაა საჭირო ხელშეკრულების დადება სანოტარო ფორმით.²⁹

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია,

რომ ხელიდან ხელში ჩუქება დაიშვება გამჩუქებლის მიერ დასაჩუქებულისთვის სიკეთის გადაცემის გზით. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩუქება იდება ზეპირად. რაც შეეხება მინის საკუთრებისა და მინის ნაკვეთზე არსებული სანივთო უფლების ჩუქებას, ძალაში შედის მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში აღრიცხვის მომენტიდან (შვეიცარიის სკ 242-ე მუხლის მე-2 ნაწ.). თუ გასაჩუქებელია მინის ნაკვეთი ან მასზე არსებული სანივთო უფლებები, აუცილებელია ჩუქების ოფიციალური დამონმება (შვეიცარიის სკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კვებეკის შემთხვევაში გარიგების აბსოლუტური ბათილობის შიშით მოძრავი ან უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება იდება საჯარო სანოტარო აქტით და ის უნდა გასაჯაროვდეს. თუმცა, ამავე დროს, კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოძრავი ნივთის ხელიდან ხელში გადაცემასაც და განსაზღვრავს, რომ თუ მხარეთა შეთანხმებით მოძრავი ნივთის გაჩუქებას თან ახლავს ნივთის გადაცემა და ამ ნივთზე დაუყოვნებლივი მფლობელობა, მაშინ ეს წესი გარიგების ფორმის შესახებ არ გამოიყენება.³⁰

იტალიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჩუქება უნდა დაიდოს საჯარო აქტით გარიგების ბათილობის შიშით. თუ საქმე ეხება მოძრავი ნივთის ჩუქებას, მაშინ ის ნამდვილია მხოლოდ იმათთვის, ვინც მითითებულია უშუალოდ ჩუქების აქტში ან დამოუკიდებელ ჩანაწერში, რომელსაც ხელს აწერს მჩუქებელი, დასაჩუქებელი და ნოტარიუსი.³¹

სსკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია, რომ ჩუქების დაპირება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მოვალეობას, როდესაც ის წერილობით არის შედგენილი. ამ ნორმით ემსგავსება ეს წესი შვეიცარიის მიდგომას, რადგან ჩუქების დაპირება ნამდვილად განიხილება იმ შემთხვევაში, როცა ის წერილობითაა გაფორმებული (შვეიცარიის სკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი).

კანონით, ჩუქების ხელშეკრულების ფორმის დადგენის ზოგადი საფუძველია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი. შესაბამისად, ხელშეკრულების ფორმას-

²⁵ <<https://napr.gov.ge/p/304>> [07.01.2022].

²⁶ Civil Code of Spanien, § 632.

²⁷ BGB, § 516, 518.

²⁸ *Huber, Examens – Repetitorium, Besonderes Schuldrecht/1, Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auf., Heidelberg, 2008, 147; Pieck, A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of*

International & Comparative Law: Vol. 3: Iss. 1, Article 7, 1996, 141-142.

²⁹ Civil Code of France, §932; დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 55.

³⁰ Civil Code of Quebec, § 1824.

³¹ Civil Code of Italian, § 782.

თან მიმართებით გასათვალისწინებელია სს-ის 525-ე, 68-ე, 328-ე, 183-ე, 186-ე მუხლების მოთხოვნები. თუ ჩუქების საგანია ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ამ ქონების ჩუქებაც მოიაზრებს იმავე ფორმის დაცვას.³² ამიტომ უძრავი ნივთის გაჩუქებისას შეთანხმება დადებულად მიიჩნევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში აღრიცხვის მომენტიდან (სსკ-ის 525-ე მუხლის მე-2 ნაწ.). ე.ი. ამ შემთხვევაში, გარდა ჩუქების შეთანხმების წერილობით დადებისა, საკუთრების უფლება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.³³

ჩუქებით საკუთრების უფლება რომ წარმოიშვას, დაინტერესებულმა პირმა დასარეგისტრირებლად უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს, ნოტარიუსს ან სხვა ავტორიზებულ პირს. დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს მჩუქებელი ან დასაჩუქრებული. სარეგისტრაციოდ უნდა იყოს წარდგენილი შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება, რომელიც უნდა შეავსოს შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღებმა ოპერატორმა;
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სათანადო წესით დამონმებული ჩუქების ხელშეკრულება.

ამასთან, როცა დაინტერესებული პირის ნაცვლად, წარმომადგენელი ახორციელებს სარეგისტრაციო მოქმედებას, დამატებით უნდა წარადგინოს სათანადოდ დამონმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ასევე, არაა გამორიცხული, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის.³⁴

მასასადამე, მოძრავი ნივთის ჩუქება, ძირითადად, შეიძლება დაიდოს ზეპირადაც, მაგრამ ჩუქების დაპირების ან უძრავი ნივთის ჩუქება

საჭიროებს შეთანხმების წერილობითი ფორმით დადებას. თუ ეს ფორმა დაცულია, მხოლოდ ამის შემდეგ იწვევს ის იურიდიულ შედეგებს. ცხადია, ჩუქების ხელშეკრულებაც სწორედ ამ დროიდან შედის ძალაში.

IV. ჩუქების ხელშეკრულების საგანი

ჩუქების საგანი შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთი. თუ საჩუქრად პირს უნდა გადაეცეს ისეთი ნივთები, რომელთა ბრუნვა შეზღუდულია, ამ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული ნივთის სამართლებრივი რეჟიმისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. მაგალითად, თუ ასეთი ნივთის შესაძენად აუცილებელია სპეციალური ნებართვა, დასაჩუქრებულსაც უნდა ჰქონდეს იგი.³⁵

ამავე დროს, ჩუქება შეიძლება დაიდოს ცალკეულ უფლებებზეც. თუ ხელშეკრულების საგანია უფლება, ჩვეულებრივ, შესაძლებელია მისი დათმობაც. გასათვალისწინებელია ის, რომ როცა ვალდებულებებში კრედიტორი იცვლება, შეიძლება დადგინდეს კრედიტორის მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემის აკრძალვა. თუ ამ პირობებში მაინც გადაეცა დასაჩუქრებულს მოთხოვნის უფლება ისე, რომ არ არსებობდა მოვალის ნებართვა ამაზე, ასეთი გადაცემა განიხილება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველად, სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების მიხედვით.³⁶ როცა ჩუქების ობიექტს წარმოადგენს მოთხოვნის უფლება, მოვალე აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა იყოს გაფრთხილებული. ამ ვალდებულების დარღვევის რისკი დასაჩუქრებულზე უნდა გადავიდეს. ამასთან, დაუშვებელია ჩუქების ობიექტი იყოს ზოგიერთი პირადი უფლება, მაგალითად, ალიმენტის მიღების უფლება, ავტორობა და სხვა.³⁷

აშშ-ში ჩუქების ხელშეკრულებად ითვლება დონორისათვის ადამიანის ორგანოს უსასყიდლო გადაცემა. მოცემულ შემთხვევაში ჩუქების ობიექტია ადამიანის ორგანო, თუმცა ასეთი ჩუქების ხელშეკრულება სარგებლობს განსაკუ-

³² იხ. *ძლიერიშვილი*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 226.

³³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის №ა-1529-1443-2012 გადაწყვეტილება.

³⁴ <<https://napr.gov.ge/p/304>> [07.01.2022].

³⁵ *შენგელია*, სსკ-ის 524-ე მუხლი, ნიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), ნიგნი IV, ტომი I. თბ., 2001, 68.

³⁶ იხ. *ძლიერიშვილი*, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა, თბილისი, 2018, 95-96.

³⁷ იხ. *შენგელია*, სსკ-ის 524-ე მუხლი, ნიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), ნიგნი IV, ტომი I. თბ., 2001, 69.

თრებული სამართლებრივი რეჟიმით და წესრიგდება სპეციალური ნორმებით.³⁸

V. ჩუქების მხარეთა უფლება-მოვალეობები

მართალია, ჩუქება ცალმხრივი ხელშეკრულებაა, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობების არსებობას. მაგალითად, **მჩუქებლის მოვალეობაა, არ დაუმალოს დასაჩუქრებულს საჩუქრის ნაკლი ბოროტი განზრახვით.** თავის მხრივ, დასაჩუქრებულს ევალება, მჩუქებელს არ მიაყენოს მძიმე შეურაცხყოფა ან არ გამოიჩინოს დიდი უმადურობა მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ეს შეიძლება ჩუქების გაუქმების საფუძველიც გახდეს.³⁹

ამასთან, **ქონება არ შეიძლება გასხვისდეს, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მას და მის კმაყოფაზე მყოფ პირებს** (სსკ-ის 526-ე მუხლი). ე.ი. გაჩუქება იზღუდება მხოლოდ მაშინ, თუ გამჩუქებელი ამ ქონების დახმარებით შემოსავალს იღებდა და ქონების გასხვისებით გაჩუქების შემდეგ მას აღარ რჩება შემოსავლის სხვა წყარო, რომლითაც ის მისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს. მხოლოდ ნივთის გაჩუქება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს საარსებო წყარო მოესპო. თუ ერთადერთი ნივთი გაჩუქდა, რის შემდეგაც, უხეშად რომ ითქვას, მჩუქებელი ქუჩაში რჩება, მას უჩნდება ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 530-ე (და არა 526-ე) მუხლის საფუძველზე, რადგან იგი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქონების გაჩუქების შემდეგ, ხოლო სსკ-ის 526-ე მუხლით მოწესრიგებულია შემთხვევა, როცა გამჩუქებელი რჩება შემოსავლის გარეშე ქონების გაჩუქების შემდეგ. ამასთან, სსკ-ის 530-ე მუხლის თანახმად, ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს, სსკ-ის 526-ე მუხლის ფარგლებში კი მჩუქებლის კმაყოფაზე მყოფი პირებიც არიან მოთხოვნის უფლებით აღჭურვილნი.⁴⁰

მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს მჩუქებელი თავისი უფლებების განხორციელებაში. ეს, ძირითადად, უკავშირდება თავისი ქონების სამართლებრივ სტატუსს. თუ ჩუქების ხელშეკრულების ობიექტი შედის საერთო (თანაზიარ) საკუთრებაში, მისი გაჩუქება დაიშვება თანამესაკუთრის ნებართვით. ამასთან, კანონით გათვალისწინებულია ჩუქების დაუშვებლობა. საქმე ისაა, რომ ჩუქების აკრძალვის საფუძველია მჩუქებლის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. **დაუშვებელია ჩუქების ხელშეკრულების დადება, თუ მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს მოესპობა საარსებო წყარო საკუთარი ქონების გაჩუქებით** (სსკ-ის 526-ე მუხლი), ხოლო უკვე დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს ბათილად აღიარებული.⁴¹

ამასთან, ჩუქების უსასყიდლობა არ გამოორიცხავს მჩუქებლის მოვალეობას ნივთის ნაკლთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ მოცემული ურთიერთობის ფარგლებში საჩუქარი უნდა იყოს უნაკლო და აუმჯობესებდეს დასაჩუქრებულის ქონებრივ მდგომარეობას. თუ დაიდო ამ წესის საწინააღმდეგო გარიგება, ეს იწვევს გამჩუქებლის პასუხისმგებლობას; სახელდობრ, სსკ-ის 527-ე მუხლის თანახმად, თუ მჩუქებელმა ბოროტი განზრახვით დამალა გაჩუქებული ქონების ნაკლი, მას ევალება დასაჩუქრებულისთვის ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ჩუქების საგნის ნაკლზე პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ნივთიდან გამომდინარე მჩუქებლის მოვალეობები ვერ გადავა დასაჩუქრებულზე.⁴² ამდენად, ხელშეკრულებით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობის განსხვავებული მასშტაბი. მაგალითად, სსკ-ის 527-ე მუხლის თანახმად, მჩუქებელს დაეკისრება შერბილებული პასუხისმგებლობა ნივთობრივი ნაკლისთვის.⁴³ ანალოგიური ნორმა გვხვდება გსკ-ში იმ განსხვავებით, რომ გსკ-ის 523-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 524-ე მუხლის პირველ ნაწილში გადაწესებულია ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის დროს პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები.

გარდა ამისა, სსკ-ისგან განსხვავებით, გსკ-ში პასუხისმგებლობა ნაკლული ნივთის ჩუქებისთვის უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული. მაგალითად, გსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილი⁴⁴ შეიცავს დებულებას, რომლითაც როცა

გარდა ამისა, სსკ-ისგან განსხვავებით, გსკ-ში პასუხისმგებლობა ნაკლული ნივთის ჩუქებისთვის უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული. მაგალითად, გსკ-ის 523-ე მუხლის მეორე ნაწილი⁴⁴ შეიცავს დებულებას, რომლითაც როცა

³⁸ Glazier, Organ Donation and the Principles of Gift Law. Clinical Journal of the American Society of Nephrology, Vol. 13, No. 8, 2018, 1283-1284.

³⁹ იხ. ზარანდია, ლაზარაშვილი, ჯანხოთელი, ტიპიური ხელშეკრულებების ნიმუშები, თბ., 2012, 57.

⁴⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ივლისის Nას-257-247-2013 განჩინება.

⁴¹ შენგელია, სსკ-ის 524-ე მუხლი, ნიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“ (რედ. ჭანტურია ლ.), ნიგნი IV, ტომი I. თბ., 2001, 71-72.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 ნოემბრის Nას-817-1094-05 განჩინება.

⁴³ რუსიაშვილი, ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბ., 2016, 12-13.

⁴⁴ BGB § 523.

მჩუქებელი იღებს მოვალეობას ისეთი ნივთის გადაცემის თაობაზე, რომელიც მან ან უნდა შეიძინოს, მაშინ დასაჩუქრებულს აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უფლებრივი ნაკლის გამო მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, თუ მჩუქებელმა ნაკლის თაობაზე ნივთის შექენისას იცოდა ან ამის შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია თავისი უხეში გაუფრთხილებლობით. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება უფლებრივი ნაკლის გამო გამყიდველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმები (გსკ-ის 433-ე მუხლის პირველი ნაწილი, 435-ე, 436-ე, 444-ე, 452-ე, 453-ე მუხლები). გსკ-ის 524-ე მუხლის მეორე ნაწილის⁴⁵ მიხედვით, როდესაც მჩუქებელი იკისრებს მოვალეობას ისეთი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის შესახებ, რომელიც ჯერ მას არ შეუძენია, მაშინ დასაჩუქრებულს აქვს უფლება, მოითხოვოს ნაკლული ნივთის ჩანაცვლება უნაკლოთი, თუ გადაცემულ ნივთს ნაკლი ჰქონდა და მჩუქებელმა იცოდა ამ ნაკლის თაობაზე, ან მას არ ჰქონდა ინფორმაცია ნაკლთან დაკავშირებით საკუთარი უხეში გაუფრთხილებლობის გამო; ამასთან, თუ მჩუქებელი ნაკლს დამალავს ბოროტი განზრახვით, მაშინ დასაჩუქრებულს უჩნდება უფლება, ნაცვლად უნაკლო ნივთისა, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ამ მოთხოვნის უფლებებზე ვრცელდება გაყიდული ნივთის ნაკლისათვის გარანტიის თაობაზე ნორმები.

მჩუქებლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია გსკ-ის 521-524-ე მუხლებში სპეციალური დებულებების სახით. მჩუქებელი პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისას.⁴⁶ შესაბამისად, მარტივი გაუფრთხილებლობისას ამ ნორმებით პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა.

კვებულის შემთხვევაში მჩუქებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ დაფარული ნაკლისთვის, რომელიც ქონებას ჰქონდა. აქ მოიაზრება შემთხვევა, როცა მჩუქებელმა არ იცის ამ ნაკლის შესახებ. ამასთან, კანონმდებელი ადგენს, რომ მჩუქებელმა უნდა აუნაზღაუროს დასაჩუქრებულს იმ ნაკლით გამოწვეული ზიანი, რომელიც ხელყოფს მის ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თუ მან იცოდა ამ ნაკლის თაობაზე და არ გაუმ-

ხილა ის ჩუქების მომენტში.⁴⁷ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მჩუქებელი არაკეთილსინდისიერი გამოდის, რის გამოც ნაკლით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობაც დაეკისრება.

VI. ჩუქების გაუქმების საფუძვლები და იურიდიული შედეგები

1. ჩუქების გაუქმების საფუძვლები

ჩუქება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველი, დასაჩუქრებულს გარკვეულწილად აკისრებს მოვალეობას, რომელიც სსკ-ის 529-ე მუხლში განიხილება ზნეობრივ-სამართლებრივ მოვალეობად (და არა კონკრეტულ პირობად). ესაა მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისგან თავის შეკავების მოვალეობა.⁴⁸ საქმე ისაა, რომ ზნეობრივ-სამართლებრივი მოვალეობა, გარდა მისი საზოგადო ხასიათისა, მოცემულ შემთხვევაში ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტური ნიშან-თვისებაცაა. შესაბამისად, მჩუქებელი არ კარგავს მომავალში კანონისმიერი საფუძვლების არსებობისას ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობას, თუნდაც ნივთი დასაჩუქრებულის საკუთრებაში ჰქონდეს გადაცემული, ვინაიდან ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება არ უნდა ჩაითვალოს თავისუფლების შეზღუდვად. ამდენად, საკუთრება, როგორც სიკეთე, არაა იმაზე მეტი ფასეულობა, ვიდრე ზნეობრივი ქცევა, როგორც ღირებულება. ჩუქების გაუქმების გზით სამართალი ასრულებს ზნეობრივი ფასეულობების მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას.⁴⁹

ამდენად, ჩუქების გაუქმების მომწესრიგებელი ნორმის (სსკ-ის 529-ე მუხლის) მიზანია, მჩუქებლის ინტერესები უზრუნველყოს დასაჩუქრებულისთვის ზნეობრივი ფასეულობების დაცვის მოვალეობის დაკისრების გზით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფა.

⁴⁵ BGB § 524.

⁴⁶ Huber, Examens – Repetitorium, Besonderes Schuldrecht/1, Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Aufl., Heidelberg, 2008, 147.

⁴⁷ Civil Code of Quebec, § 1828.

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის №ას-582-2021 გადაწყვეტილება

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №2/155 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მაშასადამე, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების კანონისმიერი საფუძვლებია **დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლისთვის ან მისი ახლო ნათესავისთვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან მის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა** (სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, ეს ორი დამოუკიდებელი გარემოება ხელშეკრულების გაუქმების ალტერნატიულ წინაპირობებადაა წარმოდგენილი.⁵⁰ თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, ეს არ გამოირიცხავს ცალკეულ შემთხვევებში ორივე გარემოების ერთდროულად არსებობას. ამასთან, ნორმიდან ცხადი ხდება, რომ დასახელებული წინაპირობებიდან ერთ-ერთის არსებობა უკვე ქმნის ჩუქების გაუქმების საკმარის სამართლებრივ საფუძველს.

გსკ-ის 530-ე მუხლის⁵¹ თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას. სსკ-ისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით ჩუქების გაუქმებისთვის აუცილებელია დასაჩუქრებულის მიმართ, ერთი მხრივ, მძიმე გადაცდომის ჩადენა, მეორე მხრივ კი, ასეთ ქმედებას მიზეზობრივად მოჰყვეს დიდი უმადურობა.

საქართველოში კანონით არაა განსაზღვრული, რა მოიაზრება უმადურობაში, ან ვინაა მჩუქებლის ახლო ნათესავი. საქართველოში სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად მიიჩნევა:

ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის, ან აღმავალი და დაღმავალი ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების, თავისუფლების ან საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ;

ბ) განზრახი მოქმედებით მჩუქებლისთვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება;

გ) მჩუქებლის რჩენის კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე უარის თქმა და სხვა.⁵²

ჩუქება არის „პირადი ხასიათის“ ხელშეკრულება. ამ ნიშანზე დაყრდნობით იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ გან-

საკუთრებულ უმადურობად შეიძლება ჩაითვალოს მჩუქებლის მიერ ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც მხარეთა შორის, სოციალურ-მორალური თვალსაზრისით თუ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მიუღებელი და ნაკლებად მოსალოდნელია.⁵³

სსკ-გან განსხვავებით, გსკ-ში ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების დაუშვებლობის დამატებითი საფუძველია მჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიერ ჩადენილი ქმედების პატიება, რომელიც გარიგების სახე კი არა, არამედ რეალაქტია.⁵⁴ ამდენად, პატიებით ცხადი ხდება, რომ მჩუქებლისთვის არაა დასაჩუქრებულის ქმედება ზიანის მომტანი, რის გამოც პატიობს მას.⁵⁵

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, **დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფა შეფასებითი კატეგორიებია**. მათი შეფასებისას გასათვალისწინებელია **(ა) მჩუქებლის მიერ ამ გარემოებების შეფასება (ე.წ. „სუბიექტური თვალსაზრისი“), ისე (ბ) მოსამართლის მიერ იმის შეფასება, როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი**.⁵⁶

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ჩუქების გაუქმების საფუძვლად განიხილავს უმადურობას და მის განმსაზღვრელ გარკვეულ კრიტერიუმებს გვთავაზობს. სახელდობრ, მოცემულ შემთხვევაში მთავარია დასაჩუქრებულმა ჩაიღინოს მნიშვნელოვანი გაკიცხვის ღირსი საქციელი, ჩუქების ბუნების, მხარეთა შესაძლებლობებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.⁵⁷

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 801-ე მუხლი მჩუქებელს ანიჭებს უმადურობის გამო ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დასაჩუქრებულმა ჩაიღინა 463-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებებიდან ერთ-ერთი, ან მიაყენა მძიმე თუ განზრახ სერიოზული დაზიანება დასაჩუქრებულს. იტალიაში 463-ე მუხლის პირველი ნაწილით მემკვიდრეობა გამოირიცხება, თუ დადგინდა უღირსი მემკვიდრეობა, კერძოდ, როცა ამ პირმა საკუ-

⁵⁰ ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2010, 83.

⁵¹ BGB § 530.

⁵² ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშო რჩენა (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2018, 348-349.

⁵³ ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2010, 84.

⁵⁴ Bönninghaus, Schuldrecht Besonderer Teil I: Kauf-, Werk-, Reisevertrag und Schenkung, 2. Aufl., Heidelberg, 2012, Rn. 471.

⁵⁵ Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 8. Auflage, Heidelberg, 2011, Rn. 166.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის Nას-1235-1176-2014 განჩინება.

⁵⁷ Civil Code of Quebec, § 1836.

თარი ნებით მოკლა ან სცადა იმ პირის სიცოცხლის მოსპობა, ვის მემკვიდრეობასაც ეხება საქმე, ან მისი მეუღლის აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი იმ პირობით, რომ არ დადგებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁵⁸ მოცემულ შემთხვევაში უნდა მოიაზრებოდეს დასაჩუქრებულისგან შეგნებული და ნებელობითი შეურაცხყოფა, რაც უმადურობის გამოვლენის ფორმაა. იტალიაში ჩუქების გაუქმების საკმარისი საფუძველი ვერ იქნება უცარი გაბრაზება ან მკაცრი კრიტიკა. უმადურობად და ამორალურ ქმედებად განიხილება ისეთი შეურაცხყოფა, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით იწვევს მჩუქებლის პატივისა და ღირსების შელახვას.⁵⁹

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ე.წ. „ხელიდან ხელში“ ჩუქებისა და ჩუქების დაპირების დროს გამჩუქებელს შეუძლია ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარის დაბრუნება, თუ დასაჩუქრებული გამდიდრებულია და მან ჩაიდინა გამჩუქებლის ან მისი ახლობლის მიმართ მძიმე დანაშაული. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნაჩუქარი შეიძლება დაბრუნდეს, თუ დასაჩუქრებულმა უხეშად ხელყო გამჩუქებლის ან მისი ნათესავის მიმართ მისთვის დაკისრებული საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობები.⁶⁰ შესაბამისად, აქ კანონმდებელი ჩუქების გამოთხოვას უკავშირებს მძიმე დანაშაულის ჩადენას, ან უშუალოდ საოჯახო მოვალეობების უხეშ დარღვევას.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით გაჩუქებულის დაბრუნება შეიძლება უმადურობის გამო მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: 1. თუ დასაჩუქრებულმა სცადა მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა; 2. თუ დასაჩუქრებულს ედებოდა ბრალი მჩუქებლის მიმართ სისასტიკეში, სერიოზულ დანაშაულებში ან მძიმე შეურაცხყოფაში; 3. როდესაც დასაჩუქრებული უარს ამბობს მჩუქებლის დახმარება-მოვლაზე. ამასთან, კანონით დაუშვებელია პირობების შეუსრულებლობის ან უბრალოდ უმადურობის მიზეზით ნაჩუქარის დაბრუნება.⁶¹ შესაბამისად, საფრანგეთში უმადურობა მაშინ განიხილება გაჩუქებული სიკეთის დაბრუნების საფუძველად, როცა დასაჩუქრებულის ქმედება შეიცავს მძიმე დარღვევების ნიშნებს.

ესპანეთშიც გაიზიარა ჩუქების გაუქმების სრულად დასახელების პრინციპი. ესპანეთის

სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლის მიხედვით, ჩუქების გაუქმების უფლება წარმოიშობა შემდეგი საფუძვლების არსებობისას: 1. თუ დასაჩუქრებული ჩაიდენს დანაშაულს მჩუქებლის პიროვნების, მისი პატივის ან საკუთრების წინააღმდეგ; 2. თუ სიკეთის მიმღები (დასაჩუქრებული) მჩუქებელს მიაწერს სისხლის სამართლით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენას, რაც იწვევს ოფიციალურად სამართალწარმოების დაწყებას ან საჯარო ბრალდების წარდგენას, მაშინაც კი, როდესაც მან უნდა წარმოადგინოს ამის მტკიცებულება; გარდა იმ შემთხვევისა, როცა სისხლის სამართლით დადგენილი დანაშაული ჩადენილია უშუალოდ ჩამდენის, მისი მეუღლის ან ბავშვების მიმართ, რომლებიც მისი მეთვალყურეობის ქვეშ არის მოქცეული; 3. თუ ის უმიზეზოდ (უსაფუძვლოდ) უარს იტყვის დახმარებაზე.⁶²

ამდენად, საფრანგეთისა და ესპანეთის სამოქალაქო კოდექსები ჩუქების გაუქმების ამომწურავ ჩამონათვალს ითვალისწინებს. თუმცა, საფრანგეთისგან განსხვავებით, ესპანეთი უფრო აკონკრეტებს ჩუქების გაუქმების საფუძვლებს. ამასთან, შვეიცარიის მონესრიგების მსგავსად, საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობების უხეში ხელყოფა უნდა განიხილებოდეს ჩუქების გაუქმების საფუძველად. საქართველომ ჩუქების გაუქმების საფუძვლები სრულად არ ჩამოთვალა და ამ დუმილით ფაქტობრივად დიდი უმადურობისა თუ მძიმე შეურაცხყოფის დადგენა სასამართლო პრაქტიკას მიაწოდო.

2. ჩუქების გაუქმებისას სათანადო მოსარჩელე

ჩუქების გაუქმების დროს უმნიშვნელოვანესია, დადგინდეს, ვის აქვს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. ეს, გარდა მატერიალურ-სამართლებრივი დატვირთვისა, პროცესუალური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რადგან უკავშირდება სათანადო მხარის ინსტიტუტს.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური სამართლის ნორმებით შეიძლება განისაზღვროს, არის თუ არა სათანადო მოსარჩელე სარჩელის აღმძვრელი. როგორც სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, **ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილია მხოლოდ მჩუქებელი.** სახელდობრ, ნაჩუქარი სიკეთის გამოთხოვის უფლე-

⁵⁸ Civil Code of Italian, § 801.

⁵⁹ Hyland, Gifts: A study in comparative Law, New York, 2009, 521-522.

⁶⁰ Federal Act on the Amendment of the Swiss Civil Code, 30.03.1911 (Status as of 1 January 2022), § 249.

⁶¹ Art. 955, 956 of French Civil Code.

⁶² Civil Code of Spain, § 648.

ბა არაა დამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება და მისი გადაცემა დაუშვებელია, მათ შორის მემკვიდრეობით, მისი პერსონალური ხასიათის გამო. ამდენად, ჩუქების გაუქმება მხოლოდ დაზარალებული მჩუქებლის უფლებაა. თუმცა უკვე გაცხადებული გამოთხოვიდან გამომდინარე უფლება არ ატარებს პერსონალურ ხასიათს და, შესაბამისად, შეიძლება გადავიდეს მჩუქებლის მემკვიდრეებზეც.⁶³

თუ საქმეზე დადგინდა, რომ მოსარჩელე, რომელიც მჩუქებელი იყო, გარდაიცვალა და მას ჰქონდა ჩუქების გაუქმების უფლება მჩუქებლის მიძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, მოთხოვნის საფუძველი იქნება სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი (თუ ჩუქების გაუქმების შემდეგ მჩუქებელი მიძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას შეუძლია, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი მაშინ, როცა ეს სიკეთე რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მიძიმე მდგომარეობაში). ამასთან, სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილი ანებს, რომ სამკვიდრო მოიცავს მამკვიდრებლის ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მას გარდაცვალების მომენტისთვის ჰქონდა. თუმცა სამკვიდროში არ მოიაზრება ისეთი ქონებრივი უფლება-მოვალეობები, რომლებსაც პირადი ხასიათი აქვთ და მხოლოდ მამკვიდრებელს ეკუთვნის, ასევე, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობები, რომლებიც მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში მოქმედებს და წყდება მათი გარდაცვალებით (სსკ-ის 1330-ე მუხლი). ამიტომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება თუ ეფუძნება მჩუქებლის მიძიმე მდგომარეობაში აღმოჩენას, ის პირად უფლებად მიიჩნევა და მის გამოყენებაზე უფლებამოსილია მხოლოდ მჩუქებელი. შესაბამისად, ამ ნორმით ჩუქების გაუქმება ემსახურება მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მჩუქებლის გარდაცვალებისას ეს მიზანი ვერ მიიღწევა. ამდენად, ამ შემთხვევაში მატერიალური სამართალი არ უშვებს უფლებამონაცვლეობას, შესაბამისად, საპროცესო უფლებაუნარიანობაც დაუშვებლად განიხილება (სსკ-ის 530-ე და 1330-ე მუხლები).

თუმცა თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ გარდაიცვლება მჩუქებელი და სსკ-ის 529-ე მუხლის ფარგლებში წარმოევა ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება, ამ დროს სამკვიდრო აქტივში შევა ჩუქების გაუქმების ქონებრივი უფლებაც. თუ დადასტურდა სარჩელში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, მაშინ მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რაც გარდაცვლილ მჩუქებელს სარჩელის აღძვრით უნდოდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლოც საპროცესო უფლებამონაცვლეობას დასაშვებად განიხილავს (სსკ-ის 1328-ე და 1424-ე მუხლები, 1421-ე მუხლის პირველი ნაწილი და 1433-ე მუხლი).⁶⁴

ასევე, აქტუალურია **ნიშნობისას ნაჩუქარი ქონების დაბრუნების შემთხვევაში სათანადო მხარის განსაზღვრის საკითხი**, სახელდობრ, საინტერესოა, ვის აქვს სიკეთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება – ნიშნობის მხარეებს თუ მჩუქებელსაც. ამ მიზნით აუცილებელია სსკ-ის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 529-ე მუხლის გამიჯვნა. სსკ-ის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, **ნიშნობის საჩუქრის გამოთხოვაზე უფლებამოსილი არიან მხოლოდ ნიშნობის მხარეები და არა მჩუქებელი**, რომელმაც ნებაყოფლობით გადასცა საკუთრებაში ნივთი ნიშნობის მხარეებს. მჩუქებელს შეიძლება ნაჩუქარ ნივთზე მოთხოვნის უფლება გაუჩნდეს მხოლოდ სსკ-ის 529-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების არსებობისას.⁶⁵

3. მტკიცების ტვირთი

ჩუქების გაუქმებასთან დაკავშირებით მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, კერძოდ, სსკ-ის 529-530-ე მუხლებით განსაზღვრული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობების არსებობა. შესაბამისად, **მოსარჩელემ უნდა უზრუნველყოს მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოს წარუდგინოს იმ გარემოებების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები**, რაც ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ გამოხატულ მიძიმე შეურაცხყოფად ან დიდ უმადურობად შეფასდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე დავა იყო დაძმას შორის. დაიკითხნენ მონმეები, რომლებიც არ ყოფილან ამ დავის მონაწილეები და მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 სექტემბრის №ას-1050-2019 გადაწყვეტილება.

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრის №ას-1050-2019 გადაწყვეტილება.

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის №ას-297-280-2010 განჩინება.

შეურაცხყოფის მიყენების თვითმხილველები, მათ მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ შეურაცხყოფის შესახებ. ამასთან, დადგინდა, რომ მოსარჩელის მიმართ გამოცემულია შემაკავებელი ორდერი მოპასუხის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, რაც კიდევ უფრო ასუსტებს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას. ამ შემთხვევაში ასეთი მოწმეების ჩვენებები არაა მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენების დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულება. არ დასტურდება ისიც, რომ მჩუქებელი ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მას აღარ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა.⁶⁶

სპეციფიკურია ძალადობის დროს ჩუქების გაუქმების საფუძვლების არსებობის მტკიცების ტვირთი. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში **მჩუქებელმა უნდა ამტკიცოს, რომ დასაჩუქრებულმა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას ან/და დიდი უმადურობა გამოიჩინა მის მიმართ.** მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე დაკითხული ორი მოწმის ჩვენებებიდან დადგინდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ მოძალადემ დაიწყო დედაზე ძალადობა, საჭმელს არ აჭმევდა და მზრუნველობას არ იჩენდა. ასევე, საქმის მასალებში იძებნებოდა შემაკავებელი ორდერიც. ამ მტკიცებულებების გამოკვლევამ შექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ დასაჩუქრებული ნამდვილად იჩენდა მჩუქებლის (დედის) მიმართ დიდ უმადურობასა და აყენებდა მძიმე შეურაცხყოფას. როცა საქმე ეხება ძალადობას, მოძალადის ხასიათის გათვალისწინებით, საქმეში იშვიათია ძალადობის ფაქტის ამსახველი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა, ვინაიდან მოძალადე ყოველთვის ცდილობს, მსხვერპლზე მალულად იძალადოს, მისი მარტო ყოფნით ისარგებლოს და სწორედ ამ დროს გაუსწორდეს. შესაბამისად, მჩუქებელმა წარმატებით დაძლია მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი. ამიტომ სასამართლომ განმარტა, რომ დასაჩუქრებულის ქმედება გამჩუქებლის მიმართ არის თუ არა უმადურობა ან შეურაცხმყოფელი, ეს უნდა დადგინდეს როგორც მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, შეხედულებების,

ისე უშუალოდ ქმედების შეფასებისა და კონკრეტულ საზოგადოებაში აღიარებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების მიხედვით. მართალია, საყურადღებოა თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება ქმედების მიმართ, თუმცა გადამწყვეტია უშუალოდ ქმედების შეფასება, რადგან, სსკ-ის 529-ე მუხლის მიხედვით, **ჩუქების გაუქმების საფუძველია დასაჩუქრებულის არა ნებისმიერი გასაკიცხი ქმედება, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა.**⁶⁷ **რამდენად არის ჩუქების გაუქმება დასახული მიზნის პროპორციული, ეს უნდა შეფასდეს არა მჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, არამედ ჩუქების შემდგომ განვითარებული მოვლენების გონივრული განსჯის გზით.** ამ შემთხვევაში სასამართლო ისევე, როგორც მჩუქებელი დაასკვნის, რომ დასაჩუქრებულის ქმედება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა.⁶⁸

როგორც გსკ-ის 534-ე მუხლშია ასახული, ჩუქება, რომელიც შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობას, ან გაკეთდა ზრდილობისათვის, არ შეიძლება იყოს გამოთხოვილი და გაუქმებული.

ამასთან, ჩუქების გაუქმების უფლების გამოყენება შეზღუდულია გარკვეული ვადით. საქმე ისაა, რომ მჩუქებელს შეუძლია გამოიყენოს ჩუქების გაუქმების უფლება ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევდა (სსკ-ის 529-ე მუხლის III ნაწილი). ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც მჩუქებელი შეიტყობს ჩუქების გაუქმების უფლების მიმნიჭებელი გარემოების შესახებ.⁶⁹ ანალოგიურად აწესრიგებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს, თუმცა, ამავე დროს, ადგენს ამ ვადის გასვლამდე მჩუქებლის გარდაცვალების იურიდიულ შედეგებს. საქმე ისაა, რომ რომ როცა ამ ერთწლიანი ვადის გასვლამდე გარდაიცვლება მჩუქებელი, მაშინ დარჩენილ დროში სარჩელის წარდგენის უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ამასთან, მჩუქებლის მემკვიდრეები ხდებიან უფლებამოსილი, გააუქმონ ჩუქება, თუ დასაჩუქრებული გა-

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის №ას-1174-2019 გადაწყვეტილება.

⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის №ას-1235-1176-2014 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის №2პ/2490-17 განჩინება.

⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1183-2018 გადაწყვეტილება.

⁶⁹ ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2018, 388.

ნზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოკლავს გამჩუქებელს ან ხელს შეუშლის გაუქმების უფლების განხორციელებას.⁷⁰

მჩუქებელმა შეიძლება თვითონ განსაზღვროს, დასაჩუქრებულის რომელ ქმედებას ჩათვლის ჩუქების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლისთვის შესაბამის მომენტიად. თუ მჩუქებელმა იცოდა ქმედების ხასიათის გამო უმადურობის ფაქტის შესახებ, **ხანდაზმულობის** ვადა აითვლება დასაჩუქრებულის მიერ ქმედების განხორციელების მომენტიდან. თუმცა სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეიძლება ესა თუ ის ფაქტი განიხილებოდეს ისეთ შეურაცხყოფად ან უმადურობად, რომ ჩუქების გაუქმების საკმარისი საფუძველი იყოს.⁷¹

4. ჩუქების გაუქმების იურიდიული შედეგები

გსკ-ის 531-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმებისას საჩუქრის დაბრუნება შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით. მართალია, სსკ-ის 529-ე მუხლის შემადგენლობა არ შეიცავს ჩუქების გაუქმებისას ნაჩუქარის დასაბრუნებლად უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებაზე მითითებას, მაგრამ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ პირობებში გაჩუქებული ქონება ბრუნდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების დახმარებით.⁷² კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1838-ე მუხლიც⁷³ ადგენს, რომ ჩუქების გაუქმებისას დასაჩუქრებულმა უნდა დაუბრუნოს გამჩუქებელს მიღებული სიკეთე შესრულებულის უკან დაბრუნების წესების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება *condictio ob causam finitam*-ს, რადგან, მართალია, ხელშეკრულების შესრულებისას სიკეთის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი არსებობს, მაგრამ მოგვიანებით ვალდებულება წყდება. შესაბამისად, თუ ამ პირობებში შემძენმა სიკეთე მიიღო, ის უსაფუძვლოდ გამდიდრებულად ჩაითვლება, ვინაიდან როცა მოგვიანებით ქრება გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, მხარეს უჩნდება

condictio ob causam finitam-ზე დაყრდნობით გადაცემულის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. ამ პირობებში გაჩუქებული ქონება ისევ გამჩუქებლის საკუთრებად უნდა აღირიცხოს.⁷⁴

რაც შეეხება გაჩუქებული ქონების გამოთხოვას, ამის განხორციელების უფლება აქვს მჩუქებელს. ამასთან, ნაჩუქარის დაბრუნებისას დასაჩუქრებულს არ შეუძლია მჩუქებლისგან იმ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, რომელიც მას ნაჩუქარის უკან დაბრუნების გამო მიადგა. თუმცა დასაჩუქრებულს წარმოეშობა ნაჩუქარის გაუმჯობესებისთვის განუვლი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.⁷⁵

ამასთან, სსკ-ის 530-ე მუხლის თანხმად, ჩუქების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ მჩუქებელს შეუძლია დასაჩუქრებულისგან გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა, თუ კუმულაციურად დაკმაყოფილებულია შემდეგი წინაპირობები:

- ა. გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს;
- ბ. გაჩუქებულის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ აყენებს მძიმე მდგომარეობაში;
- გ. გაჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე.

საილუსტრაციოდ საინტერესოა ერთ-ერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

გიორგი იყო ხანდაზმული და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა ორსართულიან სახლში. 2012 წლის 10 ოქტომბერს გიორგიმ ისესხა ფიზიკური პირისგან 4 000 აშშ დოლარი და სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მის სახელზე რიცხული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. გიორგიმ 2012 წლის 1 ნოემბერს თავისი ერთადერთი სახლი კანონით დადგენილი წესით აჩუქა დიანას (შვილიშვილს). დიანას უფლება ნაჩუქარ ნივთზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. თუმცა 2014 წლის 10 იანვარს დიანა გათხოვდა და ქ. თბილისიდან საცხოვრებლად გადავიდა ქ. ხაშურში. ამის გამო დიანა უკვე აღარ ზრუნავდა ბაბუაზე. ბაბუა აღნიშნავდა, რომ დიანა გათხოვების შემდეგ გამოხატავდა ზიზღს, თავს არიდებდა მასთან შეხვედრას. არადა გიორგის შერყეუ-

⁷⁰ Federal Act on the Amendment of the Swiss Civil Code, 30.03.1911 (Status as of 1 January 2022), § 251.

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის №ას-62-59-2012 განჩინება.

⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის №ას-1333-2019 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016

წლის 18 მარტის №ას-1011-954-2015 გადაწყვეტილება.

⁷³ Civil Code of Quebec, § 1838.

⁷⁴ Wieling, Bereicherungsrecht, Vierte Auflage, Berlin Heidelberg, 2007, 28; იხ. ბიჭია, კაზუსები სამოქალაქო სამართალში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2022, 261-262.

⁷⁵ იხ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ., 2010, 243.

ლი ჰქონდა ჯანმრთელობა და მკურნალობა-მზრუნველობას საჭიროებდა, რასაც მისი შვილიშვილი არ ახორციელებდა. ერთადერთი სახლის გაჩუქების გამო ის ჩავარდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, შვილიშვილი კი აპირებდა სახლის გასხვისებას და თუ ეს მოხდებოდა, ბაბუა შეიძლება ქუჩაში აღმოჩენილიყო. ამიტომ 2014 წლის 17 მარტს მან მოითხოვა შვილიშვილისგან ჩუქების გაუქმება და ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნება. დიანამ უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე, რადგან, მისი თქმით, სადავო ბინის გაჩუქებით გიორგის მატერიალური მდგომარეობა არ გაუარესებულა და ის ინარჩუნებდა გაჩუქებული ბინის მფლობელობას.⁷⁶

რაც შეეხება ერთადერთი საცხოვრისის გასხვისების გამო მხარის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნას, ამ შემთხვევაში იკვეთებოდა სსკ-ის 530-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, დადგინდა, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის ერთადერთ საცხოვრისს და მისი გასხვისებით გიორგი ქუჩაში აღმოჩნდებოდა. ეს უკანასკნელი ხანდაზმული იყო, საჭიროებდა მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას. დასაჩუქრებულს ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაენია ბაბუასთვის. ქონების გასხვისებით გიორგი უდავოდ ჩავარდებოდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპობოდა იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განეკარგა ქონება, მაგალითად, გაექირავებინა [სსკ-ის 531-ე მუხლი] და მიეღო სარგებელი ან მთელი სიცოცხლის განმავლობაში გადაეცა მისთვის მისაღები პირისთვის (მარჩენალისთვის) უძრავ ნივთზე საკუთრება სარჩოს გადახდის პირობით [სსკ-ის 941- 942-ე მუხლი] და ა.შ. ამიტომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია მსჯელობა, რომ სადავო ბინის გაჩუქებით მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობა არ გაუარესებულა, რადგან ის დღესაც ინარჩუნებს გაჩუქებული ბინის მფლობელობას. ამასთან, დაცულია სსკ-ის 530-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები და არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება – გამჩუქებლისათვის ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება. 2012 წლის 2 ნოემბერს მხარეთა შორის დადებული ბინის ჩუ-

ქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩუქების გაუქმების შედეგად გადაცემული ნივთი უნდა დაბრუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უსაფუძვლოდ აღმოჩნდება სხვის ქონებრივ სფეროში. აქედან გამომდინარე, გიორგის აქვს დიანასგან გაჩუქებული ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, სსკ-ის 530-ე მუხლის, 976-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტისა და სსკ-ის 979-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე.⁷⁷ ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უნდა დადგინდეს შემდეგი წინაპირობები:

ა) ჩუქების შემდგომ მჩუქებელი ისეთ მძიმე მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს, რომ მას არ შეეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. ამასთან, მძიმე მდგომარეობა არ უნდა იყოს მჩუქებლის განზრახ ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული;

ბ) გაჩუქებული ნივთი რეალურად უნდა არსებობდეს და მას კვლავ დასაჩუქრებული უნდა განკარგავდეს;

გ) საჩუქრის დაბრუნებამ არ უნდა ჩააყენოს დასაჩუქრებული მძიმე მდგომარეობაში;

დ) დასაჩუქრებული უნდა გამდიდრდეს მჩუქებლის ხარჯზე.⁷⁸

ასევე, საყურადღებოა სხვა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიც:

ა-სა და ბ-ს შორის წლების განმავლობაში ახლო (სასიყვარულო) ურთიერთობა ყალიბდებოდა. ა-ს ჰქონდა ბ-ს მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რის გამოც ა-მ ბ-ს 2009 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის ივნისამდე პერიოდულად გაუგზავნა თანხა, სულ დაახლოებით 8 500 ევრო, რაც დასტურდებოდა ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერით. მოგვიანებით, 2011 წლის ნოემბერში ბ-მ საეკლესიო წესით ცოლად მოიყვანა არა ა, არამედ გ. ა-მ მიიჩნია, რომ მიუხედავად არსებული სასიყვარულო ურთიერთობისა, ამ პერიოდში ბ-ს სასარგებლოდ გადარიცხული თანხა უნდა ანაზღაურებულიყო სესხის ნორმების მიხედვით.

მართალია, ბ-მ დაადასტურა თანხის მიღება, მაგრამ სარჩელი არ ცნო. ბ-ს განმარტებით, სადავო ხარჯები მას ა-მ გადასცა საჩუქრად, რის გამოც მათი უკან დაბრუნების საფუძველი არ

⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის №ას-710-676-2015 გადაწყვეტილება.

⁷⁷ იქვე; ბიჭია, კაზუსები სამოქალაქო სამართალში, თბ., 2022, 272-274.

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 თებერვლის №ას-572-572-2018 განჩინება.

არსებობდა. ამასთან, მხარეებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა ახლო (სასიყვარულო) ურთიერთობა, რაც გამორიცხავდა ა-ს მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილების სესხად გადაცემას, ა-მ კი თანხის დაბრუნება მოითხოვა ბ-ს მხრიდან სხვაზე საეკლესიო წესით დაქორწინების შემდეგ. ბ-ს თქმით, სადავოა ა-ს მიერ გადარიცხული თანხის მიზნობრიობა და განმარტა, რომ სხვადასხვა დროს ა-მ მართლაც გადასცა მას თანხა, თუმცა არა სესხად, არამედ მხარეთა შორის ახლო ურთიერთობის ფარგლებში საჩუქრად. დადგინდა, რომ უშუალოდ ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველ ამონაწერშიც არ იყო მითითება მხარეთა შორის რაიმე სასესხო ვალდებულების არსებობაზე.⁷⁹

ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნებას განსაზღვრავს ორი კრიტერიუმი: (ა) **მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და (ბ) გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა.** ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეფასდეს აღნიშნული კრიტერიუმებით, სასამართლომ კი ამ პროცესში უნდა გაითვალისწინოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი. ჩუქების უმთავრესი წინაპირობაა ხელშეკრულების დადებამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, ვინაიდან, ჩვეულებრივ, სწორედ ეს ქმნის მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების მოტივს. ესაა გამჩუქებლის პოზიტიური დამოკიდებულება დასაჩუქრებულის მიმართ, ასეთი ურთიერთობები კი ყალიბდება გარკვეული დროის განმავლობაში და მას საფუძვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება. შესაბამისად, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ან მჭიდრო ნათესაური თუ სხვაგვარი დამოკიდებულება წარმოშობს გარკვეულ მორალურ ვალდებულებებს. ამ პირობებში მყოფი გონიერი ადამიანი ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას ხელმძღვანელობს აღნიშნული მოტივებით. თუ მხარეთა შორის არ არსებობს რაიმე მორალური მოტივები და მათი ურთიერთობა მხოლოდ ყოფით საწყისებს ეფუძნება, გონივრულობის სტანდარტის გათვალისწინებით, ასეთი ურთიერთობა ვერ იქ-

ნება ჩუქების ხელშეკრულების წინაპირობა.⁸⁰ როცა მხარეებს შორის არაა კეთილგანწყობა ან მჭიდრო ნათესაური ან მსგავსი ურთიერთობა, ჩნდება გონივრული ვარაუდი, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას გამჩუქებელი ხელმძღვანელობს არა ამ მოტივებით, არამედ გარკვეული კომერციული ინტერესით.⁸¹

იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ ტერმინი „ჩუქება“ იყოს გამოყენებული ნებაყოფლობითი გადაცემისთვის, რომელიც განხორციელდა, ან უკიდურეს შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ემოციური მიზეზების გამო, როგორცაა: სიყვარული, მიჯაჭვულობა, მეგობრობა, ამხანაგობა ან მადლიერება, ან ისეთი მორალური მოვალეობების ან მისწრაფებების დაკმაყოფილება, როგორცაა კეთილგანწყობა ან გულუხვობა და რომელიც საპასუხო გაცვლით არაა განპირობებული.⁸² შესაბამისად, ესაა მიზეზები, რომლებიც ემოციურ კავშირს აჩენს დასაჩუქრებულსა და მჩუქებელს შორის. თუ მჩუქებლის მიმართ დასაჩუქრებულის ქმედებით ქრება მჩუქებელთან მისი ემოციური კავშირი, სწორედ ეს ქმნის ჩუქების გაუქმების საფუძველს.

VII. დასკვნითი დებულებები

ამდენად, მოძრავი ნივთის ჩუქება არის რეალური და უსასყიდლო ხელშეკრულება, რომელიც სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს. საქმე ისაა, რომ ის დასაჩუქრებულს აკისრებს გარკვეულ სამართლებრივ-ზნეობრივ მოვალეობას, არ მიაყენოს მჩუქებელს მძიმე შეურაცხყოფა ან არ გამოიჩინოს მის მიმართ დიდი უმადურობა.

კვლევა ადასტურებს, რომ ჩუქების ხელშეკრულებას უნდა ედოს საფუძვლად ისეთი ემოციური ფაქტორები, როგორცაა: სიყვარული, მეგობრობა, ამხანაგობა, კეთილგანწყობა, გულუხვობა და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ეს ემოციური კავშირი ქრება დასაჩუქრებულსა და მჩუქებელს შორის დასაჩუქრებულის მოქმედებით, აღნიშნული შეიძლება გახდეს ჩუქების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, ჩუქების გაუქმების მოთხოვნის წარმოსაშობად მიზანშეწონილია, დასახელებულ ემოციურ განწყობას შეექმნას სერიოზული საფრთხე, ან ეს კა-

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის №ას-6-6-2015 განჩინება.

⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის №ა-6389-ა-16-2021 გადაწყვეტილება.

⁸¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის №2/2033-12 გადაწყვეტილება.

⁸² Eisenberg, The World of Contract and the World of Gift, California Law Review, Vol. 85, 1997, 823.

ვშირი გაქრეს დასაჩუქრებულის ბრალეული ქმედებით.

სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსით ჩუქების ხელშეკრულების ფორმა სხვადასხვანაირადაა მოწესრიგებული. მაგალითად, ე.წ. „ხელიდან ხელში“ ჩუქება ზეპირად შეიძლება დაიდოს და არ მოითხოვს წერილობით ხელშეკრულების დადებას (გერმანია, შვეიცარია, საქართველო). ფაქტობრივად კვებეკის შემთხვევაშიც დაიშვება ზეპირად ჩუქების დადება, თუ ნივთის გაჩუქებისას მის გადაცემას მოჰყვება მასზე დაუყოვნებლივ მფლობელობის მოპოვება, სხვა შემთხვევაში კი უნდა დაიდოს საჯარო სანოტარო აქტით ჩუქების შესახებ და ის გასაჯაროვდეს. თუმცა ჩუქების შეპირებისას აუცილებელია წერილობით ხელშეკრულების გაფორმება (საქართველო) ან მისი სანოტარო დამონშება (გერმანია, საფრანგეთი). სპეციფიკურ წესს ითვალისწინებს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, რადგან მიწის საკუთრებისა და მიწის ნაკვეთზე არსებული სანივთო უფლების წარმოშობას უკავშირებს მხოლოდ საადგილმამულო რეესტრში აღრიცხვის მომენტს.

ჩუქების ხელშეკრულებაში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ჩუქების გაუქმება, რომელზეც არსებობს განსხვავებული მიდგომები. არის ქვეყნები, რომლებშიც გაზიარებულია ჩუქების გაუქმების საფუძვლების ამომწურავად ჩამოთვლის პრინციპი (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია). მათ გვერდით არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც არ ჩამოთვლიან ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობებს და ჩუქების გაუქმების განმსაზღვრელ შეფასებით

კატეგორიებზე მიუთითებენ (კვებეკი, გერმანია, საქართველო). ამ გზით ეს ქვეყნები ნებისმიერ ვითარებაში ინდივიდუალურად განმარტავენ ჩუქების გაუქმების საფუძვლებს და არგებენ კონკრეტულ სიტუაციას. ამავე დროს, დიდია ალბათობა, რომ ზემოთ წარმოდგენილი ქვეყნების გამოცდილება გამოადგეს საქართველოს ჩუქების შემდეგ გამოვლენილი დიდი უმადურობისა თუ მძიმე შეურაცხყოფის შემადგენლობების დასადგენად. ეს კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან საქართველო არ ჩამოთვლის დიდი უმადურობისა და მძიმე შეურაცხყოფის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, ამ დუმილით კი სასამართლო პრაქტიკას ანიჭებს მათი შინაარსის გარკვევის მანდატს, შემთხვევის ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერი საოჯახოსამართლებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიდი უმადურობის არსებობის დასამტკიცებლად.

ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია სათანადო მოსარჩელისა და მტკიცების ტვირთის საკითხი ჩუქების გაუქმებისას, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული დავის იურიდიული ბედი. კვლევებიდან ჩანს, რომ ჩუქების გაუქმების უფლებამოსილება აქვს მჩუქებელს, ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით და ატარებს პირად ხასიათს. თუმცა უკვე წარდგენილი გამოთხოვიდან გამომდინარე, უფლებების შემდეგ მჩუქებლის გარდაცვალებისას შესაძლებელია ამ უფლების გადაცემა მის მემკვიდრეებზე.

საერთაშორისო კერძო სამართალში სამართლის მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირის როლი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას რომი I რეგულაციის მიხედვით

ნიკოლოზ ნებულიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

I. შესავალი

საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების დინამიკური ბუნებიდან გამომდინარე, მათი მონაწილე მხარეები ცდილობენ, ფეხი აუწყოთ მიმდინარე სამართლებრივ ცვლილებებს. თუმცა რიგ შემთხვევაში, ურთიერთობის საერთაშორისო სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ერთიანი მიდგომით რეგულირებად წესზე შეჯერება, რაც, აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე, საჭიროებს განმარტებას მიმდინარე პრაქტიკის საფუძველზე.

სამართლის „მჭიდრო“ და „უმჭიდროესი“ კავშირის ტესტი მიეკუთვნება არაერთგვაროვან რეგულირებად ტესტთა რიცხვს, რომელიც ხშირად გამხდარა და ხდება მოსამართლეთა თავის სატკივარი იმ თვალსაზრისით, რომ ტესტის არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლებელია დააზარალოს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარის ინტერესი. ამგვარად, მსგავს შემთხვევებში ეფექტიანი გამოსავალია, ყოველი კონკრეტული სამართლებრივი საკითხის შესწავლისას, მჭიდრო ან უმჭიდროესი ტესტი განიმარტოს მაქსიმალურად საკითხთან დაკავშირებულ ფაქტებთან და ხელშეკრულებებთან ერთობლიობაში, რათა არ დაირღვეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

რომი კონვენცია და მისი „სამართალმემკვიდრე“ რომი რეგულაცია არის ის მნიშვნელოვანი წყაროები, რომლებიც მოსამართლეს საშუალებას აძლევს დაარეგულიროს მხარეთა შორის

არსებული საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის განმსაზღვრელი სამართალი, როდესაც მხარეები გამოსაყენებელ სამართალზე არ შეთანხმებულან. რეგულირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად კი კონვენცია/რეგულაცია მოსამართლეს აძლევს ფართო დისკრეციას და ამავდროულად ავალდებულებს გამოიკვილოს საქმის ყველა გარემოება, რამაც შესაძლებელია „გადანონოს“ რეგულაციის/კონვენციის შესაბამისად დადგენადი გამოსაყენებელი სამართალი, მათ შორის, დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელი მხარის დადგენის შემთხვევაშიც. „გადანონვის“ კრიტერიუმებად კი სამართლის „მჭიდრო“ და „უმჭიდროესი“ კავშირები სახელდება ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორებიცაა, მაგალითად, ხელშეკრულების დადების ადგილი, სხვა ხელშეკრულება/ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია ძირითად ხელშეკრულებასთან, ხელშეკრულების დადების დრო, ტრანზაქციის ადგილი და სხვ.

სამართლის „მჭიდრო“ კავშირის ტესტს კი მკვლევარები „გაქცევის მუხლის“ („escape clause“) სახელწოდებითაც მოიხსენიებენ, რომელიც რეგულირებულია რომი I რეგულაციის 4(3) პარაგრაფით და რომლის გამოყენების შესაძლებლობა/აუცილებლობა წარმოადგენს წინამდებარე სტატიის მთავარ მიზანს.

რომი რეგულაციის მე-4 მუხლის მთავარი ამოცანაა, განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი მხარეთა შორის არსებული ხელშეკ-

რულებისთვის, როდესაც მათ ის ხელშეკრულებით ნათლად არ განუსაზღვრავთ. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა კი დამოკიდებულია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორებიცაა, მათ შორის და არამხოლოდ, მხარეთა ნების ავტონომია, „დამახასიათებელი ვალდებულების შემსრულებელი მხარე“, ხელშეკრულების მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირი სხვა გარე ფაქტორებთან, სხვა ხელშეკრულებასთან/ხელშეკრულებებთან, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობაზე.

სტატიის მიზანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული, თვალსაზრისით განხილული იქნება მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირის მნიშვნელობა, მისი როლი საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, როდესაც მხარეებს გამოსაყენებელი სამართალი ხელშეკრულებით არ დაურეგულირებიათ. აღნიშნული კავშირის შესაბამისად კი, კვლევის საგანია, მათ შორის, კავშირის დადგენის სამართლებრივი გზები, რაც „გადანონის“ რომი რეგულაციის 4(1) მუხლით დადგენილ „ხისტ“ მიდგომას გამოსაყენებელი სამართლის პირდაპირ განსაზღვრის ნაწილში და 4(2) მუხლით დადგენილ შედარებით „მოქნილ“ მიდგომას, დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელი მხარის მიერ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხი აქტუალურია საერთაშორისო კერძოსამართლებრივ პრაქტიკაში, ვინაიდან, ერთიანი მიდგომა სამართლის სხვა ხელშეკრულებასთან/ხელშეკრულებებთან მჭიდრო ან/და უმჭიდროესი კავშირის შესახებ არ არსებობს და, ფაქტობრივად, ვერც იარსებებს, რადგან მოსამართლის ძირითადი ვალდებულებაა სხვა ფაქტორებთან ერთად ყოველი კონკრეტული საქმის შესწავლის დროს გამოიკვლიოს, ხომ არ არსებობს ამკარა უფრო მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან, რაც შეცვლის გამოსაყენებელი სამართლის არჩევის „ტრაექტორიას.“

სტატიის მიზანია, სწორედ მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირის განმარტების ერთიანი მიდ-

გომის არარსებობის პირობებში მოიძებნოს ის „ოქროს შუალედი“, რომელიც სხვა გამოსაყენებელი სამართლის დადგენის განმაპირობებელია რიგ შემთხვევაში. შედეგად, სხვადასხვა მაგალითის საფუძველზე ზედმინევით დეტალურად განიმარტება, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება მჭიდრო კავშირის დასადგენად.

II. მჭიდრო და უმჭიდროესი კავშირის ცნება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას

„უმჭიდროესი კავშირის ტესტი“ გვხვდება ცნობილი გერმანელი სამართლის პროფესორის, ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის, მე-19 საუკუნეში გამოქვეყნებულ მთავარ ტრაქტატში, სახელწოდებით „System des heutigen Römischen Rechts“. კერძოდ, სავინი ამტკიცებდა, რომ კანონთა კონფლიქტის (საერთაშორისო კერძო სამართლის) ამოცანაა, განისაზღვროს სამართლებრივი ურთიერთობის „ადგილი“, სამართლებრივი სისტემა, რომელთანაც ამ ურთიერთობას აქვს უმჭიდროესი ტერიტორიული კავშირი. დღეს ამ ტესტმა წმინდა ტერიტორიული მნიშვნელობის ნაცვლად ფუნქციური დანიშნულება მიიღო, რომელიც აისახა, როგორც ევროკავშირის რომი I რეგულაციის მე-4 მუხლში, ასევე გერმანიის საარბიტრაჟო აქტის 1051(2) და საერთაშორისო სამართლის შესახებ შვეიცარიის ფედერალური კანონის 187(1) მუხლებში.¹

თანამედროვე სამართლებრივი სისტემების უმეტესობას აქვს მოქნილი წესი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებას უნდა არეგულირებდეს „უმჭიდროესი კავშირის“ ქვეყნის სამართალი. თუმცა ისინი განსხვავდებიან იმით, თუ რა იგულისხმება „უმჭიდროეს კავშირში.“ მაგალითად, ზოგიერთი ქვეყანა აწესებს გარკვეულ სტანდარტებს, რომლებსაც იღებს უმჭიდროესი კავშირის დასადგენად. ზოგიერთი სახელმწიფო ვარაუდობს, რომ „უმჭიდროესი კავშირი“ არის ხელშეკრულების დადების ან შესრულების ადგილი. ნაწილი მიმართავს მეთოდს, რომ კავშირი უმჭიდროესია იმ ქვეყნის კანონმდებლობასთან, რომელი ქვეყნის მხარეც ასრულებს დამახასიათებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას.² მე-

¹ იხ. TransLex Principles No. XIV.2, Law applicable to international contracts, Commentary 1.

² იხ. UNCITRAL, HCCH and Unidroit Legal Guide to Uniform Instruments in the Area of International

ორე ნაწილი კი უმჭიდროეს კავშირს მიუსადაგებს დამახასიათებელი ვალდებულების შემსრულებელი მხარის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელის ან/და ადმინისტრაციის რეზიდენციას, როგორც ეს, მაგალითად, გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 36-ე მუხლის დისპოზიციით.³ ეს ქვეყნები უფრო ზოგად ახლო კავშირს გვთავაზობენ რომი რეგულაციისგან განსხვავებით, რომელიც მე-4 მუხლის მიხედვით უფრო მეტად შლის საკითხს და მეტი სიცხადისთვის განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს გამოსაყენებელ სამართალს.

რომი I რეგულაციის მე-4 მუხლის მიზანია, მოიძებნოს გონივრული და სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, გამოსაყენებელი სამართლის სიცხადესა და განჭვრეტადობას, ხოლო, მეორე მხრივ, მოქნილობასა და კონკრეტულ საქმესთან მიმართებას შორის. სწორედ აღნიშნული აძლევს მოსამართლეებს საშუალებას, გასცდნენ რეგულაციის მე-4 მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფების შინაარსს და ეძებონ მჭიდრო კავშირი საქმის გარემოებებსა და სამართალს შორის, რათა მაქსიმალურად ობიექტურად განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი.⁴ თავის მხრივ, მჭიდრო კავშირის ტესტის მიზანია შესაბამისი დამაკავშირებელი მნიშვნელობის ფაქტორები შეფასდეს კომერციული თვალსაზრისით, რაც მოიაზრებს მათი პრაქტიკულობის განსაზღვრის აუცილებლობას ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.⁵

მიუხედავად იმისა, რომ უმჭიდროესი კავშირის დოქტრინა აღარ არის ძირითადი პრინციპი, გადანყვიტოს ნაგულისხმევი გამოსაყენებელი სამართალი რომი I რეგულაციის მე-4 მუხლის მიხედვით, აღნიშნული მაინც რჩება რეგულაციის 4(3) პარაგრაფის მიხედვით გამოსაყენებელი სამართლის დადგენის შემავსებელი ნაწილი.⁶ რეგულაციის 4(3) მუხლი გვთავაზობს „გაქცე-

ვის მუხლს“ („escape clause-ს“) იმ შემთხვევებში, როდესაც, მართალია, გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება დადგინდეს რომი I რეგულაციის 4(1) ან/და 4(2) პარაგრაფების შესაბამისად, თუმცა ყველა გარემოებიდან ნათელია, რომ ხელშეკრულება აშკარად უფრო მჭიდრო კავშირშია სხვა ქვეყანასთან. აღნიშნული პარაგრაფი მიუთითებს, რომ 4(1) და 4(2) პარაგრაფით დადგენილი მონესრიგება არ უნდა იყოს უგულვებლყოფილი მარტივად. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულების ადგილს და შედარებით მარტივად „არგებს“ მას „გაქცევის პუნქტის“ დარეგულირების საკითხს, თუ შესრულების ადგილი განსხვავებულია, ვიდრე 4(1) ან/და 4(2) პარაგრაფით დადგენილი ხელშეკრულების ტიპისთვის სავარაუდო გამოსაყენებელი სამართალი. ზოგჯერ კი „აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი“ განისაზღვრება ტექნიკური ფაქტორებით (მაგალითად, გადახდის ადგილი), რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა კანონმდებლობის მიხედვით.⁷

ხელშეკრულების უფრო მჭიდრო კავშირის კარგი მაგალითია რეგულაციის 4(1)(d) პარაგრაფის მიმართება 4(1)(c) პარაგრაფთან. კერძოდ, 4(1)(d) პარაგრაფით დადგენილი საერთო *lex domicilii* იმ მხარეებისთვის, რომლებსაც გაფორმებული აქვთ მოკლევადიანი უძრავი ნივთის ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულება, უპირატესია 4(1)(c) პარაგრაფით გათვალისწინებულ ზოგად *lex situs* პრინციპთან, რაც არეგულირებს უძრავი ქონების ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებების დროს გამოსაყენებელ სამართალს. ასევე, თუ განვიხილავთ შემთხვევას, როდესაც, მაგალითად, პორტუგალიაში რეგისტრირებული კომპანიები ნოტარიულად ამონმებენ ესპანეთში არსებულ უძრავ ქონებაზე იჯარის ხელშეკრულებას, ასეთ დროს, ხელშეკრულებას და ფაქტობრივ გარემოებებს უფრო მჭი-

Commercial Contracts, with a Focus on Sales, Vienna, Austria, 2021, para.90, 32.

³ იხ. საქართველოს კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 36.

⁴ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, European Commentaries on Private International Law ECPIIL, Commentary, Volume II, Rome I Regulation, 2017 (hereinafter: “Magnus U., Mankowski P., ECPIIL, Rome I Regulation”), Article 4, Contents and purpose, para. 6, 269.

⁵ იხ. *Frazer J.*, Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation, University of Southampton, S.S.L.R, Vol. 7, 2017, 16.

⁶ იხ. *Tang Z.*, Law Applicable in the Absence of Choice, The Modern Law Review Limited, 2008, 797-798.

⁷ იხ. *Tang Z.*, Law Applicable in the Absence of Choice, The Modern Law Review Limited, 2008, 797-798.

დრო კავშირი აქვს ესპანეთის სამართალთან, ვიდრე პორტუგალიის სამართალთან. მოსამართლე ვალდებულია, იხელმძღვანელოს რეგულაციის 4(3) მუხლის შესაბამისად, რომელიც სწორედ „აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის“ პრინციპს ადგენს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრად, რაც წარმოადგენს რომი I რეგულაციის მნიშვნელოვან ზოგად ელემენტს და, გარდა რეგულაციის 4(3) პარაგრაფისა, გვხვდება ამავე რეგულაციის 5(3), 7(2) და 8(3) პარაგრაფებში. დებულება, რომელიც გვთავაზობს „გაქცევის მუხლს“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აბალანსებს გამოსაყენებელი სამართლის მოქნილ და ხისტ მეთოდს.⁸

მიუხედავად იმისა, რომ რომი I რეგულაციის მე-4 მუხლის მიზანია, მეტი სიცხადე „შეიტანოს“ გამოსაყენებელი სამართლის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, აქცენტი გადატანილია გონივრული ბალანსის შერჩევაზე სიცხადესა და მოქნილობას შორის.⁹ სწორედ ამ მიზანს ემსახურება უმჭიდროესი კავშირის პრინციპი, როდესაც საუბარი გვაქვს ბალანსის შენარჩუნებაზე მოქნილობასა და სიცხადეს შორის. კერძოდ, რეგულაციის 4(1) პარაგრაფი გვთავაზობს „ხისტ“ მიდგომას, რომ რაც შეიძლება ნათელი და პირდაპირ განერილი იყოს გამოსაყენებელი სამართალი ამა თუ იმ ტიპის ხელშეკრულებისთვის. 4(2) პარაგრაფი კი საზღვრავს გამოსაყენებელ სამართალს იმ ტიპის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც საერთოდ არ რეგულირდება 4(1) პარაგრაფით ან რეგულირდება ერთზე მეტი ტიპის ხელშეკრულების ელემენტით. სწორედ აქ „შემოდის“ 4(3) პარაგრაფის მოქნილი მიდგომა, რომ მეტი „თავის დაზღვევის“ მიზნით შემონმდეს, ხომ არ გვაქვს სახეზე „აშკარა უფრო მჭიდრო“ კავშირი, რომელიც ხელშეკრულებას სხვა ქვეყნის სამართლის რეგულირების ქვეშ მოაქცევს. შედეგად, აუცილებელია სწორედ ბალანსის დაცვა. სასამართლომ, უმჯობესია, თავდაპირველად, იხელმძღვანელოს 4(1) ან 4(2) პარაგრაფით დადგენილი მონესრიგებით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაადგინოს 4(3) პა-

რაგრაფის გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ აბრკოლებს მოსამართლეს, იმსჯელოს 4(3) პარაგრაფის გამოყენების შესაძლებლობაზე, როდესაც არგუმენტირებულად ასაბუთებს 4(1) ან 4(2) პარაგრაფით ხელშეკრულების მონესრიგების საკითხს.

რომი I რეგულაციის 4(3) პარაგრაფიდან გამომდინარე, როდესაც საქმის ყველა გარემოებიდან ნათელია, რომ ხელშეკრულება აშკარა უფრო მჭიდრო კავშირშია სხვა ქვეყნის სამართალთან, ვიდრე ეს განსაზღვრულია პირველი და მეორე პარაგრაფებით, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა სწორედ ამ სხვა ქვეყნის სამართლის მიხედვით ხდება. როგორც აღინიშნა, ეს დებულება უფლებას აძლევს სასამართლოს, რომ გვერდი აუაროს პირველი და მეორე პარაგრაფით დადგენილ/დადგენად გამოსაყენებელ სამართალს, თუ გამოიკვეთება, რომ არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ობიექტური გარემოება, რომელიც უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან და სხვა ქვეყანასთან. ასეთი კავშირებია, მაგალითად, (ა) ხელშეკრულების დადების ადგილი, (ბ) ვალდებულების შესრულების ადგილი, (გ) მხარეთა მუდმივი ადგილსამყოფელი, (დ) აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებებთან.¹⁰ გარდა აღნიშნულისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს დროის მომენტზე. რეგულაციის 4(3) პარაგრაფი პირდაპირ არ საუბრობს, თუ რა დროს არის მიზანშეწონილი აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის დადგენა, თუმცა, ზოგადად, ითვლება, რომ ხელშეკრულების დადების თარიღი არის ის ათვლის წერტილი, რა დროსაც უნდა განისაზღვროს, გვაქვს თუ არა სახეზე აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი ხელშეკრულებასთან. ამავედროულად, ისეთი სამომავლო მოვლენები, როგორებიცაა ახალი საცხოვრებელი ადგილი, ხელშეკრულების ცვლილება, ცვლილებიდან გამომდინარე შეცვლილი შესრულების ადგილი და სხვა, შესაძლებელია გახდეს დროის და, შესაბამისად, ხელშეკრულების მთავარი განმსაზღვრელი ფა-

⁸ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPII, Rome I Regulation, Article 4, The Escape Clause (par.3), para. 184.

⁹ იხ. *Tang Z.*, Law Applicable in the Absence of Choice, The Modern Law Review Limited, 2008, 798.

¹⁰ იხ. *Mantovani M.*, Freedom of choice and applicable law in the absence of choice in matters relating to a contract (Rome I Regulation), 2020, 29.

ქტორი, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს აშკარა უფრო მჭიდრო კავშირით სხვა ქვეყნის სამართალთან.¹¹

III. რომი კონვენციისა და რომი რეგულაციის ურთიერთმიმართება „მჭიდრო კავშირის“ ტესტთან დაკავშირებით

2005 წლის რომი რეგულაციის დრაფტში იყო მოსაზრება, რომ ამოღებულიყო „გაქცევის მუხლი“ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას, რაც ასევე გათვალისწინებული ჰქონდათ თავის დროზე რომი კონვენციაში. „გაქცევის მუხლის“ ამოღების მთავარ მიზანს წარმოადგენდა მეტად მკაცრი სამართლებრივი მოწესრიგების დანერგვა. თუმცა, მსგავსი მიდგომა, ფაქტობრივად, მნიშვნელოვნად შეამცირებდა გამოსაყენებელი სამართლის დადგენისთვის არსებულ მოქნილობის მეთოდს და სამართლის განსაზღვრის საკითხს უფრო მკაცრს/ხისტს გახდიდა. შესაბამისად, რომი რეგულაციის სარედაქციო ვერსიაში „გაქცევის მუხლს“ მიენიჭა დამოუკიდებელი ადგილი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას და არ მოხდა მისი ამოღება რეგულაციიდან.¹²

რომი რეგულაციის მე-16 დებულებით პირდაპირ გათვალისწინებულია, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის წესები უნდა იყოს უაღრესად განჭვრეტადი, რათა მოხერხდეს ევროპულ სასამართლო სივრცეში სამართლებრივი სიზუსტის უზრუნველყოფა რეგულაციის ზოგად მიზნებთან მიმართებით. თუმცა, ამავედროულად, რეგულაციის მე-16 დებულებაში აღნიშნულია, რომ სასამართლომ უნდა შეინარჩუნოს დისკრეცია, დაადგინოს ის სამართალი, რომელიც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან.¹³ აღნიშნული დებულება ხაზს უსვამს ბალანსის დაცვას გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას სამართლის მკაფიოდ განსაზღვრასა და მოქნილობას

შორის, რადგან გამოსაყენებელი სამართლის სწორედ მსგავსი მრავალმხრივი მიდგომით განსაზღვრა, თუ სრულად არა, მაქსიმალურად უზრუნველყოფს, დადგინდეს სამართალი მხარეთა ნაგულისხმევი ნებისა და ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინების საფუძველზე. რეგულაციის მე-16 დებულება ფაქტობრივად უზრუნველყოფს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ბალანსის დასაცავად გამოიკვლიოს ყველა შესაძლო ვარიანტი, რომელთაც გავლენა შეიძლება მოახდინონ სამართლის განსაზღვრაზე და შესაბამისად სადავო საკითხის გადაწყვეტაზე.¹⁴

რეგულაციის მე-4 მუხლი მთლიანად ეფუძნება სიახლოვის პრინციპს. იგი განასახიერებს და გადმოსცემს ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება რეგულირდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელიც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ხელშეკრულებასთან. 4(3) მუხლი, ე.წ. „გაქცევის მუხლი“ კი გამოიყენება იქ, სადაც „ახლო კავშირი“ პრაქტიკაში არ არის მიღწეული.¹⁵

რომი კონვენციისგან განსხვავებით, რეგულაციის 4(3) მუხლით გათვალისწინებული „გაქცევის მუხლი“ ითვალისწინებს არამხოლოდ მჭიდრო კავშირის პრინციპს, არამედ „აშკარა“ უფრო მჭიდრო კავშირს. კერძოდ, სიტყვა „manifestly“ დაემატა მჭიდრო კავშირის პრინციპს იმ არგუმენტაციით, რომ 4(3) პარაგრაფის გამოყენება მოხდეს, როდესაც უფრო მნიშვნელოვანი კავშირია სახეზე, ვიდრე ამას 4(1) ან 4(2) პარაგრაფი ითვალისწინებს. ამ მიდგომამ მოსამართლეებისთვის გარკვეულწილად აწია 4(3) პარაგრაფის გამოყენების თამასა.¹⁶ არსებობს მოსაზრება, რომ რეგულაციის 4(3) მუხლის დისპოზიცია განზრახ ადგენს პირველადი წესის (რომი I რეგულაციის მე-4 მუხლის პირველი ან მეორე პარაგრაფით დადგენადი გამოსაყენებელი სამართლის) ცვლილების მაღალ სტა-

¹¹ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPII, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 196.

¹² იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPII, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 185.

¹³ იხ. რომი I რეგულაცია, დებულება 16.

¹⁴ იხ. *Frazer J.*, Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation, University of Southampton, S.S.L.R., Vol. 7, 2017, 13.

¹⁵ იხ. *Mantovani M.*, Freedom of choice and applicable law in the absence of choice in matters relating to a contract (Rome I Regulation), Max Planck Institute, Luxembourg for Procedural Law, 2020, 15, 16.

¹⁶ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPII, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 187.

ნდარტს, რაც გამოიხატება სწორედ „განსაკუთრებით“ მჭიდრო კავშირის კონცეფციის მიხედვით, რომ განვმარტოთ რომი რეგულაციის 4(3) მუხლი კანონთან შესაბამისად, მიზანშეწონილია განვიხილოთ რომი კონვენციის სასამართლო პრაქტიკა, ვინაიდან რეგულაციის წინამორბედი რომი კონვენცია 4(5)-მუხლით ასევე ადგენს „გაქცევის მუხლის“ სტანდარტს, იმ განსხვავებით, რომელიც დაფუძნებულია მჭიდრო კავშირის ტესტზე.¹⁷

რომი რეგულაციით გათვალისწინებული „გაქცევის მუხლის“ ახალი ფორმულირება „აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის“ ნაწილში მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ქვეყნების პრაქტიკას, რომლებიც რომი კონვენციის იდენტურ მუხლს იყენებდნენ მიზანშეწონილად. კერძოდ, „აშკარა“ უფრო მჭიდრო კავშირის შემოტანა განაპირობა პრევენციის აუცილებლობამ, რომ არ მოხდეს 4(3) პარაგრაფის გამოყენება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სახეზე გვაქვს მჭიდრო კავშირი, თუმცა ეს მჭიდრო კავშირი არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ხელშეკრულებაზე. გარკვეულწილად სიტყვა „manifestly-ით“ მოსამართლეებს გაუჩნდათ ვალდებულება, უფრო დეტალურად დაასაბუთონ, თუ რატომ ხდება ხელშეკრულების მისადაგება 4(3) მუხლზე და რა ფაქტორი განაპირობებს აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის ხელშეკრულებასთან, რასაც გავყავართ განსხვავებულ მონესრიგებაზე.¹⁸

IV. ერთიანი მიდგომის არარსებობა „მჭიდრო კავშირის ტესტთან“ მიმართებით

ერთიანი მიდგომა, თუ როგორ უნდა განიმარტოს „განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი“ არ არსებობს და, ალბათ, ვერც იარსებებს ისევ და ისევ რეგულაციის 4(3) მუხლიდან გამომდინარე. კერძოდ, 4(3) მუხლის მიზანი, უზრუნველყოს უფრო მოქნილი მეთოდის შესაბამისად გა-

მოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა და არ შემოფარგლოს გამოსაყენებელი სამართალი მხოლოდ რეგულაციის 4(1) და 4(2) პარაგრაფით დადგენილი სტანდარტით, არის ძირითადი პრინციპი მუხლის ინტერპრეტაციისას. ამ მხრივ, აღსანიშნავია CJEU-ის 2009 წლის გადაწყვეტილება,¹⁹ რომლითაც სასამართლომ „გაქცევის მუხლთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონვენციის 4(5) მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებებიდან ნათელი ხდება, რომ ხელშეკრულება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ქვეყნის სამართალთან. აღნიშნული მიდგომა კი ძირითადად მიმართულია გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის მართებულ პროგნოზირებადობაზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა ინტერესების დაცვა მსგავსი მოქნილი მიდგომის შესაბამისად. კონვენციის 4(5) მუხლის მსგავსად, ზემოაღნიშნულ თავში მითითებული განსხვავებების გათვალისწინებით, რეგულაციის 4(3) მუხლიც მსგავს ინტერპრეტაციას მოიაზრებს, ვინაიდან მაშინ, როდესაც რეგულაციის 4(1) და 4(2) მუხლი მიმართულია გამოსაყენებელი სამართლის უფრო მკაფიო განსაზღვრებაზე, 4(3) მუხლი აძლევს მოსამართლეს შესაძლებლობას არ მოექცეს შემოსაზღვრულ ჩარჩოებში და გამოიკვლიოს სხვა გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია უფრო დიდი გავლენა იქონიოს ხელშეკრულების გამოსაყენებელ სამართალზე, ვიდრე ეს დადგენადია 4(1) ან 4(2) მუხლებით.²⁰

რომი I რეგულაცია არ იძლევა საკმარის/ამომწურავ მითითებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელშეკრულებასთან მიმართებით ქვეყნის იდენტიფიცირება უმჭიდროესი ან აშკარა უფრო მჭიდრო კავშირით, ასევე არ გვთავაზობს საკმარის მითითებას თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს *escape clause*-ის გამოყენება.²¹ რომი I რეგულაციის 4(3) მუხლი არ შეიცავს არც ერთ მი-

¹⁷ იხ. *Frazer J.*, *Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation*, University of Southampton, S.S.L.R., Vol. 7, 2017, 11, 12.

¹⁸ იხ. *Magnus U.*, *Mankowski P.*, *ECPII, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3)*, para. 187; *Frazer J.*, *Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation*, University of Southampton, S.S.L.R., Vol. 7, 2017, 14.

¹⁹ იხ. C-133/08 *Intercontainer Interfrigo SC (ICF) v Balkenende Oosthuizen BV* [2009] ECR I-9687, para. 63,

64., *Frazer J.*, *Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation*, University of Southampton, S.S.L.R., Vol. 7, 2017, 13.

²⁰ იხ. *Frazer J.*, *Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation*, University of Southampton, S.S.L.R., Vol. 7, 2017, 13.

²¹ იხ. *Tang Z.*, *Law Applicable in the Absence of Choice*, *The Modern Law Review Limited*, 2008, 798.

თითებას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირის პრინციპზე. თუმცა, რომი I რეგულაციის, მე-20 დებულების მე-2 ნინადადებაში მითითებულია: იმისთვის, რომ განისაზღვროს, ხელშეკრულება არის თუ არა განსაკუთრებით მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ქვეყანასთან „inter alia“ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, აქვს თუ არა ხელშეკრულებას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან ან ხელშეკრულებებთან.²²

ფორმულირება „inter alia“ მიუთითებს სწორედ ვალდებულებას, რომ ობიექტურად გამოსაყენებელი სამართლის დადგენისთვის აუცილებელია ყველა გარემოების შეფასება/გამოკვლევა. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ისეთი გარემოებები, როგორებიცაა მხარეთა წარმომავლობა, ხელშეკრულების დადების ადგილი, ხელშეკრულების ენა, არ არის საკმარისი საფუძველი, რომ მოსამართლემ აღნიშნულზე დაყრდნობით იმსჯელოს უფრო მჭიდრო კავშირის პრინციპზე და მიუსადაგოს ხელშეკრულება სხვა გამოსაყენებელ სამართალს. თუმცა 4(3) პარაგრაფის მითითება საქმის ყველა გარემოების გამოკვლევაზე არ აწესებს მსგავს შეზღუდვებს. შედეგად, მიუხედავად განსხვავებული აზრისა, მოსამართლემ, უმჯობესია გამოიკვიროს ყველა გარემოება, რადგან წინასწარ იმის დასკვნა, რომ ხელშეკრულების დადების ადგილს, ხელშეკრულების ენას ან სხვა გარემოებას არ აქვს მნიშვნელოვანი წვლილი კონკრეტული საქმის გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისთვის, არ არის გამართლებული. შეიძლება, როგორც ცალკე აღებულს, ხელშეკრულების დადების ადგილს, ვალუტის კურსს ან ენას არ ჰქონდეს ისეთი მნიშვნელოვანი „წონა“, როგორც შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულების შესრულების ადგილს, თუმცა სავსებით შესაძლებელია, სწორედ ერთ-ერთმა ზემოჩამოთვლილმა გარემოებამ გაგვიყვანოს ხელშეკრულების აშკარა უფრო მჭიდრო კავშირზე სხვა სამართალთან.²³

რეგულაციის მე-20 და 21-ე დებულებების მიხედვით, განერილია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აქვს თუ არა ხელშეკრულებას მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან. თუმცა დებულებები არ გვთავაზობს, თუ რას წარმოადგენს (1) „უფრო მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან“ და (2) სხვა ფაქტორი, რომელზეც განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება სამართლის დადგენის ნაწილში.²⁴

მჭიდროდ დაკავშირებული ხელშეკრულება ან ხელშეკრულებები მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი ფაქტორია, რომ გაირკვეს ქვეყნის უმჭიდროესი ან აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი ხელშეკრულებასთან. კომერციულად გამართლებულია, რომ ერთი კანონმდებლობა ვრცელდებოდეს მთლიან გარიგებაზე, ვიდრე სხვადასხვა კანონი არეგულირებდეს გარიგების თითოეულ შემადგენელ ნაწილს. თუმცა არსებობს გაურკვევლობა იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ორი ან მეტი ხელშეკრულება განიხილებოდეს იმდენად მჭიდროდ დაკავშირებულად, რომ ერთი ხელშეკრულება გამოყენებულ იქნას როგორც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი ფაქტორი, რომელიც გადაწყვეტს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი არის ყველაზე ახლო კავშირში მეორესთან. ზოგადად, რომ ვთქვათ, მსგავს კონტრაქტებს ერთმანეთთან არსებითი კავშირი უნდა ჰქონდეს, სადაც ერთის არსებობა, მეორის არსებობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგალითად, საგარანტიო ხელშეკრულებები.²⁵ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში აუცილებელია, არ დაირღვეს ხელშეკრულებების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ფაქტორი, რადგან სხვა ხელშეკრულებაზე მითითება იმ თვალსაზრისით, რომ მხარეები ერთი და იმავე არიან, ფაქტობრივად, არაფრისმომცემია, რადგან მთავარი აქცენტი კეთდება შინაარსობრივ „ჯაჭვზე“. თუ მსგავსი ბმა არ არსებობს, მაშინ ჩაითვლება, რომ ხელშეკრულებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და მათი ერთობლიობაში აღქმა გამოსაყენებელი სა-

²² იხ. *Lando O., Nielsen A.P.*, The Rome I Regulation, Common Market Law, Kluwer Law International, 2008. (*Lando O., Nielsen A.P.*, Nielsen, CML Rev. 2008), Choice of law in the absence of an agreed choice, 1703.

²³ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPII, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 190.

²⁴ იხ. *Frazer J.*, Escape From Uncertainty: Article 4(3) Rome I Regulation, University of Southampton, S.S.L.R, Vol. 7, 2017, 15.

²⁵ იხ. *Tang Z.*, Law Applicable in the Absence of Choice, The Modern Law Review Limited, 2008, 799.

მართლის დადგენის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, უშედეგოა.

როგორც აღინიშნა, რეგულაციის 4(1) და 4(2) პარაგრაფებით დადგენადი გამოსაყენებელი სამართლის სტანდარტი შეიძლება დაძლიოს 4(3) პარაგრაფმა, თუ „ხელშეკრულებას აქვს ამკარა უფრო მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან ან ხელშეკრულებებთან.“ თუ ეს სხვა დაკავშირებული ხელშეკრულება წესრიგდება კონკრეტული გამოსაყენებელი სამართლით, ეს სამართალი შეიძლება მიესადაგოს სადავო ხელშეკრულებას. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც არსებობს ძირითადი ხელშეკრულება და სადავო ხელშეკრულება არის დამოკიდებული ხასიათის მატარებელი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი მიდგომა შესაძლებელია გაუმართლებელი აღმოჩნდეს, მაგალითად, როდესაც მხარეები აფორმებენ ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც აღსრულებადია ცალ-ცალკე ხელშეკრულებების შესაბამისად. ასეთ დროს ჩარჩო ხელშეკრულებას შეიძლება არ მიენიჭოს გადამწყვეტი როლი და ჩარჩო ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართალი არ განისაზღვროს სადავო კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებლად. რაც შეეხება სადისტრიბუციო ხელშეკრულებას, სასამართლოს ძირითადი პრაქტიკაა, მიმართოს საერთაშორისო ხელშეკრულებას/კონვენციას კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით მაშინაც კი, თუ სხვა სამართალი არეგულირებს დამკვეთსა და დისტრიბუტორს შორის არსებულ ხელშეკრულებას. მეორე მხრივ, დამხმარე კავშირად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს რომ უზრუნველყოს მეორე ხელშეკრულების აღსრულების შესაძლებლობა, ჰქონდეს მხოლოდ „დამხმარე“ როლი. მაგალითად, საერთაშორისო სტატიის მომზადებასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულების კონკრეტული ეტაპის მომზადებისთვის გაფორმდა საერთაშორისო ნასყიდობის დამატებითი ხელშეკრულება, რათა მოხერხებულიყო ძირითადი საე-

რთაშორისო სტატიის ხელშეკრულებისთვის კონკრეტული მოწყობილობების შექმნა. მხარეებმა დამხმარე ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს გამოსაყენებელი სამართალი. ასეთ დროს მოსამართლემ შეიძლება მიმართოს ამკარა უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ ძირითად ხელშეკრულებას და ძირითად ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ შეთანხმებულ გამოსაყენებელ სამართალს, ან მეორე მხრივ, სავსებით შესაძლებელია უგულებელყოს ძირითადი ხელშეკრულების მოწესრიგება და დაუქვემდებაროს აღნიშნული CISG-ის კონვენციის მოწესრიგებას იმ პირობებში, როდესაც მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულებით გამოსაყენებელი სამართალი არ განუსაზღვრავთ და ამავედროულად არ გამოურიცხავთ საერთაშორისო ვენის კონვენციის მოწესრიგება ხელშეკრულებით.²⁶

შესაბამისად, მოსამართლის მიერ ამკარა უფრო მჭიდრო კავშირის გამოყენება არის შეფასების საგანი და მაქსიმალურად ფრთხილად უნდა მოხდეს რეგულაციის 4(3) პარაგრაფზე მიმართება, რათა არ დაზარალდეს რომელიმე მხარის ინტერესი სხვა გარემოებიდან/ხელშეკრულებიდან გამომდინარე განსხვავებული გამოსაყენებელი სამართლის დადგენის თვალსაზრისით. ასევე, რეგულაციის მე-20 დებულების მიხედვით, აუცილებელია ყოველთვის „ამკარა უფრო მჭიდრო კავშირის არსებობა“ ძირითად და დამხმარე ხელშეკრულებას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში 4(3) პარაგრაფზე მიმართებამ შეიძლება დამაზარალებელი შედეგი გამოიღოს რომელიმე მხარის ინტერესებისადმი. ცალკე ფაქტი, რომ რამდენიმე ხელშეკრულება მოქცეულია ერთ დოკუმენტში ან ერთი და იმავე დროს - არ არის საკმარისი საფუძველი 4(3) პარაგრაფზე მიმართებისთვის. ზოგადი მიდგომის თვალსაზრისით, თუ დგინდება ძირითადი ხელშეკრულების მნიშვნელოვანი როლი დამხმარე ხელშეკრულებასთან მიმართებით - სწორედ ძირითადი ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართალი არეგულირებს დამხმარე ხელშეკრულების სადავო საკითხს. თუმცა, მთავარი პრინციპი, რომელიც მოსამართლემ 4(3) პარაგრაფ-

²⁶ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPIL, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 194.

ზე მიმართებამდე არ უნდა დაარღვიოს, არის სწორედ 4(1) და 4(2) პარაგრაფების სრულად ამონეწერვა მსჯელობის თვალსაზრისით და შემდეგ დამოუკიდებლად კონტრაქტისთვის აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის ძიება.²⁷

ვერ გამოვრიცხავთ, რომ „გაქცევის მუხლის“ განმარტების „ბუნდოვანება“ განზრახ არის დატოვებული იმ თვალსაზრისით, რომ 4(3) პარაგრაფს შეუნარჩუნდეს მოქნილობის სტანდარტი და არ მოექცეს დებულებების ჩარჩოებს შორის, რაც მოსამართლეს გარკვეულწილად შეუზღუდავდა დისკრეციას, გასულიყო სხვა გამოსაყენებელ სამართალზე. აქედან გამომდინარე, იმის ცალსახად თქმა, რომ ტერმინოლოგიური ბუნდოვანება განაპირობებს 4(3) პარაგრაფის მიხედვით გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის გართულებას და მოსამართლეს უწევს მეტი დასაბუთება, თუ რატომ იყენებს სხვა გამოსაყენებელ სამართალს, არ იქნება მართებული. პირიქით, შესაძლებელია იმ მხრივაც შევხედოთ ამ საკითხს, რომ სწორედ მოსამართლის მიერ ზედმინევენით დეტალურად დასაბუთების მიზნობრიობით არის განპირობებული 4(3) პარაგრაფის მსგავსი ფორმულირება. ვინაიდან საუბარი გვაქვს მოქნილობაზე, მოქნილობის განმსაზღვრელი პარაგრაფი არ უნდა დაემსგავსოს ისეთ ხისტ მიდგომას, როგორც თუნდაც 4(1) პარაგრაფში მითითებული გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით გვხვდება. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ იგრძნობა იმ „ოქროს შუალედის“ პოვნის სურვილი, რომელიც მე-4 მუხლის პარაგრაფების თანმიმდევრული განმარტების შესაბამისად ვლინდება, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს მხარეთა ინტერესები ყველა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომლებიც მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას თან ახლავს.

V. სასამართლოს როლი მჭიდრო კავშირის დადგენასთან მიმართებით

იმისთვის, რომ განისაზღვროს უფრო მჭიდრო კავშირი, ყოველთვის შედარებაა საჭირო. კერძოდ, კონკრეტული ხელშეკრულებისთვის განსაზღვრული ზოგადი გამოსაყენებელი სამართლის კავშირის ინტენსივობა უნდა შევადაროთ იმ სამართლის კავშირის ინტენსივობას, რომელსაც საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეიძლება უფრო მეტი გადაკვეთა/კავშირი ჰქონდეს. შედეგად, რომი რეგულაციის მიხედვით გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას 4(3)-მა პარაგრაფმა აშკარად/მკაფიოდ უნდა გადაწინოს 4(1) ან 4(2) პარაგრაფებით კონკრეტული შემთხვევებისთვის გამოსაყენებელი სამართალი.²⁸

პარიზის სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინ, როდესაც მხარეები გამოსაყენებელ სამართალზე არ შეთანხმებულან, მხარეთა ნება გამოსაყენებელი სამართლის დასადგენად განისაზღვრება ობიექტურად. კერძოდ, ხელშეკრულება, შინაარსობრივი და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, დაკავშირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობასთან, რომელთანაც ყველაზე მჭიდრო კავშირშია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ტრანზაქცია და დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება.²⁹ გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად კი, „*hypothetischer-Parteiwille*“ მოიაზრებს არა მხარეთა ნაგულისხმევ ნებას, არამედ ყურადღებას ამახვილებს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისთვის ობიექტური საფუძვლით მხარეთა ინტერესების სამართლიან, გონივრულ შეფასებაზე, რის შესაბამისადაც დგინდება გამოსაყენებელი სამართალი.³⁰ გერმანიის ფედერალური სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მხარეთა ინტერესების შეფასება ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის სიმძიმის ცენტრის განსაზღვრის შესაბამისად.³¹

²⁷ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPIIL, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 194.

²⁸ იხ. *Magnus U., Mankowski P.*, ECPIIL, Rome I Regulation, Article 4, The escape clause (par.3), para. 188.

²⁹ იხ. *Giuliano M., Lagarde P.*, Report on the Convention on the Law Applicable to Contractual Obligations, Official Journal C 282, 31/10/1980 (hereinafter – “*Giuliano M., Lagarde P., Report on the Rome Convention*”, 1980, 19.

³⁰ იხ. BGH, 14 April 1953, in IPRspr., 1952-53, No 40, pp. 151 et seq., *Giuliano M., Lagarde P.*, Report on the Rome Convention, 1980, 19.

³¹ იხ. BGH, 14 July 1955, in IPRspr., 1954-1955, No 67, pp. 206 et seq., *Giuliano M., Lagarde P.*, Report on the Rome Convention, 1980, 19.

ინგლისური სამართლის მიხედვით კი, როდესაც მხარეებს ნათლად არ განუსაზღვრავთ გამოსაყენებელი სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება იმ სამართლის სისტემას, რომელთანაც ტრანზაქციას ყველაზე მჭიდრო და რეალური კავშირი აქვს. ამ შემთხვევაში მოსამართლე ეძებს არა მხარეთა უშუალო ნაგულისხმევ განზრახვას, არამედ, სამართლიანი და გონივრული პიროვნების სტანდარტის შესაბამისად, ცდილობს დაადგინოს ხელშეკრულების დადების დროს რა გამოსაყენებელი სამართალი იქნებოდა ყველაზე რელევანტური მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასარეგულირებლად. ამის დასადგენად კი სასამართლოს სჭირდება გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ფაქტორების ფართო სპექტრი, როგორებიცაა მხარეთა საქმიანობა, ხელშეკრულების შესრულების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ხელშეკრულების დადების ადგილი, ხელშეკრულების ბუნება, საგანი და სხვა.³²

რეგულაციის 4(3) პარაგრაფი მიმართულია მეტ კვლევაზე, ხომ არ არსებობს ხელშეკრულების აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი იმ ქვეყანასთან, რომლის სამართლის გამოყენებაც იქნება საუკეთესო „რეცეპტი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის დასარეგულირებლად. რეკომენდაციას, რომ როდესაც ხდება „escape clause-ზე“ მითითება, სასამართლომ განიხილოს შემდეგი საკითხები: (1) **ხდება თუ არა სასამართლოს მიერ ყურადღების გამახვილება ხელშეკრულებასთან ერთად რეალურად არსებით და რელევანტურ ელემენტებზე**, რადგან ზოგიერთი ფაქტორი შეიძლება არ ჩაითვალოს ამა თუ იმ ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას არსებითად. მაგალითად, ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ ენაზე, მაგრამ ვინაიდან ინგლისური არის ფართოდ გავრცელებული ენა საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენისას, ენის საკითხი ამ ნაწილში არ ჩაითვლება არსებით პირობად გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას. ანალოგიურად, როდესაც აქცეპტი გაგ-

ზავნილია ელ-ფოსტით და ადრესატის ელექტრონული საფოსტო ყუთი განთავსებულია სერვერზე, რომელიც მდებარეობს ნიუ-იორკში. სერვერის მდებარეობა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც არსებითი ფაქტორი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას;³³ (2) **ენიჭება თუ არა თითოეულ ელემენტს სათანადო ყურადღება?** ზოგიერთი ელემენტი, როგორიცაა, მაგალითად, დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი, მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას მასზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება; მეორე მხრივ, მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის ადგილზე ვერ ვიტყვით ცალსახად, რომ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის ნაწილში, რადგან თანამედროვე კომერციულ ტრანზაქციებში ფართოდ გამოიყენება დისტანციური საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც ხელშეკრულების შედგენის ადგილის არსებითობას გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს. მჭიდროდ დაკავშირებული ხელშეკრულების ან ხელშეკრულებების არსებობაც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი რომი | რეგულაციის დებულებების მიხედვით გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას.³⁴ (3) **არის თუ არა ხელოვნური კავშირი ხელშეკრულებასა და ელემენტს შორის თავიდან არიდებული?** მაგალითად, გადახდის ადგილი განსხვავებულია სხვადასხვა გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით. სასამართლო, ჩვეულებრივ, იყენებს ფორუმის შიდა კანონმდებლობას, რომ გადანყვიტოს გადახდის ადგილსამყოფელი და ხდის ამ ელემენტს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ ფაქტორად მაშინ, როცა რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ხელოვნური კავშირების თავიდან არიდება და არ მიენიჭოს მათ მნიშვნელოვანი „წონა“ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას. (4) **არის თუ არა მჭიდრო კავშირი აშკარა?** თუ ზემოაღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებით დამაკავშირებელი ფაქტორების „ანონვის“ შედეგად, პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ხელშეკრულება

³² იხ. *Giuliano M., Lagarde P.*, Report on the Rome Convention, 1980, 19.

³³ იხ. *Tang Z.*, Law Applicable in the Absence of Choice, *The Modern Law Review Limited*, 2008, 799.

³⁴ იხ. რომი | რეგულაციის 20-ე და 21-ე დებულებები.

უფრო მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ქვეყანასთან იქნება „დიას“, „escape clause“ გვექნება სახეზე. მეორე მხრივ, თუ ძნელი სათქმელია, რომ ხელშეკრულებას სხვა ქვეყანასთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს, „escape clause-ის“ გამოყენება არ გამოდგება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას, რაც დასრულდება იმით, რომ გამოსაყენებელი სამართალი დარეგულირდება რეგულაციის 4(1) ან 4(2) პარაგრაფით იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ხელშეკრულებაზე იქნება საუბარი.³⁵ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების წმინდა კონცეფციის მიხედვით (პარ. 2) ზოგიერთ შემთხვევაში ჩანაცვლებადაა აშკარად უფრო მჭიდრო კავშირის პრინციპით (პარ. 3). მაგალითისთვის, დამახასიათებელი შემსრულებელი მხარის იტალიის ფილიალი ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს გერმანიაში, როცა ამ მხარის მთავარი ადგილსამყოფელი გერმანიაშია. ასეთ დროს, ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელი მხარის მუდმივი ადგილსამყოფელი, მართალია, გერმანიაშია, თუმცა მოსამართლე ვალდებულია იმსჯელოს უშუალოდ იტალიაში არსებული ფილიალის (როგორც მხარის) მიერ შესრულებულ ვალდებულებას ხომ არ გავეყვართ აშკარა უფრო მჭიდრო კავშირზე, რაც იტალიური სამართლით კონკრეტული შემთხვევის მონესრიგების შესაძლებლობას იძლევა რომი რეგულაციის 4(3) პარაგრაფის საფუძველზე? ასევე განვიხილოთ მაგალითი, როდესაც გამყიდველს აქვს ადგილსამყოფელი გერმანიაში, მყიდველს იტალიაში. გამყიდველი ედავება მყიდველს დანადგარებისთვის თანხის სრულად გადაუხდელობაში და მოთხოვნა უზრუნველყოფილია საფრანგეთში მდებარე უძრავი ქონებით. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხელშეკრულება ფორმდება საფრანგეთის ერთ-ერთ სანოტარო ბიუროში ინგლისურ ენაზე. ფრანგი ადვოკატები წარმოადგენენ მხარეებს, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ფრანგულ ვალუტაში. მსგავს შემთხვევაში, მოსამართლე, პირველ რიგში, იწყებს მსჯელობას, თუ

ვინ ასრულებს დამახასიათებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამ შემთხვევაში რეგულაციის 4(1) პარაგრაფის საფუძველზე, დამახასიათებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს გამყიდველი, თუმცა მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ უზრუნველყოფილი ობიექტის მდებარეობა საფრანგეთში, ანგარიშსწორება, ხელშეკრულების გაფორმების ადგილი, რადგან მოსამართლემ კუმულატიური გარემოებების საფრანგეთთან აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის საფუძველზე შესაძლებელია დაადგინოს აშკარა უფრო მჭიდრო კავშირი საფრანგეთთან, რამაც შესაძლებელია დაძლიოს დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელი მხარის მუდმივი ადგილსამყოფელი და სახელშეკრულებო ურთიერთობა დაუქვემდებაროს ფრანგულ სამართალს.

VI. დასკვნა

სტატიის ძირითადი მიზანი იყო გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას აშკარა უფრო მჭიდრო კავშირის დადგენა სხვა ქვეყნის სამართალთან, როდესაც მხარეებს ხელშეკრულებით გამოსაყენებელი სამართალი არ განუსაზღვრავთ. სხვადასხვა სამართლებრივი გადაწყვეტილების თუ მაგალითის საფუძველზე განხილულ იქნა, თუ რა როლი ენიჭება მოსამართლეს, ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გამოკვლევის შედეგად მაქსიმალურად არგუმენტირებულად დაადგინოს, მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას ხომ არ აქვს „განსაკუთრებით“ მჭიდრო კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან, ხელშეკრულებებთან, რაც ფაქტობრივად ცვლის მხარეთა სადავო ურთიერთობის მნიშვნელოვან ნაწილს - გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის საკითხს.

სტატიამ სხვადასხვა მაგალითისა და რეგულაციის დებულების საფუძველზე მიმოხილული იქნა ის ძირითადი ასპექტები და ბუნდოვანებები, რომლებიც განაპირობებს აშკარა მჭიდრო კავშირის დადგენის საკითხის მრავალფეროვნებას სამართლის განსაზღვრის კონტექსტში. შესაბამისად, საკითხის ამონურვის შეუძლებლო-

³⁵ იხ. Tang Z., Law Applicable in the Absence of Choice, The Modern Law Review Limited, 2008, 800.

ბა აჩენს მეტ შეკითხვას, რაც დინამიკურად შე- დაც წინამდებარე სტატიით გათვალისწინებუ-
სწავლის საგანია და არ შემოიფარგლება თუნ- ლი განმარტებებით.

დიდი ოდენობით თაღლითობაზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სამოსამართლო სამართალშემოქმედების აქტი?

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ციციტიშვილი

თსუ, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

I. შესავალი

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ დანაშაულს, რომელიც გავრცელებულია თანამედროვე ეპოქაში, თაღლითობა წარმოადგენს. იგი ისჯება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თაღლითობა არის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. დასახელებული მუხლი თაღლითობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრავს თაღლითობას დიდი ოდენობით, რომელიც, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, არაერთ კითხვას წარმოშობს: კერძოდ, შეიძლება თუ არა დიდი ოდენობით თაღლითობად დაკვალიფიცირდეს პირამიდული ორგანიზაციის წარმომადგენელთა ქმედება, როცა სახეზეა რამდენიმე დაზარალებული და თითოეულის მიმართ განხორციელებული ქმედება ცალკე აღებული უკავშირდება დაზარალებულისგან მოტყუებით იმ ოდენობით თანხის მიღებას, რომელიც შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად არ იყოს საკმარისი სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (ქმედების მცირე მნიშვნელობა)? იმისათვის რომ სხვადასხვა პირის მიმართ განხორციელებულმა ქმედებამ დიდი ოდენობით თაღლითობის შემადგენლობა დააფუძნოს, გასათვალისწინებელია განზრახ-

ვის საკითხიც. შესაბამისად, რამდენად არის შესაძლებელი ასეთ დროს ვისაუბროთ ერთიანი განზრახვით განხორციელებულ ქმედებაზე? წინამდებარე წერილი მცდელობაა, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.

II. სასამართლო პრაქტიკა დიდი ოდენობით თაღლითობაზე

როგორც უკვე აღინიშნა, თაღლითობის მაკვალიფიცირებელი გარემოებებიდან ერთ-ერთია თაღლითობა დიდი ოდენობით. დიდი ოდენობა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, სსკ-ში გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან (ქურდობა, ყაჩაღობა) მიმართებითაც. თუ რა იგულისხმება დიდ ოდენობაში განმარტებულია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნაში, რომლის მიხედვითაც, დიდი ოდენობა განისაზღვრება დანაშაულის საგნის ღირებულებით. იმისათვის, რომ თაღლითობა დიდი ოდენობით განხორციელებულად ჩაითვალოს, დაუფლებული ნივთის თუ ქონების ღირებულება 10000 (ათი ათას) ლარს უნდა აღემატებოდეს.

დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც, როგორც თვითონ სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, შეიცვა-

ლა დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით მანამდე არსებული პრაქტიკა. გადანყვეტილება შეეხებოდა შემდეგ შემთხვევას: „კ“-მ და „ს“-მ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ თანხებს და ამ მიზნით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში დაარეგისტრირეს არასამეწარმეო იურიდიული პირი - „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა „კ“, ხოლო მოადგილედ „ს“. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად „კ“-სა და „ს“-ს უნდა მოეზიდათ მოქალაქეები, რომლებსაც დაარწმუნებდნენ, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდათ სოციალური გრანტი და სანეეროს სახით დაწესებული ყოველთვიური 3 ლარის გადახდის სანაცვლოდ თითოეული განეერებული მოქალაქე ყოველთვიურად მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე - ასევე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით დახმარებას 1 წლის განმავლობაში. გეგმის განსახორციელებლად „კ“ და „ს“ დაუკავშირდნენ საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაციის თავმჯდომარე „ე“-ს, რომელთანაც 2010 წლის 27 ოქტომბერს ფორმალურად გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რეალურად კი „ე“-ს უნდა უზრუნველყო მოქალაქეთა მოზიდვა, მათი განეერება კავშირში და სანეეროს სახით გადახდილი თანხის შეგროვება, რასაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ. „ე“ პროექტით დაინტერესებულ პირებს არწმუნებდა მატერიალური დახმარების სამომავლოდ მიღების გარდაუვალობაში, ავსებდა ანკეტებს და თითოეული წევრისგან იღებდა 3 ლარს. ამ გზით მან მოიზიდა 11 053 მოქალაქე, რომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებით ჯგუფის წევრები დაეუფლნენ 33 161 ლარს. თაღლითური სქემის მასშტაბის განეერცობისა და დამატებითი მატერიალური სარგებ-

ლის მისაღებად „კ“ და „ს“ 2010 წლის ნოემბერში დაუკავშირდნენ „ხ“-ს და შესთავაზეს კავშირის რეგიონული ოფისის გახსნა. იგი ამავდროულად დაარწმუნეს, მოეზიდა პენსიონერი და უმუშევარი მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებდნენ მატერიალურ დახმარებას და გრანტის მიღების სანაცვლოდ 3 ლარის გადახდის პირობით გაენეერებინა კავშირში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ „ხ“-ს დაჰპირდნენ 400 ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას. 2011 წლის 15 თებერვალს „ხ“-მ 633 მოქალაქის მიერ გადახდილი 1899 ლარი, „ს“-ს მითითებით, გადარიცხა კავშირის საბანკო ანგარიშზე, ხოლო 1000 ლარი, „კ“-ს მითითებით, გამოიყენა საოფისე ხარჯებისთვის. მთლიანობაში - 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე „კ“-მ და „ს“-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი 36 060 ლარი. „კ“-ს და „ს“-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა ჯგუფურად და დიდი ოდენობით)¹.

განსახილველი შემთხვევა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ დაზარალებული იყო მრავალი ადამიანი და თითოეული ადამიანისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ცალკე აღებული, სხვებისთვის მიყენებული ზიანისგან დამოუკიდებლად, არ იყო იმ მოცულობის, რაც შეიძლება საკმარისი ყოფილიყო პირისთვის დიდი ოდენობით თაღლითობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ და გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ თაღლითობას საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან შედარებით ახასიათებს განსხვავებული სპეციფიკა, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი ჩადენის შედეგად შესაძლებელია მოტყუებული და დაზარალებული აღმოჩნდეს არა მხოლოდ ერთი ან ათეულობით ადამიანი, არამედ ასეულობითა და ათასობით ადამიანი, რა დროსაც დამნაშავეები შეიძლება მოქმე-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის გადანყვეტილება №2კ-236აპ.-12, სუსგ, 2012, №7-12, გვ. 10-15.

დებდნენ ერთიანი განზრახვით და მიზანდასახულობით, როდესაც განზრახვა თავიდანვე მოიცავს ყველა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის მოცულობას, ღირებულების ოდენობის გათვალისწინებით. სასამართლო განსახილველ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის პრობლემურობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ საკითხის გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კრიტერიუმს დაეყრდნობა ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, კერძოდ, ერთი დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას თუ იმ ზიანის მთლიან მოცულობას, რომელიც ერთობლივად მიადგა ყველა დაზარალებულს².

უზენაესი სასამართლო თაღლითობის სამ შემთხვევას გამოყოფს: პირველი, როცა დამნაშავეს განზრახული აქვს მრავალი ადამიანის მოტყუება, მაგრამ აცნობიერებს, რომ მისი ქმედება ამ მრავალი ადამიანიდან მხოლოდ ერთის მიმართ ცალკე აღებული გამოიწვევს დიდი ოდენობის ზიანს და ყველა ადამიანისთვის მიყენებული ზიანის ერთიანად შეფასება საქმის არსს დიდად არ ცვლის; მეორე, როდესაც, არც ცალკე აღებული ერთი დაზარალებულისთვის და არც ყველა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ერთად აღებული არ აღწევს დიდ ოდენობას; მესამე, როცა დამნაშავე თავიდან ითვალისწინებს, რომ არც ერთ ადამიანს ცალკე აღებულს არ მიადგებოდა დიდი ოდენობის ზიანი, თუმცა მას აღწევს ყველა დაზარალებულისთვის ერთობლივად მიყენებული ზიანი. სასამართლო ქმედების კვალიფიკაციას სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიიჩნევს პრობლემურად, განსხვავებით წინა ორი შემთხვევისაგან.

უზენაესი სასამართლოს თქმით, ადრე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დიდი ოდენობით თაღლითობად ქმედების კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ დიდი

ოდენობით ზიანი მიყენებული იყო თუნდაც ერთი დაზარალებულისათვის მაინც. მიყენებული ზიანის დიდ ოდენობად შეფასება არ დაიშვებოდა მრავალი დაზარალებულისთვის ერთობლივად მიყენებული ზიანის საერთო მოცულობის მიხედვით³, ვინაიდან საკასაციო პალატა თვლიდა, რომ განხილულ შემთხვევაში თაღლითობის ქმედება უშუალოდ ხელყოფს არა ადამიანთა კოლექტიურ, ერთობლივ ინტერესს, მიუხედავად ერთი ქმედებით დაზარალებულთა საერთო რაოდენობისა, არამედ ყოველი ცალკე აღებული დაზარალებულის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ინტერესსა და საკუთრების უფლებას, რომლის დაცვისკენაც არის მიმართული ის ნორმა, რომლითაც ისჯება დიდი ოდენობით თაღლითობა. ეს მით უფრო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთიანი განზრახვითა და მიზნით განხორციელებული ქმედებით მრავალრიცხოვან დაზარალებულთა კრებადობა შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათ შორის არ არსებობს გამაერთიანებელი მყარი, სოციალური ურთიერთობა⁴.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, ვინაიდან ამან, როდესაც დანაშაულის ჩადენის ქმედითი საშუალებები ჩნდება, ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამონვევის თვალსაზრისით, პოტენციურ დამნაშავეებს შესაძლოა უზიძგოს დანაშაულის ჩასადენად ისეთი ხერხების გამოყენებისკენ, რომელთა მეშვეობით ისინი მიიღებენ დიდ შემოსავალს, ხოლო, მეორე მხრივ, თავი დააღწიონ მკაცრ პასუხისმგებლობას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, რამაც შეიძლება წარმოშვას აშკარა უსამართლობა⁵.

გარდა ამისა, დიდმა პალატამ მიუთითა, რომ როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით

² იქვე.

³ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ანალოგიურადაა საკითხი გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევ ქურდობასთან დაკავშირებით და აღნიშნულია, რომ თუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლებული ნივთების ღირებულება იყო 160 ლარი, მაგრამ ნივთებს სხვადასხვა მესაკუთრე ჰყავდა და თითოეულს მიადგა 80-80 ლარის ზიანი, გა-

მოირიცხება ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოება (რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). იხ. ლეკვეიშვილი მ./თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო წინილი, წიგნი 1-ლი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 472-473.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

საკანონმდებლო შემადგენლობებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და მისაკუთრების მიზანზე, დიდი ალბათობით, სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას, ეს ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის თუ ორს ან მეტს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე, რომელსაც მოქმედი პირი ეუფლება ან ისაკუთრებს, მას არავითარი უფლება არ გააჩნია. ამიტომ ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული თუ საამისოდ გამიზნული ნივთის საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული პირისთვის მიყენებული ზიანის მოცულობას. რაც მეტად მნიშვნელოვანია, საკასაციო პალატა მოცემულ განმარტებას გასათვალისწინებლად მიიჩნევს არა მხოლოდ თაღლითობასთან, არამედ ასევე ქურდობასთან, ძარცვასთან და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან მიმართებით. ამავდროულად საკასაციო პალატა დიდი ოდენობით ქმედების კვალიფიკაციას გამორიცხავს მაშინ, როცა სახეზეა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მრავალი იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, რომელიც განხორციელებულია არა ერთიანი, არამედ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვის და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ ჩაითვლება ერთიან განგრძობად დანაშაულად და წარმოადგენს დანაშაულთა რეალურ ერთობლიობას საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად⁶.

უზენაესი სასამართლოს მოცემული პოზიცია დადებით შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან როცა ბოროტმოქმედი სხვის ნივთს ეუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მან შეიძლება იცოდეს ნივთის ღირებულება, მაგრამ არ ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ნივთს ერთზე მეტი, ბევრი მესაკუთრე ჰყავს, რამაც არ შეიძლება გავლენა იქონიოს ქმედების კვალიფიკაციაზე. თუ ნივთის ღირებულება დიდ ოდენობას აღწევს, ქმედება

დიდი ოდენობით უნდა დაკვალიფიცირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ნივთის საერთო ღირებულების მესაკუთრეთა რაოდენობის მიხედვით გაყოფისას თითოეული მესაკუთრის ხვედრითი წილი დიდ ოდენობაზე ბევრად ნაკლები შეიძლება იყოს. მთავარია არა ის, თუ რამდენი მესაკუთრე ჰყავს ნივთს, არამედ ის, თუ რა ღირებულებისაა იგი და აქვს თუ არა დამნაშავეს ეს გაცნობიერებული ქმედების განხორციელების დროს.

დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით საყურადღებოა კიდევ ერთი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: „გ“-მ შექმნა ინდივიდუალური საწარმო, რომელმაც წინასწარი განზრახვით დაიწყო აშშ-ში წასვლის მსურველ პირთა მოზიდვა და მათზე აშშ-ის ნამდვილი ვიზების სახით ყალბი ვიზების გასაღება. ამ გზით იგი ორი წლის მანძილზე სხვადასხვა პირისგან მოტყუებით დაეუფლა თანხას, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 49920 აშშ დოლარს და 1600 ლარს. სასამართლომ „გ“-ს მიერ მოქალაქეთათვის მოტყუებით მიყენებულ ქონებრივ ზიანს მიუმატა ის ქონებრივი ზიანი, რაც მათ განიცადეს უცხო ქალაქებში მოტყუებით დარჩენის შემდეგ და მისი ოდენობა განსაზღვრა 52290 აშშ დოლარის, 1705 ლარის და 30 რუსული რუბლის ოდენობით. სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა როგორც არაერთგზის და დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობა⁷. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ სასამართლომ ქმედება დიდი ოდენობით თაღლითობად დააკვალიფიცირა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოქალაქისგან მოტყუებით მიღებული თანხა შეჯამებულია და ზიანის ოდენობად ჩათვლილია შეკრების შედეგად მიღებული ჯამი და არა ცალკეული მოქალაქის მოტყუების გზით დაუფლებული ოდენობა. სასამართლოს ასეთი პოზიცია დიდი ოდენობით თაღლითობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ პრაქტიკასთან.

⁶ იქვე.

⁷ აღნიშნულ შემთხვევაზე იხ. თოდუა ნ., წიგნში: გამყრელიძე ო., (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო

პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 132-133.

განსახილველ საკითხზე საყურადღებოა სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სხვადასხვა დროს ჩადენილი თაღლითობა შეუძლებელია ვცნოთ ერთიანი განზრახვით ჩადენილ დანაშაულად. არ არსებობს ზოგადად თაღლითობის განზრახვა, არამედ განზრახვა კონკრეტული ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის მიმართ. შეიძლება არსებობდეს კონკრეტული პირის ქონებრივი უფლების თაღლითური გზით დაუფლების განზრახვა. „გ“-ს თაღლითობის ჩადენის განზრახვა იმდენჯერ აღმოუცენდა, რამდენი მოქალაქეც მან მოატყუა. კონკრეტული პირების მოტყუების განზრახვა მას აღმოუცენდებოდა მას შემდეგ, როცა ისინი მიმართავდნენ მას აშშ-ში გამგზავრების მიზნით. მანამდე მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა მათი მოტყუების განზრახვა, ვინაიდან მათ საერთოდ არ იცნობდა ან არაფერი იცოდა აშშ-ში მათი გამგზავრების სურვილის შესახებ. გამოთქმული მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სხვადასხვა მოქალაქისგან მიღებული თანხის დაჯამება იმიტომ არ შეიძლება, რომ დაზარალდა არა ერთი პირის, არამედ სხვადასხვა მოქალაქის საკუთრების უფლება⁸.

მოცემული მოსაზრება დღეს უკვე, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის გადაწყვეტილების შემდეგ, გარკვეულწილად, მოძველებულად გამოიყურება, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს თაღლითობის ერთიანი განზრახვა სხვადასხვა დაზარალებულის მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედებები ხორციელდებოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში (თუნდაც ორი ან მეტი წლის მანძილზე) და ქმედება განხორციელებულია არაერთი პირის მიმართ, სახეზეა მრავალი დაზარალებული, რომლებიც დამნაშავესთან შეიძლება კომუნიცირებდნენ სხვადასხვა დროს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

როდესაც საუბარია თაღლითობით გამოწვეულ ზიანზე, ჩნდება კითხვა, გამოირიცხება თუ არა ზიანი მაშინ, როცა ბოროტმოქმედი მსხვერპლს უწევს გარკვეულ მომსახურებას გადახდილი თანხის სანაცვლოდ? დასმულ საკითხზე საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია, რომელიც მიუთითებს: „ჩადენილი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას ვერ გამოირიცხავს ის გარემოება, რომ დამნაშავემ მის მიერ დაუფლებული სხვისი თანხის ან სხვა ნივთის სანაცვლოდ გარკვეული მომსახურება ან საქმიანობა გაუწია დაზარალებულს, რადგან არ არსებობდა მისი საჭიროება და ეს უკანასკნელი გამოყენებულია მხოლოდ დაზარალებულის მოტყუების საშუალებად, ანდა უკვე ჩადენილი მოტყუების შესანიღბად“ (ოპერაციის არადანიშნულებისამებრ გაკეთების შემთხვევა)⁹, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მსხვერპლის მიერ გადახდილი თანხა მხედველობაში მიიღება თაღლითობით გამოწვეული ზიანის ოდენობის, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოების, დასადგენად და მას არ გამოირიცხავს ის, რომ ბოროტმოქმედმა თანხის გადამხდელს გაუწია მომსახურება გადახდილი თანხის სანაცვლოდ. აქ მოყვანილი მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ თაღლითობა შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული მომსახურების განწევას, მაგრამ აქ საქმე ეხება არა განეული მომსახურებისთვის დამნაშავის მიერ თანხის არგადახდას, რასაც ადგილი აქვს მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს (185-ე მუხ.), არამედ ბოროტმოქმედის მიერ მსხვერპლისთვის არასათანადო მომსახურების განწევას, როგორც მოტყუების შენიღბვას.

III. დასკვნა

დიდი ოდენობით თაღლითობად ქმედების კვალიფიკაცია მაშინ, როცა ქმედება განხორციელებულია რამდენიმე პირის მიმართ და თითოეული დაზარალებულისგან მოტყუებით მიღებული თანხის ოდენობა ცალკე აღებული დიდი ოდენობით თაღლითობის შემადგენლობას ან

⁸ თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 133-134.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, №110აპ-19, საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2019, №7-9, გვ. 101.

საერთოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც ვერ აფუძნებს, დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა უტყუარად დგინდება, რომ მოქმედ პირს ჰქონდა წინასწარი განზრახვა, თაღლითობის გზით მოეტყუებინა აღნიშნული პირები. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს თაღლითობას განგრძობადი დანაშაულის ფორმით, ვინაიდან განხორციელებული თითოეული აქტი წარმოადგენს ერთიანი დანაშაულის (ერთიანი განზრახვის) შემადგენელ ნაწილს. დიდი ოდენობით თაღლითობა გამოირიცხება ზემოთ განხილულ შემთხვევაში, თუ მოქმედ პირს არ გააჩნდა ერთიანი განზრახვა და თითოეული დაზარალებულის მიმართ მოქმედებდა ახლად აღმოცენებული განზრახვით.

უზენაესი სასამართლოს ზემოთ განხილული 2012 წლის გადაწყვეტილება წარმოშობს კითხვას, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ ხომ არ შეიძლება შეასრულოს სამართლის წყაროს ფუნქცია? იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს¹⁰. ავტორი ერთი მხრივ, გამორიცხავს სასამართლოს გადაწყვეტილების მიჩნევას სამართლის წყაროდ, ხოლო მეორე მხრივ, სამართლის ერთ-ერთ წყაროდ განიხილავს სასამართლო პრაქტიკას¹¹.

გამოითქვა აგრეთვე შეხედულება, რომ სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების აქტი¹². ქართული სამართლებრივი სისტემა კონტინენტურ-ევროპულია და სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო კანონია, საქართველოში მოქმედებს კოდიფიცირებული სამართლებრივი სისტემა, თუმცა უზენაესი სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ზოგჯერ ცვლის მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკას და იძლევა ახლე-

ბურ განმარტებას საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ასეთ დროს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ასრულებს იმ სამართლებრივი ნორმის ფუნქციას, რომელსაც ახსნა-განმარტებით ნორმას ვუნოდებთ. ნორმის ინტერპრეტაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სასამართლო განმარტება¹³, რომელსაც სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში იძლევა და მას აქვს სავალდებულო ძალა. როცა საქმე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება, რომლითაც ხდება საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის დადგენა, გადაწყვეტილება სავალდებულო ძალას იძენს არა მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც იგი უშუალოდ ეხება, არამედ იგი გასათვალისწინებელი ხდება ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვისაც. ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, რომლის მიხედვითაც, უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება გასაჩივრებული ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (303-ე მუხ.).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილებით შეიძლება არა მხოლოდ ნორმა შეუფარდოს დანაშაულის ჩამდენს, არამედ შექმნას სამართალი¹⁴. ეს განსაკუთრებით ეხება პასუხისმგებლობის (მართლწინააღმდეგობისა და ბრალის) გამომრიცხავ ზეკანონურ გარემოებებს (სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლები), რომლებიც კოდექსში სახელდებით არ არის დასახელებული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა დაადგინოს და რასაც, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, შეიძლება ჰქონდეს გასათვალისწინ-

¹⁰ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 133.

¹¹ იქვე, გვ. 195.

¹² იქვე, გვ. 133.

¹³ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ნორმის განმარტების ერთ-ერთი სახეა სასამართლო განმარტება, თუმცა, ავტორები მიუთითებენ, რომ საქართველოში სასამართლო პრეცედენტი (ანუ წინასწარ არსებული სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით მსგავსი საქმეების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა) დაშვებული არ არის. იხ. ნაჭყებია გ./თოდუა ნ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 85. საქართველო არ წარმოადგენს პრეცედენტული სამართლის ქვეყანას, ვინაიდან მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში, მოქმედი კანონმდებლობით ხელმძღვანელობს, მაგრამ ზოგჯერ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოშიც იძენს კანონის მნიშვნელობას, რასაც ცხადყოფს წინამდებარე წერილში განხილული გადაწყვეტილება და მოცემული მსჯელობა.

¹⁴ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 337.

ნებელი მნიშვნელობა სხვა ანალოგიურ შემთხვევებში. არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ კანონშემოქმედება და სამართალშემოქმედება. სამართალშემოქმედება კანონშემოქმედებასთან შედარებით ფართო ცნებაა.

მოსამართლეს აქვს სამართლის განვრცობის, სამართლის შემდგომი განვითარების კომპეტენცია¹⁵. ეს განსაკუთრებით ეხება სამოქალაქო სამართალს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეს აქვს ხარვეზის შევსების შესაძლებლობა კანონის თუ სამართლის ანალოგიის გზით¹⁶. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, როცა კანონში ხარვეზია და არ არსებობს მისი მომწესრიგებელი ნორმა, მოსამართლეს შეუძლია საკითხი გადაწყვიტოს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ხოლო როცა ამის შესაძლებლობაც არ არსებობს, საკითხი გადაწყვიტოს ისე, როგორც კანონმდებელი გადაწყვეტდა¹⁷.

სამართალი არ არის მხოლოდ კანონშემოქმედების პროდუქტი. მოსამართლე რომ შეიძლება სამართალშემოქმედებად მივიჩნიოთ, ამის საფუძველს გვაძლევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებას

ქვეყნის შიგნით მოქმედი სასამართლოსთვის აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სამართლის ნორმას. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება შეიძინოს ახლადამოჩენილი გარემოების მნიშვნელობა და გახდეს საქმის გადასინჯვის საფუძველი (სსსკ-ის 310-ე მუხ.). მართალია, ეროვნული სასამართლოს ზედა ინსტანციის გადაწყვეტილებაც შეიძლება გადასინჯოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, როდესაც ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აკმაყოფილებს კანონიერების და სამართლიანობის კრიტერიუმებს, მაგრამ პოზიტიური სამართლის ნორმა და კანონიც შეიძლება იყოს უსამართლო, თუმცა ამის გამო ვერ უარყოფთ კანონის, როგორც სამართლის წყაროს მნიშვნელობას. კანონმდებლის მსგავს ფუნქციას ასრულებს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, რომლის გადაწყვეტილებითაც შეიძლება მოხდეს ქმედების დეკრიმინალიზაცია ან დეპენალიზაცია.

¹⁵ *Rüthers/Fischer/Birk*, *Rechtstheorie mit Juristischer Methodenlehre*, 8. Auflage, 2015, S. 528.

¹⁶ *ჭანტურია ლ.*, ნიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 5, გვ. 31.

¹⁷ *Rüthers/Fischer/Birk*, *ebenda*.

რეცენზია: სამართლის საფუძვლები: პოლონური პერსპექტივა, რედ. ვ. დაიჩაკი, ტ. ნიბორაკი, პ. ვილინსკი. ვარშავა, 2021.

გიორგი ჟორჟოლიანი, ადვოკატი

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

სახელმძღვანელო წარმოადგენს სტატიათა კრებულს, რომელიც მოიცავს პოლონური სამართლის სხვადასხვა სპექტრის ფართო თემატიკას. მისი საშუალებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს პოლონური სამართლისა და პოლონური საკანონმდებლო კულტურის საფუძვლებს, ასევე, ევროპის კავშირის თანამედროვე მიდგომებსა და გამოწვევებს კერძო, საჯარო და სისხლის სამართალში.

პოლონური სამართალი გასაკუთრებულად საინტერესო სამართალმცოდნეა, გამომდინარე იქიდან, რომ პოლონეთი ევროპის შუაგულია და მისი სამართლის ჩამოყალიბება დიდწილად დაკავშირებულია შედარებით-სამართლებრივ კვლევასთან, რომელიც თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სამართლებრივ გამოცდილებას. განსახილველი სახელმძღვანელო შედგება 19 თავისგან, რომელიც მოიცავს პოლონური სამართლის აქტუალურ საკითხებს და დიფერენცირებულია სამართლის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით; იგი მოიცავს სტატიებს საკორპორაციო სამართალზე, ექსპერტიზის მეცნიერებებზე, საგადასახადო სამართალზე, ინტელექტუალური საკუთრების სამართალზე და ა. შ.

სახელმძღვანელო, როგორც სტატიათა კრებული, შედგენილია ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სამართლის მკვლევარისთვის, რათა უშუალოდ გაეცნოს პრაქტიკოსი მასწავლებლების მიდგომებსა და შედარებითი სამართალმცოდნეობის კვლევის შედეგებს ეროვნულ სამართალსივრცესთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელო იწყება პოლონური სამართლის საფუძვლების ისტორიული დისკურსით, რომელიც მოიცავს მისი განვითარების მთელი სისტემის ევოლუციას, დაწყებული ფეოდალური პერიოდით, გაგრძელებული გარდამავალი პერიოდითა და დასრულებული თანამედროვე ცვლილებების უკანასკნელი სამი ათწლეულით.¹ აღნიშნულთან ერთად, მომდევნო თავებში განხილულია პოლონური სამართლის თეორია და ფილოსოფია ისტორიული ნარატივისგან განყენებულად, რაც საშუალებას იძლევა, რომ პოლონური სამართლის გზა, როგორც ისტორიული მოვლენა, და მისი თეორიული და ფილოსოფიური განვითარება დამოუკიდებელ თვითმყოფად მოვლენებად იქნეს შეფასებული.²

¹ *Dajczak/Pilarczyk, Historical foundations of Polish law, Foundations of Law: The Polish Perspective, Warsaw, 2021, 32-52.*

² *Smolak, Polish Theory and Philosophy of Law: An Overview of the Origins, Ideas and People, Historical Foundations of Polish law, Foundations of Law: The Polish Perspective, Warsaw, 2021, 71-78.*

კრებულში მოცემული სტატიები ერთმანეთს სისტემურად მიჰყვება და ამავდროულად ფუნდამენტურად ანალიზებს სამართლის სრულიად განსხვავებულ ასპექტებს. ისტორიული, ფილოსოფიური და კონსტიტუციური მიდგომების შემდეგ განხილულია სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები. შესავალის სახით მოცემულია პოლონური სამოქალაქო კოდექსის სრული სტრუქტურა,³ რომელიც ერთგვარად მსგავსია საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და შემდეგი სისტემით არის მოწყობილი - სამართლის სუბიექტები, გარიგებები, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სამემკვიდრეო სამართალი და საოჯახო სამართალი. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში კერძო სამართლისადმი მიძღვნილი სტატიები ამოიწურება სამოქალაქო კოდექსის, სამენარმეო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ანალიზით და, შესაბამისად, იგი არ მოიცავს სამოქალაქო ურთიერთობების სხვა სამართლებრივი მოწესრიგების მიმოხილვას.⁴ თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ განცალკევებულად არის გამოყოფილი ინტელექტუალური საკუთრების სამართლისადმი მიძღვნილი სტატია, რაც შესაძლოა განპირობებულია იმით, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს და მისი განხილვა ინდივიდუალურად უნდა მოხდეს. თუმცა, შესაძლოა, აღნიშნული წარმოადგენს წიგნზე მომუშავე კოლექტივის სარედაქციო გადაწყვეტილებას, გამომდინარე იქიდან რომ კრებულში მოცემული სტატია საავტორო უფლებებს განიხილავს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ქრილში,⁵ ხოლო, ინდუსტრიული საკუთრების უფლებებს კი უფრო მეტად ადმინისტრაციული მოწესრიგების მხრივ.⁶

სამოქალაქო სამართლის აქტუალური ასპექტების განხილვის შემდეგ სახელმძღვანელოში

აქცენტი გადატანილია სისხლის სამართალზე, რომლის მატერიალური და საპროცესო ნაწილები ზოგადად არის მიმოხილული, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ექსპერტიზის მეცნიერებას, რომელიც გამოყოფილია, როგორც პოლონური სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და წარმოჩენილია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ობიექტი.⁷ ამასთან აღსანიშნავია, რომ თეორიულ ანალიზთან ერთად მოცემულ თავში არაერთი პრაქტიკული შემთხვევაა მოყვანილი, თავისი სპეციფიკითა და დასმული საკითხის გადაწყვეტის მექანიზმებით.

ლოგიკურია, რომ სისხლის სამართლის შემდეგ სახელმძღვანელო მოიცავს პოლონურ ადმინისტრაციულ სამართალს, რომელიც შემოფარგლულია მატერიალური და საპროცესო სამართლის დეტალური მიმოხილვით. ამ ტრადიციულ სისტემატიზაციას მოჰყვება ფართო სპექტრის სტატიები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საფინანსო სამართალი, შრომის სამართალი, გარემოსდაცვითი სამართალი და სხვა.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო თეორიულ და პრაქტიკულ წყაროთა უმნიშვნელოვანესი კრებულია პოლონური და, უფრო ფართოდ, ევროპის კავშირის სამართლის სპეციფიკისა და მეთოდის შესასწავლად და გასაცნობად. წიგნში შესული ყველა სტატია მომზადებულია როგორც იურიდიული კოლექტივის, ისე ვინრო დარგის სპეციალისტების მიერ. ასევე, კრებულის ავტორები არიან პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტისა და ადმინისტრაციის აქტიური წარმომადგენლები. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ასევე, დამოუკიდებელი კვლევის განსახორციელებლად.

³ Jerzmanowski/Kępiński/Kępiński/Olejniczak/Sokołow, Civil Law, Foundations of Law: The Polish Perspective, Warsaw, 2021, 152 და მომდევნო გვერდები.

⁴ აღნიშნული, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ სახელმძღვანელო მოიცავს იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან ანალიზს საჭიროებს და ნათელია, რომ მასში ყველა სამოქალაქო სამართლებრივი საკითხი ვერ იქნება განხილული.

⁵ Kępiński, Intellectual property law, Foundations of Law: The Polish Perspective, Warsaw, 2021, 823 და მომდევნო გვერდები.

⁶ იქვე, 794 და მომდევნო გვერდები.

⁷ Dzida/Nawrocka, Forensic Science, Foundations of Law: The Polish Perspective, Warsaw, 2021, 473 და მომდევნო გვერდები